

Handwritten signature and text in the top right corner.

Large stylized graphic consisting of a red 'U' shape on the left, a black vertical bar in the center, and a black diagonal bar on the right, all connected at the top.

7 לי"י

3



სსსრ

3

მ ა რ ტ ი
1 9 6 7

ლიტერატურულ-
მხატვრული და
საზოგადოებრივ-
პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა
და საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

თბილისი



თქვიძური-სვირიც ქვიშისკენ ვეძებ

ლენინის ქუდი

აქ დიდხანს ვჩერდები... ამ ძვირფას საჩუქარს
მტრისაგან ფარავდა მზრუნველი ხელი.
ირხვეა სარკმელთან ლამაზი არყის ხე,
არყის ხე, ასე რომ უყვარდა ლენინს...

სარკმლიდან მოსკოვის ცა მოჩანს უსაზღვრო,
მოსკოვის უსაზღვრო ცა ლილისფერი.
მე ვფიქრობ ლენინზე და ასე მგონია,
ხალხმრავალ დარბაზში მე ვუხმენ ლენინს.

მორიგი საკითხი — მიწა და მშვიდობა,
ომებით დაღლილი ხალხების ბედი...
და ისმის დარბაზში: ჩვენ შენთან წამოვალთ,
მშვიდობას დავიცავთ საკუთარ მკერდით!

ყრილობამ დღეს ნახა ლენინი პირველად,
ლენინი — აი, ის, იმედის შუქი...
ლენინის ყველაფრისმხედველი თვალები,
ლენინის მაღალი, ნათელი შუბლი...

გაჭედო დარბაზში ხანგრძლივი ტაშია,
ძახილი: „აი, ვინ, ვინ არის ჩვენი“!
მე ვფიქრობ ლენინზე და ასე მგონია,
მე ჭკვიან თვალებში ვუყურებ ლენინს.

ანა კალანდიაძე.





ნაზი კიდასონია

ახალი ლექსები

**თქვენ ეს ჩურჩული უნდა
გზარავდეთ!**

ამერიკელ ჯარისკაცებს, რომელნიც
ვიეტნამელ ხალხს ებრძვიან.

ჩემი ქალური, დიდი უფლებით
 გიბრძანებთ, კი არ გესაუბრებით,
 ჩემი დედური,
 დიდი უფლებით
 გიბრძანებთ! როდი გესაუბრებით.
 მე ყოველ ღამეს ვიძინებ სევდით,
 მე ყოველ დილას ვიღვიძებ რისხვით:
 მე მესიზმრება ნანგრევთა ხელი
 და გვირილებზე ახალი სისხლი.
 მე მესიზმრება ომის ურჩხული
 და გაციებულ ბაგით ვწურჩულებ...
 თქვენ ეს ჩურჩული უნდა გზარავდეთ
 და ძირსა ჰყრიდეთ გლუვ მუზარადებს!
 თქვენ ეს ჩურჩული უნდა გზარავდეთ!
 მე ვტირი თქვენგანით დაკარგულ სინდისს,
 მე შევაჩვენე ყოველი ხიდი,
 რომ არ ჩაგიტყდათ და გაგატარათ —
 რათა ესწავლათ ცრემლი პატარებს,
 რათა უმწეო, უღონო რხევით
 დედებს ზეცისკენ აღეპყროთ ხელი.
 მე ვტირი თქვენგანით დაკარგულ სინდისს...
 ვხედავ ლავარდზე დრუბელი მიდის —

მე რომ მიყვარდა, თეთრი ღრუბლები
 ნუთუ ის რისხვით დამემუქრება?
 ჩემს სამ შვილიცოს ძრწოლვით ვეხვევი,
 ამით სამყაროს ბავშვებს ვეხვევი,
 თუ ქარიშხალი მკერდში მესლება—
 მხრებო, დედა ვარ — ნუმც დამეხრებით!
 მე უნდა მზისკენ ავწიო ბავშვი,
 გამოვარჩიო შემზარავ ხმაშიც
 ყველაზე დიდი ჰანგი, კეთილი,
 და არ დავტოვო მუხლმოკვეთილი.

ქალი ვარ —
 მე მაქვს ამის უფლება!
 დედა ვარ —
 უფრო მეტის უფლება!
 თორემ ვარსკვლავებს შუქი უქრებათ,
 თორემ ვარსკვლავებს შუქი უქრებათ,
 და მესიზმრება ომის ურჩხული,
 და გაციებულ ბაგით ვჩურჩულებ...
 თქვენ ეს ჩურჩული უნდა გზარავდეთ
 და ძირსა ჰყრიდეთ გლუვ მუზარადებს!

მ ა რ ჯ ვ ე ნ ა

„ხეკორძულას წყალი მისვამს,
 მცხეთა ისე ამიგია“.

ბალზური.

ვინ მოგატყუათ, ვინ დაგაჯერათ —
 თითქოს წარმკვეთეს ძირში მარჯვენა?
 ვინ მოგატყუათ,
 ვინ დაგაჯერათ?

მე არ მეცალა გამოსაჩენად,
 არ ვკიჟინებდი ცად და ეწერად,
 მოვზიდე ჩემი დიდი მარჯვენა
 და ქვას დავარტყი, როგორც ხელწერა!
 მე არ მეცალა გამოსაჩენად!

ეს მართალია: ვიყავ უბრალო
 და ხეკორძულას წყალი მერჩია,
 ჩემთან კაცივით ელოდა უფალი,
 რომ ქვაშიც სული გამომერჩია.
 ეს მართალია, ვიყავ უბრალო!

გესმით! გრიალებს დიდი ზარები,
 გესმით? წკრიალებს ცხელი ეყვნები?
 ეს მე ვარ მხოლოდ. ნუ მეკრძალებით,
 გუმბათებიდან დაბლა ვეშვები.

მე მინდა თქვენთან, მე მინდა თქვენში.
აჰა, აიღეთ ჩემი მარჯვენა,
შიგ ჩემი სისხლის დაბორგავს თქეში,
თქვენ ცრუ ლეგენდას ვინ დაგაჯერათ?

მე ვიყავ თქვენთან, მე ვიყავ თქვენში
ჩემი მიწა-წყლის გამოსაჩენად,
ვარდების თვეში, ფიფქების თვეში
ჰკვეთდა და ჰქმნიდა ჩვენი მარჯვენა.

ხარაჩობებზე ვწვებით გულადმა
ცისა და მიწის შუაკაცებად,
და გამოუთქმელ ფერებს ვუნახავთ
ჩვენს შთაგონებას და აღტაცებას.

გულზე გვეხლება ხატაპელები,
ზოგჯერ ქარია, ზოგჯერ დარია,
ხელში ავიყვანთ და ვეფერებით
წითელ დედოფალს — ქია-მაიას...

და მათგან ვსწავლობთ ხმადაბალ ლიდინს,
როცა მქუხარე ხმები დაგვლიან,
და წამი რაა — სიცოცხლედ გვიღირს
შეხედეთ-მეთქი, რა სიმალღია!

ზოგჯერ ვეშვებით, როგორც ბავშვები,
და ხეკორძულას წყალს ვეწაფებით,
მთვარის შუქჩრდილი გვეთამაშება,
თმებში შრიალებს მთვარის ძაფები,

ზეაწეული მოგვაქვს მარჯვენა,
როგორც დროშა და როგორც სანთელი,
ჩემი მიწა-წყლის გამოსაჩენად
ბევრი რამ დაგვრჩა კიდევ სათქმელი.

და მთავარია — ვიყოთ უბრალო,
ნუ ვიკიჟინებთ ცად და ეწერად
ქმნილება ჩვენი — ჩვენი უფალი
შემოინახავს ჩვენსაც ხელწერას!

* * *

იმ წელიწადს, როდესაც თქვენ
შეირთეთ ცოლი,
იყო თებერვალი და მოდიოდა
სველი თოვლი.
და მთელი თბილისი უცქერდა თრთოლვით,
როგორ დაგყავდათ თოვაში ლამაზი ცოლი.
იმ წელიწადს თბილისს
ქრიზანთემები მოესია.

გადარია ქალაქი
სიყვარულმა, პოეზიამ.
და ყინვის ზარბიცი რეკავდნენ პოეტურ თქმასა.
რომელიც შეჰკადრეთ საყვარელი ქალის
წარბებს, წამწამებს და თმასა.
და ჩვენც, საცოდავი სტუდენტი-ურწმუნონი,
რომლებიც ყველაფერს ვიწუნებდით,
წითელი ხელებით და სველი ჩანთებით
უკან დაგდევდით.
იმ წელიწადს... მას შემდეგ
წყალმა ჩაიარა.
ბევრი რამ იყო და
ბევრი რამ კი არა...
მაგრამ, რათ ზღება? — ყოველ თებერვალს,
როდესაც თეთრი ქარი უბერავს,
გაყინული გედი
ვიგონებ სევდით:
იმ წელიწადს, როდესაც თქვენ შეირთეთ ცოლი...
იყო თებერვალი
და მოდიოდა სველი თოვლი!



სამოცი წელი

ჩვენი სოფლის უხუცესი

ხან წიკვილში გამოჩნდება, ხან ჭალაში,
ათას ჭირში, ათას ლხინში გამოვლილი.
გეამება, გულს წიგნივით რომ გადაშლის,
ბევრის მამა, უფრო ბევრის მამობილი.
არ ეშლება მამა-პაპის ადათ-წესი,
ახლაც იცის, ბევრის გულში რა ბუბუნებს.
ეს კეთილი, ეს დღევრძელი უბუცესი
მთელ სოფელში დადის ცოცხალ საუკუნედ.
.დღესაც სოფლის სინდისია და ნუგეში,
იცის, ქვეყნის რა ბურჯია მინდვრის მუშა.
მეცხრამეტე საუკუნემ მეოცეში
ძირგადგმული წვერ-ულვაშით შემოღუშვა.
აქაც გულით ეთავკაცა ზვარს და ყანას,
არც ლხინისთვის დაივიწყა დღის შერჩევა.
მისი ტოლი ვინ შემორჩა ამ ქვეყანას
ან ამდენ ხანს ვინ იღუღებს, ვინ შერჩება!
მის თვალეში მზის ნაპერწკალს რომ ვუყურებ,
მწუხრის ეპვი შემოტევას ვერ მიბედავს.
და ხვალ გავლა ასე ცოცხალ საუკუნედ
რად არ მჭონდეს მეც იმედად!

რად დამესიზმრე!

ამ სიჩუმეში ეს რა ხმებია
გულის გამხსნელი, ჭირის ამკლები!
რად დამესიზმრე, ჩემო ბებია,
რამ გამახსენა შენი ზღაპრები!
რამ მომაგონა ძველი მარანი,
სუფრა — გაშლილი შუაცეცხლამდე!



იქნებ გაიგე ჩემი ვარაში,
 მერე სიზმარში გამომეცხადე.

ყველა სიამის კარის გამღები
 ვიცი ჩემთვისაც ჩემი ხალხია.
 შენ ის გიკვირდეს, ახლა ბალოები
 უკვე ბაბუას რომ მეძახიან.

მათთან ჩუმიც ვარ და მოტიტიტეტ,
 ჭმუნვა სულისა ვცდილობ დავალო.
 გუშინ დავეცი, მუხლი ვიტყინე
 და მომენატრა შენი მალამო.

თუ დავსუსხულვარ, ლხენაც მრგებია,
 ყველა სიმღერის ხმას არ აფეხები.
 რად დამესიზმრე, ჩემო ბებია,
 რამ გამახსენა შენი ზღაპრები!

პოეტის იუბილე

ცნობილ ქართველ პოეტს გიორგი კაჭანძიძეს დაბადების 60 წლისთავი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ პოეტს შემდეგი მისალმება გაუგზავნა:

მეირფასო ძმაო და მეგობარო გიორგი! საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, თქვენი მეგობარი მწერლები გულითადად მოგესალმებიან და გილოცავენ დაბადების სამოც წლისთავს.

ორმოციოდე წელს მოიცავს თქვენი უანგარო და ნათელი შემოქმედებითი გზა. ამ ორმოცი წლის წინათ გაბედულად შემოაღეთ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კარი და მას შემდეგ კალამი არ გაგიგლიათ ხელიდან. იმ დღიდანვე თქვენ მტკიცედ ჩადექით ახალი ცხოვრების მშენებელი ხალხის სამსახურში და დღემდე შეუსვენებლად ემსახურებით ქართული ლიტერატურის განვითარების კეთილშობილურ საქმეს.

თქვენი შესანიშნავი ლექსები, პოემები, კრიტიკული ნარკვევები მკითხველებში აღვივებენ მაღალ ადამიანურ იდეალებს, პუმანისტურ გრძნობებს, ოპტიმისტურ განწყობილებებს. თქვენი შემოქმედება, რომელიც ქუმმარიტი მხატვრული ოსტატობით არის აღბეჭდილი, უმღერის საბჭოთა ადამიანს, ჩვენი ხალხის დღევანდლობას, მის სიკეთესა და სულიერ სიფაქიზეს.

თქვენ დიდი წვლილი შეიტანეთ საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში. თქვენი საბავშვო ლექსები ჩვენს ახალგაზრდობას ზრდის კომუნისტური სულისკვეთებით და უნერგავს ღრმა პატრიოტიზმის გრძნობებს.

ალსანიშნავია აგრეთვე თქვენი საზოგადოებრივი მოღვაწეობაც. თქვენ წლების განმავლობაში იყავით ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორი. ამჟამად მუშაობთ „ნაკადული“ და დიდი კეთილსინდისიერებით ემსახურებით ქართული საბავშვო წიგნის გამოცემის საქმეს.

ჩვენო მეირფასო გიორგი, ჩვენო ძმაო და მეგობარო! თქვენი დაბადების სამოცი წლისთავზე თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით გუბევიით და ერთხელ კიდევ გისურვებთ ხანგრძლივ, ჟანმრთელ სიცოცხლეს, პირად ბედნიერებას, ახალ შემოქმედებითს გამარჯვებებს ჩვენი მშობლიური ქართული ლიტერატურის საკეთილდღეოდ.

საპართიველო მწერალთა კავშირის გამგეობა.



მოთხრობა

ყაზარმის გუშაგად გამამწყესეს. ჩვენს ყაზარმას ორი კარი აქვს. საღამოზე ერთი ყრუდ იკეტება. მისი გასაღები მხოლოდ გოლცერსა აქვს. გუშაგის უპირველესი მოვალეობაა, ღიად დარჩენილ კარს უთვალთვალოს, უცხო არავინ შეიპაროს შიგ.

ყაზარმიდან ორთქლი გამოდის ბოლქვა-ბოლქვა, თითქოს შიგ უზარმაზარი ქვაბი დუღოს. გამოდის და გაღებულ კარს ეყინება.

მუდამ მეჩვენება, რომ ეს ჩვენი სულია — უცხო ქვეყანაში ძალით გადმოყრილი და ყაზარმაში პირუტყვივით შერეკილი ჯარისკაცების სული. ეს ჩვენი სული გამორბის ყაზარმიდან, შორს მიიღტვის, საზიზღარი ბუნავიდან გაქცევა სწყურია... მაგრამ უხილავი რაღაც თუ ვიღაც აქვე დგას და ჩვენს სულს გარეთ არ უშვებს, ყაზარმის კარზევე აყინავს.

მათიშმა შემეცვალა. ორიოდ საათს წავიძინე და კვლავ საგუშაგოდ გავედირარსკვლავიანი ცა დამყურებს, უმთვარო. ნამძინარევეს უფრო შემეცვია. ყა-

ზარმის ბილიკზე გავრბივარ და გამოვრბივარ.

— ხრააშ, ხრუტუშ! ხრააშ, ხრუტუშ! — ფარაჯამოხურული ჯარისკაცი გამოვდა გარეთ, კიბეს გამოსცდა და მიმოიხედა.

— ტიბორ, შენა ხარ?

— იმ თითებწაჭრილი კაცის ამბავი ხომ არ გავიგია?

— ვინ გვაგებინებს?! რატომ არ გძინავს?

— რა ვიცი... ამაღამ აქ შენ და ბიხარი გუშავობთ?

— ჰო.

— აბა, კარგად ყოფილა საქმე... პატრულებადაც ჩვენი ბიჭები არიან.

— სოფელში გინდა გაძრომა?

— როდემდე ვუცადო!

— ამ ორიოდ დღის წინათ ერთი მეხუთეასეულელი გაპარულა სოფელში, უთენია მოუსწრია, მინც გაუქვრიათ. თავი არ დიდიღუპო. თუ გაიგეს, კატორღაში გიკრავენ თავს ან საჯარიმო ბატალიონში.

— აბა, ახლა სადა ვართ? ერთი ჯოჯოხეთია ყველგან.

— იმ საცვლებს წაიღებ?

— არა, ჯერ დავზვერავე იქაურობას.

დასასრული.

— ფრთხილად იყავი, ადგილად ნუ მიენდობი, ამღვრეულია ქვეყანა.

ლანდივით ვხედავ. გაუქმებული ჰყინა ოწინარსა და ტყეს. ყაზარმის კარზე აკრული ყინული ძველისძველ სარკესა ჰგავს, გახუნებულს, შიგ ან სულ რომ არაფერი ჩანს, ან — იმდენად ბუნდოვნად, მხოლოდ შუქ-ჩრდილი ილანდება.

ხრააშ, ხრუტუშ! ხრააშ, ხრუტუშ!

ზოგჯერ სწორედ ამ დროს იცის მოსვლა ასმეთაურმა. თოფი მოვიმარჯვე და წელში გავსწორდი.

— ვინ მოდის?

— მე ვარ, — მომამახა ნადიმ.

— კარგ დროს დაბრუნდი, სადაცაა აიშლება ასეული. დადლილი ჩანხარ, მთელ ღამეს იმუშავე?

— ნულარ მკითხავ.

— რამ გავიფუტა გუნება? უარი გტყიცა თუ დედამისმა შეგვიშალა ხელი?

— დედამისი არც იყო შინ, სამუშაოდ წაუყვანიათ საღლაც.

— გოგო დაიმარტოხელე და ზღამრებს უყვებოდი? ვერ წაუთათუნე ხელი?

— არაყი დამალეენა, ვილაპარაკეთ აქეთურზე, იქეთურზე და წამოვედი... ნადი დიდ საიდუმლოს მიმალავდა.



ყინულის სარკე იმ ფერისა ხდება, როგორი ცაც დასცქერის და როგორი ეელი უღვევს წინ.

შიგ ვიხედები და ვაკვირდები. რაღაც ლანდად ვჩანვარ. იქნებ ეს ჩემი ლანდიც არ არის? კაცი არა ჰგავს კაცს, თორემ ლანდების გარჩევა ძალიან ძნელია. რას ვიზამ? არც ჩემი ბრალია, არც სარკის. ეს ხომ ჩვეულგბრივი სარკე არ არის, ჩვენი სულია ყაზარმის კარზე მიკრული და მიყინული...

— სალდათო, რას მიშტერებიხარ?

სისხლისფერი ჩექმის ხმა მომესმა, შევტრიალდი და გავვიძიმე.

— არაფერს, ისე... ბატონო ობერლეიტენანტო.

— ამსისქე ყინული რომ დასდებია კარს, რატომ არ ჩამოჩხვავთ? შესვლა-გამოსვლისას მაინც არ გაწუხებთ? უხიშტოდა ხარ?

— ჩემს თოფს არა სჭირდება და...

— ეგერ ცხვირწინ ნაჯახი გაქვს, — გოლცერმა ხანძარსაწინააღმდეგო დანისაკენ გაიხედა. — აიღე და ჩამოჩხე!

— ჯარისკაცმა საგულშაგო არ უნდა მიატოვოს, თუნდაც ირგვლივ ყველაფერს ცეცხლი წაეკიდოს, — მივუგე სხანსუპით. ეს სიბრძნე თვითონ გვითხრა სამიოდე დღის წინათ და ახლა დავუბრუნე, რაღაცით ხომ უნდა მემართლებინა თავი?

თვალში მრისხანედ გადმომოტრიალა პირგამხებულმა გოლცერმა.

„მე ამჟამად თქვენი ხელქვეითი კი არა ვარ, ყარაულთა უფროსს ვემორჩილები!“ — ენაზე მომდგარი სიტყვა უმაღლე გადავყლაპე და ნაჯახის ასაღებად ნელა წავედი.

ძნელია, რაღაც ფიქრს რომ აიკვიტებ. უცებ წარმოვიდგინე, რომ ჩვენი ბიჭების სულს მაჩეხინებდნენ და ნაჯახი ხელიდან ცივად გამივარდა.

— უჰ, რა უფხო და ზარმაცი ხალხი ხართ! ესეც კი არ შეგიძლიათ! — გოლცერი თვითონ დასწვდა პირფართო ნაჯახს და ყინულს ბრაზიანად მოუჭნია.

— აი, როგორ უნდა! დოყლაპიებო. ყველაფერი ჩვენ უნდა გასწავლოთ?!

იქნებ იცის გოლცერმა, ეს უბრალო ყინული რომ არ არის და იმიტომ ჩეხავს ასე უმოწყალოდ?

უცებ, ფიქრით თუ ნამდვილად ყინულის სარკეში ჩემი თავი დავლანდე. მარტო ჩემს სულს კი არა, ჩემს სხეულსაც ჩეხავდა ახლა გოლცერი.

— აბა, ჰა! გუდაყარე ახლა! იქნებ არც ის იცი, როგორ გადაყარო? — ხელნაჯახიანმა გოლცერმა სისხლისფერი ჩექმა მოსლო ხეავს და კიბისკენ გადმოხვეტა, — ყველაფერი უნდა გასწავლოთ! ჩვენ რომ არა გყავდეთ, რა გეშველებათ? იჰ, თქვე უხედურებო!

გოლცერმა ნაჯახი თავის ადგილას დაამავრა, ერთი ამაყად გადმოხხედა და ყაზარმაში შეაბოტა.



ჩვენს ათეულს ბენკეს ათეული დაუმატეს და ტყვეთა ბანაკის საყარაულოდ

ვაგვიშვეს. ეტყობა, ამ ბანაკს შენობები და ჩვენი ყაზარმები ერთმა დურგალმა ააშენა, ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ტყვეთა ბანაკს ეკლიანი მავთულხლართის ორფა ღობე ავლია. ბანაკი ქალაქს ეკვრის, არც პეტროვიციდან არის შორს. იქვეა გერმანელთა პოლკის საწყობები და შტაბი.

ყარაულთა სახლის ეზოში შევედით.

— გამარჯობათ, ბიჭებო! — მომესმა ნაცნობი ხმა.

მივიხედე, გროშიჩია. ორი ძაღლისთვის გრძელი თასმები ჩაუბამს და მოასუსნულებს. წარბებგადამხულ ბიჭს თვალები უციმციმებს, მხიარულად გამოიყურება.

— გედონ, შენა ხარ?! საავადმყოფოში მეგონე!

— მოემჯობინდი.

— მერე ოცეულში რატომ არ დაგაბრუნეს?

— არ დამაბრუნეს და მივეძალებოდი? აგერ, ძაღლების მომვლელად დამაყენეს.

— მაგათ თუ კიდევ ძაღლები სჭირდებათ! — ჩაილაპარაკა ლასლომ.

— არ გამოიკვირდა, სად დაიკარგამეთქი?! ისე, ხომ ხარ კარგად?

— ვარ რა... იმდენად აღარ მახველებს.

— კითხვა რად უნდა, არ ეტყობა სიფათზე, კარგად რომ არის? წარბები უკვე წამოზრდია და დაუხატავს კაცი. — ეს ისევე ლასლომ ჩაილაპარაკა ენაკვიმატად.

— ბიჭო, რამ გაგასუტა? ძაღლებს უფლი თუ... ლუქმასა ჰპარავ?

— ჩემზე უკეთეს საჭმელს ძაღლებს აძლევენ და, აბა რა ვქნა. აქედან თუ არ გამაგდეს, ნამდვილად მოვსულიერდები!

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს! რა მაგის პასუხია და, მაგ შენი ქოფაკებით გრიობლის კვალს ვერსად მიაგენი?

— იიპ, გრიობლი უკვე ჩამოწრილია, ვინდა დაეძებს! — ხელი ჩაიქნია ვროშიჩმა და ძაღლებს გაყავა.

— ნეტავი მაგას, — თვალი გააყოლა ზოლტანმა.

— ძაღლის ბედი ვშურს?

— შენ რაც ვინდა დაარქვი, ამ შიმშილობის დროს უკეთესს ვერ ინატრებს კაცი. აგერ ნახავ თუ ეგ ქოფაკები არ ვადაარჩენენ მაგ საცოდავს: არც ლუქმა გამოეღევა, არც სითბო.

სახურავმოგლეჯილ საგულავო კოშკურაზე ვდგავარ. გვიბრძანეს: თუ ტყვე მავთულხლართს მიუახლოვდა, შეუძახეთ და უკან გამოაბრუნეთ, თუ არ დავგემორჩილოთ, მეორედ ნუღარ გააფრთხილებთ, ესროლეთო.

ტყვეებში ერთი შავულვაშა ახოვანი ვაეკაცია. კოჭლობს, ალბათ, დაჭრილი ჩაივადეს ტყვედ. კაპიტანს ეძახიან. მიხაი ზიჩის ერთი ნახატი მაგონდება, კაპიტანს რომ ვუყურებ, ოღონდ ზიჩის რაინდს ჯაჭვის პერანგი აცვია, კაპიტანს კი — რუსული ფარაჯა. შემოფლეთილი. რუსი არ უნდა იყოს, ჩვენ ხომ მარტო რუსებს არ ვებრძვი.

გუშინ შებინდებისას კაპიტანი მავთულხლართს მიუახლოვდა. ნაღდად ვასაძრომს ეძებდა. შეეუძახე, არ დაიხია უკან. მგონი, ერთი დამცინავადაც კი გამოშხედა. არ ვიცი, თავის გამოჩენა მინდოდა თუ თოფის სროლის რაღაც სულელურმა ქინმა მომიარა, მიზანში ამოვიღე კაპიტანი. სასხლეტისათვის თითი რომ გამომეკრა, ტყვიას არ ავაცდენდი. ტყულიად ხომ არ მიჭმარავს სნაიპერის თოფი? ვიდაც უხილავეს მიტაცა თოფზე ხელი და უმაღვე დამაშვებინა ძირს. მერე ისევე შევმართე: რომ უშვებ, ვის უშვებ, ეგ რომ გაგმეტეს და კვლავ იარაღი დაიჭიროს, იქნებ სწორედ მაგის წერა გახდეს-მეთქი. თითქოს ჯადოთილისმით მომხიბლაო, ეს შეუპოვარი ვიდაც ისევე დამენანა მისაკლავად და თოფი მეორედაც დაეშვებო.

კაპიტანი გამობრუნდა, ხელი მეგობარივით დამიქნია და ბარაკში შევიდა.

ორი კაცი გამოგვეყვას ბადრავად და ვაგონებიდან ქენახშირის გადმოსატვირთად ტყვეთა ჯგუფი გაგვატანეს.



სიას დახვედე და გერმანულად ვიკითხე:

— რომელია ხიდაშელი?

— მე ვარ! — გერმანულად მომიგო კაპიტანმა.

— უნგრელი ხარ თუ იტალიელი? შენი გვარი ორივეს ჰგავს.

— ქართველი ვარ და გვარიც ქართული მაქვს!

უკან რომ ვბრუნდებოდით, კაპიტანმა ვითომ სხვათაშორის ჩამილაპარაკა:

— რომ გავიქცე, მესვრი?

— უნდა გესროლო... იქნებ ვერ მოგარტყა, უნდა გესროლო... ტყვე რომ გამექცეს, დამსჯიან.

კაპიტანმა ისე შემომხედა, იმ წუთში რატომღაც იანოშ ველდუშს მივამსგავსე, თუმცა ის კაპიტანი გარეგნულად იანოშს სულაც არა ჰგავს.

— ფრთხილად! გერმანელებს ისეთი ძაღლები ჰყავთ!

— მაგის წამალიც ვიცი, — კაპიტანმა ჯიბიდან ქისა ამოიღო. — მოვაყრი ნაფეხურებზე და თავის კვლასაც ვერ მიავნებენ. მე არ ვეწევი, საგანგებოდ ვინახავ... ახლა შენ რომ დამაბეზლო, ახი არ იქნება ჩემზე?

— რაკი მენდე, სულმდაბალი უნდა ვიყო... ვუყვაცები ასე არც მტერს ექცევიან, არც მოყვარეს.

— რაო? — მკითხა ბიხარმა, — ქრთამი შემოგაძლია. გამიშვიო?

არ დავუმაღლე, რაც კაპიტანმა გამანდო.

— ოჰო, წინდახედული ყოფილა! ისეთი ჯილა თვალები აქვს, ყოჩაღი ვინმე უნდა იყოს! — ბიხარსაც მოეწონა კაპიტანი.



კვლავ სახურავმოგლეჯილ საგულშაგო კოშკურაზე ვდგავარ. ირველივ სიბნელეა. წამლადაც არსად ჩანს სინათლე. ქარბუქს პირს ვერ მოარიდებ.

ახლა ტყვეს ჯოხი რომ ურტყა, ბარაკიდან ვერ გამოვადებ, ვინ გაიქცევა... მე მაინც უნდა ვიღგე აქ თოფმომარჯვებული. ფეხი რომ მოვიცვალო, იქნებ

დამხვრიტონ კიდევ. კოშკურას ცეცხლი ბრიალით რომ მოექიდოს, ვიდრე ყარაულთა უფროსი არ მიბრძანებს საგულშაგო დაავდეთ, უფლება არა მაქვს აქაურობა მივატოვო. ხელში რომ თოფი მიჭირავს, მე კი არ მემორჩილება, თვითონ ვემორჩილები. ყიამეთში დავბრძვივარ და თხასავით წალმა-უკულმა ვხტებში, იქნებ გავხურდე. ახლა ბარაკში მწოლარე ტყვეები ჩემზე უკეთეს ყოფაში არიან, იქ ცოტა მაინც თბილა.

„ეჰ, ნეტავი ამ კოშკურიდან ჩამომსვამდეს ვინმე, თოფს ჩამომართმევდეს და ბარაკში შემავადებდეს“.

კაპიტანს გულში სადამოს კვლავ შევხვდი და გულითადი ძმაცაცით შემომჩივლა:

— ეჰ, რა ჯოჯოხეთში ჩაგვყარეს!

— სამოთხეში არც ჩვენა ვართ, — გავუხსენი გული.

— შენ აღამიანად მაინც გთვლიან, მე კი დილა-სადამოს ყურებს მიჭედავენ, ნაღირი ხარო.

კაპიტანს ყველაფერს ხომ ვერ ვეტყვოდი, ახლა კი ჩემსავე გულში ვეკამათები:

„ის უარესი არ არის, აღამიანს რომ გეძახიან და აღამიანურად კი არ გეპყრობიან? მეტრე რა, თუ ზურგზე ნომრები არ გვაწერია... არც ის არის დიდი ბედენა, მე რომ კაცი მქვია და ტყვეს — ციფრი. ეს მოჩვენებითი ნილაბია. სადლაც ზევით ჯარისკაცებსაც ციფრებით ითვლიან და არა გვარსახელით: ამდენი და ამდენი გავუშვით ფრონტზე და ამდენი დაიღუპაო. ტყვემ და პატიმარმა ის მაინც იცის, რომ კანონით უფლებფაყრილია, მე კი იარაღიანი მონა ვარ. რუს აღამიანებს რომ ჰკითხო, გეტყვიან რისთვისაც იბრძვიან და ტყვედ ჩავარდნილებს გერმანელები რატომ აწამებენ, მე კი აქამდე ვერ გამიგია, რატომ მიჭირავს თოფი. ჰო, კაპიტანმა იცის, რისთვის იბრძვის, მე კი...“

ორივეს ბორკილი გვადევს, ერთს ხილული, მეორეს — უხილავი. ბარაკში შეყრილ ხალხსა და ჩემშუა ეკლიანი მავთულხლართის ლობეა გაჭიმული და

ვერ გაშიშვლება — ეს ლოზე ჩემთვის გააბეს თუ ტყვეებისათვის.

კაპიტანმა ხიდაშელმა ჩემ თვალწინ რომ დააპიროს ვაქცევა, ნამდვილად ვერ ვესვრი. კიდევ რომ ვესროლო, ვიცი, ხელი ამიკანკალდება და ავაცილებ. კიდევ კარგი, იმ დღეს რომ არ ვესროლე, ნაღდად მოვკლავდი... ეჰ, ზოგჯერ რა უბრალოდ კლავს კაცი კაცს!

ღამით ბარაკის კარს კეტავენ. რკინის რიკულებით აჭედდო ყველა ფანჯარას ზემო კუთხეში პატარა სარკმელი აქვს დატანებული. მხოლოდ სარკმელი იღება და, თითქოს ბარაკში უზარმაზარი ქვაბი დუღსო, ბოლქვა-ბოლქვა გამოდის ორთქლი, გამოდის, მაგრამ ბარაკს ვერ სცილდება, რაღაც თუ ვიღაც იქვე აყინავს ფანჯარაზე. ეს, ალბათ, ტყვეთა სულია.

ფიქრი გამიწყდა. ქარბუქშიაც კი გავიგონე, ბარაკში ღრილილი ატყდა. სადღაც ობოლმა სინათლემ გაიციმციმა.

ლასლომ შემცვალა.

—რა მოხდა, თუ იცი?

—ერთი გარეწარი ყოფილა, ყველას აბეზღებდა თურმე: გასაქცევად ემზადება და დაიჭირეთო. თუნუქის ნაჭრით გამოლადრეს ყელი.

—ვისი ხელობაა, ხომ არ გავიგია?

—რა ვიცი მე, გამომძიებელი კი არა ვარ. უჰ, რა ცივა!

შებინდებისას საგუშაგოდან დავბრუნდი. ლეიტენანტი და ბენკე გადაჯრულში არიან.

გერმანელებს ამ დილით ქალაქში მოხუცი ებრაელი აღმოუჩენიათ, მერე ორი პარტიზანი დაუჭერიათ და სამივე სადგურის მოედანზე ჩამოუხრჩვიათ. რა სეირს ვუყურეო, ხითხითებს ლეიტენანტი კრაფტი. მოდი და გაიგე, ვის რა აცინებს.

ბენკემ მკითხა: ხომ არ შეგცივდაო. ვითომ ძალიან ვედარდები. თვითონ აქ უფროსობს — გუშაგების ცვლას აწესრიგებს, ჩვენ კი დავცინის. ქალაქში ვიღაც თვითნაზად არაყს ჰყიდის და ბენ-

კემ რამდენჯერმე დაათრო ლეიტენანტი: შუადღისას ხუთი დღის ულუფა შაქარი დაგვირიგეს. მე ორი ჭიქა ჩაი დავლიე და დანარჩენი შაქარი ხმელად შევახრამუნე. ახლა ვხედავ, მათიაში უშაქროდ სევამს ჩაის.

—შენც შემოგვეპა შაქარი?

—ხელიც არ მიხლია.

—იზოგავ?

—ბარაკში რომ ბავშვი ტირის ხოლმე, ჩემი ნაბოლარა ბიჭის კბილაა. ეჰ, ბავშვები ერთმანეთსა ჰგვანან... ხვალ ეს შაქარი როგორმე დედამისს უნდა მივაწოდო.

—კარგია, მაგრამ... წინა დღეს, ტყვეები რომ გავიყვანეთ სამუშაოდ, ქალი შემოგვხვდა, ერთ გაძვალტყავებულ ტყვეს ლორის ნაჭერი და პური მიაწოდა. ბენკემ ქალი კინწისკვრით გაავლო. ტყვეს კი მოსაკითხი წაართვა.

—ჩემს ულუფას ვაძლევ, ვის რა ესაქმება? ზოგიერთივით ხომ არ ვართმევ, — ვაძლევ, ქრისტიანო! უყურე შენი ვიღვე ხელახლა გავციყვანდნენ საგუშაგოზე, მე და ბიხარს ოთხი საათი დრო ვვაქვს. წაივინეთ.

უცებ გამეღვიძა. ბიხარი გულის ჭიბეზე ისევამს ხელს:

—მომპარეს!

—რა მოხდა?

—მომპარეს... შაქარი და ფული მომპარეს... ფული ჩანდაბას, შაქარი არ მოეპარათ...

—სულ მოგპარეს?

—სულ.

—რა მოგპარეს? — შორიდან მოგვაძახა ბენკემ.

—შაქარი და ფული.

—ჯარს სახელს ნუ უტეხ! სულელობ რალაცას! ფული გქონდა თუ არა, ეშპაკმა იცის, ხოლო შაქარი მიღებისთანავე რომ შეგვრიხე, ჩემი თვალით დავინახე...

კაცი ვაჭურდეს და აჩუმებენ კიდევ: ხმა არ ამოიღოო.

ვერა აქ არ არის, სადღაც წაიყვანეს, თორემ იმაზე ავიღებდი ეჭვს. ახლა უკვე ნაღდად ვიცი, ბენკეს ნახელმრუდე-

ვია. ვერაფრით დავუმტკიცებ, თორემ ცხვირიდან ძმარს ვადენ. ბიხარი კი აპატიებს? მკლავები აქვს, რომ დასჭირდეს, დათვის დაახრჩობს.

წუხელ ტყვეთა ჯგუფი გაიქცა. კაპიტანი ბანაკში აღარაა. ალბათ, მან გააპარა ხალხი. ეს ამბავი დილით გაიგეს. რომელ გუშავს დააბრალონ, არ იციან. ყველა გაიძახის: ჩემი გუშავობისას არაფერი მომხდარაო. გროშიჩის ძალებს საქმე გაუჩნდათ. კვალზე გადავინეს. საბრალო გროშიჩი დღეს, ალბათ, ძალებს ლუქმას ვერ მოჰპარავს.

— ნადი, გაიგე ახალი ამბავი?

— რამდენიმე დღეა, ნადი პირმოქუფრული დადის, თავის გულში ჩაიკეტა, ხმას არავისა სცემს.

— ხომ არაფერი გტყვივა, ტიბორ?

— რა ვიცი. სატკივარზე მეტი არ არის? ახლო-მახლო ღვინო მინც იყიდებოდეს... ერთი ჩემებურად დამათროდა მერე მომკლა!

— ის საცვლები, მგონი, წამოიღე, არა?

— კი, წამოვიღე.

— გაასაღე უკე?

— აბა, როდის?

— მერე? მიდი ვერონკასთან, არაყს ვერ გიშოვის? აქედან უფრო აღვილია გაპარვა: ვიღრე საგუშავოზე გასვლა არ მოგიწევს, არავის გაახსენდები.

ვერონკა!

ამ სახელის ხსენებისას ტიბორი საოცრად გამოცოცხლებდა ხოლმე, ჩირადღნებივით უელავენ ამ დროს თვალები.

საგუშავოდან დავბრუნდი. მათიაში დაფიქრებული დადის. უცებ მომიბრუნდა:

— ენდრე, იცი, მე ჩემს სიცოცხლეში არაფერი მომიპარავს.

— მჭერა.

— მე კი ყველაფერს მპარავენ... რომ შეეძლოს, სულსაც ამომაცლიან... ბავშვის ლუქმა მინც როგორ მომპარეს?! ვერ მომიხსენებია. ნამდვილად რომ ვი-

ცოდე, ვინ მომპარა, დავახრჩობ კატანსა ვით. სისულელეა, უპატიოსნო ბრბოში პატიოსნება დაიჩემო. მოგკლავს ეს პატიოსნება, მივხვდი მე ამას, აბა, არ მივხვდი? აქ პატიოსანი კაცი ნამდვილად დაიღუპება.

— შენ რაღაც ისეთი გადაგიწყვეტია... არ მეტყვი?

— მერე გეტყვი...

ბენკე და ლეიტენანტი მთელ დღეს მთვრალეები დაბარბაცებდნენ.

მღევრები დაბრუნდნენ. ცხრა კაცია გაქცეული, მხოლოდ ერთი დაიჭირეს და ბანაკის ეზოში დიდ ბოძზე ჩამოახრჩვეს შებინდებისას. რომ გავიგე, გაქცეული ტყვე დაიჭირესო, გულზე ეკლად მომხვდა: ალბათ, ფეხმტკივან კაპიტანს დაეწივნენ-მეთქი. სხვა დაუჭერიათ. ეს უბედურიც ცოდვია. კაპიტანი ნამდვილი ვაჟკაცია, აფსუსია მისი დაღუპვა.

ჩამოხრჩობილი ტყვე საგუშავო კოშკიდან ახლა ისე ჩანს, გეგონება, ცაში ჰკილიაო.

მეშინია აქ რომ ვდგავარ. იმას ვუღარაჯო, ჩამოხრჩობილი კაცი რომ არსად გაიქცეს? ისევ სხვა რამეზე უნდა ვიფიქრო, თორემ გავგიყდები.

შემეცვალეს.

ნადი არ წევს ტახტზე. მამასადამე, ისევ ვერონკასთან არის. ბიხარი დაბრუნებულა, ფარაჯა გაუხდია, ზედ ქუდი დაუდვია და ტოლადებს იხსნის.

მე და მათიაში გვერდიგვერდ ვწეებით.

— მათიაშ, რა გინდოდა გეტქვა?

— ბიხარმა ნახევარი პური შემომოაჩეჩა.

— ოჰო, საიდან?

— ხომ იცი, გერმანელების საწყობს ვდარაჯობ...

— მერე, გატეხე?

— არა.

— აბა, იმ პატარა სარკმელში შეძვერი?

— შაშხანა შევეყვი, თაროდან ხიმტი დავითრიე ერთი. მაშინვე შეეჭამე.

მერე ორი ერთად დავითრიე, მეტს ვე-
ლარ მივწვიდე... ეს შენ წამოვიდე.

გემრიელი პურია, მიკვირს: ასე უცებ
ნახევარი პური გავათავე.

მესიზმრა, ელშირა და მე ღუნაის ნა-
პირს მივყვებოდით. ღუნაი ცისფრად
კამკამებდა. მერე უცებ ხანძარი მოედო,
ბოშა გოგო კვამლში დამეკარგა. ღუნაი
გაწითლდა.

სიზმრისა არაფერი მწამს. უბრალოდ,
ძილში "შემეშინდა და გამომეღვიძა. ღუ-
მელი ღუზღუზებდა* და კარიდან აღის
ენას მიყოფდა, თითქოს მახელესოს.

ის-ის იყო, ძილი შევიბრუნე, მუჯღუ-
კენი წამკრეს:

— გაიღვიძე, ენდრე!
— მოხვედი?

თვალეზგამოზღვტილმა ნადიმ არყის
სუნს შემომპართქლა.

— ჩაიწიე, კედელთან დამაწვინე!
მივიჩოჩე.

— ჰო, ეს შენია ყველაფერი... რუსუ-
ლი არაყი და რუსული სალა. დალიე და
დანაყრი. საცვლები გაგისადა ვერონ-
კამ, ეს პური კი ძღვნად მომიტანია. ნუ
გეშინია, მე ბენეკესავით ჩემიანებს არა
ვბარავ ფულს, მერე ვიდაცა ოხერტია-
ლი რომ გავაძლო, დავათრო და მოვი-
მადლიერო... ზოგს, ალბათ, სხვანაირი
ვეგონივარ... ვეფიცები, სხვისას არაფერს
ავიღებ, გზაზე დაგდებულები რომ გნა-
ხო. ბანქოში თუ ვიგებდი, ეს სხვა ამბა-
ვია, — მომდიოდა. ქურდობა ჩემი ხე-
ლობა არ არის. აი, ამ პურის მარცვა-
ლიც მე დავფევე თვითონ... ვერონკას
ხელის წისქვილი აქვს შინ... ხომ იცი,
წისქვილები არ მუშაობს და...

— კარგი ბიჭი ხარ! — ვეუბნები ჩურ-
ჩულით.

— ეჰ, მე შემეძლო ჯარიდან თავი და-
მეძვრინა. ფული ჩეჩქვით მქონდა. ჩე-
მი ბანქოს პატარა დასტა ჯიბეში ფულს
ბლომად მიწყობდა და... ჩვენში ხომ
ფული ყველაფერია, რასაც გინდა იმას
გააკეთებინებ. ჰოდა, იმას გეუბნებოდი:
ჯარში გამოწვევის უწყება რომ მომი-

ტანეს, უარი არ მითქვამს. ქალაღის
თამაში ყელში მქონდა ამოსული, მინ-
დოდა, სხვა თამაში მენახა. იმაზედაც კი
ვოცნებობდი, ფრონტზე უმანგალითო
გმირობას ჩავიდენ-მეტოქი. თურმე სად
მიდიხარ, რისთვის იბრძვი, რა გინდა,
ვის კლავ? დაეტე შენს ტყავში! მე-
გონა... ენდრე, დაგეძინა?

— ჰა? არა, გისმენ!

— გაწამებული მყავდა დედ-მამა,
ზოგჯერ მთელ კვირას არ მივდიოდი
შინ. ჩემი ასავალ-დასავალი არ იცოდ-
ნენ, ყველგან მეძებდნენ. ჯარში რომ
გამომიძახეს, უმაღვე დატრიალდნენ,
როგორმე დაეტოვოთო, მერე მიხვდნენ.
თვითონვე რომ არ მინდოდა დარჩენა.
მიმიშვეს ნებაზე — წავიდეს, იქნებ იქ
მანაც ჩადგეს კალაპოტში და ჰქუა ის-
წავლოსო. ჰოდა, ვისწავლე, ყველაფერი
ვისწავლე... უკეთ დავინახე ჩემი მტერ-
მოყვარე... სისულელეა სხვისი მიწის
დასაპყრობად მიხვიდე... იქნებ დროე-
ბით გაიმარჯვო, მერე კი ნაღვლად და-
მარცხდები... კაცო სხვის მიწა-წყალს არ
უნდა წაეპოტინოს... ვინც სამშობლოს
იცავს, მისი დამარცხება შეუძლებელია,
ხომ ასეა?

— ცამდე მართალი ხარ... მის იარაღს
სხვა ძალა აქვს.

— უუჰ! ღმერთო, ისე ნუ მომკლავ,
დედ-მამას არ დავუჩოქო და პატრება
არა ვთხოვო! ძალიან მეცოდებიან... მე
რა შესაბრალოსი ვარ, ისინი მეცოდე-
ბიან... — ნადის ხმამალალი ტირილი აუ-
ვარდა.

— კარგი ახლა, დაწყნარდი და დაი-
ძინე!

ნადიმ საათს დახედა:

— რაღა ღროს ძილია, სადაცაა საგუ-
შავოდ უნდა წავიდე, თოფის ლულაში
ტყვია ჩავდო და... ვიდაცეებს ვუღარა-
ჯო, რომ არ გაიქცენ.

— დაწყნარდი, ტიბორო, ძმურად გეხ-
ვეწები, დამშვიდდი და დაიძინე, შენ
ახლა არსადაც არ წახვალ... მე ვავალ
საგუშავოდ — შენ მაგივრადაც და ჩემ
მაგივრადაც. დაიძინე, ნურავის ვააგებო-

ნებ, ნასვამი რომ მოხვედნი... ლეიტენანტს მეტიც არ უნდა.

— თვითონ რომ სულ გაღეშეილია, მე მაგის... მავათი ბრალაა, მე რომ აქ ვაგდევარ, თორემ რუსებთან რა მაქვს გასაყოფი? უუხ! — ნადიმ კბილები ვაბარჯიალა. — მოდი, დავლიოთ ეგ მწარე არაყი, ხვალ კიდევ მოგიტან.

— არ გინდა ახლა შენ არაყი, დამიჯერე! მერე დავლიოთ. დაიძინე, გეზვეწები!

ბენკე ისე იყო გაბრუებული, ვერ გაიგო, ნადის მავგერად საგუშაგოზე მე რომ გავედი.

●
დღეს ნადის ნამდვილად ველარ ცენობ. აწრიალებული დალახლახობს. დანა პირს არ უხსნის. ნასადილევს ორჯერ გაუტია გერმანელების შტაბისკენ, ჭიშკრის აქეთ შეჩერდა, ჩაფიქრდა, გააქნინა თავი და უცებ გამობრუნდა გაბრაზებულად. რაღაც აწუხებს, მაგრამ ამჯერად მეც არ მიმხვლს.

— ტიბორ, რა წყალწალებულ გუნებაზე ხარ? მგონი, წუხელაც იყავი იქ, არა?

— ვიყავი.

— მერე?

— არაფერი...

— გერმანელთა შტაბთან რა გინდოდა?

— ისე გავისეირნე... მუხლი გავშალე.

— ტიბორ, რაღაცას მიმაღავ...

— რა უნდა დავიძალო?

— სისულელე არაფერი ჩაიდანო!

— კარგი, თუ ძმა ხარ, მომასვენე, მე ჩემი მყოფნის!

ტახტზე მივეგდე გულაღმა, მკლავები თავვეშე ამოვიწყვე და გაჯვარტლულ ჭერს მივაშტერდი. ბიხარი მომიახლოვდა, — უსაშველოდ მოჟამული, გეგონებოდათ, პირისახეზე ნალევლი შეუსხამოთ და შეჰყინვიაო.

— მათიაშ, რა მოგივიდა?

ბიხარი ტახტზე მძიმედ ჩამოჯდა და ძლივს ამოდერდა:

— გერმანელების შტაბში იანოში

მოიყვანეს შავი მანქანით. ხელფეხზე ბორკილები ედო კატორღელივით.

მათიაშის ჩურჩული მეხივით დამეცა გულზე, კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღე.

— რას ამბობ?

— ჩემი თვალით ვნახე.

წამოვჯექი.

ერთი ამბავი მომაგონდა: ამ ორიოდ კვირის წინათ ბიხარი, ვარგა და მე სადგურზე წავიყვანეს. როზენაუს ოცულისიდანაც იყო სამი კაცი. მთელ დღეს კამეჩებივით ვეგამუშავებს, ვაგონებიდან ჭურვები გადმოვტვირთეთ. მერე ეშელონი გერმანიაში გასაგზავნი ნაძარცვით ვავავსებინეს. დამაწყდა მკლავები, ფეხიც ვიტკინე. სამაგიეროდ მეორე დღეს აღარ გავვიყვანეს სამეცადინოდ. როზენაუს ოცულისიდან კი შინ იანოში დატოვეს.

შინ დარჩენილებმა ველდემს დავუძახეთ, კარი მივხურეთ, ღუმელი გავახურეთ და გემრიელად მივფეციცხეთ.

— გაბორ, აკი მუცელში ვიყავი დაჭრილიო? — ვკითხე მე.

— გავიხადო და გაჩვენო?

— მკლავზე რატომღა გადავეს საკერავი ჯვარივით?

— ლხარეთში შენს ტანსაცმელს ვინღა მოგიძებნის! ეს თვითონ დავაკერე, არ ეტყობა?

— ასე გიჭირდა ფრონტზე?

— ეჰ, ღმერთმა დასწყევლოს ომის მომგონი! მოდი, ჩაკეტე კარი, გულახდილად ვისაუბროთ, აქ ყველა ისეთი ხალხი ვართ.

ავდექი და კარი შიგნიდან საიმედოდ ჩავრახე.

— იანოშ, შენ განათლებული კაცი ხარ, შენც, ენდრე... ეს გამაგებინეთ, რა ხდება ქვეყნიერებაზე? ვინ იგონებს ამ ოხერ ომს?

— ვინ იგონებს და... ვინც თვითონ ფრონტზე არ მიდის, — მიუფო იანოშმა.

იანოში იმ დღეს საოცრად აგზნებული იყო. უშვერად იგინებოდა: ისეთ დღეში ჩავყვარეს, ხალხს ფრონტზე სიკვდილი სანატრელად გაუხადესო.



— ეს ჰიტლერელების ომია და არა ჩვენი... ამიტომ თავხედობენ.

— მეტსაც შერებთან. ისე გვექცევიან, თითქოს მათი ყმები ვიყოთ! — მათთანაა ხელი დამუშტა და უროსავით დაირტყა მუხლის თავზე.

— ჩვენს ეშელონს გზა-კვალი აებნა. იქნებ ვანგებაც აუბნიეს. როცა შენი ქვეყნის თავკაცი ვილაცის ლაქიაა, უკეთესს რას უნდა მოელოდე? ჰორტიმ ოლონდ თავისი სკამი და სიმდიდრე შეინარჩუნოს! — იანოში წამოენთო, უცებ წამოხტა და ისე ალაპარაკდა, თითქოს ტრიბუნაზე შედგაო, — ჯერ ჯარს იმონებენ, რომ შემდეგ სხვათა ქვეყნები დაიმონონ ამავე ჯარით. ხალხის ბედ-იღბალი ხშირად თავქეიფა ვიგინდარებს უფარდებათ ხელში, ჰოდა, ისინი საკუთარი უკვდავების ძეგლს სხვათა თავისქალებზე იღვამენ. მილიონობით აღამიანს მიერეკებიან სასაკლაოზე. არ გეიზებულენ — სტალინგრადად უნგრეთის არმია საშინელ დღეში ჩაეარდნილა. ჰორტის და მისი დამქაშების ბრალია ყველაფერი. აღმირალი ცხენზე შეჯდა, თავი წმინდა გიორგი ჰგონია და ურჩხულთან ბრძოლის მაგივრად მადიარებს ანადგურებს. სიმართლე თუ გნებავთ, ეს არის...

კარი შეაჯანჯლარა ვილაცამ.

სამარისებური დუმილი ჩამოვარდა. — არატომ ჩაქეტეთ, გააღეთ ჩქარა! ასეულის მორიგე შემოვიდა, როზენაუს ოცუელის სერჟანტი.

— რას აკეთებთ აქ?

— არაფერს. მეცადინეობიდან ვათავისუფლებულვები ვართ.

— ავადმყოფობის გამო?

— გუშინ სადგურზე გვაშუშავეს, — მიუგო იანოშმა.

— ჯარისკაცს მუშაობა არა კლავს, აბა, გამოწყევით!

— სად?! — ერთმანეთს გადაეხედეთ ოთხივემ.

— გამოწყევით და გაიგებთ.

გულში ეჭვმა გამკრა: ვაითუ გვისმენდა და ასმეთაურთან დაგვაბუზლოს-მეთქი. ეჭვი ეჭვად დარჩა. შეშის საწყობში

წავიყვანა და სამი მსხვილი მორი დავახერხ-დაგვაპობინა. გერმანელმა ჯარისკაცებმა სატიერთო მანქანა მოაყენეს და შეშა ქალაქში წაილეს. შეგებით ამოვისუნთქე.

„რა მოხდა, ვის რა დაუშავა? ნუთუ სხვებთანაც ისე თავისუფლად ილაპარაკა...“

— ენდრე, გაიგე? ველდეში დაუპატიმრებიათ! — შემლილივით მომეარდა ლასლო.

— გავიგე... ხომ არ იცი, რისთვის?

— ჰორტი და ჰიტლერი უგინებიაო.

— სად?!

— კარგად ვერ გავიგე... მგონი, ყაზარმაში...

— ყაზარმაში?!

— ჰო, ასე თქვეს...

„რომელია ჩვენს შორის იუდა? ვინ გასცა იანოში? მე ნამდვილად არავისთან დამცდენია სიტყვა. სიზმარშიც არ მახსოვს, იანოშზე ავი რამ მეტყვას. ბიხარი ისეთი კაცია, თუ არაფერი ჰკითხე, ხმას იშვიათად ამოიღებს ხოლმე. გერმანულიც არ იცის. დავიჯერო ვაბორ ვარვამ გვილაღატა? იქ სხვა არავინ ყოფილა. ვაბორიც არ ჩანს ურიგო კაცი, ზოგჯერ ლაპარაკი კი უყვარს. იქნებ ვინმესთან წამოსცდა და იმ ვილაცამ გაპყიდა იანოში? იქნებ ტიბორმა... ჰა?“

ვაბორ ვარვა შემოვიდა. მკვდრის ფეხი აღვეს. მომიახლოვდა და თითქოს საფლავიდან დამელაპარაკაო, ძლივს გავიგონე მისი ხმა:

— ველდეში დაუპატიმრებიათ. მგონი, იმდღევანდელი საუბრისათვის. შენ ხომ არავისთან წავცდენია სიტყვა?

— არა, რას ამბობ! შენ?

— ისეთი ღროა, ყველას ვერ ენდობი. კრინტი არავისთან დამიძრავს.

„როგორ ამდგრევი თვალეები და არევი პირისახე, ხმაც დაბეჯია...“

ფიქრის ქაოსი დამიტრიალდა თავში. მიმოვიხედე, ნადის დავუწყე ძებნა. ეზოშიაო, მითხრეს. დავიმართოხელე. ხელი გერმანულ დანა-ნიშტზე მიდევს.

— ენდრე, რა მოგივიდა, გყისა ჰვაეხარ. — გაიკვირვა ტიბორმა.



— გაიგე, იანოში დაუჭერიათ.

— ძალიან მეწყინა.

— თუ ვაქცობის ნატამალი მაინც შეგრჩენია, გულახდილად მითხარი, რას დაწრიალებდი გერმანელების შტაბთან?

— არაგულახდილი სიტყვა ჩემგან ჭერ გაგიგონია? რაც მართალია მართალია, ცოდვილი ვარ, იქნებ სულმდაბალიც. იმ დღეს ნამდვილად შემძულდა ჩემი თავი.

— მაშ, იანოში შენ გაწყიდე, იუდაე?

— მე იანოში გავყიდე?! რას ამბობ, ენდრე, შეიშალე?

— აბა, რატომ ხარ ცოდვილი?!

— აი რა უფიქრია! დამშვიდდი. დანას ნუ აწვალვებ, ხელი არ შეაკრა! ნეტავი მაშინვე მეტყვა, ჯოჯოხეთურ გუნებაზე რატომაც ვიყავი... რაკი აღსარებაა, აღსარება იყოს... ღამით ისევ გამოვეცხადე ვერონკას. სხვანიირი მეჩვენა — მშვიდი და ვნებადამცხრალი. აღარ მომძალეგია მოსახვევად. ბოდნიში მოვუხადე და წამოვიდი. ეზოში გამოსულმა ერთხელ კიდევ მივიხედე უკან და უცებ ციმციმა შუქი დავინახე, თითქოს ციციანელია დაფრინავსო. სარდაფში ვილატ თუთუნს ეწყოდა. ახლა კი მივხვდი, გოგომ ცივად რატომ მომიშორა. ახლოს მივედი და დავაკვირდი, — გრიობლია. უნებლიეთ ვერონკასთან შევბრუნდი: რას აკეთებს ის კაცი სარდაფში-მეთქი. „რა უნდა გააკეთოსო, პარტიზანებთან გაქცევა სდომებია, ვერ მოუხერხებია, დახმარება მთხოვა და ორიოდ დღით დაველოცე“. პარტიზანებთან გაქვს კავშირი-მეთქი? „ეგ რა შენი საქმეაო, ვიდრე კაცი გზას არ იბოვის, უნდა შევიფაროო“. ლოგინში-მეთქი? ორაზროვნად ვაიღიმა. ჩემს სიცოცხლეში ამაზე უფრო არაფერი მწყენია, ერთიანად მოვიშხამე. გული ორად ვამეყო. ერთი მაქვსებდა: რამენაირად გადაუხადა სამაგიერო, დააჭერინეო.

არ დაშიბებლებია. მაინც ცოდვილად ვთვლი თავს. კაცის განწირვა რომ დავაპირე. ხომ ვარ ცოდვილი?

— ეგ ამბავი რომ გაგემქლავებინა, სამივე დაილუპებოდით — გრიობლი, ვერონკა, შენც.

— მეც?!

— ჰო, შენც. შარს მოგდებდნენ: ღამით სოფელში რატომ გაიპარაო. ამაზე, მგონი, არც დაფიქრებულხარ?

— მაშინ ისე ვიყავი გონებაარეული, არც მიფიქრია, ვის რა მოუვიდოდა... ისე, კაცმა რომ თქვას, ვერონკას მართლაც რას ვემართლებოდი? ნამდვილად კარგი გოგოა, სხვა რომ გამეწირა, ვერონკას ვერ გავიმეტებდი. ახლა სულმდაბალიც ხომ არ უნდა გავხდე? იქნებ უკვე ვარ, რაკი ცოდვის ჩადენა განვიზრახე? ჰა, მითხარი, ენდრე.

— არა, არა ხარ სულმდაბალი, არც — ცოდვილი.

— ეგ, ჯანდაბას ჩემი თავი, რა! დროს ეს არის, რა ეშველება ახლა იანოშს?



ბიხარი, ვარგა და მე საიღუმლო განყოფილებაში ვიხმმეს. ეს, ალბათ, აქაური გესტაპოა. გერმანელი ბადრაგა გამოგვაყოლეს.

დრო ვიხელთე და ორივე მაღიარი ჩურჩულით გავაფრთხილე:

— ის რომ ვთქვათ, არაფერზე გვილაპარაკნიაო, უარესია. ჩვენს მოწმობას მთლიანად სიცრუედ ჩათვლიან და იანოშს უშაღვე დაუმტკიცებენ ბრალდებას. ვაღიაროთ, რომ ვუსშენდით ყურალესილნი, მაგრამ ჰიტლერი და ჰორტი სულაც არ უხსენებია იანოშს... არც ჩვენ. რუსულ ზამთარს ვაგინებდით, ეგ იყო და ეგ შევთანხმდით?

ორივემ თავი უხმოდ დამიქნია.

გრძელი დერეფანი გავატარეს და ვიწროსარკმლიან ოთახში შეგვიყვანეს. გერმანელი ჰაუბტმანი მაჯაზე თასმით წამოცმულ რეზინის ჯოხს ათამაშებდა და თან რომელიღაც სიმღერის მოტივზე უსტვენდა. მის გვერდით აყუდებული ახმახი ლეიტენანტი წამდაუწუმ იხსნიდა და იკეთებდა სათვალეს.

დაგვკითხეს. ისე ვთქვით, როგორც გზაზე შევთანხმდით. სამივეს რეზინის ჯოხით აგვიჭრეს ზურგი. ჩვენს სიტყვას არ გადავედით.

— ყველანი იმ ვიგინდარას კვდები ხართ! — კვლავ რეზინის ჯოხით გავვიმასპინძლდა ჰაუპტმანი. — პირი შეკარით? მე თქვენ გასწავლით, როგორ უნდა ფიურერის გინება და სამშობლოს ღალატი!

თითოჯერ კიდევ გვითავაზა ჯოხი და გამოგვიშვა.

შუადღისას საყარაულოდ მესამე ასეულის ჯარისკაცები მორეკეს.

ღამით ყაზარმებს შორის გერმანელი პატრულები დააბიჯებდნენ წყვილ-წყვილად. არც სხვა საგუშაგოები ანდეს უნგრელებს.

ღილიდანვე უღრუბლო ცა ლურჯად ხასხასებდა. მზე ყაზარმის სახურავზე დაკიდებულ პატარ-პატარა ყინულის ლოლულებს ეთამაშებოდა, ზოგი ააცრემოლა კიდეც.

სამეცადინოდ არ გავვიყვანეს. ჩვენს შუშანებს ხიშტები მოაძვრეს და საღდაც წაიღეს. სადილობა რომ მოახლოვდა, განგაში გამოცხადდა. უხიშტო თოფებით დაგვამწყრივეს და გაუქმებულ ჭასთან ძუნძულით მიგვრეკეს. ჩვენი ასეული წინ დააყენეს სამ მწყრივად, დანარჩენი ასეულები ზურგში ამოგვიყენეს.

ქალაქიდან მოყვანილმა გერმანელთა ასეულმა ტყისკენ გაუხვია, იქ შეჩერდა და ჩვენს პირისპირ ჯაჭვურად გაიშალა. შუშანებსა და ავტომატებს ჩვენკენ მოაშვერინეს ლულები.

თოვლში ჩაფლულ რუსულ ტანკზე თვიანთი ტყვიამფრქვევი აიტანეს და ისიც ჩვენკენ გამოახედეს ლულით.

ჩექმის ჭრაჭა-ჭრუჭით აგვიარ-ჩამოგვიარა გოლცერმა. გერმანელ ჯარისკაცთა ამაღა ფეხდაფეხ დასდევდა, ყველას ავტომატი ჰქონდა ჩამოკონწილებული.

ობერლიეტენანტმა მაღიარ ჯარისკაცებს ცალ-ცალკე ჩახედა თვალებში, უხმოდ გაბრუნდა, გზაზე გავიდა და ხელის ქნევით შორს რაღაც ანიშნა.

გზაზე დახურული მანქანა გამოჩნდა, გავგისწორდა და გაჩერდა. ვაილო კარი

და ველდემი ჩამოაგდეს ხელისკვრით. იანოშს ქუდი არ ახურავს, არც ფარაჯაცვია, არც ქამარი არტყია. ხელეზზე ჯაჭვის ბორკილი ადევს.

თითქოს დენს თიშავენ და უერთებენო, ჩემს გონებაში რაღაც აინთო და ჩაქრა. წამით ნისლში გავეხვიე, მაგრამ უმაღვე დავადღწიე თავი ბურანს.

იანოში ნაცემია, კოჭლობს. ლამის წაიქცეს. და მიინც ამაყად მოდის, თავაწეული. წინ ორმო დახვდა, ეტყობა, ნასანგრალია. ბაღრაგამ მოსაშველებლად ხელი წაატანა მკლავზე, იუარა, შეუბღვირა კიდეც და ნასანგრალს მშვიდად შემოუარა.

ორმოცდაათოდ ნაბიჯზე გააჩერეს.

ჰაუპტმანმა რაღაც დიდი ფურცელი წაიკითხა და სათვალეზიან ლეიტენანტს გადააწოდა. მხოლოდ ის გავიგონე, სამშობლოს მოღალატე დაიხვრიტოს, განაჩენის აღსრულება კი გოლცერს დაევალოსო.

„ერთს ხვრეტენ ათასთა დასაშინებლად“.

გოლცერმა ბრძანა, ბორკილი ახსენითო.

დიულა ჩორდამმა და გერმანელმა ჯარისკაცმა იანოშს ბორკილი შეხსნეს. ჯაჭვი დიულას შერჩა ხელში, არ იცის, სად წაიღოს. ბოლოსდაბოლოს, მოიფიქრა: მანქანისკენ წაცანცარდა და ხელცარიელი მობრუნდა.

იანოში ერთ ადგილას დგას ბოძივით. დგას და ჩვენ გვიყურებს გაშტერებულიო.

გოლცერს აშკარად ეტყობა, კაცის კვლა რომ უხარია: უბრწყინავს პირისახე, სისწლისფერი ჩექმა. სიარულზეც ემჩნევა, რომ ზეიმობს; დააბოტებს და ხელში დამნას ათამაშებს.

ოტო კრაფტს თვალი ებლიტება და თავი წამდაუწუმ უვარდება ძირს. ალბათ, ნაბახუსევია და ძილი აკლია. როზენაუ ბოლოსას სცემს ბრაზიანად და სიგარეტს სიგარეტზე აბოლებს.

იანოში ახლა ჩვენ აღარ მოგვჩერებია; საღდაც ცის მიღმა იყურება.

ეჰ, რა ადვილია კაცის მოკვლა! ესე-
რიან პატარა ტყვიას და მოჭრილ ხესა-
ვით წაიქცევა უცებ...

რას ფიქრობს დასახვრეტად გაყვანი-
ლი კაცი? ამას ვერაფერს გაიგებს.

მე რომ იანოშის ადგილას დამაყენონ,
ასევე მოვიქცევი, არ შევეცდები გაქ-
ცევას?

რატომ თავისი საფლავის მიწას არ
ათხრევიანებენ? ჯერ დახვრეტენ და მე-
რე საფრთხობელად ყაზარმის წინ ჩა-
მოჭვიდებენ? ჰო, ასე იქცევიან ახლა
გერმანელები, ასე აპირებენ ხალხის და-
შინებას...

იანოშმა ფეხი მოინაცვლა და თვალე-
ბიც სხვანაირი გაუხდა. საყვედურით
გვიცქერის, იქნებ რისხვითაც. აზრი არ
დაუქარგავს, გულისჯიბეში ჩააქურა ხე-
ლი და სურათი ამოიღო: მე ვიცი, მხო-
ლოდ ერთი სურათი აქვს, ეუუქანასი...

იქნებ ახლა ეუუქანამ მოუსწროს და
ვალაარჩინოს?

ჩემს გონებაში რაღაც ინთება და ქრე-
ბა, ინთება და ქრება.

— ვის უნდა სამშობლოს მოღალატე
დახვრიტოს? სამი ნაბიჯი წინ! — ყური
მომჭრა გოლცერის ჩხვილმა.

აი თურმე რა ვანუზრახავს სისხლიან
ჩექმას! აჰ, რუსეთის მიწა-წყალზე, მა-
დიარი ჯარისკაცი თანამემამულემ უნდა
დახვრიტოს...

ფეხი არავინ მოიცვალა. კიდევ კარგი,
ამ გაუბედურებულ ხალხს ამის სინდი-
სი მაინც შერჩენია!

— ლეიტენანტო როზენაუ, ველდემს
შაშხანა ჰქონდა?

— ჩვენ უთოფო ჯარისკაცი არა
გვყავს.

— სად არის ახლა ის თოფი?

— ყაზარმაში დავტოვე, ბატონო
ობერლეიტენანტო.

— ახლავე მოიტანე!

— ხიდაში, გაიქეცი! — შტეტფანმა სი-
ვარეტი დაადგო და ბრაზიანად მისრის-
მოსრისა ჩექმის ქუსლით.

— მე ის არ მითქვამს, ჯარისკაცს
მოატანიეთ-მეთქი! მეტი დაკვირება
გმართებს, ოფიცერო!

შტეტფანმა ტუჩი მოიკნინა, შებრუნ-
და და გაიქცა.

— ვინც დახვრეტს, შინ გავუშვებთ
ორი კვირით, ხოლო ერთ თვეს ორმაგ
უღლუფას მივცემთ! — რაკი ისე არავინ
გავიდა, სისხლიანი ჩექმა ქრთამით აპი-
რებს ვინმეს შეცდენას.

იანოშს, მგონი, გაელიმა. ეუუქანას სუ-
რათს გაუღიმა თუ სხვა რამეს?

დიღია ცთუნება. ცხვირაწეული წი-
თელი ჩექმის ანკესს შესაძლოა ვინმე
წამოეგოს. ელამივით ვაცეცებ თვა-
ლებს. გერამ დააპირა მწკრივიდან გასე-
ლა. ყველამ მრისხანედ გადახედა და
უმაღვე უკან დაიხია, იმაზე უკან, ვიდ-
რე იდგა.

— მაშ, არავინ არის მსურველი? კე-
თილი. მე ვიცი თქვენი წამალი! — გოლ-
ცერმა ფარაჯის შილა ჯიბეში ჩაიყო ხე-
ლი და პატარა ქალაღი ამოიღო, —
ვარგა! სად არის გაბორ ვარგა?

— აქა ვარ...

— სამი ნაბიჯი წინ! გაბორ ვარგა, არ
გესმის? სამი ნაბიჯი წინ!

ვარგა მწკრივიდან გავიდა და უცებ
აჩრდილს დაემგვანა. გოლცერმა კვლავ
სიას ჩახედა და თავი ვოროზად ასწია:

— ბიხარი! სამი ნაბიჯი წინ!

მათიაში დგას, ვითომ არ ესმის.

— შენ გეუბნებიან! — ხელი წაჰკრა
გერამ. ვინ იცის, იქნებ შეშურდა კი-
დეც: ნეტავი შენ, შვებულებით შინ გა-
ვიშვებენო.

მათიაშმა რაღაც ჩაიბურღლუნა და გა-
ბორს დაუდგა გვერდით.

ახლა უკვე ნაღდად ჩემი ჯერია. გოლ-
ცერი იმ ხალხს ეძახის, ველდემის თა-
ნამზრახველებად რომ მიაჩნია.

„რას გვიპირებს სისხლისფერი ჩექ-
მა? ჩვენც უნდა დაგვხვრიტოს იანოშ-
თან ერთად თუ იანოში დაგვახვრეტი-
ნოს? ჩვენი დახვრეტა რომ სდომებო-
დათ, იმ დღესვე დაგვაპატიმრებდა
პაუბტმანი.“

— უნგვარი ენდრე! რამ გამოგაშტერა!
სამი ნაბიჯი წინ!

ბიხარს დავუდექი გვერდით. იანოშის-

კენ არ ვიყურები, არ შემიძლია მასი თვალების დანახვა. ყველაზე მძიმე წუთებში დახმარების მაგივრად პირისპირ დავუდევქი თოფით... ცარიელი თოფით, მაგრამ მაინც თოფით. ამაზე დიდი დაცინვა შეიძლება?

სისხლისფერი ჩექმა ვაზნას აძლევს გაბორს.

— არ მინდა, ვერ ვესვრი!

— გამომართვი, თორემ! სამშობლოს მოღალატის შებრალება მხოლოდ სამშობლოს მოღალატეს შეუძლია. მოღალატის ხვედრი კი, ხომ ხედავთ; რაც არის? არ ესვრი და...

— კეთილი, ვესვრი! — აცახცახებულ გაბორს ვაზნა კინალამ გაუვარდა ხელიდან.

მე ვაზნა კრინტის დაუძრავად გამოვართვი. არც მათიაშის უარი გამიგონია იქნებ თქვა და გაოგნებულმა ყური ვერ მოვკარი? თითქოს დიდი შენობა ვარ და ვინგრევი... ვინგრევი ნაწილ-ნაწილ...

თვალი დავხუჭე და უმაღვე ვავახილე. თითქოს მართლა ვისროლე ტყვია და ამან დამაფრთხო.

ისევ იანოშს ვავხედე წამით. იანოშს ქუჩანა აეფარა წინ: მეც იანოშთან ერთად დამხვრიტეთო. აღარ ვიცი, რომელი უფრო შევიცოდო... ცაში რომ ვისროლო, არ დამიჭერებენ, იტყვიან, განგებ დააცილო.

სნაიპერის თოფით, თუ არ გინდა, ვერ დააცილებ...

გოლცერს შაშხანას აწვდის შტეფანი. იანოშის თოფი მოუტანა უკვე.

— გატენეთ შაშხანები! ეგრე! ცეცხლი!

იანოში, ალბათ, მუდარით შემოგვცქერის: ნულარ მაწამებთ, მესროლეთ და მომასვენეთო.

— ცეცხლი! რატომ არ ისვრით? ცეცხლი, თორემ!

გოლცერი თოფის საეკტს აჩხაკუნებს და შაშხანის ლულა თვალეში შემომცქერის.

საფეთქლებში თითქოს სამკედლო გამომართესო, სისხლი თავში ამივარდა,

თვალამღვრეულს მიწა სადღაც გამექცა... მერე სულ დამიბნელდა თვალთ.

გვერდით თოფი გავარდა. გამოვფხიზლდი. თოვლში შავი ქაღალდი თუ პატარა ფლასი დაეცა. მათიაშის შაშხანის ლულა ბოლავს... ბიხარს უსროლია, ალბათ, ცაში. მოიხანდა ვალი.

იანოში ფეხზე დგას ისევ, მგონი, იცინის კიდევ.

მათიაშმა მიმოიხედა, შაშხანა თოვლში ჩააგდო, თითონაც მოწყვეტილივით დავარდა, ხელები თავში წაიშინა და დაიბღავლა.

— ცეცხლი! — გოლცერმა ისევ შემართა იანოშის შაშხანა.

— გვათამაშებენ, როგორც კატა თავგს... მერე ჩვენც დავგვხვრეტენ... — ამას ვარგა თავისთავს ეჩურჩულება.

შეეხედე. თვალეხს გიყვივით აცეცებს, წამში შეცვლილა კაცი.

ჩემს გონებაში რაღაც განათდა და ჩაქრა, განათდა და ჩაქრა.

„მერე ჩვენც დავგვხვრეტენ... პიტლერელებს ხელში სიცოცხლე მაინც არ გვიწერია...“

გაბორის შაშხანა გავარდა, ლულა გოლცერისთვის მიუშვერია...

წითელი ჩექმა ხარხარებს. თვალის-მომპრულად ბრჭყვიალებს თითზე წამოკმული ბეჭედი და ხარხარებს სიკვდილი.

გერმანელი ჯარისკაცები გაბორს იანოშისკენ მიათრევენ. თოფი წაუერთმევიათ, აღარც ქული ახურავს.

რაღაც ინთება და ქრება გონებაში. მივხვდი, მეც გაბორივით წამათრევენ, თუ... ამოდ რატომ დავიღუპო, იქნება...

შაშხანის ლულა ცისკენ ავწიე და სასხლეტს თითი გამოვკარი. ჩემი თოფის ლულიდანაც შავი რაღაც გაფრიალდა და თოვლს პეპელასავით დააჯდა.

მივხვდი, ყველაფერს მივხვდი... ოინბაზურად გამოგვცადეს, ფუჭი ვაზნები შემოგვაჩვენეს...

გაბორმა წამით დამასწრო და პირველი გაება ხაფანგში. დამასწრო და ჩემს მაგივრად ამოუყენეს იანოშს გვერდით.

გაოგნებული დგას ნაფრონტალი კაცი, ჯერაც ვერ მიმხვდარა, რა მოხდა. რატომ ვერ მოკლა მისმა ნასროლმა ტყვიამ გოლცერი, როცა პირდაპირ გულზე დაახალა.

მე ვდგავარ და ველი განაჩენს, თოფი ჭოხივით მიჭირავს. ჩემთვის აღარავის სცალია. ალბათ, მეტი მსხვერპლი ჯერ-ჯერობით არა სჭირდებათ.

მათიაში თოვლში გდია და თითებს იჭამს გამწარებული.

გაბორ ვარგა და იანოშ ველდემში ერთად დგანან თოვლში.

გოლცერმა ორი გერმანელი ჯარისკაცი მიიხმო: მაღალს იანოშის შაშხანა მისცა, დაბალს — გაბორის თოფი.

წამიც და...

იქეა ორმა შაშხანამ.

შეგბარბაცდი... სამყარო გადაყირავდა და სადღაც ცის უფსკრულში დამიპირა გადაგდება. თვალი დავხუჭე და უმაღლეს ვეახილე. ფეხზე ვდგავარ ისევ. მეგონა, რომ ის ორივე ტყვია მე დამახალეს. იქნებ მომხვდა და ჯერ ვერ გავიგე? ძნელი უნდა იყოს დაცემა, როცა გრძნობ, მეტჯერ ვედარ წამოდგები... ალბათ, გინდა დიდხანს იდგე ზეზე... იქნებ მეც მხოლოდ იმიტომ ვდგავარ...

არა, ჩემკენ არ უსვრიათ. გაბორი უკვე თოვლში წევს... თოვლში კი არა, საკუთარ სისხლში და იმ სისხლით ადნობს თოვლს.

იანოში დგას და ადგილიდან ფეხს არ იცვლის. მშვიდად ელოდება, თოფს ისევ როდის ესვრიან. კვლავ უუქანას სურათი უჭირავს, ოღონდ აღარ დაჰყურებს.

მაღალ გერმანელ ჯარისკაცს ხელები უქანკალებს და კვლავ ტენის შაშხანას, იანოშისეულ შაშხანას... იანოშისავე მოსაკლავად.

ესროლა და კვლავ დააცილა. ალბათ, ისევ აუცახცახდა ხელი.

გოლცერმა უხიაგად შეაგინა მაღალ ჯარისკაცს, თოფი ხელიდან გამოგლიჯა და თვითონ ესროლა.

ველდემში შეგბარბაცდა, არ ჩაიმუხლა.

გოლცერმა ესროლა მეორედ, მესამედ...

იანოში კვლავ შეგბარბაცდა, სურათი დაუვარდა, ორიოდ ნაბიჯი წინ წამოდგა.

ნუთუ სისხლიანი ჩექმის წინ დაეცემა?

გოლცერმა კიდევ ესროლა. იანოში მოიხარა, მეორე უქანასკნელი ძალა მოიკრიბა, წელში გაიმართა და გულადმა გადავარდა.

მე კი კვლავ გახევებული ვდგავარ.

გოლცერმა შაშხანა ხელში შეათამაშა:

— აი ეს დღე ელის ყველა მოლაღატეს!

შაშხანა ჩორღაშს გადასცა, გაიქცა, დახვრეტილთა სისხლში ჩადგა, პარაბელუმში იშიშვლა და თითო ტყვია კიდევ დაახალა იანოშსა და გაბორს. ახლა, ალბათ, შუბლი გაუხვრიტა.

სისხლში ერთად შეცურდა კაცი, ჩექმა და მზე.



ღმერთო ჩემო, რა დღე იყო?! ჯერაც ვერ მოვსულვარ გონს, ყველაფერი-სიზმარი მგონია.

ჩემს სიცოცხლეში ვერ ვიფიქრებდი, იანოშის უბედურების ამბავს თუ იანოშისავე ნაშუქარ რვეულში ჩავწერდი.

ცხედრების დამარხვის უფლება ვითხოვეთ, არ დავგანებებს.

— ვაითუ იანოშს ჩექმის გახდა დაუპიროს ვინმემ, ვერ გააძროს და ფეხებიანად მოაჭრას! მოდი, რიგრიგობით გუთვალთვალთ შორიდან! — გავანდე გულის ზრახვა ბიხარს, ვარადისა და კოვაჩს.

არც ეს დავგანებებს.

გერმანელებმა ცხედრებს საყარაულოდ ორი გულშავი დაუყენეს. პატრულებადაც კვლავ თავიანთი ხალხი გაამწესეს.

დაწოლის გამოცხადებამდე ასეული ჩვეულებრივ გაიყვანეს საღამოს შემოწმებაზე. ყველა სდუმდა.

მე ისევ იანოშზე ვფიქრობდი. ჩემი თვალთ დავინახე ყველაფერი, მკვდრად მაინც ვერაფრით წარმოვიდგინე. კვლავ

ცოცხალს ვხედავდი, დაფიქრებით მოსაუბრეს, მესმოდა მისი ხმა...

— ველდემო! — უცებ ჩამესმა, ფიქრი გამიწყდა და გონიმიუცემლად წამოვიძახე:

— ვარ... არის!

ერთი მიმოვიხედე და უმაღლე დავუბრუნდი სინამდვილეს. ახალა მივხვდი: წამოძახილი უნებლიეთ რომ მომივიდა. მხოლოდ ორიოდ კაცმა ვაიკვირვა. კაცი შეცდომით ამოიკითხეს სიაში და მეც, ალბათ, ასევე შეცდომით წამომცდა რაღაც... აბა, სხვა ისეთი რა უნდა მომხდარიყო...

— წაშალეთ! — დერეფანში გაირბინა წითელი ჩექმის დანჯღრეულმა ხმამ. როზენაუს თანაშემწემ შავი ფანქარი მოიმარჯვა და გადაშლილ დავთარში ისე გაიქნია, თითქოს რაღაცას იგერიებდეს.

დაწეითო, გამოაცხადეს. ხალხი უმაღლე წავიდ-წამოვიდა. მე დერეფნის კედელს ავეკარი. აქ კარგა ხანს ვესაუბრე იანოშს. მერე ფეხი ავითრიე და წავლასლადი.

ეს რაა?! იანოშის საწოლთან მივსულვარ. მის ადგილას არავინა წევს, ცარიელია ტახტი. მეზობლებს უფრო მეტი ადგილიც კი დაუტოვებით, ვიდრე იანოშს ეჭირა.

იანოში ცოცხალი აღარ არის...

უმაღლე დავინახე თოვლში მწოლარე. ქვეშ სისხლიანი თოვლი უგია ლეიბად, ციდან თეთრი ვარსკვლავები ეყრება, ცივზე ცივი. ათოვს და თოვლი არ დნება მის მკლავებზე, არც მაღალ შუბლზე და ჯიუტ ნიკაბზე. თოვლი ეყრება ოდნავ გამობილ ბაგეებზე და არ დნება... თოვლი ეყრება გახელილ თვალებში და არც თვალებში დნება. ახლა, ალბათ, ანკარა დუნაისფერი აღარ არის ის თვალები. დუნაოში ჩავარდნილი ფიფქი უმაღლე დნება და მდინარეს წყალად უერთდება, იანოშის თვალებს კი ფიფქის გაღნობა აღარ შეუძლიათ, ქანდაკების თვალებსა ჰგვანან...

დრო-ჟამის გამგებლო, დაკარგე იანოშის ბარათი! ნუ ჩამოიყვან ქუქიანას

ამ თვალების სანახავად, ნუ გააუბედურებ ახალგაზრდა ქალს!

რომ ჩამოვიდეს, რა ვუთხრა, რით ვანუგეშო?

დაღლილობამ თავისი გაიტანა, ჩამეძინა. მალე შეშინებულს გამომეღვიძა.

მათიაშის გოდება გავიგონე. ბიხარი ტირის. ყველას სძინავს, ის კი ტირის ზურგჩანთაზე დამხობილი, ტირის მართო.

— მათიაშ, ვინ შენ და ვინ ტირილი?!

— არ გეკვირს, რომ არ ვცოფდები? ჩემს სინდისთან მართალი ვარ, ცაში ვისროლე ტყვია, მაგრამ პირველმა ხომ მაინც მე ვისროლე? მაგალითი გაჩვენეთ. გამათხსირეს, სულმდაბალი გამომიყვანეს, დამცინეს.

— მათიაშ, დამშვიდდი! შენ და ასეთი მოუთმენელი?!

— აქ მოთმინება არაფერ შუაშია... მე მონადირის მოთმინება მაქვს, მაგრამ...

— ჰოდა, მოითმინე! ბალღივით რომ ტირი, ეგ შენი ცრემლი ვის არგია?

— მე მარგია, ჩემო ენდრე, მე! გულს ვიოხებ. ჩემს აბუჩად ავდებას არავის შევაწვე, არა! მოკვდები და არ შევაწვე!

— დაწყნარდი, დამშვიდდი!

— გამოვიტირებ ჯერ ჩემს თავს და მერე...

მთელ დამეს ძილ-ღვიძილში ვიყავი, რაღაცის ჭრიალი და კაცის კენესა-გოდება მესმოდა.

დილით ისეთივე მზე ამოვიდა, როგორიც ჩავიდა — სისხლისფერი.

მაგრამ ეს მზე თბილი იყო. მალე ააცრემლა ყაზარშის სახურავზე დაკიდებული ყინულის ლოლუები. უკვე ებრძვის მზე თოვლს.

თვალსა ვხუჭავ და ვხედავ: ახლა იანოშის თვალებშიც დნება თოვლი.

იანოშის მახლობლად, გაყინულ სისხლში წევს ადამიანი, რომელსაც არ უნდოდა ომი და კაცის კვლა, არ უნდოდა უგუნური სიკვდილი, არ უნდოდა თავისი მიწა-წყლის ადამიანისთვის ტყვის სროლა.

წამით დამასწრო თოფის შეტრიალე-

ბა, თორემ მის ადგილას მე დამაწვევინდნენ და დღეს აღარაფერი მეცოდინებოდა, რა ხდება ამქვეყნად. თუ შინ ცოცხალი დავბრუნდი, უეჭველად მოვინახავ გაბორის ცოლ-შვილს. პერანგს ვაგყიდი და გაბორის ბავშვებს ულუქმაპუროდ არ დავტოვებ.

— რას ჩაფიქრებულხარ, ენდრე? — ისე მკითხა ლასლომ, ჰირისუფალთან მისასამიშრებლად რომ მივა კაცი.

— ცოტაა საფიქრებელი? ხვალ რა მოგველის, ეშმაკმა იცის.

— მო, ხვალინდელი დღე გაუჭრელი საზაშროა, ვერ გაიგებ, რა გულს გიჩვენებს. იცი, რას გეტყვი? უნდა იფიქრო, რომ ყველაფერს ზღაპარით კეთილი ბოლო ექნება. უამისოდ ამ ჭოჭოხეთში რამ ვაგვაძლებინოს?

სხვა რამეზე კრინტი არ დავგიძრავს. გაბორის გვამი სადღაც გადაუქარგავთ. თოვლში ჩაწურთეს თუ მდინარეში ჩააგდეს, არავინ იცის.

იანოში ოწინარზე მიუბამთ, ვედროს ჩამოსაკიდებელთან, და ცხედარი ცაში ქანაობს.

გერმანელი გუშავი ახლა გაუქმებულ ქას დარაჯობს, გვამი რომ არავინ ჩამოხსნას.



ორი დღეა დილიდან საღამომდე გარეთ გვამეცადინებენ, განგებ, ცაში გამოკიდებულ ცხედარს რომ ვუყუროთ.

მინდა თვალი დავხუჭო, არც გაუქმებული ჭა დავინახო, არც ყაზარმა, არც სხვა რამე. დავხუჭავ თვალს და მეჩვენება, რომ ჩემქვენ მოაბიჯებს სისხლისფერი ჩექმა.

მეცადინეობიდან დაბრუნებისას გზაზე გოლცერი შემოგვეგება.

— ცუდად მომესალმეთ, არ ვარგა! გაბრუნდით უკან და ვაიმეორეთ!

ლეიტენანტმა განკარგულება შეასრულა.

— არ ვარგა! მაგარი მწყობრი ნაბიჯით უნდა იაროთ, ფეხი მაღლა ასწიოთ! ამდენ ხანს სიარული ვერ ისწავლეთ?! გაბრუნდით!

სიბილით ნაღველა ჩაგვიტყა და სული ამოგვხადა, ვიდრე მაგარი მწყობრი ნაბიჯით არ ჩავუბრუნებთ და რიხიანად არ მივესალმეთ.

თვალებს წამდაუწუმ გვიბრიალებდა და მე იმ თვალბში დავინახე აფეთქებული ხიდები, გადამწვარ-გადაბუგული და დანგრეული სოფელ-ქალაქები, ეკლიანი მავთულ-ხლართების ღობეებით დაქსელილი დედამიწა, სისხლში მცურავი გაბორი და ოწინარზე დაკიდებული იანოში.

იანოში ოწინარს აღარ ჰკივია. შტეფანი გვითხრა: გაუქმებულ ჭაში ჩააგდეს და თოვლი დააყარესო. შტეფანი ტყუილს არ გეტყვის.

გაუქმებული ჭა იქცა იანოშის სამარედ.

პატიოსნად მოკვდა კაცი, პატიოსანი საფლავი კი არ ეღირსა.

როდემდე უღარაგებენ გერმანელები ქას? ერთ ღამეს ბიჭებს წავიყვან, ამოვიღებ ცხედარს და ქრისტიანულად დავმარხავ... ქრისტიანულად კი არა, ადამიანურად.

თუმცა... სჯობია, ჭაში ესვენოს. დაე, გაუქმებული ჭა იყოს იანოშის აკლდამა და ძეგლიც. უბრალო სამარეს იქნებ ამ აკლდამამ აჯობოს! ხალხს უფრო დაამახსოვრდება...



ბიხარმა ვერ აიტანა იანოშის ამბავი. სისხლის დანახვამ შეაძრწუნა და ააფორიაქა. ვეღარ ვცნობ. წინათ ნაჯაფარი გლეხკაცივით ღრმა ძილი იცოდა, ახლა ვერც ღამე ისვენებს, ვერც დღე. ძილში ბოდვა დასჩემდა, ვილაცას ებრძვის მშფოთვარედ, თითქოს გულზე მაჯლაჭუნა აწევს, ყელში ხელს უჭერს და აბრინობსო. დღისით პირგამებებული დაბოტებს, სახე სიციხიანი ავადმყოფივით აემღვრა. თუთუნის ვახვევისას ხელი უკანკალეებს და ეხნევა. წამდაუწუმ გულის ჰიბიდან ოთხად დაკეცილ ფურცელს იღებს, ფრთხილად გაშლის და დაჰყურებს.

მე ვიცი, ეს რა ფურცელიც არის.

ორიოდე კვირის წინათ შინიდან წერილი მიიღო, მე წამაკითხა, პასუხიც მევე დაეუწერე. ცოლი უთვლიდა: თავს გაუფრთხილდი, ჩვენი დარდი არ გექნეს, არცა გეშია, არცა გეცივაო. ნაბოლარა ბიჭი უკვე დაბაჯბაჯებსო.

წერილის უკანა გვერდზე იმ ბიჭუკელას გაფარჩხული ხელია დახატული. ქვეშ დიდი და აჩხაბაჩხა ასოებით აწერია: „გ ა მ ა რ ჯ ო ბ ა, მ ა მ ი კ ო, გ ა რ თ მ ე ვ ხ ე ლ ს, შ ე ნ ი შ ა ნ დ ო რ ი“.

მათიანი ბარათს აშტერდება, გაფარჩხულ ხელს ეაღერსება, ხანაც ენაშიჩღვით ელაპარაკება.

ახლაც იმ ხელს დაჰყურებს, ტუჩს იკენებს და თავს დანანებით იქნევს.

— ენდრე, ეს მეცოდება, თორემ ჩემი სიცოცხლე რაღა სიცოცხლეა? თუნდაც მართო ამისათვის ხომ უნდა იცოცხლოს კაცმა? ჰა, გამეცი ხმა!

— უნდა იცოცხლო, აბა რა!

— მე ახლა ამას უნდა ვზრდიდე, აქ კი...

ვერ დამალა დასამალავი: დიდი ცრემლი პატარა ბავშვის ხელისგულს დაეცა.



ტახტზე თვალდახუჭული ვწევარ და ვფიქრობ. ფიქრი გამიცვივდა და გამეყინა.

— ენდრე, გძინავს? — მეკითხება იოქეფი.

— რა გინდა?

— და გყავს?

— არა! არც და, არც ძმა.

— საცოლე?

— მომპარეს.

— სამზარეულოსთან უნგრელი ქალიშვილი დგას, სახელი არ მითხრა, შენ გეძებს.

ამის გავონებას მერჩია, მიწა გამსკდომოდა და თან ჩავეტანე. გული შემეკუმშა, სუნთქვა შემეკრა, მერე ციებიაივით ავცახცახდი.

„ალბათ, გაიგო იანოშის ამბავი, თორემ მე რატომ მეძებს? ან ყაზარმაში რატომ არ მოდის?“

— ადე, ველოდება! ღმერთმანი, არ გატყუებ.

უუუუუა თავჩალუნული დგას, გეგონებათ, ზეზეურად სძინავსო. წინ მოზრდილი ჩემოდანი და აბჯა უდევს, თბლადა ჩაცმულ-დახურული.

ფეხები უკან მრჩება, ძლივს დავიშვიდე გული და მიეუახლოვდი:

— უუუუა...

— მოხვედი? ასე მალე?!

— ყაზარმაში ვიყავი...

— არ შეგეშინდა?

— ვისი?

— მეუღლეს შეუძლია ქმრის დამლუპველზე შური იძიოს... მოულოდნელად დაახლოს ტყვია და... ეჰ!

— იცი, ვინ დალუპა შენი ქმარი?

— სადგურშივე გავიგე დაწვრილებით... ერთი თქვენი ჯარისკაცი ვნახე, ხილაში... იანოში ვილაცამ ვასცა და იმიტომ დახვრიტესო...

— ჩემზე ეჭვობ?

— შენ რომ ყოფილიყავი ჩემს აუჯილას, რას იფიქრებდი?

— იქნებ ახლა ამაზე ლაპარაკი უხერხულიც იყოს... მე იანოში ძმასავით მიყვარდა. მხოლოდ აქ გავიგე თქვენი ამბავი, თორემ... სხვა თვალთ არც არასდროს შემოგხედავდი. თუ დამიჭერებ, ასეა, თუ არა და...

— იანოშაც მომწერა, გულითადი მეგობარი მყავსო. სწორედ ეს არის საეჭვო. აბა, ვის შეეძლო გაცეა?

— ეგ რომ გამაგებინა, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება. ქვეყნად არაფერი იმალება. თუ ვიცოცხლე, უსიკვდილოდ გავიგებ და... გეფიცები, უუუუა, ამ ხელებით დაეხარჩობ... თუნდაც იმიტომ, ჩემი სიმართლე რომ დაგიმტკიცო.

— სადგურიდანვე ვაპირებდი გაბრუნებას, შენს უნახავად წასვლა არ შემეძლო. ეჭვს შემოწმება უნდოდა. გარდა ამისა, ვილაცამ ხომ უნდა იძიოს შური! მე ქალი ვარ, თქვენ თუ არ იფაქცეებთ, რას გავხდები? მე მინდა, შენი სიმართლე დავიჯერო.

— გეფიცები, დედის სულს გეფიცე-

ბი, დავახრჩობ იმ იუდას. გავიგებ და დავახრჩობ.

— მართლა ასმეთაურმა ესროლა?

— ჰო...

ორივე დავემუნჯდით, სათქმელი გამოვევლია უცებ.

თვალი შევავლე ქუქანას და თავი დავხარე.

ცისქვეშ დავრჩით მხოლოდ მე და ქუქანა.

ჩამქრალი აქვს თვალები, თითქოს აღარაფერზე ფიქრობსო. თვალში წინანდებურად ნაპერწკლები აღარ უნთია, ნახშირიღა დარჩენია, შავი კი არა, ნაცრისფერი.

— ცხედარს აქედან ვინ გაგატანს, — თითქოს თავის ფიქრს გაესაუბრა ქუქანა, — ჰოდა, ერთ რამესაც გთხოვ, ენდრე. როცა მოხერხდეს, ამოიღეთ ჭიდან და ადამიანურად დამარხეთ.

— მეც მეღო ვულში, გადავიფიქრე. ჩვეულებრივ საფლავს აქ მალე წაშლის დრო-ჟამი. იმ ჭის წაშლა კი შეუძლებელია. ხალხში იქნებ უფრო სამახსოვროდაც დარჩეს.

— ეჰ, ამისთვის ჩამოვედი?

— ძნელია, რას იზამ. შინ რომ დაბრუნდები, ხალხს სიმართლეს მაინც ეტყვი. წერილებში ისეთი ვერაფერს ვწერთ, გვიშლიან... ასე ვიდგეთ?

— რა ვქნა? მატარებელი ხვალ საღამომდე არ გადის.

— აქვე, მეზობლად, მადიარი ქალი ცხოვრობს, ღამეს გაგათევინებს. მე მიგიყვან.

— ჩემოდანში ჩვენებური ლორი, ხილი და ღვინოა. უკან ხომ არ წავიღებ? ბიჭებს მიუტანე, სულის მოსახსენებელი დალიონ!

იანოში ახლა თითქოს მეორედ მოკვდა, უნებლიეთ მომერია ცრემლი.



ოცმეთაურს ერთი ბოთლი ჩვენებური ღვინო მივართვი და თავი საღამომდე გავითავისუფლე.

კარი ქუქანამ გაძლიო. მიმოვიხედე, მხოლოდ ოთახის კუთხეში დაკიდებული

პატარა ხატი დავინახე — ღვთისმშობლის ბელს ჩვილი იესო რომ უჭირავს ხელში.

— მარტო ხარ?

— დედა-შვილი სამუშაოდ გარეკა მამასახლისმა.

ვიცი, გრიობლი აქ აღარ იმალება. ეტყობა, დაუკავშირდა ვილაცას და პარტიზანებთან წაივია.

ახლა ოთახში სამი ვართ: ქუქანა, ღვთისმშობლის ხატი და მე. თავი უხერხულად ვიგრძენი, ამის თქმავა მოვახერხებ:

— თვალები დავსიებია, ალბათ, მთელ ღამეს ტირილი.

— ცრემლიღა დამრჩა ნუგეშად, აბა, რა ვქნა?

რა ვუთხრა? მინდა მალე გავიდე ქუჩაში. თითქოს რაღაც დანაშაულს ჩავდივარ, ქუქანასთან მარტო რომ ვარ.

— ჯერ ადრეა. სადგურზე ლოდინს აქ ყოფნა სჯობია. ჩამოჯექი! — ქუქანამ პატარა სკამი დამიდგა, — მითხარი რაშე!

— რაც სათქმელი მქონდა, გულში ვითხარი. — არ მომეწონა პასუხი, მაგრამ არ ვიცოდი, სხვა რა მეთქვა.

ღუმილი ტყვიასავით დამაწვა.

— ჰო, მართლა! ბიჭებმა მადლობა შემოგიფიქრეს. ცოტ-ცოტა ყველამ დალია შესანდობბარი.

— ეეჰ! მადლობა...

ისევე ტყვიასავით დამაწვა ღუმილი.

— ჩემი ბარათი თუ მიიღე? გზიდან გამოგიგზავნე.

— მივიღე.

— მერე?

— უბრალოდ გამეცინა, რა გულუბრყვილო ბიჭი ყოფილა-მეთქი.

— შაპატიე. მაშინ არ ვიცოდი, შენ და იანოში თუ... ვაგზავნილ წერილს უკან ველარ დაბარუნებ...

წამოვდექი, მაგრამ ფეხი ვერ გადავდგი. კვლავ საშინელმა ღუმილმა შემოკუმშა გული.

— ნეტავი არ ჩამოსტლიყავი.

— არ შემეძლო. იანოშისათვის ისეთი რამ მქონდა სათქმელი, ქალაღს ვერ ვანდობდი.

— მაინც?

— ახლა ყველაფერი ამოა.
 — შენ შეიღს ელი.
 — როგორ მიხვდი?
 — არ ვიცი.
 — ეეჰ, ახლა...
 — ავი არაფერი გაიფიქრო, ეუქანა!
 — რა ავი?!
 — იანოშმა მითხრა, ჯვარდაწერილები არ ვიყავითო და... იქნებ... უქანონო შეიღად მიიჩნით და...

— ჩვენ ჯვარის დაწერა არც გვიფიქრია. თუ მე ვიცოცხლებ, შეიღსაც გავუზრდი.

ისევ ღუმელი.
 — მომწერე წერილი, როგორ იმგზავრებ... ხომ მომწერა?

— არ ვიცი... ღირს კიდევ ჩემი სიცოცხლე?

— იანოში მაშინ მოკვდება, როცა ჩვენ მოკვდებით. თუნდაც იმისათვის უნდა იცოცხო, რომ იანოშმა შენს გულში იცოცხლოს... შეიღიც უნდა გაუზარდო... მერე შეიღის გულშიც იცოცხლებს შეიღის დაბადებამდე დაღუპული მამა...

სადგურამდე გზა უბრებოვით გავიარეთ. დამშვიდობებისას ეუქუნამ თავი მხარზე დამადო და ფარაჯა ცრემლებით დამისველა. ასე ვიდექით კარგა ხანს. არ დამიშლია, ნუ ტირი-მეთქი.

— ენდრე, წერილი თუ ვერ მოგწერო, არ გეწყინოს. ნურც იღარდებ... ახლა ხომ იცი, ყველაფერი მიმიძის. გამცემი თუ აღმოაჩინო, ხმა მომაწვდინე! შენ ხომ გამომიგზავნი წერილს?

— თუ გავიგე, უეჭველად მოგწერ.
 — შენ მაინც იცოცხლე, რომ შური იძიო. ისე, უბრალოდ თავს ნუ შეაკლავ გერმანელებს, ნურც რუსებს...

წავიდა ეუქანა.

ფანჯრის რაფაზე დადგმული ჭრაქი უღიმღამოდ ბეუტავს. ჩემს გვერდით მათიაში ციებიანივით ცახცახებს, ხელი მოკვიდე — გათოშლია კაცი.

— ცოტა თუთუნი გექნება!
 — შენ თუთუნის გამოლევა რომ არ გიყვარს?

— ცოცხალ ადამიანს ხან თუთუნი გამოლევა, ხან — სხვა რამე...

ცოტა თუთუნი ნამდვილად მაქვს ნაგულები, ამ ბოლო დროს ზოგჯერ ვეწევი. მივეცი. ვერ გაახვია ქალღმთი, დაებნა.

— ეჰ, ჯანდაბას!
 — რა მოგივიდა?!
 — არაფერი, არაფერი, დაიძინე!
 — ადამიანის ფერი აღარ გაძევს!
 — გამივლის... აი, გამიარა უკვე.
 — რა მოხდა? — ნადიმ წამოყო თავი.
 — არაფერი, ცუდმა სიზმარმა გამომაღვიძა.

ნადიმ კვლავ მიდო თავი ზურგმანთაზე. რაკი მათიაში დაწყნარებული დავინახე, მეც შევიბრუნე ცუდი სიზმრისაგან დამფრთხალი ძილი.

გარიყრაყუე სავანგაშო საყვირით წამოგვეყარეს. კარში ავტომატომომარჯვებული გერმანელი ჯარისკაცები ჩადგნენ და გვიბრძანეს, ყაზარმაშვიც დარჩითო.

ჭრაქს ავუწიეთ. გარეთ ძაღლებს დავღავი ატყვა.

— კედელთან ერთ მწკრივად დადექით! — დაიხზავლა სახელეწილმა ბაროტიმ.

ბენკემ განკარგულება გაიმეორა. კრაფტი ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა. დამფრთხალი მეჩვენა. წინ გაგვიარა-გამოგვიარა, ყველას სათითაოდ ჩაგვხედა თვალებში და ისევ ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

კოპლერმა ორი ძალი შემოიყვანა, მოწმესავით შემოჰყვა გროშინი და კართან აიტუხა. გერმანელმა ეფრეიტორმა თასმები გრძლად მიუშვა და ძაღლები მწკრივის წინ სუნსულ-სუნსულით გაგვიტარ-გამოგვიტარა. რაკი სავანგებოდ არავისთან შეჩერდნენ, უმაღლე გარეთ გარეკა და თვითონაც გაჰყვა.

— რა მოხდა, გედეონ?!
 — ყაზარმის კუთხეში ცოცხალ-მკვდარი გოლცერი უნახავთ, თავისივე დაშნა ჰქონია გაყრილი მკერდში. მომაკვდავს ამოულერდავს: მადიარი დამესხა თავსო. ახლა გერმანელები მკვლულს ეძებენ. ცხედარი და იქაურობა ძაღლებს დააყ-

ნოსვენის. თამბაქო მოუბნევია ბლო-
მად... ძაღლები რაღას მიაგნებენ. —
გროშინი შემობრუნდა და გაქცა.

— ტახტზე ჩამოსხედით და ფეხი არ
მოიკვალთ! ბენკე, ყური უგდ! —
ბრძანა ბაროტიმ, დაჰკრა ფეხი და დე-
რეფენსიაკენ გაუტია.

ჩემი საწოლის მახლობლად, კუთხეში,
კედელს ავეკარი და მათიას გავხედე.

ბიხარი ტახტზე დინჯად ჩამოჯდა და
შენიღბულ ფანჯარას მიაშტერდა.

პირისახეზე არაფერი ემჩნევს — არც
აფი, არც კეთილი, თითქოს კაცი კლდედ
იქცაო.

— ხომ ეტირა დედა! — კბილებში გა-
მოსკრა ნადიმ, — დაელოცოს მარჯვე-
ნა, ვინც ეგ მოახერხა. ენდრე, ხომ არ
იცო, ჰა? გულში ჩაემარხავ, ნუ გეშინია.
— რა ვიცი... ასე ცნობისმოყვარე
როლის ვახსი?

— შე მგონია, მომავლდავი მოტყუვდა,
შიშით დარეტიანებულმა ვერ გაარჩია
მკვლელი. ვაქცაეებს ქალმა გვაჯობა.

— ვინ ქალმა?

— ეგ შენ უკეთ უნდა იცოდე. ქალს
რომ გაამწარებ, რას არ ჩაიდენს.

— ფუყეა შენი ეჭვი, ტიბორ. ქალი
ტყვიით მოკლავდა, ხელდახელ ვერ
შეებმოდა. თუ ძმა ხარ, სხვასთან
მანც არ წამოგვდეს... ზოგჯერ ვისვა-
ნაც არ ელი, ისეთ რამეს ჩაიდენს, პირს
დააღებ.

— ეგეც მართალია. ისე, ვილაც ჩვე-
ნიან რამ იზამდა, ნაღვია. შენ რა და-
გიმალა, მეც კი ვფიქრობდი... დამასწ-
რო ვილაცამ.

— გაჩუმი, ბიჭო, კედელსაც ყური
აქვს..

— ჰქონდეს.

— მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.
რას იტყვი, ბიჭებო, გოლეცის საფ-
ლავეში ჩაატანენ იმ ცხვირაწეულ ჩექ-
მებს?

— ნამკვდრევი ჩექმა ვის რა ჰირად
უნდა? — მომიგო კურდღლისტუჩამ.

— ნამკვდრევი არ იყო?! აგერ ნახავ,
ვილაც დაიტოვებს. ალბათ, არც ქორწი-
ლების ბეჭედს ჩააყოლებენ საფლავში.

იოყეფი ხელებს შლის:

— მაინც როგორ მოახერხა ვილაც
იყო, საკვირველია, ღმერთმანი!

მათიასი მშვიდად გაეპასუხა:

— კაცი ნუ მოინდომებს, თორემ... ას-
მეთაური ყაზარმიდან ძალიან გვიან გა-
დიოდა ხოლმე... თავისი კარით. ვილაც
იქ ჩაუსაფრდებოდა. მოულოდნელად
რომ ებრძლებოდა ადამიანს, ადვილია მი-
სი დაბნევაცა და დაჯახნაც. წაუჭირე
ყელში ხელები, ცხვირ-პირზე თავი მია-
ბჯინე, მოგულე; წაქციე და მერე რაც
გინდა, ის უქენი.

მათიასმა ეს ისე თქვა, ერთი ძარღვი
არ შესტოკებია. ასე მშვიდი იშვიათად
მინახავს.

ნადიმ მხარზე ხელი დაარტყა:

— კარგი კაცი ხარ! გინადირნია
ოღესმე?

— მთაში? რამდენიც გინდა.

— კარგი კაცი ხარ! ნეტავი ყველა შე-
ნისთანა მაგარი მონადირე იყოს.

წამით დუმილი ჩამოვარდა.

— ეჰ, ვერ არის ეს კარგი საქმე, —
მასწავლებელი თითქოს თავის ფიქრს
გაეპასუხა, — სატიკ დღეს დაგვაყრიან,
მთელ ყაზარმას გადააბრუნებენ, ისევ
დახვრეტენ ვილაცას.

— თუ მკვლელი იპოვეს, აბა, ქორ-
წილში ხომ არ დაპატიებენ?

— თუ ვერ იპოვეს, უარესია: ერთის
მაგიერად იქნებ ხუთიც დახვრიტონ.

ზოგი ჰირი მარგებელიაო, სამეცადი-
ნოდ არ გაგვიყვანეს. მთელ ყაზარმას
ალყა შემოარტყეს გერმანელებმა და
გამოგვიცხადეს: ვიღრე მკვლელს არ
გასცემთ, ასე იქნებითო. არც საუზმე
გვაჭამეს, არც სადილი.

მშვიერი ხალხი ტახტზე დაეყარა და
ძილით გამოძდა. მათიასმა ყველაზე ად-
რე დაიძინა, დაიძინა გულის ძილით, ისე,
კაცი დიდ ავადმყოფობას რომ გადაი-
ტანს და კარგა ხნის უძილობით გაწამე-
ბულს ჩაეძინება.

— ბატონო სერჟანტო, — ბაროტის
გამოეჭიმა ლასლო და პატაკივით მოახ-
სენა, — ძალიან მიჭირს. მართალია, არა-
ფერი მუპამეს, კუჭი მაინც მუშაობს. აქ-

ვე მოვინამუსო ტახტთან თუ რა ვქნა?
ლასლოს სხვებიც აპყვენენ.

„გაჭირვებულნი“ ხალხი დაამწყკრივეს
და პატიმრებევით თოფქვეშ გაიყვანეს.

— ამის დედა ავატირე, ყოველ დღე
ახალ-ახალი სიკეთე გვემატება, ჩემმაში
დავდიოდით დაუმწყრივებლად და ახლა
ამასაც მოვესწარით. იოქეფის დიდო
ღმერთო, გაეძეხით ამდენი ბედნიერებო-
თა და სიხარულით! გმადლობთ, ჩვენ
გვეყოფა, ცოტა სხვისთვისაც შეინა-
ხე! — შეპლაღადა ყაზარმის ჭერს ლას-
ლომ.

ნადიმ იწრიალა, ხან დაწვა, ხან ადგა,
მერე გვერდით მომიწვა და ჩამჩურჩუ-
ლა:

— ენდრე, გძინავს?

— რა გინდა?

მიმოიხედა, თითქოს შეამოწმა, ირგე-
ლივ ხომ ყველას სძინავსო და ისევ ჩამ-
ჩურჩულა:

— გუშინ წერილი გავგზავნე შინ.
მარგიტის პროსპექტზე, ოცდათხუთმეტ
სახლში ცხოვრობს ჩემი ეტელკა. იმ
ქალთან ვაყი მყავს. ჩვენებმა ეს არ
იციოდნენ და შევატყობინე. ულამაზო
ქალია ეტელკა, ლოყაზე ნაჭრილობებიც
ამჩნევია, ბიჭი კი ღმერთივითა აყავს.
თუ ჩემი წერილი მიიღეს, ჩემიანები
ბიჭს მონახავენ და მოუვლიან. რაც არ
უნდა იყოს, იმედია. მაგრამ, თუ წერი-
ლი დაიკარგა? აი, შენც მისწერე, ლას-
ლოსაც მიაწერინე, ფერენცსაც. ერთი
ბარათი მაინც მიალწევს. მე იქვე ვცხოვ-
რობ, ორმოცდამეცხრე სახლში, მეორე
სართულზე. ბუღაპეტში დაბრუნება
თუ გედირსოთ, მიღით და უთხარით
ჩემს დედა-მამას, ტიბორი ცუდი ბიჭი არ
იყო-თქო.

— ანდერძს მიტოვებ?

— ყოველი შემთხვევისათვის, იცოდე.
შენზე მეტად ვის ვენდობი? იანოში
ღმერთივით ბიჭი იყო და... აღარა გვეყავს.
შენ გგონია, მე თქვენისთანა ხალხის ფა-
სი არ ვიცი?

— რალაც ცუდი გავიზრახავს, ტი-
ბორა?!

— ცუდი არაფერი... პირიქით.

— აბა, გამისწორე თვალი!

დაქედილი ჩექმის ბრახა-ბრუხი გაის-
მა. ყველამ წამოყო თავი და გაირინდა.
ავტომატმომარჯვებულნი ორი გერმანე-
ლი ტახტის თავთან დადგა.

— რომელია უნგვარი?

— მე ვარ.

— გამოდი!

— არ შეგეშინდეს, ენდრე, — გავი-
გონე ნადის ჩურჩული, — ვერაფერს
გიზამენ!

ეს იყო და ეს, კარში ისე გავედი, სხვა
არაფერი გამიგონია, არც არავინ დამი-
ნახავს — ავტომატმომარჯვებულნი ორი
გერმანელის გარდა.

დერეფანში ანაზღად ბიხარი გადა-
მიდგა წინ:

— ენდრე, შენ ნუ მიპყვები, მე წა-
ვალ!

— მე მეძახიან, შენ კი არა! გაბრუნ-
დი და ჩემს ზურგჩანთას მოუარე, გეს-
მის?

ერთმა გერმანელმა ავტომატის ლუ-
ლა მკერდზე მიაბჯინა ბიხარს.

— მიტრიალდი, თორემ!

— უთხარი, რომ შენ არ მოგიკლავს,
ხომ იცი...

— გაბრუნდი, ტყუილად ნუ დაიღუ-
ბავ თავს, გესტრიან! ხომ გაიგე ამით
ამბავი? გაბრუნდი!

თითქოს იატაკიდან ამოძვრნენო, გერ-
მანელ ჯარისკაცთა მთელი ხროვა შე-
მოგვესია. ბიხარი ყაზარმაში შეგადგეს,
მე გარეთ გამიყვანეს, გამჩხრიკეს და
დახურულ მანქანაში შემათრიეს.

პაუპტმანი სავარძელში გადაწოლილა.
მაუღდადაფარებულ მაგიდაზე ქაღალ-
დის დასტა და რალაც წიგნი დევს. კარ-
თან ავტომატმომარჯვებულნი ჰიტლერე-
ლი ჯარისკაცი დგას.

ერთმა ჯალათმა რეზინის ჯოხით ამი-
ჭრელა ზურგი, მეორემ ჩექმის წვე-
რი მირტყა გვერდში: გამოტყდი, რომ
შენ მოკვალაო.

ნეტავი კი მომეკლა, თორემ...

კრინტი ვერ დამაძვრევინეს და აქ
მომათრიეს.

ნაგვემი ვარ და ხორცზე მეტად სუ-

ლი მტკივა. უკანასკნელ ძალ-ღონეს ვიყარებ და წელგამართული ვდგები. ჰაუბტმანს უტეხად შევცქერი თვალეზში.

— მაშ, არ უარყოფ, რომ ველდეში შენი მეგობარი იყო?

— ყველამ იცის, მეგობარი იყო.

— ეუყანა კოლოფვარს იცნობ?

— იანოშ ველდეშის ქვრივია.

— რისთვის იყო ჩამოსული?

— ქმრის სანახავად.

— მერე?

— ქმრის დახვრეტა გაიგო და შინ გაბრუნდა.

— როდის?

— თხუთმეტ აპრილს, საღამოს შეიდ საათზე.

— შენ გააცილე?

— მეგობრის შეუღლეს, ისიც ასე დამწუხრებულს, მარტო ვერ გავუშვებდი, ზრდილობის ამბავია.

— შენი თვალთ დაინახე, მატარებელში რომ ჩაჯდა?

— ჩემოდანი და აბგა თავად ავუტანე ვაგონის კიბეზე.

— შე პირდაპირი ლაპარაკი მიყვარს, არ გიმალავ ეშვს: მკვლეელი ან კოლოფვარია, ან... შენ.

— ყოველგვარი ბრალდება დასაბუთებას მოითხოვს.

— კოლოფვარის გზაზე დაკავება და უკან დაბრუნება ჩვენ არ გავგიჟირდება. მატარებელს დებეშა ადვილად გაასწრებს.

— ბატონო ოფიცერო, გერმანელები ჭკვიანი ხალხი ხართ, არც დაკვირვება გაკლიათ. თქვენც იცით, ალბათ, რომ სამგზავრო მატარებელი აქედან სამხრეთისაკენ მხოლოდ კენტ რიცხვებში გადის. თუ გოლცერი ეუყანა კოლოფვარმა მოკლა, იგი ჯერ კიდევ აქ იქნება, ვერ წავიდოდა. თუ მატარებელში ზის, მკვლეელი არ ყოფილა. ესეც რომ არ იყოს, სუსტი ქალი გოლცერს ასე ვერ მოერეოდა. ჰოდა, რატომ უნდა დააბრუნოთ?

— აჰა, მივხვდი! დაიძვინტე, რომ მეგობრის სისხლს აიღებდი და გაისტუმრე. მკვლეელი შენა ხარ!

— არა ვარ მე მკვლეელი.

— დაამტკიცე!

— უდანაშაულობას დამტკიცება არა სჭირდება. ეს თქვენ უნდა დამამტკიცოთ, რომ დამნაშავე ვარ... რამდენადაც იურიდიული კანონები მესმის...

— მაგ შენი იურიდიული კანონებით და სოფისტური მსჯელობით თვალს ვერ აგვიხვევ! — ჰაუბტმანი შებრუნდა, — შემოიყვანეთ ხიდაში და ტიუშე!

შემოიყვანეს.

— ტიუშე, ამ ჯარისკაცს იცნობ?

— ენდრე უნგვარია, შორიდან ვიცნობ.

— ხიდაში, შენ რას იტყვი?

— მეც ასევე ვიცნობ, შორიდან.

— ველდეში ხომ იყო შენი მეგობარი?

— ერთი კარდალა გვექონდა, გვერდი-გვერდ ვიწექით, რა თქმა უნდა, მტრები არ ვიყავით.

— უნგვარი ხომ მოდიოდა ხოლმე ველდეშთან?

— როცა დროს გამოინახავდა...

— მერე, შენი ამხანაგის გულითად მეგობარს ანლოს ვერ გაეცანი?

— ასე მოხდა და...

— გუშინ საღამოს არ გაგინაპირა უნგვარამ და ცალკე არ გესაუბრა?

— შევხვდით ერთმანეთს, არ გვისაუბრია, უბრალოდ მივესალმეთ.

— წუხელ გარეთ არ გასულხარ?

— ბევრი გადის, მეც გავედი.

— სალაცხოდ არა მცალია. გოლცერის მკვლეელი ციდან არ ჩამოფრენილა, თხუთმეტი საათის ვადას გაძღვევთ. თუ მკვლელს არ დაასახელებთ, საშივე დაიხვრიტებით ერთად, ხვალ ათ საათზე განაჩენი გამოტანილი უნდა იყოს. მე უფროსთა ბრძანებას ვერ შევცვლი. — ჰაუბტმანი ჯარისკაცს მიუბრუნდა, — წაიყვანე!

მძევლები ცალ-ცალკე დაგვამწყვდიეს. ჩემს ოთახს სარკმელი არა აქვს, არც ქუჭრუტანა. ვიცი, ამ კედლებს

იქით ჩადის მზე, ის კი აღარ ვიცი, ხვალ ჩემთვის ამოვა თუ არა.

მკვლელის ვინაობა მხოლოდ მე ვიცი. ვატყობ, ნადიმ მიხვედრილია, აბა, რატომ დაჰკრა მათიაშს ბეჭზე ხელი — კარგი კაცი ხარო?

მე ველოდები რაღაც სასწაულს და თუ არ მოხდება, დასახვრეტად რომ გამოყვანენ, ვიტყვი დაბეჯითებით, რომ გოლცერი მე მოვკალი. ხიდაშსა და ტიუშკეს გავათავისუფლებ. გოლცერი მეც ხომ უნდა მომეკლა? თუნდაც ზრახვა ამესრულებინოს.

სხვას არაფერს ვჩივი, ზურგჩანთა არ გამიჩხრიკონ. ის რვეული რომ წაიკოთხონ, სხვებსაც დახვრეტენ. მართალია, ბოლოდროინდელი ამბები არ წერია შიგ, მაინც... ვითომ ვერ მიმიხვდა მათიაში, რაც ვუთხარი?

ბიხარისათვის თავის გაწირვა ნამდვილად ღირს, ყველას გვჯობია...

ნადიმ რომ გასცეს? მაშინ, ალბათ, სამივე დავიღუპებით. ვნახოთ, რას მოიტანს ამალამდელი უძილო დამე. შესაძლოა, უძილოც არ იყოს.

ძალიან მინდა დავიძინო. აქ მაინც ვერაფერს ვხედავ. ირგვლივ მხოლოდ სიბნელეა და სადღაც დერეფანში ქუსლდაჭედილი ჩექმის ბრახა-ბრუხი ისმის: ეს სიკვდილი დადის დერეფანში. რატომღაც ახლა არ მეშინია, ცოტა მართობს კიდევ.

ვითომ უკვე შევეგეში სიკვდილს? ზოგჯერ ჩექმების ხმა რომ მიწყდება, ისეთი დუმილი ჩამოდგება ხოლმე, ის დუმილი უფრო მაშინებს.

კარმა გულისგამაწვრილებლად გაიქრიალა და შორეულმა შექქმა მოაღწია ჩემამდე.

— გამოდი! — წყნარად მითხრა კართან მომდგარმა ჯარისკაცმა. შევყოვნდი. რეზინის ჯოხი არ დაურტყამს. ყველა ხომ მხეცი არ არის? ალბათ, სასიკვდილოდ მივყავარ და მიცოდებს. ფეხი ავითრიე.

— ნუ გეზარება, ჩქარა გამოდი! ჰა, შენი ღვედი! თავისუფალი ხარ.

„მაპაპულებს. გამიყვანენ გარეთ, გამიგდებენ წინ და... მომაყოლებენ ტყვიას. ასეც იციან ხოლმე ჰიტლურელებმა, თოვლში დიდხანს სიარული ან დგომა ვის ეხალისება?“.

— ბედი გქონია. მკვლელი თავისი ფეხით გამოცხადდა ამ დილით.

— ეინ?! — თითქოს ნადმი ამიფეთქდა გულში, ისე ამოვისროლე სიტყვა.

— ეშმაკმაც დალაზვროს, რა ვიცი მე?! დაკითხვაზეა ახლა. ვავივლით, მიუგდე ყური და გაიგებ.

დერეფნის ბოლომდე ღვედს ხელში ვათამაშებ, იქ ვჩერდები და ვირტყამ წელზე.

ნადის ხმაა... ყურალესილი ვხვდები.

— აგერ, ჩემს ფარაჯს სისხლი აცხია სახელოზე, შეამოწმეთ, თუ გოლცერის სისხლი არ არის! მე ჩემი ადამიანური სინდისი მაქვს, ერთი კაცის დანაშაულისთვის სამმა უდანაშაულომ რატომ უნდა აგოს პასუხი? ეს იმის მცირე საზღაურია, რაც თქვენ ამ ორ თვეში მაწამეთ და სიცოცხლე მომიწამლეთ!

„რა თავზეხელაღებულად ელაპარაკება! თითქოს ახელუბსო“.

— მე არც გოლცერის მოკვლისას ამცახცახებია ხელი, არც ჩემი სიკვდილის მეშინია. რომ შემეძლოს, ყველას გოლცერივით გაგფატრავთ!

— წაიყვანეთ! წაიყვანეთ!

კარი გაიღო. ავტომატმომარჯვებული ჯარისკაცი ზურგით გამოვიდა და კედელს აეკრო. ნაღდად ეტყობა შიში, ავტომატი არავინ გამომგლიჯოს ხელიდანო.

ძალიან დაუფრთხია ნადის.

— ეს რატომ გაგიჩერებია აქ? წაიყვანე ჩქარა! — ბრაზიანად მიახალა ჩემს გამყოლს. — მოშორდი თ აქედან!

ფეხი არ მოვიცვალე. ამ დროს ნადიმე გამოვიდა. ავტომატმომარჯვებული მეორე ჯარისკაცი შორიახლოს გამოჰყვა.

— ტიბორ!

— გამოგიშვეს? წადი ახლა! ნურა-

ფერს მკითხავ! ჩემი დედ-მამის ნახვა თუ გედრისოს, დაამედღე: არ მომკვლარა-თქო. ბიჭის ამბავიც არ დაგავიწყდეს...

ვერაფრის თქმა მოვახერხე. მგონი, ამოვიღე დედ-მამის ფოტოები.

„ჭერ ვაბორ ვარგამ ვადამარჩინა, ახლა — ტიბორ ნადიმ... ველარ გამიგია, ეს ბედია თუ უბედობა? ახლა მე უფრო ბედნიერი ვარ თუ ტიბორი? თუმცა, ბედის ჩარხის ტრიალი ხომ არ დამთავრებულა..“

ყაზარმა. მათიაში კუთხეში მიკუნჭულა და ისევ თავისი ბავშვის გაფარჩხულ ხელს დაშტერებია. კოვჩი რალაცას ეკითხება. ბიხარი მისკენ არც იყურება, დანა პირს არ უხსნის. დამინახა და თვალუბად იქცა:

— გამოგიშვებს?

— რადგან მკვლელი იპოვეს.

— აბა, იპოვეს, ჰა? მე მოვდიოდი, არ გამომიშვა. ჩემი ფარაჯა ჩაიცვა და წამოვიდა. — მათიაშმა ფურცელი, შვილის გაფარჩხული ხელი რომ ეხატა ზედ, დაკეცა და გულისჯიბეში ჩაიღო, — ჩემს მაგიერად სხვა რატომ უნდა დაიღუპოს? აბა, იპოვეს მკვლელი, ჰა? კიდევ რომ იპოვონ?

— ორივეს დახვრეტენ.

— თუ მეორე იტყვის: მართო მე მოგკალიო?

— მაინც ორივეს დახვრეტენ: სიმართლე საიქიოში გაარკვიონო.

— იმ საპატიმროს ვერსაიდან შეუვა კაცი?

— ვერა. გუშავი ყოველ ოც ნაბიჯზე დგას. ესეც რომ არ იყოს, ცარიელი ხელებით?

— ვითომ ვერსად ვიშოვი ვაზნებს?

— ვიდრე ფრონტზე გაგზავნას არ დაგვიპირებენ.

— აბა, რა ვქნა მე?

— ბედს უნდა შევეურიგდეთ.

მათიაშმა ფართო ხელისგულები თვალუბზე მიიფარა და თავი ჩაჰკიდა. მე ჩემი ზურგჩანთა ავიღე და...

— ოჰო!.. — წამოვიძახე ელდანიაკრავმა, — გაჩხრიკეს?

— კი.

— შერე?!

— ისეთი ვერაფერი იპოვეს და მიავლეს.

— რვეულები?!

მათიაშმა პირი ყურთან მომიტანა:

— ისეთ ადგილას დავმალე, ეშმაკიც ვერ მიავნებს, შერე გაჩვენებ. ფიცრებს შუა გაკვეთებული ტახტქვეშ. მე არ ვიცი, იმ რვეულში რას წერ ხოლმე, ამათ საგუნებოს რომ არაფერს ჩაწერ, ეს კი ვიცი. ჰო, მართლა! ტიბორმა საათი და პატარა ქალაღი დაგიტოვა. ვინმეს რომ გავეჩხრიკე, ქალაღი უნდა შემეჭამა. ასე დამიბარა.

ბარათი შექმას გადარჩა:

„ენდრე, მე სიტყვის კაცი ვარ, არ მეშინია. ჩავბარდები, ყველაფერს პირში მივახლი და შერე გაქცევას ვეცდები. თუ მოვახერხე გაქცევა... სულ სასიკვდილოდ არ მივდივარ. ეს არის ჩემი უკანასკნელი თამაში. მომიგონეთ ხოლმე“.

არ მომწონს ჩემი თავი. თითქოს სხვებზე მამაცი ვარ, საქმით კი ეს ვერაფერს ვუჩვენებ. ვარგამ შეატრიალა თოფი და არა მე. გოლცერი სიცოცხლეს ბიხარმა გამოასალმა და არა მე. აქაც ნადი შემეციალა. მე თითქოს სვირს ვუყურებ...

რადაც არ უნდა დამიჯდეს, იანოშის გამყიდველს მაინც მივავნებ და... ავუგებ ანდერძს.

თუ დიულა ჩორდაშმა თვითონ არ გვილაღა, ის მაინც ეცოლინება, ვინაა ჩამუში.

ო, რა სიჩუმეა ყაზარმაში? რამ დაადუნა ამდენი ხალხი? ჩემს ფიქრს ხომ არ უგდებს ყურს?



აპრილის ბოლომდე ზედიზედ ხუთ დამეს საპაერო განგაში ცხადდებოდა. რუსები საკვანძო საღვურს ბომბავდნენ. საზენიტო ქვემეხები ამაღ უბათქუნებდნენ ყოჩაღები არიან რუსები, ყოჩაღები!

გაბორ ვარგას საფლავი იბოვა ლასლომ: გაუქმებული ჭის იქით, მიწა ზერელედ გაუჭრა და ჩაუმაჩხავთ ჯვარდაუსმელად. მე და ბიხარმა დავუსვით ჯვარი. კარგა ხანს ვიდექი საფლავთან და უხმოდ ვესაუბრე ჩემს გადამრჩენელს.

ერთბაშად იმატა დღემ. თოვლმა გუნება იცვალა. დღისით ღებება და ღამით ისე იყინება, დილით ფეხქვეშ აღარ გვიტყდება, მაგარი ქერქივითაა. ყაზარმის სახურავს უშეკლებელი ლოლუები დაუკიდა. კარზე ისევ ჩნდება ხოლმე ყინულის სარკე. ახლა აღარავინ ჩეხავს. ვატყდა სიცივე და ეს იგრძნო ვაყინულმა სხეულმა, იგრძნო ავად.

კოვანი სანთელივით გაყვითლდა და დაუნდა, ტაქტიკის მეცადინეობისას დაწვა და ველარ ადგა. ვიდრე რამეს ვკითხავდით, სულიც დალია. იმავე დღეს მოკვდა იოზეფ კეპეშიც, ვერ უშველა ღმერთმა. ასე უცებ ორი კაცი გამოაკვდა ჩვენს ათეულს. კარგი დღე არც სხვა ათეულებს დასდგომია.

ტყის აქეთ ჯვრების ტყე აღიმართა.

— ვარადი, ადექი! — თავს დაადგა ბაროტი და ფეხში სტაცა ხელი.

— აღმიანი არა ხარ? დამიჯერე, ავად ვარ, სიცხე მაქვს, ნუ გამიყვან ვართ საშეცადინოდ!

— ექიმის მოწმობა ვაქვს?

— მოწმობას ვინ მომცემდა? დამანებე თავი!

— აბა არ ვიცი მე შენი სიცხე.

სიცხიანი ჯარისკაცი აავლო და მწკრივში ჩააყენა.

ზამთარმა თითქოს პირი იბრუნაო, ხეავრთელად მოთოვა, მერე ცა მოიწმინდა და საშინლად აცივდა. ამ ყინვაყიამეთში უფრო შორს წაგვიყვანეს საშეცადინოდ, ტყის მიღმა.

ლეიტენანტმა სოფელში გაგზავნა ბენკე, არაყი მოატანინა, გამოთვრა და გზა ვაცვითა ბოლთის ცემით, თან არეულად უსტეენდა.

ბაროტიმ ფაფუკ თოვლში ჩაგვეწვინა — სველ თოვლში, და სულის ამოხდომამდე გვახონხა. მერე მხოლოდ ხუთი წუთით შეგვასვენა.

— ვარადი, რას მობუზულხარ. ცეკვა დაგავიწყდა? — თითქოს ნიშნს უგებნო, ღვარძლიანად ჰკითხა ბაროტიმ.

— მოგენტრა ჩემი ცეკვა? — შწარედ გაელმა თავიდან ფეხებამდე დასველებულ ლასლოს.

— ცეკვაც და სიმღერაც. შენ ორივე გებერჩება.

— მაგის ჯავრი ვაქვს? თუნდაც მართო შენთვის ვიცეკვებ... გულის ვასახეთქად.

აიწყვიტა გაბრაზებულმა ლასლომ. გეგონებოდათ, დედამიწა უნდა ჩაანგრიოსო, ფეხებს მაგრად უბაკუნებდა, გარბოდა და გამოიბოდა.

უცებ მოწყვეტილ დეაცა, მკლავები თოვლზე გადაყარა, თვალები ცას მიაშტერა და... ძლივს გავიგონე ჩემი სახელი: — ენდრე...

გავხევიდი. არ მომეწონა ლასლოს მიღებული ხმა.

— რა ბიჭია?! პირში სული რომ აღარ ედგას, ხუმრობას მანიც არ პოიშლის. — ჩაილაპარაკა ბიხარმა, — ადგი, ვაცივდები!

— ჰაუ, გულო უწუხს, წამალი დაალევიინეთ! — მეჩხერი კბილები გამოაჩინა ბენკემ.

— ადგი, გეყოფა. არ ვაცივდე! — მაჯაზე მოვკიდე ხელი. უცებ ავცახცახდი.

— ენდრე, მიშ...

ვერ ვუშველე. ორიოდ წუთში ვალიგვდა და გათავდა აღმიანი.

მაღალი ტყის პირას ჯვრების ტყეს ერთი ჯვარიც მიემატა.

ჩაესვენა გუმბათის ჯვრით ოთხად გაჭრილი მზე და... მოკვდა სიცილი.

ეპ, ლაცი, ჩვენო ლაცი, როგორ მიგვატოვე, ბიჭო! ისე დახუჭე თვალი, შენი სიკვდილიც კი ხუმრობა ეგონათ.

მე ასლაც ის ცრემლი მიდგას თვალწინ. შენ დამშვიდობებისას საცოლეს რომ დაუმალე. ასე უმაღლავი ყველას

შენს ვარამსაც. გული სევდით გქონდა გატენილი და მაინც იცინოდი, იცინოდი, სხვები რომ გაგემხიარულებინა, იმ მხიარულებას თვითონაც აპყობოდი და დაგვეიწყებინა დიდი სევდა.

შინ დაბრუნება რომ შეღწეოს და შენი ილონკა შემხვდეს, რა ვუთხრა, ბიჭო?

სდუმს მიწა, სდუმს ცა, სდუმს ჩემს გვერდით თავჩაქინდრული ბიხარი.



ცხრა მაისია. დილა-უთენია წამოგყარეს და აბანოში მანქანებით წაგვიყვანეს. იქ ყველაფერი უნგრული ჩავაცვეს. ყაზარმაში უნგრულ ოფიცრები დაგვხვდნენ. თოფ-იარაღიც უნგრული დაგვირიგეს. ულუფა ხვავრიელად მოგვცეს, თითქოს დღეს დაგვიმთავრდა თებერვალში დაწყებული დიდმარხვა.

— ენდრე, ეს რას მოასწავებს? — მხრები აიჩეჩა მათიამმა.

— ორიოდ დღეში ფრონტზე გავერეკავენ. წამო, ჩვენს ბიჭებს დავემშვიდობოთ!

— აბა, ბიჭებს?!

— აქ რომ რჩებიან, — ჯვრის ტყესა და გაუქმებულ ჭას გახედე.

ფერენც კოვაჩი და ლასლო ვარაღი ერთმანეთის გვერდით წიანან.

მიხა გონდას ცალკე სძინავს ობოლ სამარეში.

გაბორ ვარგას არც ფარაჯა აცვია, არც ბათინკები, საყვედურს მაინც არავის ეუბნება — მცივა და ჩამაცვითო.

იქვეა იოყეფ კეპეშიც. რკინის პატარა ჯვარი გულზე ადევს, ხის დიდი ჯვარი ზევიდან დაჰყურებს.

იანოშ ველდეში გაუქმებულ ჭაში ჩასულა. სიმართლისა და სიწმინდის მადიებელი კაცი იმ გაუქმებულ ჭაში რას ეძებს?

ლაკი, რა დუმილია ირგვლივ? ხალხს რატომ არ ამხიარულებ? ვინ გაგაჩუმა ასე უღვთოდ?

იოყეფ, აღარ ლოცულობ? გაგიტყდა

გული? მიხვდი, ღვთის მატყუარობას და ზურგი შეაქციე? მართალი ხარ! სამოთხეცა და ჯოჯოხეთიც მიწის ზევეთაა, ქვეშ არაფერია მარადული დემილის გარდა. ღმერთები (თუ სადმე არიან) და ღმერთის კვარცხლბეკს მოწყურებული ადამიანები მხოლოდ თანთან უკვდავებაზე ფიქრობენ. შენისთანებასაც იმიტომ კლავენ, რომ თვითონ უკვდავება მოიპოვონ.

ეპ, ბიჭებო, ბიჭებო, სანუგეშო რა გითხრათ? ჩვენ რომ აქედან წავალთ, მოვლენ რუსები — ამ მიწა-წყლის ნამდვილი მეპატრონენი. მერე უჯვარო საფლავებს წაშლის წვიმა, მზე, თოვლი, გუთანი... ყველა საფლავი იშლება ბოლოს, ყველაზე ადრე კი — უცხო ქვეყანაში სავომრად მისული ადამიანისა.

ვერონკა, ვერა, ვიცი, შენც მოხვალ აქ და მეზობლებს უთხარი, ველდეშის საფლავს მაინც ნუ წაშლიან. უშინდეს ადამიანად მოკვდა, არაადამიანურად კი დამარხეს.

იანოშ, მინდა ჩამოგძახო, რომ შენი მკვლელი აღარ არის ცოცხალი. იქნებ საკანში ისიც კი იფიქრე, ენდრემ გამყიდაო, ხოლო როცა თოფით პირისპირ დაგიდექ, ფიქრი დაინამდვილე და ისე დახუჭე თვალი?

გეფიცები, ვიპოვი იმ იუდას, ვიპოვი და...

ნახემდის, იანოშ, დაგვილოცე გზა! მშვიდობით ლაცი, მშვიდობით, გაბორ, მშვიდობით. ბიჭებო!



— მათიამ, ა, მათიამ... გაიღვიძე.

— რა გინდა?

— დიულას კანცელარიის მარტია სძინავს. ასეულის მორიგემაც დაიძინა.

— ჰო, ჩავიცვამ ახლავე.

დერეფანში ფეხაკრეფით გავვლით.

მათიამ კანცელარიის კართან დავაყვებე, მე კარი ოდნავ ავწიე და ისე შევალე. არ გაუჭირაო. ფრთხილად გადავდგი ნაბიჯი, დიულას თავზე დავადექი, ხელფარანი პირისახეზე დავამუ-

ქე და გერმანული დანა-ხიშტი მკერდზე დავაბჯინე:

— ჩორდაშ, გაიღვიძე!

— ა, აა?! ვინა ხაარ?! — დაფეთღო დიულა და აცახცახებული წამოჯდა.

— არ დაიყვირო, თორემ გაგვუდავ!

— რაა გინდა, ენდრე? — წახდა კაცი. თითქოს მანქანამ გადაუარაო, მთელი პირისახე მოენგრა.

— რამდენი ვერცხლი მოგცეს, იანოში რომ გაყიდე?

— მევეც შევეგონა... ვიფიქრე, რას შეერჩის-მეთქი?! — დიულამ გაიღიმა და ლოყაზე დამლა გაეზარდა.

— თავს ნუ იკატუნებ, ყველაფერი გავიგე.

— ვინ გითხრა?

— ჩიტმა მომიტანა ამბავი.

— რაო?

— დიულას კარზე ჰქონდა ყური მოდებული და ვისმენდაო, — რაკი იანოში მებრტყედ მიიჩნდა, პირველად ის დააბეზლაო.

— მათყუარა ჩიტი ყოოოფილა... მააგას გეერა გეიტყოდა.

— გერა რა შუაშია?

— ყველა ცდილობს, თავისი ბინძური ააამბავი სხვაას გადააბრალოს. საააბუთს საად გაექცევა? სხვალვე მოვიტან შტააბიდან ოქმის აასლს.

— ნამდვილად იცი, რომ გერამ გავყიდა?

— გასწიე ევეგ ხიშტი! გეიტყვი ყველაფერს. ჩვენს ყაზარმას საარდაფი რომა ააქვს, იიიცი?

— ჩვენი ლუმელის ქვეშ?

— ჰოო. იიმ დღეეეს სურმე გეერას ფეხს სტკიოდა, ბააროტის სთხოვა, ყააზარმაში დაამტოვეო. სეერუანტს უარი არ უთქვამს, ოლონდ მოოორიგეს ააარ შეეჩხირო თვაალშიო. გეერა დერეფნის კიბით საარდაფში ჩაასულა და დააწოლილა. მეეორე დღეეეს ოობერს დააუღერდა ყველაფერი.

— დიულა, იცოდე, შევემოწმებ დოთუ მატყუებ...

— მოომკალი მააშინ... აახი იქნება.

— კარგი, დაიძინე ახლა. ეს ამბავი

არსად წამოგცდეს, თორემ ენას ამოგაცილი!

ხელფარანი ჩაეაქრე და დერეფანში გამოვედი.

— გიიგე, მათიაშ?

— გავიგე. ახლა რას აპირებ?

— ლორივით დავკლავ და იქ დავაგდებ, სადაც მაშინ იწვა.

— მოიცა, ნუ აჩქარდები. ჯერ შეამოწმე. სულმდაბალი ბიჭი კი არის, მაგრამ... მაინც შემოწმება სჯობია. არც ეგრე მოკვლა ივარგებს, თავს წააგებ. გარეწარს ხომ არ უნდა გადაჰყვე? გავიტყუოთ ტყისკენ და... ყაზარმაში სისხლის დაღვრას არ გირჩევი, არც გვამის სარდაფში დაგდებას. ჩემგან არ გესწავლება...

— კი მესწავლება... მართალი ხარ.



ყაზარმის გულშეაღაღ ვდგავარ. შუალამეა გადასული. სძინავს თოვლიან მიწას, სძინავს ღრუბლიან ცას, სადღაც ღრუბლებში მთვარე წევს. ირგვლივ კაცის ჰაჭანება არ არის. ეზოში გერა გამოვიდა და უმაღლვე ჩაცუცქდა.

— ადექი! — დავუმიზნე ხიშტიანი თოფი.

— რა გინდა?!

— ეზოს ნუ პილწავ.

ათიოდე ნაბიჯი გადადგა და ისევ ჩაცუცქდა.

— შენსას არ იშლი? გაგაციებ აქვე! წადი იქით!

— ენდრე, რამ გაგაცოფა?!

— წადი-მეთქი!

ჩემმასთან მივდენე და უკან მოვიხედე, ეზოში ხომ არავინ გამოსულა-მეთქი. არავინ იყო.

გერამ ჩემჩის კარის გაღება დააპირა.

— უფრო შორს წადი!

— იქით რა მინდა?!

— ჰასთან უნდა მივიყვანო.

— ჰასთან?! — ისე აცახცახდა, მოხურული ფარაჯა გადაუვარდა.

— შენ გინდა ომი? რამ დაგამუნჯა? არ გინდა ხომ? გიყვარს, ვინც საომრად გამოვავლო?



— რატომ უნდა მიიყვარდეს?
 — აბა, იანოში რატომღა დააბეზღე, ვილაცყები უშვერად მოიხსენიაო? ჰა, ამოილე ხმა!
 — არ მეგონა თუ დახვრეტდნენ. რას მერჩი, შენ ხომ გიპატიე...
 — მე რა მქონდა საპატიებელი?
 — შენც კი თქვი მაშინ ისეთი რაღაც.
 — წადი ჰისკენ, ჰა, ჩქარა!
 კანკალმა აიტანა. საშინელი სუნი მეცა.

გერა მუხლებზე დაეცა და ხელები რატომღაც თავზე დაიფარა. ერთი კიდევ გაგზედე ეზოს და არც ვაციე, არც ვაცხელე, თოფის კონდახი საფეთქელს დავეშინხე.

უიარაღო კაცის მოკვლა ვერ არის ვაეკაცობა, მაგრამ ვაეკაცურად მხოლოდ ვაეკაცთან შეიძლება შებრძოლება. თავად გერა კი როგორ მოიქცა მაშინ? უფრო ხელსაყრელი დრო მე, ალბათ, აღარასოდეს მომეცემოდა. ახლა კიდევ რომ დავენახე ვინმეს, ვიტყვოდი: გაპარვას აპირებდა სადღაც, დაბრუნება დავუპირე, არ დამემორჩილა და იძულებული გაგზდი, ასე გაგსწორებოდი-მეთქი.

უცნაური გრძნობა დამეუფლა: გარეხული კაცი გაგზდი. თითქოს ძალიან დავშვიდდი და თითქოს საშინლად ავფორიაქდი. შიშმა და სიხარულმა, სიამაყემ და რაღაც დამამცილებელმა ერთად დამრია ხელი.

სძინავს თოვლიან მიწას, სძინავს ღრუბლიან ცას, სადღაც ღრუბლებში მთვარე წევს. მე ხიშტი თოვლსა ვჩხვერავე. ვერთობი, თითქოს ქვეყნად არაფერი მომხდარაო.

●
 აღვმას ნახევარი საათი რომ აკლდა, განგაში გამოცბადდა.

— მათიამ, რვეულები უნდა შემინახო! შენს ზურგჩანთაში ჩადე და... მერე, თუ მოგიხერხდეს, შინ გამიგზავნე როგორმე.

— რა მოხდა?
 — არაფერი.
 — აბა, თვალი გამისწორე!

საიდუმლო გავანდე...
 ამო გამოდგა შიში. სულ დავგაცლებინეს ყაზარმა, დავგამწკრივეს და სადგურისაკენ ძუნძულით წამოგვიყვანეს. გერა იქლა მიიკითხ-მოიკითხეს. მის საძებრად ვილას ეცალა, ხელი ჩაიჭინეს, გაპარულაო.

●
 დუგდუგით გარბის ჩვენი ეშელონი. გაჩერებას აღარც ფიქრობს. ღამდება უკვე. სადღაც, შორს, ხანძრის ენა ლოკავს ცას. ჩვენი ეშელონი, ალბათ, იქითკენ გარბის.

გერა იქ რომ არ ჩამეძალღებინა, ახლა გადავაგდებდი ვაგონიდან. არც ბაროტისა და ბენკეს დაადგებოდათ კარგი დღე: თავს უშველეს ოხრებმა: სხვა ასეთულში გადავიდნენ. აქაოდა, იქ ჩვენი სიავკაცის ამბები არ იცინაო.

აღმოსავლეთისაკენ მივიღივართ და მიგვაქვს ღამე.

●
 13 მაისი, 1943 წელი.
 ახლა მომავონდა, ხვალ ოცდაერთი წლისა ვხდები.

ამ დილით მზე ძალიან შორს ამოვიდა, დიდი, ძალიან დიდი მზე. მერე თანდათან დაატარავდა. ახლა მზე ეშელონს მოსდევს გვერდით. მორბის რილოჭრილო მინდორზე, მიტურავს პატარ-პატარა ტბებსა, გუბეებსა და დიდ მდინარეებზე.

უკიდევანო სივრცეს ვაყურებ შორს, ძალიან შორს, ცის დასალიერში. სადღაც იქ მეგულება ჩემი მზე. რაკი ვერ ვხედავ, თვალსა ვხუჭავ, იქნებ ასე მაინც დავინახო.

სალამომდე სდია მზემ ჩვენს მატარებელს. დაიღალა. ახლა ღამე მოსდევს. სადღაც ხანძრის ენა ისევ ლოკავს ცას.

ამბობენ, სამხრეთისაკენ მივდივართო. ისეთ ვაგონში ვართ, პირუტყვი რომ გადაპყავთ ხოლმე. ხალხი კვლავ ორსართულიან ტახტზე წევს. უკვე ნამდვილი ჯარისკაცები არიან: ფარაჯები აცვიათ და თოფები აქვთ, ვაზნიანი თოფები.

არ მინდა სიბნელეს ვუყურო, თვალსა ვხუტავ, ვაგონების დაგადუღსა და ხრტი-
ალში მესმის ყველა ხმა, რაც ამ სამიოდე
თვეში გავიგონე.

კივის ნაჯახით თითებწაჭრილი ჯარის-
კაცი. გმინავს გაბორ ვარგა. საფლავი-
დან გინებით დგება მიხაი გონდა: მშვი-
დი ძილი მიწაში მაინც დამანებეთო.
სკდება თოვლში ნაღმი და ცაში ბურთი-
ვით ისერის სისხლით მოთხვრილ ად-
მიანს. ისმის თოვის უახანი, იანოში არ
ეცემა. ისევ ესერაიან, ქედმოუხრელად
დგას, ღრმად სუნთქავს და მისი სუნთქ-
ვა ქარიშხალს აჩენს. ნაღვლიანად იცი-
ნის ლასლო.

რაღაცას უჯაკუნებენ, თითქოს კუბოს
აჭედებენო. ლიანდაგმა და მატარებელ-
მა შეხმატკბილებული სიმღერა იციან
ხოლმე, ახლა არ მღერიან.

ვიღაც მოსთქვამს ჩემს გულში. ვერ
გამირჩევია: ეუუქანას ხმაა თუ ელმირა-
სი. რატომ მეჩვენება, თითქოს ეუუქანა
უფსკრულის პირას დგას და თუ მე არ
მივეშველე, გადავარდება?

იღუბება ქალი, მე კი ვერ ვბედავ,
მკლავში ჩავავლო ხელი და აქეთ გამოვ-
წიო. არადა, იმის უფლებაც არა მაქვს,
არ გადავარჩინო...

სადღაც შორიდან, სიბნელეში მოდის
მატარებელი და მიახლოვდება. მე მატარ-
ებლისაკენ მივიღივარ, ის — ჩემკენ.
ორი თვალი აქვს ანთებული, კაშკაშა
თვალი. მე მხოლოდ იმ ორ თვალსა ვხე-
დავ ახლა. ორი კაშკაშა თვალი თანდა-
თან მიახლოვდება და დიდდება.

მატარებლის თვალები სიბნელეში ჩა-
ინთქა. იქვე ადამიანის თვალებმა შე-
მომანათეს.

ვისია ეს კაშკაშა თვალები, იანოშის,
ეუუქანასი თუ ელმირასი?

ვინ დაჰკიდა ცაზე სისხლისფერი მზე?
რატომ გდია თეთრ თოვლში სისხლის-
ფერი ჩექმა? ვინ გააუქმა მინდორში უა?

სადღაც ზარს რეკავენ... ერთს კი არა,
ათასს. ეს მართლა ზარია თუ გუმბათის
ჯვრით ოთხად გაჭრილი მზე რეკავს ასე?
იქნებ ტყის პირას რომ ახალი სასაფ-
ლაო გაჩნდა, მისი ჯვრები ეხლება ერთ-

მანეთს და ისინი ეღრიალებენ ზარები-
ვით?

მივხვდი: ოთხად გაჭრილი მზე ტყის
პირას გაჩენილ სასაფლაოს ჯვრებს ეყ-
რება თავზე, მერე ჯარისკაცთა მუზარა-
დებსა ხედება და ყველაფერი ეს ზარის
რეკვად ისმის.

იოყეფს საფლავიდან გუმბათისოდენა
მკლავი ამოუშვებია. ამას სიზმრად კი
არა, ცხადად ვხედავ — ყინულის დიდ
სარკეში. ჰყეფს სისხლისფერ ჩექმები-
ნი ძაღლი...

იმსხვრევა ყინულის უშველებელი
სარკე. ორიოდ ნატები მე დამეცა გულ-
ზე და წვეთ-წვეთად დამადნა. დანარჩე-
ნი მთად დახვავდა. ყინულის მთამაც
დაიწყო დნობა. ჯერ ნიაღვრად მოსკდა,
მერე მდინარედ.

მდინარეს იანოში მოაქვს. ვერ და-
უხრჩვია. ისე დგას წყალზე, თითქოს
ფეხქვეშ ბროლის სარკე უდევსო, და
მოჰყვება ბროლის მდინარეს. იღიმება.
მე მიღიმის. ორი იანოში მიღიმის: ბრო-
ლის სარკეზე მდგარი და ბროლის სარ-
კეში თავდაყირა ჩაკიდებული.

ეს წარსულის სარკეცაა და მომავ-
ლისაც.

წარსულის სარკეში მხოლოდ ორი ია-
ნოში დავინახე, მომავლის სარკეში გარკ-
ვევით არაფერი ჩანს — ნისლისფერი ყი-
ნულისაა.

ეს რაღაა?! ვინ დაახატა ცას ბავშვის
გაფარჩხული ხელი, ვარდისფერი ხელი?
ბავშვისავე დახატულ მზესა ჰგავს, ამო-
მავალს. როცა თავად მზე მხოლოდ ნახე-
ვარი ჩანს, მსხვილი სხივები კი მთელ
ტატნობზე გაუშლია. გაფარჩხული ხე-
ლის ხუთი თითი თითქოს მზის ხუთი
მსხვილი სხივიაო. ყველა თითი ხიდიც
არის — ცის უსასრულობაში მიმავალი.

ეს მათიაშის ნაბოლარა ბიჭის ხელია,
თუ... იანოშის ბავშვის?

ეჰ, იანოშის ბავშვი ჯერ ხომ არ და-
ბადებულა.

ბავშვის გაფარჩხულ ხელს თითის
წვერებზე საზამთროები დაუტრიალდა,
ცირკში ჯამბაზი ჭრელ ბურთებს რომ
ატრიალებს ხოლმე, ისე.

უცებ ვარდისფერ ხელს შავმა თვით-მფრინავებმა გაუჭროლ-გამოუჭროლეს და ხელი უმაღლე გაჭრა.

მთელი ცა თვითმფრინავებით გაივსო, ყუმბარებმა ყრიან.

მართლა ყუმბარებია თუ გაუჭრელი საზამთროები? არ მესმის, სკდება თუ არა. იქნებ ისე მძლავრად სკდება, სულ დამაყრუა?

მზე შეშინებულივით ვარბის. სადღაც შორს, დაღმართზე დაეშვა და იქ უზარ-მაზარ ჯვარს გადააწყდა.

ჯვარცმულ მზეს ღვართქათად გად-მოსკდა სისხლი...



ენდრემ სქელი რვეული დახურა და სადღაც შორს გაიხედა, ოთახის მიღმა.

ფანჯარაში უკვე დილა იყურებოდა. გარინდებულ კიბარისებში ჩიტები ქივ-ქივებდნენ.

ვერ ავიტანე ოთახში ჩამოწოლილი უცნაური დუმილი.

— მერე? მერე რა მოხდა?

გარინდებული ენდრე ჩემკენ შემო-ბრუნდა:

— ეს არის სულ, მეტი აღარ დამიწე-რია. დილით ეშელონი ტრამალზე გააჩე-რეს. მინდორს ყუმბარებისაგან ამოთხ-რილი ორმოები ისე აჩნდა, გეგონებო-დათ, შავი ძაბრები ჩაუსვამთო. ხევში ჩაგვიყვანეს და შეგვამოწმეს. მერე მთელ დამეს ვიარეთ. შორიდან გრგვინ-ვა-ქუხილი ვვესმოდა. ცას წამდაუწუმ აწყდებოდა ელვა. სადღაც უშველე-ბელი ხანძარი ენთო. ჩვენ იმ ხანძ-რისკენ მივაბიჯებდით. მზე რომ ამოვი-და, ტყის პირას შევისვენეთ. მუხის ძი-რას მივეგდე და ბანგდალეულივით ჩა-მეძინა. უცებ ერთდროულად ჩამესმა ჯარისკაცების ქოთქოთი და თვითმფრი-ნავების ამაზრბენი ზმუილი. ბორცვთან ბომბი გასკდა. ფეთიანივით წამოვბტი. ტყეში უნდა შემერგო თავი, შიშველ მინდორზე კი ვაკუტრცხლე. ციდან თვითმფრინავის ღმუილი და ტყვია-მფრქვევის კაკანი დამედევნა. მეგონა, ბარძაყში ცხელი სადგისი მკრეს-მეთქი,

მერე ზურგზე დამარტყა რალაცამ და მოწყვეტით დამანარცხა ძირს. მსუბუ-ქალ დავიჭერი, ორი ტყვია კი მომხდა: ერთი ბარძაყში, მეორე — ზურგჩანთა-ში. ახლაც ვერ გამიგია, ნამძინარევი რომ წამოვბტი, ზურგჩანთა როდის ავი-კიდე. თოფი და ფარაჯა იქვე დამჩნა, მუხის ქვეშ. ჭრილობა ოდნავ რომ მო-მიშუშდა, კვლავ ფრონტზე დამიპირეს გაგდება. ერთმა მოწყალეობის დამ შვიდი კაცი რუს პარტიზანებთან გაგვაპარა. რაზემლებმა ძმებივით მიგვიღეს. მერე ერთად ვაფეთქებდით ხიდებსა და ჰიტ-ლერელთა ეშელონებს. იცოცხლე, მე ფაშისტების ჯავრი ვიყარე, — ენდრე შეჩერდა, რვეული კარადაში შეინახა და განაგრძო, — შენ, ალბათ, სხვების ამბა-ვიც გაინტერესებს.

— რა თქმა უნდა.

— ბიზარი ომს სასლალამათი გადაურ-ჩა, ფრჩხილიც არ წამოსტკენია. ცოტა მოხუცდა, მაგრამ ჯან-ღონე ჯერ არ და-ლატობს, მთაში სანადიროდ სიარულს არ იშლის. ბენკეს პირველ ბრძოლაშივე ჯილდო და ოფიცრის ჩინი მიუღია, მე-რე ნაღმს ფეხი წაუწყვეტია, ახლა კი მარგიტის ხიდის ყურთან ზის ხოლმე არყით გამობრუებული. ხის ფეხს გამვ-ლელ-გამომვლელის წინ ათამაშებს და მათხოვრობს. ყველაზე სასაციო ამბავი ბაროტის მოსვლია: გერმანელებს დაუ-ხვრეტიათ — მშვიშარა და დეზერტირი ხარო. — ენდრე კვლავ გაჩუმდა.

— ტიბორ ნადის უკანასკნელი თამა-ში როგორღა დამთავრდა?

— საოცრად. მაშინ თქვეს: ნადი სად-ღაც შორს წაუყვანიათ და დაუხვრე-ტიათო. ტყუილი გამოდგა. თურმე პარ-ტიზანებს გაუთავისუფლებიათ. ეს ყვე-ლაფერი ვერონკას მოწოდებითი ყოფი-ლა. ის კი არა და, ტყვეთა ბანაკიდან რომ ხალხი გაიქცა, ამაშიც თურქე ვე-რონკას ხელი ერია. გრიობლი და ის რუ-სი მფრინავიც ვერონკას გაუპარებია ტყეში. სულ სხვანაირი გოგო გამოდგა. სხვათაშორის, ვერონკა და ნადი მერე შეუღლდნენ. ისეთი ქალ-ვაყი ჰყავთ, თვალს ვერ მოაშორებ. ნადის ახლა თა-

ვისი მშობლებიც კი ვეღარ სცნობენ. აულ სხვა კაცად იქცა. პარტიზანობისას ფაშისტებს მწარე დღე აყარა, ახლა ჩემთან ერთად აშენებს ხიდებს. ნამდვილი ოჯახის კაცია.

— შენ? შენ როგორღა გაქვს ოჯახის საქმე?

— ეჰ, ჩემი ამბავი ხომ იცი... გაბორის შეილებს ვეხმარები და იანოშის ვეკაცს ვუვლი. სამშობლოში რომ დავებრუნდი, ქუქიანა ცოცხალი არ დამხვედრია... ძნელია... ობოლ ბიჭს მამასავით ვუყვარვარ... ესღაა ჩემი ბედნიერება. ხშირად დამყავს თან, ხიდების შენებას ვასწავლი. ისეთი ხიდებისას, ზედ სიყვარულმა ბედნიერად რომ იაროს, გამიგე?

— ვიცი.

— მე, ჩემო ძმაო, იცი, რა მანადღლიანებს ხოლმე! ოცდაერთი წლისა ვიყავი, ამ დღიურებს რომ ვწერდი. იმ დროს დაბადებული ბავშვი ახლა უფრო მეტი ხნისაა. დიდი დრო გავიდა, მაგრამ ვიდაცეები თოფ-ზარბაზანს წინანდებურად ტენიან. დედამიწის ზურგზე ჯერჯერობით ერთი დღეც არ თენდება ისე, სადღაც კაცმა კაცი არ მოკლას ტყვიით... და სადღაც მზეს კვლავინდებურად ყოველდღე სდის სისხლი... სხვისი მიწის დასაპყრობად აღზევებულებს, მე მგონია, ირსად გაუმარჯვებიათ საბო-

ლოოდ, ეს ვერ შეიგნეს უგუნურებმა... კვლავ დღემილი ჩამოწვა, მძიმე დღემილი.

— მოსვენე, ენდრე, მე წავალ...

— არა, ახლა რა დროს მოსვენება, ბარემ მთაზე ავიდეთ.

მთისკენ მიმავალ ბილიკს ავუყვებით. ენდრე გორაკზე შეჩერდა და ზღვისკენ მიტრიალდა:

— გახედე, რა ლამაზი სარკეა, დიდი სარკე, ყინულის კი არა, ცისფერი ფიქრის... ჰო, ხშირად მგონია, რომ ეს უკიდევანო კეთილი ფიქრია, დედამიწის ფიქრი, რომელიც ჩამოჰყვამ აქ დუნაისა და რიონს, დნებრსა და დონს... ეს უამრავი მდინარის ფიქრია, ხელიხელგადახვეულ მდინარეთა ლამაზი ფიქრი, ზოგჯერ მღელვარე, ზოგჯერ წყნარი, მაგრამ ყოველთვის კეთილი... მე მინდა, ასე იყოს.

ენდრე ახლა თვითონაც კეთილ ფიქრსა ჰგავდა.

მთიდან ამოიხედა და ნელ-ნელა აიწია უზარმაზარმა მზემ.

ზღვა ახლა უფრო გაბრწყინდა და დაემგვანა ვეება სარკეს.

მე ვიგრძენი, რომ იმ სარკეში მზიანიცა ჩანდა, უკიდევანო ლურჯი ცა.

მზეს სისხლი არა სდიოდა, ოჭროსფერი სხივებით ქსოვდა ქვეყნიერებას.



ოთხი ლექსი

ნაწვიმარზე

კარგა ხანია შეჩერდა წვიმა,
ფოთლიდან მაინც წვეთები ცვივა...
და ერთი ციცქნა პატარა წყალი,
ციმციმებს, როგორც სამყაროს თვალი,
ციმციმებს, ბრწყინავს და თითქოს იცის,
რომ ნაწილია ცისა და მიწის.

სადა ხართ, მთებო!

სად დაიკარგნენ, სად წავიდნენ ნეტავი მთები,
რად მხვდება მართო სინესტე და ჩრდილები ხეთა.
გზაში ამდენ ხანს რად არ გხედავთ, რად არა მხვდებით,
ხეთა შრიალმა ამ ვრცელ გზაზე რად დამიხელთა!

სად დამეკარგეთ, რად არ სჩანხართ, სადა ხართ, მთებო,
რად მიმატოვეთ თქვენი შვილი მართოკა გზაში,
მართო ხეების გარინდება რად დავიკვებო,
ხეთა შრიალიც შუბლს მიგრილებს მოგზაურს მთაში.

მთას გარინდებულს, ალურჯებულს, მაღალს და ზვიადს:
აბა ვით შეცვლის თვალუწვდენი გაშლილი ველი,
სიმაღლეები სამფლობელოდ თუ გაგიხდია,
მთას რომ ეტრფოდე აქ რა არის გასაკვირველი!

ვიცი, რომ უფრო მაღალნი ხართ, შერდილხართ ცასთან
და უფრო სუფთა ჰაერს სუნთქავთ, მზეს ადრე ხვდებით,
თქვენ მაღლა სწრაფვით, სიძლიერით ახლო ხართ კაცთან
თქვენ კაცის გუჟანს და საწაღელს ადრევე ხვდებით.

ტრიალ მინდვრებში მართობა მე ველარ ვძლიე,
ამ შარავზაზე უთქვენობა დამეტყო ძლიერ.
რად შემატოვეთ ეს ფიქრები, ეს სევდა მწველი,
რად შემატოვეთ ეს ქვეყანა თვალმოუწვდენი.

სინანული

რამდენს ვფიქრობ და რამდენს ვეძიებ,
 ახლა დღედაღამ ვმოქმედებ, ვიღწვი.
 ჩემს ყრმობას მაინც ვერ დავეწვი,
 ჩემს ყრმობას მაინც ვერაფრით მიეწვდი.

რას დაეწვი — გაქრა, წავიდა,
 რაც იყო გუშინ, რაც იყო ძველად,
 ხომ ვერ დავიწყებ ახლა თავიდან,
 რაც ვერ შევძელი ან გამიძინელა.

შემომრჩენია ახლა ბინდილა,
 სულ თქვენზე ვფიქრობ, სულ თქვენ გინდებით —
 ო, ყრმობის წლებო, როგორ მინდისართ,
 განვლილო წლებო, როგორ მჭირდებით.

ეს პატარა მდინარე

ეს პატარა მდინარე,
 მე მეგონა მძინარე.

თურმე მასაც სცოდნია,
 უცბად გაგულსება,
 თურმე ისიც კლებულობს,
 თურმე ისიც ივსება —

მთასაც ვადმოაბოტებს,
 ბარშიც ვაიჯირითებს,
 თითქოს ისიც აბოდებს,
 ისიც ეძებს პირიმზეს.

თვალს რომ მოჰკრავს ღილაღოს,
 ვერ აცდება ცდუნებას.
 მეც რომ ჩავილილინო,
 რამე გამემტყუნება?



კანონი

მოთხოვნა

ინჟინერი ვარ, როგორც იტყვიან, ახლად გამოცხვარი მშენებელი. ტიტული, იცოცხლეთ, კარგი მაქვს, აშენებლისა კი რა მოგახსენოთ: უბრალო ჯიხურიც არ ამიშენებია ჯერ. ან როგორ უნდა ამეტორიდან კანტორაში წაწვალს მოგუნდი? ჩემი ამხანაგები რა ხანია საგზურებით წავიდ-წამოვიდნენ, მხოლოდ მე ვარ ფარას ჩამორჩენილი ცხვარივით გზაკვალაბნეული.

კაცმა რომ თქვას, რად ჩამოვცილდი ამხანაგებს, აუტივარი თავი რატომ ავიტკივე? ისე, მთლად ჩემი ბრალიც არაა. როგორც კი ვთქვი, ყაზახეთში მგზავნიან-მეთქი, ჩვენებმა ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს. ყველაფერი კი იმის ბრალია, დედისერთა რომ ვარ.

ჩემი დარჩენის თაობაზე ოჯახში ერთსულოვანი აზრი დამკვიდრდა. დიდი და პატარა ფეხზე დადგა. ტელეფონის ზარი აწყრიალდა, გავლენიანი და მარიფათიანი ნაცნობ-ნათესავებიც დაფაცურდნენ და, აი, მე ისევ ჩემს თბილისში ვარ.

ინსტიტუტის ადმინისტრაციამ დამტოვა, მხოლოდ საგზურის იმედი არ უნდა მქონოდა, — ნუ მომცემენ, ბატონო! საგზური თუ არა, ერთბაშად ქალაქის

მთავარ არქიტექტორად არ დამნიშნონ. ისე კი ჩემი საკადრისი ადგილი უსაგზუროდაც არ წამიგვა ხელიდან. გულარხეინად ვარ, რადგან ვიცი, დედაქალაქში ბევრი სახლი შენდებია, ბევრი სკოლა და ინტერნატი, ინსტიტუტი თუ კომბინატი და რა ღმერთი გამიწყრება ერთი რიგიანი ალაგი ჩემთვისაც არ გამოინახოს? მაგრამ მოგტყუვდი. გრაფიკიდან ამოვარდნილი მატარებელივით ხან სად მლოდინეს, ხან სად. ვიარე კანტორიდან კანტორაში; სამმართველოდან ტრესტში, მერე სამინისტროში, მაგრამ ყველგან განაწილების საგზური მომთხოვეს.

იყავი ახლა ნოდარ ფურცხვანიძეც! ყლაპე ნერწყვი და თბილისის ათასჯერ გადაზომილი ქუჩები ტყეებზე! გულზე ვარ გასიებული, მაგრამ რაღა დროსია! უარს ვიტყვი, ბატონო, ბეზიის გამომცხვარ ტყეცინა მჭადებზე, თახახით გახამებულ ბერანგზე, ოღონდ ამხანაგებთან მამყოფა, მაგრამ მათ უკვე ვერც საქმით მივეწევი და ვერც ნატვრით. ბოლმა მას-რჩობს. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მთელი წელიწადი არც ცოცხლებში ერიო და არც მკვდრებში? და აი, კვლავ შეიყარეს თავი ახლობლებმა. კვლავ აწყრიალდა ტელეფონის ზარი. გავლენიანი და მოხერხებული ნაცნობ-მეგობ-

რებიც ფეხზე დადგნენ და, როგორც იქნა, ერთ-ერთ მშენებლობაზე ათისთავად დამნიშნეს.

— ვაშაა! ახლა უკვე ნამდვილი მშენებელი ვარ! — ქუდი ჰერში ვისროლე.

მამაჩემმა ღვინოების კოლექციით გამოვსებული კარადის კარი უერთამდე გააღო. დედამ სტუმრისათვის გადანახული ქილები — ათასგვარი მურაბა და წნილი — სარდაფიდან ამოალაგა. ბებიამ კი სკივრიდან ფურცლებად ქცეული ლოცვანი ამოიღო... ოჯახში ნამდვილი ზეიმი დაიწყო.

— დაილოცა თბილისი, მისი ბჭე და დულაბი და ისიც, ვინც უფლება მოგცა მშენებლის კეთილი სახელით იცხოვრო აქ, — ენაწყლიანობენ მამა, დედა, ბებია. და აი გზადალოცვილი ათისთავი — ნოდარ ფურცხვანიძე — მშენებლობაზე გამოვცხადდი.

მშენებლობა?! მშენებლობა კი არა, იქაურობა ახლად დაბომბილსა ჰგავს. ყველგან მტერისა და ალიზის ნაფხვენთა ზვინებია.

— თქვე ოჯახმშენებლებო, დაუჩქარეთ, გეგმა გვეფუშება, — იხვეწებიან სამშენებლო კანტორის წარმომადგენლები.

— აბა, დაუჩქარეთ და ფრონტი მომეცით, — იხვეწება სამუშაოს მწარმოებელი, მაგრამ მობინადრეებს არც გეგმა მიაჩნიათ საქმედ და არც ფრონტი, — გულდინჯად არიან.

მუშები თითოეულ აგურს ისე ფრთხილად და ყურადღებით ათვალთვებენ, თითქოს კედელში ჩატანებულ ოქროს ზოდს ეძებენო. შენ რომ ათისთავი ხარ, უყურე და ყლაპე მტვერი.

გავიდა კვირა, თვე... და აბა, როგორც იქნა, დაგვადგა საშველი, — სამუშაოსათვის ფრონტი გავკითხვისუფლდა, თუმცა ეზოს ერთ კუთხეში კიდევ დარჩა რამდენიმე ქოხი ბინადანგრულთათვის დროებით თავშესაფრად. ის კუთხე არ გვეპირდება და არც ხმას ვიღებთ. მოედანზე კი გუგუნებს ბულდოზერი, ექსკავატორი, თვითმცლელები და... ორ დღეში მოედანიც გასუფთავდა. სამუ-

შაოს მწარმოებელმა ნიველირი გამართა. ნიველირება მეც შემიძლია, თუმცა დამოუკიდებლად ჭერ ვერ ვებდავ.

ჩემს უფროსს ნიკო ჰქვია. მამაჩემის ტოლი კაცია და ძია ნიკოს ვეძახი. ურიგო ადამიანი არა ჩანს. ისეთს არაფერს მეკითხება, რომ გავწითლდე; ალბათ, მასაც აგონდება ის დრო, ახალგაზომცხვარი ინჟინერი რომ იყო, თუმცა ტრაზახობს, მე კუტი პურივით ცუდად გამოცხვარი როდი ვიყავიო. არა მგონია, გადაკრული სიტყვა მე მეხებოდეს, — ჯერ ხზმ არ მიცნობს კარგად. ისე პირში მოქმელია, არ დაგზოვავს, მაგრამ კეთილი კაცია და ყველას უყვარს.

— ბოძია, მამაშენის ჯიბე თუ არ გეცოდება, შენი თავი მაინც შეიცოდე, — მითხრა პირველსავე დღეს და თვალეში ჩემს ავსტრიულ მოკასრნებს დაასო. გაცივებისაგან წარბები შუბლზე ამიციცდა: ყველაფერი ყველაფერია, მაგრამ სამუშაოს მწარმოებელი ჩემს პირად საქმესაც თუ გადაწვდებოდა, ეს კი არ მეგონა. ის იყო, უნდა მეთქვა, პატივცემულო, ბანდულებით დღეს ინჟინრები კი არა, მუშებიც არ დადიან-მეთქი, მაგრამ ვინ მაცალა:

— ინჟინერი, ასე თუ ისე, განათლებული მუშაა და არა ღირიყორიო, — ეს თითქოს ჩემი გულისტემის პასუხი იყო.

ჰა, მოდი ახლა და ელაპარაკე ასეთ კაცს, „განათლებული მუშაო“, — მუშა კი არა, შე მამაცხოვრებულო, თექვსმეტი წელიწადი ტვინი გამოლაყეს წიგნებმა, მაგრამ ამაზე არსად მითქვამს რაიმე, ტრაზახში რომ არ ჩამოერთვათ.



მეორე დღეს სამუშაოს მწარმოებელმა დინჯად გაშალა ნახაზი. ნახაზებს მეც დავაკვირდი. ისე, კაცმა რომ თქვას, მთლად მაგარი ვერა ვარ ნახაზების კითხვაში. ეს გენგეგმაო, ეს მიბმის ნახაზიო, ახლა საძირკვლის გეგმაო, მაგრამ შენობის ძირითად პროექტთან ყველაფერი მონაგონია, მერედა რამდენია ის უპატრონო, — დასტა-დასტად აწყვია კანტორაში. აბა, კარგი ბიჭი ხარ და გა-

ართვი თავი, თუმცა მისი თავის გართ-
მევი და ასავალ-დასავალიც სამუშაოს
მწარმოებელს ეხება. ეტყობა, ძია ნიკომ
იცის თავისი საქმე. თანაც, შენს ცოდ-
ნასაც თვალნათლივ ხედავს. არა, მოვკვ-
დები და სირცხვილს არ ვჭამ ამ კაცთან.
სტვანაირად არც გამოვა. დემეტრია დაგ-
ვიფაროს და, ფეხი თუ წავიბოროტყდა,
მამინევე გამოჩნდებიან ჰკუის დამრიგებ-
ლები: სულ სხვა იყო, ბატონო, ჩვენი
დროო, მაშინ სწავლაც იყო, ზრდილო-
ბაც გვჭონდა და უფროსების დაფასებაც
ვიცოდითო, — დაგოწყებენ მორალის
კითხვას და უგდე ყური.

აი, ჩემს ცხოვრებაში დადგა დიდი გა-
მოცდის დღე. ისე კი, თექვსმეტი წლის
მანძილზე, ვინ მოთვლის, გამოცდებზე
რამდენჯერ წამსვლია ფერ-ფერი. კერ-
კეტა ფორმულების ამოხსნა-დაზეპირე-
ბაშიც რამდენჯერ თეთრად დამთენებია
თავზე! მაგრამ დღეს რომ ვუკვირდები,
ყველაფერი ეს მონაგონი ყოფილა ცხოვ-
რების გამოცდასთან შედარებით: აქ თუ
გონება არ გიჭრის, წასულია შენი საქ-
მე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ,
სირცხვილ-ნამუსი გულს შეგიჭამს, დამ-
ცირებული თავმოყვარეობა დაგამდაბ-
ლებს, გალახულივით თვალს ვერავის გა-
უსწორებ. აბა, ინსტიტუტში სამიანი და
ჯანმრთელობა-თქო, ვამბობთ. მე, მაგა-
ლითად, სამიანებს სულ არ ვთაკილობ-
დი. ისეთი შემთხვევაც მქონია, გულქვა
ლექტორს რომ არც მოშვებულნი წვერი-
სათვის მიუქცევია ყურადღება, არც
უძილობით ჩადამებული თვალბისთვის
და გამოცდაზე სამჯერ თუ არა, ორჯერ
მაინც მივეყვანივარ; ბოლოს მაინც კენ-
ჭივით მაგარი სამიანი წამომიღია.

მშენებლობაზე ლექტორები არ არი-
ან, რომ შეედავო, შეეხვეწო ან დაემუქ-
რო კიდევ. არც ამხანაგები ვიდგანან
გვერდით. აქ შენ ხარ მშენებელიც და
პასუხისმგებელიც: საქმეს დაგავალე-
ბენ — უნდა გაუძღვე, მომსვლელ-წამს-
ვლელსაც პასუხი უნდა გასცე, საქმეს
გააფუჭებ — უნდა გამოასწორო. სტუ-
დენტური ძმა-ბიჭობანა დამთავრდა. სამ-
შენებლო მოედანზე მიწის მთხრელი და

თვითმცლელი მანქანები... რაც მთავარი
რია, აქ არიან მუშები და არის სამუშაოს
მწარმოებელი.

სამუშაოს მწარმოებელი ყოველთვის
არა გყავს გვერდით, რომ იმედინად
იყო. იგი ღრუბლებში დამალულ მხესა-
ვით დროდადრო გამოანათებს. აქეთ
გასძახებს, იქ ვილაცის შეუყვირებს, მეც
ამხედ-დამხედავს და ძსევ ვაუჩინარდ-
ბა. აქვე, მეზობლად, კიდევ სახლს აშე-
ნებს და მისი სული და გული მუდამ
იქაა. ეშინია, ხარაჩოებიდან მუშა არ
გადმოვარდეს, შოფერმა ტვირთიანად არ
უგანოს. მოკლედ, იქ ისაა ბატონ-პატ-
რონი, აქ კი მე დამტოვა. რადგან დამ-
ტოვა, საქმესაც უნდა მივხედო, თუმცა
მისახედი და სადღეიდარამო ჯერ არაფე-
რია: ექსკავატორი მთელი დღე ბრღვი-
ნავს, ღოჯებიანი დრუნჩით მიწას ეჭიდ-
ბა, მერე ფეთიანივით ასწევს თავს,
ბრახა — თვითმცლელის ზურგზე და
მანქანაც თავაწყვეტილივით გარბის.

გავდივარ და გამოვდივარ ამ გადაჩი-
ჩქნილ მოედანზე. ორმოს ჩავყურებ, ამ-
წის კლანჭებში მოქცეულ პანელებს ავა-
ყოლებ მზერას, მძღოლს გავესაუბრები.
გზის კუთხეში მიდგმულ ქოხში მოფუს-
ფუსე დისასლისს კიქა წყალს ვთხოვ.
მერე ლედვის ჩრდილში დაგდებულ
მტერიან ტახტზე ჩამოვჯდები და საძირ-
კელის გეგმას ვათვალისწინებ. ამ ნახაზის
კითხვას დიდი ფილოსოფია ან უნდა,
მაინც ჩავკირაკიტებ. ასეა ღღეს... სვალ...
ზეგ და მაზეგავც... ასე გავა, ალბათ, ერ-
თი კვირა და ერთი თვეც. მერე მოდგე-
ბა ფუძე-საძირკველი და კედლების
ამოყვანას შეუდგებიან, ისევ გაიმართე-
ბა ნიველირი. დაიწყება სართულშორი-
სო გადახურვა, ისევ კედლები და ისევ
გადახურვა, — სულ რვაჯერ... და განა
მარტო კედლები და გადახურვა საფიქ-
რალი? ეს კიბის მარშებით, კარნიშებით,
შელესვით, ჯანდაბა და დოზანაო.

პირველი დღეების ციებ-ცხელებაში
გამიარა და გულიც საგულეში ჩადგა.
ახლა ბავშვების ოინბაზობას ვადვენებ
თვალყურს. მთელი ზაფხული ეს ბავშ-
ვები ნანგრევ-ნახაზარზე დატანტალო-

ბენ, ყველას ფეხებში ედებოდა. მათთან დიდად ვმეგობრობ, ძიასაც მეძახიან. ეს სიტყვა მე როგორღაც მეხამულშება, სიცილს ვერ ვიკავებ. მეგონა, მოკლე შარვალი გუშინწინ გავიხადე და თურმე წლები ისე წამომპარვია, ძიაც გავმხდარვარ.

— თქვენ იწყებთ ხართ? — ამოცვივნილ კბილებშუა ენას ატრიალებს ნიუტონი. ნიუტონის უმცროს ძმას ზიგფრიდი ჰქვია და ჯერ კიდევ აკვანში წევს.

— იწყებთ ვარ, — თვალს ვუბაჰუნებ მოსაუბრეს.

— ნიუტონი ამბობს, მეც იწყებთ და „კოსმოტიტი“ ვიქნებიო, — იჭყანება პატარა იზოლდა. გამურულ სახეზე ზოლებად აჩნია ნაცრემლარი.

— კოსმოტიტი არაა!.. — იდაყვს იქნევს ნიუტონი.

— ე-ჰეეე, — უეცრად ყვირის მუშა, გადაიჩქინილ მიწაზე წყალი მოთქრიალებს.

— რა მოხდა! — შორიდან ვეძახი და ზვინულვებზე ბორძიკით მივრბივარ.

— სახაბელა წამოედო მილს, — მეუბნება მეექვსეკვატორე და ჯიხურიდან მშვიდად დაჰყურებს უადგილო ადგილზე ამოხეთქილ „შადრევანს“.

— წყალი გადაკეტით, — ვიძღვევი ბრძანებას. მუშები ონკანის ვადასაკეტს ეძებენ.

— ახლა ნახე სეირა! — იცინის ვაზინთული მეექვსეკვატორე.

— რა სეირი? — შუბლშეკრული შევყურებ, გულში კი ვჯავრობ: „სახაბელა თუ ოხრობა, ნელა ვერ მიაბრუნ-მოაბრუნებთ?“.

— რა და...—თავს მალა წევს, გვერდით აყუდებული დიდი სახლისკენ მახედებს. მე უსიტყვოდ ხელს ვიჭნევ. გუნებაში კი დედაჩემის წყევლა მაგონდება, წყლის ვადაკეტებს სიკვდილსა და არგადარჩენას რომ უთვლის ხოლმე.

მოედანზე ჯერ კიდევ მოთქრიალებს „შადრევანი“.

— იმ მამაცხონებულებს რიყის ქვები ხომ არ ჰკიდიათ მუხლებზე, ასე რომ დაბაჯბაჯებენ? — ახლა მუშებზე ვცხა-

რობ. გუბურასთან უცებ გაჩნდნენ მომავალი კოსმონავტი და მისი და.

— წყალში არ ჩახვიდეთ, თორემ მოგსპობთ, — კივის იმათი დედა. ბავშვები უკვე მღვრიე გუნებში ჩეხუმბალაობენ.

— ძია ნოდარ, აი ჩემი გემი, — ძმაცაცივით მეძახის ნიუტონი და თუნუქის ნაჭერს ტალახიან წყალში დააცურებს. იზოლდა კი შეშინებულ კნუტს ძალით სვამს თუნუქებ.

— ახლავე ამოდით, თქვე გასაწყვეტლებო! — ცხარობს დედა.

წყალი განუწყვეტლივ მოთქრიალებს, გაუწული კნუტიც ცეცხლწაქიდეზლივით გარბის.

როგორც იქნა, ენა დაუმოკლდა „შადრევანს“, მერე მთლად ჩაუვარდა მუცელში.

— ამდენ წყალს რა დაწრიტავს, — ვბუზღუნებ ჩემთვის და ავურისფერ გუნებში მოტყაბუნებ ბავშვებს დავყურებ.

— ორ საათში ცვარიც არ იქნება, — მამშვიდებს მძლოლი და ექსკავატორს ხან წინ ეწვევა, ხან უკან. მერე გვერდით შეაბრუნა და აახრიალა. მანქანამ ახლა უფრო ღონივრად გააქან-გამოაქანა ღოჯებიანი ყბა და თვითმცლელის ზურგზე კვლავ გაისმა — ბახ... ბახ... ბახ...

ეზო გადაეჭერი, ოდრო-ჩოღროებს ავყევი, ზვინულები გადავიარე, თბრილებზე გადავხტი და ამწის გამართავ ბრივადსთან შევჩერდი, — მილის შეკეთება ვთხოვე. მერე კვლავ ძველ ადგილას დავბრუნდი.

ქოხების წინ რომ ხელისგულისოდენა მოედანია, — ბანიც არის და საჩეხიც. სახელდახელოდ შეფიცრული და ტოლით გადახურული ხუხულები ერთიმეორეზეა მიდგმული. ნიუტონის დედის მეზობლად ჭალარა მანდილოსანი ცხოვრობს. მთელი დღე წიგნში თავჩარგული ზის და ვერავის ამჩნევს. ასეთი უკარება ქალის მნახველი ნამდვილად არავარ. ავერ თვე გავიდა აქ ვტრიალებ და ერთხელაც არ მომსალმებია. ვიფიქრე, უფროსი ადამიანია და თვითონ დავუკრავ თავს-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდით! არ უნდა სალაში და ბრძანდებო-

დეს. ერთ ჭიქა წყალს სხვაც დამალევი-
ნებს.

სამუშაოზე, რომ მოვდივარ, ნიუტონის დედას ვესალმები, კაჟანდარასა და ფერმერთალ ქალს. თავისი შვილივით მასაც ორი წინა კბილი აკლია და სასაცილოდ ჩიფჩიფებს. მერე ტუჩებზე ხელს აიფარებს და იცინის. ეტყობა, კეთილი ქალია. ჰალარა ქალის მეზობლად, ეზოს კუთხეში, გამოყრეხული, გრძელღვავა ბერიკაცი ცხოვრობს, გამხდარ თითებში კრიალოსანი უჭირავს და მელოტი თავიდან ბუხრის ქედს არ იშორებს. ზის ფეხებგადახერხილ ტაბურეტზე და საათობით უყურებს ბულდოზერს. ყურისწამლები ხრიალი ისმის ირგვლივ. მანქანა ღმუხლით ხან ზვინულზე მიბობლავს, ხან შიგ ეფლობა. ბერიკაცი გაძვალტყავებულ თითებში მარცვლავს კრიალოსანს და ჩუმად ბუტბუტებს:

— ვაჰ... ვაჰ... ვაჰ...

ვიცი, როდის დგებიან ნიუტონი და იზოლდა: როდის ხვეტავს წინკარს იმათი დედა, როდის მოაქვს საუზმე და სადილი მამისათვის კრიალოსნის მოხუცის ვათხოვილ შვილს. იმ ჰალარა ქალს კი (ნათას რომ ეძახიან), მუდამ წიგნში აქვს თავი ჩარგული.

დღეს არა ჩანს ბუხრისქუდიანი მოხუცი, შვილს არ დაელოდა, ისე წავიდა სახლიდან. არც კაჟანდარა ქალი საქმიანობს. „ზიგფრიდი მყავს შეუძლოდო“, და აკვამს არ შორდება. ჰალარა ქალი ამოჩემებულ ადგილზე ზის, მხოლოდ უწიგნოდ; ცერად დადგმულ, ყუთსამოფარებულ ნავთქურაზე სადილს ხარშავს, თან თვალი ეზოსკენ უჭირავს.

გაზეთი გავშალე, კითხვა დავიწყე. ეზოში ბავშვები ასხრიალდნენ.

— ნათა ბებიასა! ნათა ბებიასა! ელეონორა მოდის!—და—ძმა ერთმანეთს ეჯიბრება ყვირილში. აწრიალდა ჰალარა ქალი, შესაგებებლად გაემართა. მივხვდი, ელეონორა ამ ქალის შვილი იყო.

„რაც ფეხვია, ნაყარიც ის იქნება“, — ვფიქრობ და რაღაცით თუ ვილაყის მიერ შეურაცხყოფილს არ მსურს იქით-

კენ გახედვა, თვალები კი ნელ-ნელა შორდება გაზეთს.

„ღმერთო ჩემო! ნუთუ ეს მისი ქალი-შვილია?“

ჩემდაუნებურად ფეხზე წამოვდექი. ალისფერი კაბა მაღალ თეძოებზე შემოტმასნია. თვალს ვერ ვუსწორებ. ბავშვები გარშემო ეხვევიან, არ შორდებიან, ის კი ინაზება, ჭირვეულობს, კისკისებს და... მე მიყურებს: აქ არ მომელოდა უცხოს და ეატყობ, დიდად არ ვეპიტნავები. არც ჩემი უსიტყვო ალტაცება აოცებს. — ასეთი რამ უტეხო არ უნდა იყოს მისთვის. ერთხელ კიდევ ამხელდამხედა და ზვიადად გაიცინა.

„წმინდა სულისას არა ჰვავს, — ვფიქრობ მე, — ალბათ ჯადოქარია, გრძნეულია“, — ვარწმუნებ თავს და მინდა იგი ნამდვილად ჯადოქარი იყოს...

„ახალი ბინა“, „ახალი ავეჯი“... — კანტიკუნტად მესმის მათი ლაპარაკი, ოჯახის ამბავს უყვება დედა. მერე მისი კისკისი ყველაფერს ფარავს.

„ასე ტყის ალი იცინის“, — ვბრაზობ და იქაურობას ვშორდები.

კალატოზებთან მივდივარ. ყურში მაინც ის სიცილი ჩამესმის.

— რად იგვიანებენ მანქანები? — ეეკითხები მეექსკავატორებს.

— არ იგვიანებენ, — თავს აქნევს იგი. მინდა მანქანა ხრიალდებდეს, ბულს აყენებდეს, მაგრამ მსგავსი არაფერი ხდება. ახლა წყლის ამომქაჩავი ტუმბოსკენ მივიწვევ. გეოლოგიური ჭრილი კანტორიდან გამოგზავნეს, თან ტუმბოც დადგეს, მიწისქვეშა ყამირწყლებია ამოსაქაჩი. იზოლდა და ნიუტონიც აქეთკენ მორბიან.

„იმ კუდიანმა ბავშვები თამაშს მოაციდინა“. — ვფიქრობ გაჭავრებულნი.

— წყალში არ ჩახვიდეთ, თორემ კანტებს აგოწვავთ. — იმუქრება მათი დედა.

— ელეონორა ჩამოვიდა, — ამბობს ნიუტონი.

— ვინ არის ელეონორა?

— ელეონორას ელა ჰქვია, — უსწორებს ძმას იზოლდა.

„ელენე... ნორა... ელა! თუ ყუდიანი არ არის, რად უნდა სამი სახელი?“ —



ჩუმად ვჯავრობ, შემდეგ ისევ ვეკითხები.

— სად იყო ელა?

ბავშვები ერთმანეთს უყურებენ, — არ ვიცითო.

— სად სწავლობს?

ისევ ერთმანეთს უყურებენ.

— ვინ ჰყავს ელას?

— ვინ ჰყავს და დედა ჰყავს და კიდევ მამა ჰყავს. — ერთმანეთს ასწრებენ პასუხს.

სამუშაო დღე ძლივს მთავრდება და გულდამძიმებული შინისკენ მივდივარ.

● დილით არავის გავუღვიძებია. უთენია წამოვხტი.

— ცუდი სიზმარი ხომ არ აგყვა, შვილო? — თვალეში შემომყურებენ დედა და ბებია.

— სიზმარი კი არა ათასი საქმე მაქვს: ამწე გასამართავი, წყალი ამოსაქაჩი, საძირკველი ამოსათხრელი და, ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ, — რიხიანად ვლაპარაკობ.

მთა არ იციან, რა არის ამწე, როგორ ექაჩებიან ტუმბოთი ყამირწყლებს ან როგორ იჭრება ლენტური საძირკველი, მაგრამ მაინც მშვიდდებიან. მოვანახე ავსტრიული მოკასინები, ნეილონის პერანგი. ქოჩორსაც მოდურად ვივარცხნი და მშენებლობისაკენ მივიჩქარი. ძალიან აღრეა. ტრამვაი ცარიელია, ტროტუარებიც, არც სამშენებლო მოედანზე ისმის ჰაქანება. დოლბანდამოფარებულ ქოხებშიც სიწყნარია. მხოლოდ დაბლა, ხევში, გამბულად ჭყვიტინებს ზურნა.

„ალბათ ქურთებს ქორწილი აქვთ“, — ვფიქრობ და ხევს ჩავყურებ. ხელხელჩაკიდებული ქალები ზანტად ირწევიან. უცებ მოცეკვავეები სადღაც ქრებიან. მე თვალს ვხუჭავ და ვუყურებ ქორწილს: არაქათამოკლილი მაყრიონი ბანდალებს, ღამენათევი პატარძალი მხარზე თავს მადებს და შუბლზე ჩამოშლილი თმა ლოყაზე მესალბუნება.

— პატარძალს წითელი კაბა არ უხდება, თეთრი უნდა შეგეკერათ, — ამბობს ვიღაც ქალი.

მე კი ძალიან მომწონს წითელი კაბა. ციმციმა ფარღულიც უხდება პატარძალს. მაყრიონი დამთვრალა, ვერ მღერის შესმატბილებულად. დაღლილ პატარძალსაც უჭირს ფრანგული ფეხსაცმელების ქუსლებზე დგომა.

— გამარჯობა შენი.

— აჰ!! — უცებ შეგკრთი.

— აღრე მოსულხარ.

ვცდილობ, აღვადგინო გაწყვეტილი ზმანება, მაგრამ ის ხევში ჩაიკარგა, იქვე გადნა:

— შენ რად მოხვედი აღრე? — ეკითხები მეექსკავატორეს.

— იმ კაი ხალხმა ყურთასმენა წაიღო, სამი ღამეა მოსვენება აღარ გვაქვს.

ხევის ძირში კი კვლავ ირწევიან ხელჩაკიდებული ქალები.

„არა, დიდი ქორწილი ნამდვილად არაა საჭირო, ზურნითა და ღუღუკით არ უნდა შეაწუხო მეზობლები. ღამენათევი პატარძალიც წაქცევაზეა“.

მზერა ქოხებისაკენ გამიბრბის. უცებ ტყვიანაკრავივით შეგკრთი: აკაციაზე მიჭედელ პირსაბანს ვიღაც ახალგაზრდა კაცი აჩხაკუნებს.

— ვინ არის?

მეექსკავატორე გაცხებულ შემომყურებს. მერე მხრებს იჩეჩავს:

— არ ვიცი.

მე ადგილზე ვქვავდები. ჯიბიდან პიროსს ვიღებ. უცნობი ნახევრადლია კარში გვერდულად შედის. ახლა კი მომეშვა გულზე.

— მომიკიდე, თუ ძმა ხარ!

მეექსკავატორე სანთებელას მაწვდის, — რა კარგი მამა ჰყოლია ნიუტონს, — ვამბობ ჩემთვის.

— ვინაა ნიუტონი? — მეკითხება მეექსკავატორე. მიკვირს, ნიუტონსა და იზოლდას რომ არ იცნობს.

— ჩვენი პატარა ჭინკები, — ვიცინი მე.

მეექსკავატორე კოპებს იკრავს:

— ის ბაჭაყები ცოდვას ამკიდებენ.

— ვიდრე ტუმბო აქაა, იმედი გქონდეს, ექსკავატორს არ გაეკარებიან, — ვამეღებ. თვალები კი ქოხებისკენ ვა-

ძირბის. ახალგაზრდა კაცი სამუშაოზე მიდის.

— ნამდვილად მომწონს ნიუტონის მამა, — კმაყოფილებას ვერ ვმაღავ და მიხარია, რომ იგი ნიუტონის მამაა და არა სხვა ვინმე.

— უშნო ყოფილა, — ავდებით ხელს იქნევს მეექვსეკვატორე. ნათქვამს ვერ მივეუხვდი — უშნო რომ არ იყოს ამ ბულში ვანა ცოლშვილს ამოახრჩობდა?

მე უსიტყვოდ ვეთანხმები, „ცოლშვილი ხელის გულზე უნდა ატაროს კაცმა“, ვფიქრობ და თვალები ხუბულა სახლისკენ მებრძობება. იქ ძველებურად სიწყინარეა. ჩვენმა მოედანმა კი უკვე ხმა ამოიღვა. მოვიდნენ მუშები, მოვიდა სამუშაოს მწარმოებელიც. მას ირონიულმა ღიმილმა ქვედა ტუჩი შეუტრია.

„ეს მგელი ჩემს ჩაცმულობას დასციუნის ალბათ, — გამკრა გულზე. — დასაციინი შინ ეყოლება“.

მან მხერა დაშლილ ამწეზე გადაიტანა და შუბლი შეიკრა:

— ჯანჯლები ხართ, ასეთ მუშაობას არც ხვავი აქვს და არც მადლი, — ამწის ამწყობი ბრიგადის მეთაურს უჯავრდება. ბრიგადირიც მწარედ აკვესებს ენას. სამუშაოს მწარმოებელმა ახლა თვითმცლელი მანქანის მძღოლს გააძრო ტყავი:

— შენთან მუშაობას კატორღაში ყოფნა სჯობია, — თავისთვის ბულშულებს მძღოლი.

— ბიჭო! უნიათო დედაკაცივით ნუ იქცევი, — უკვე ჩემი ჭერიც დადგა, — ამ უპატრონო ლორდინებს თუ ვერ მოერევიან, არმატურა და მორები მაინც მილაგ-მოალაგებინე, გზა და მისასვლელები რომ არ ჩაიხერგოს.

რას ერჩი, ცამდე მართალია! მორჩილად ვუქნევ თავს. იგი ახლა ნიველირის ჭოგრიტს თბრილბს უმიზნებს. ლენტუხი საძირკველის გეგმას დაჰყურებს; ნიშნულბს წითელ ხაზს ავლებს. საძირკველი თარაზოში ამოჰყავს. ამ მხარეს თბრილი ბართაა ჩასასწორებელი, ძირიც გასასუფთავებელია.

— აბა შენ იცი, იმ ცოცხალმკვდრებს

ყურადღება მიაქციე, — ეს ამწისგამაზრდათა ბრიგადის ენება, — მძღოლებზეც თვალი გეჭიროს, რეისები დაუთვალე. მაგათი გამიზრეს სისხლი, — ბურღულუნებს და თავისი ძირითადი ობიექტისკენ მიათბათხებებს ვეებერთელა ღიპს.

დავალბების შესრულებას შეგუდექი: ხის მორებისათვის ერთი კუთხე ავირჩიე, არმატურა — ავურისათვის — მეორე.

„უებრგილო ვარ და უფხო. რად არ მოვიფიქრე ეს გუშინ, გუშინწინ, ვიდრე ყურს არ ამიწვედნენ?“ — ყრუ ტყვილი გულზე მკბენს, — „კიდევ კარგი, მას არ გაუგონია. მაშინ ხომ მომჭერებოდა თავი?“ — თვალს „სადარაჯოსკენ“ ვაბარებ.

„ალბათ მოიგუდნენ ის ოჯახქორები“, — ვფიქრობ და ლეღვის ჩრდილისკენ მივდივარ. ნიველირსაც იქით მივათრევე. მე სხვა მუცლისკვერემა მაქვს, თორემ ასე უთენია ლეღვის ჩრდილი სულაც არაა საჭირო, ეს საჭერეტი იარაღიც ზედმეტია, აქ რაც იყო გასასწორებელი, ძია ნიკომ კარგა ხანია გაასწორა. პალოებითაც დანიშნა. ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ მე რომ იწყინერი ვარ, მინდა ნიველირით ერთხელ კიდევ თვალი მოვაგლო ეზოს, ჩავიხედო საძირკველში, თანაც ამ უდღეურ ლიანდაგებს გავხედო. ჰოდა, მივათრევე სამფხას.

ჩემი ძმაკაცები „ბუნავიდან“ უკვე გამოსულან. პური და ყველი უჭირავთ და მადიანად ილუქვებია, თან ნიველირს უტრიალებენ. მე ზიგფრიდი მოვიკითხე.

— სძინავს, — მითხრა ნიუტონმა.

— მთელი ღამე არ გეძინებია, — დასძინა დედამ.

— ბავშვს თუ სიცხე აქვს, ექიმი უნდა მოუყვანოთ, — ჩემი ჰკულით ვარიგებ კიდეც.

— ჰო, უნდა მოუყვანო, — დაღლილ სახეზე ხელს იფარებს ქალი.

როგორც იქნა, ჰალარა მანდილოსანიც გამოვიდა, ის კი არა ჩანს. ნუთუ ასე გვიანობამდე სძინავს? ნიველირის გაწყობას ვიწყებ. ხან წინ ვწევ, ხან უკან. ჰალარა ქალი ვერც მაჩნევს.

— მაპატიეთ, დეიდა, უნდა შეგაწუხოთ, — ცალი ყბით ვუბოდიშებ და სამფეხის ერთი წვერი ზედ ნავთქურიან ყუთთან მიმაქვს.

— მე თქვენ არ მოშლით, — ამბობს იგი და ყუთზე დადგმულ თუთიის ტაშტს სარეცხიანად მიათრევს. „ესეც შენ“, — ნიშნის მოგებით ვამბობ გულში და კვლავ ჭოგრიტს ვუყურებ. ბავშვები ფეხებში მედებიან. წითლადატრელებულ ლარტყას მუშა ხან სად აღმართავს, ხან სად. მე კი დირიჟორივით მკლავებს ვშლი და ამით გულის ჭიას ვახარებ: „აბა, შემომხედეთ, როგორი ინჟინერი ვარ-მეთქი“. მაგრამ ზედაც არავინ მიყურებს.

„ამდენი ძილი სად გავიწილა?“ — დედამისზე ვბრაზდები, — ზანტი და ძილისგულა რომ გამოხარდა. „ალბათ დიდი უკადრისა ვინმე იქნება, ცხვირზეც ეტყობა“, — ვესაუბრები საკუთარ თავს. „ისე, კაცმა რომ თქვას, ცხვირი ძალიან ლამაზი აქვს. ტანს ხომ, ნულარ იტყვიოთ. თმა? თმა შედლებილი უნდა ჰქონდეს“.

ფიქრს ფიქრი მოსდევს, მისი სახისა და სხეულის თვითველ ნაკვთს ვსინჯავ, პაწაწინა ნაკლიც ვერ მიპოვნია. ამაზედაც ვბრაზობ: ღმერთმა თუ ბუნებამ ამ ცხვირაბზულებული გოგოსთვის ასე გულდაგულ როგორ მოიცალა-მეთქი.

— ნოდარ! ნოდარ! — მეძახის მეარმატურე.

— ხედავ, ნიუტონ, ამით ხელში როგორი ცოდვაა კაცი? — ვეუბნები პატარა მეგობარს და ბუზღუნით მივიღივარ. თხრლთან მანქანაა დაფერდებული. ნაკოცონარზე დარჩენილი მუგუზალივით გარუჯული მძღოლი იქვე დგას.

— სად დაეუშვა ეს უპატრონო! — ჯავრობს მძღოლი.

ვაჩვენე, სადაც უნდა დაეცალა ხრეში, თან დიდი ხნის ნაცნობივით ვკითხე, ამ დილაადრიან ვუნება ვინ გაგიფუჭა-მეთქი.

ინსპექტორმაო, ჩაიბუზღუნა და შეიკურთხა. გამეცინა: მშენებლობაზე ეს ჩვეულებრივი ამბავია.

უცებ ქვა-ლორღზე ბორძივით მიმა-

ვალ თმაქალარა ქალს მოვკარი თვალი. ავწრიალდი: „აბა, ჩქარა საგუშავგოსკენ, ელეონორა მარტოა, ახლა...“

ლედვისკენ გავრბივარ, იქ ნიველირი მიდგას, ნახაზიც ტახტზე დაგტოვე, მე-შინია, ბავშვებმა არ გამიფუჭონ.

— ნიუტონ, დააგეგმარე? — შორიდან ვეძახი და ვიცინი.

— რა თქვი, ძია? — არ იცის, რას ჰქვია დააგეგმარება.

— სადაცაა შენობის აგება უნდა და ვიწყოთ და საძირკველი თუ დააგეგმარე-მეთქი, — ვითომ ვხუმრობ, ვხუმრობ და ვიცინი. ახლა მაინც ხომ გაიგებს, რომ აქა ვარ. თვალს ნელ-ნელა ვაპარებ მათი ქოხისკენ და მუხლი მეყეცება: კარზე ვეება ბოქლომია ჩამოკიდებული. ნახაზს ხელი დავტაცე, ნიველირიც ამოვიღლიავე.

— ძია ნოდარ, რა არის დააგეგმარება? — მომძახის ნიუტონი.

არც მიმიხედავს.

„ეპ, ამდენმა წვალემამ როგორ უქმად ჩამიარა? არა, დღეს იმ ადგილს არ გავეკარები. მუშებთან, მოედნის შუაგულში უნდა ვიყო. მე შენ გეტყვი, სამუშაო არა მაქვს. ოღონდაც კი ტვინი გაანძრიოს კაცმა და სამუშაო ყელამდეა. მუშებთან ტრაბახი და ცარიელი ლაილაი ტყუილი საქმეა. ისინი ჭკუიან-საქმიანად აფთიაქის სასწოროთ ავწონიან“.

ქვა-ლორღზე სიარულით მაკასინებს ჭკინტი ერთიანად გადაუტყავდა. ნეილონის პერანგის გულსპირზე მახუთის ორი მოზრდილი „ხალი“ გაჩნდა.

გულზე ცსკდები. ამწის გამმართავი ბრიგადირიც დილიდანვე ეამივითაა. ძია ნიკო ობიექტზე მხოლოდ ერთხელ გამომჩნდა და მაშინაც ცოფიანივით მეძგერა. მოკლედ, დიდი ნავსი დღეა. სულაც არ მაინტერესებს ის ვიღაც ქალიშვილი, ან რა უნდა იყოს დედამისის ვაზრდილი? უცხვირაბირო და უყარება. მერჩია საგარეო ტანსაცმელი არ ამომეტურტლა ამ სატიალემში.

როგორც იქნა, ამწე გამართეს. ძია ნიკოც თვალებს იჩრდილავს და ირიბულას გაჰყურებს. მეექსკავატორემ მახუთიანი

ქული კეფაზე მოიგდო და თავისი მანქანა სამშენებლო მოედნიდან წაარახრახა. ახლა ბავშვებიც მოისვენებენ და მეზობლებიც.

ნეტავ ასე რამ დამალა? საათს დავყურებ, სადაცაა მახლობელი ქარხნის საყვირი დაიღრიალებს და ჩვენც ავიშაბაშებთ. მიხარია, სამუშაო დღე რომ მიიწურა. ისიც მიხარია, დღეს უქმად რომ არ მინებებოდა ჩრდილში.

უცებ ფიქრი გამიწყდა და ცხვირწინ აღმართული არმატურის ხორკლიან ღეროს ჩავეჭიდე... იგი მოდიოდა. მოდიოდა მისებურად, — ამყად, შველივით ყელმოღერებულს. თუმცა ფიცრებითა და ქვა-ღორღით მოხინდივებულ ეზოში თავაწეული სიარული არც ისე იოლი იყო; ჯადოქრად არ მომჩვენებია.

ჩემს ჯიბრზე საყვირიც აღრიალდა. „რალა ახლა მოუხდა, — სისხლი ყელში მასსამს. — ის ნიველირი მაინც გდებულაყო ლედვის ჩრდილში, ჭამას მოხოვდა თუ სმას? ძია ნიკოსაც ასე ადრე რა ჯანდაბა მიაჩნებინებს შინ? ფეხბურთი რომ იყოს, კიდევ კარგი, ანდა ეს დედაკაცი როდის მოვიდა? — ახლა ჭადარაქალზე ვჯავრობ. — დღევანდელი დღე ნამდვილად ნავსია, თუმცა ერთხელ კიდევ ვცდი“ — და წყურვილი მოვიმიზეზე.

— კასრის წყალს რა დაგაღვივინებს, ბიჭო, — თვალებს ეშმაკურად ჭუტავს ძია ნიკო.

„ამ ბებერ მგელს ვინ რას გამოაბარებს“. ყველაზე და ყველაფერზე ვჯავრობ ახლა.



ფანჯარაზე პირველი სხივი ავიადდა. მე უკვე ზეზე ვარ. ფაცა-ფუცივით ვიწყებ მზადებას. ბებია და დედა დღეს აღარ მეკითხებიან, ასე ადრე სად მიგეჩქარებო. რას იზამ, მშენებლობაა. აბა მამაჩემი? ათის ნახევარზე იწყებს სამსახურს. მამაჩემს არც პერანგი აქვს მაშუთით დაწინწკლული, არც ფეხსაცმელი ატყავებია, შინიდან დინჯად მიდის. აბა მშენებელი იყოს? მაშინ, უკაცრავად — ასე გაწყებილი ვერ ივლიდა სამ-

სახურში. ვერ ივლიდა, რადგან მშენებლობა დენდებს ვერ იტანს.

მიხარია, მშენებელი რომ ვარ. ძია ნიკოსავით როცა მუცელი წამომეზრდება, მაშინ მეც მექნება სათქმელი, დედაქალაქისათვის ბუე და დულაბი გამიმარგებია და ადამიანებისთვის ჭერი მიმიცია. მეტი. ჯერ შორსაა ეს დღე. თუმცა ვიცი, რომ დადგება... ამ დღით კი ჭამა ნამდვილად არ მინდა, ასე უთენია ან რა შემაჭმევს? მაგრამ ვინ მეშვება, გული შევიწუხებდებო, — მარწმუნებს ბებია და მეცა ვჭამ. სუფთა პერანგი, გაპრიალებული ფეხსაცმელები და ყავარივით გატყეპნილი შარვალიც მზადაა, პერანგის სახელოებს ვიკაპიწებ, მზით გამოხუნებულ ქოჩორსაც კოხტად ვივარცხნი.

გრილი დილაა, ცაცხვების სასიამოვნო სურნელი იღვრება ირგვლივ. ჯერ ადრეა და ფეხით მივყვები სანაპიროს. მტკვარი გრძელსა და უთავბოლო ამბავს ჰყვება. ფოთლებში შემალულ ჩიტებსაც დიდი მითქმა-მოთქმა გაუშართავთ.

„დღეს უსიკვილოდ უნდა გავიციანო, — ვარწმუნებ საკუთარ თავს, — უბრალოდ მივესალმები და რაღაცას ვთხოვ“.

მაღე ცემენტის ზიდვას დაიწყებენ. ჯიხური ამოფიცვრით კი ამოფიცვრეს, მაგრამ გადახურვა აკლია.

— ნოდარ, მეტრო გაქვს? — შორიდან მეძახის სამუშაოს მწარმოებელი.

— არა მაქვს, ძია ნიკო.

— შენ იცი ჯარისკაცის ამუნიცია რა არის? — მეკითხება იგი.

— არ ვიცი.

— ესაა: ავტომატი, ვაზნები, ჩანთა, მათარა, ნიჩაბი და ორიოდ სხვა. მშენებელსაც აქვს თავისი ამუნიცია.

მე გავიცინე. მან ჭამარში გარჭობილ პაპიროსის კოლოფს შეხედა. — „ახლა კი, მომდგება“, — ფიქრობ, მაგრამ გადავრჩი, — ამჯერად არაფერი მითხრა. ამოფიცვრულ ჯიხურს კი შემოუარა და თავი გააქნია:

— დურგლებს ჭუჭრუტანები ამოაგმანინე. ასეთ ფარლიატში ცემენტი დაიხნევა.



დღეს ძია ნიკო შედარებით მშვიდადაა. უჩხუბრად წავიდა თავის მეორე ობიექტზე. მეც ბარაკისკენ მოვუსვი.

„ნეტავ როგორაა ზიგფრიდი? იქნებ ბავშვს ისევ სიცხე აქვს?“

თვალი უნებურად კარებისკენ გამირბის. იქ ჯერ ჩამი-ჩუმი არ ისმის. კარის წინ ნავთქურაზე დადგმული ჩაიდანით თუხთუხებს.

„ნეტავ ამ ქოხმახებს მალე არ დაანგრევდნენ“, — ვფიქრობ და მზეში ამოვლულ ხუხულებს მივჩერებივარ. ამის გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, რომ ამწესთან ნაცნობ წითელ კაბას მოვკარი თვალი. ელეონორა მეზობლის ქალს გამოემშვიდობა და გასასვლელისაკენ გაემართა. გზას გადაუჭერი და მივესალმები-მეთქი, გადავწყვიტე და ავმარახსნილი ცხენით გავქანდი. როგორმე ეზოდან გასვლა ვერ უნდა მომასწროს, თორემ ქუჩაში ბუზადაც არ ჩამაგდებს. იქნებ დედამისი მიყურებს, იქნებ მუშებიც იცინიან, მაგრამ იმათთან რა მესაქმება?

კვილმა შემაჩერა. ერთხანს ვაოგნებულ ვიდექი, მერე იქითკენ ვაოქციე, სადაც ახორავებულ ბორცვზე დიდი, წითელი ლაქა მოჩანდა. ყველას მივასწარი.

რას ვხედავ: ელა კენესის... მე წავიხარე... მისი დიდრონი, ცრემლიანი თვალები შემომყურებენ. ისეთი დატანჯული სახე აქვს, გული მეკუმშება.

— ხელი მომეცი, ელეონორა, — დიდი ხნის ნაცნობივით ვეუბნები. მან მაშინვე გამომიწოდა ხელი, მაგრამ წამოდგომა ვერ შეძლო.

— ხელში აგიყვანთ, — ვბუტბუტებ და ვწითლდები, არც ამაზე გამძალიანებია. ორივე ხელი პატარა ბავშვივით კისერზე შემომამკლავ. ძალიან ფრთხილად ავიყვანე.

ქალიშვილი კვლავ კენესის ყურებში სისხლი მიშუის. ნიავისგან აწეწილი ელას თმა ლოყაზე მიცაცუნებს... მეშინია, გული არ გამიჩერდეს. წინკარში ნიუტონის დედა შემომხვდა. ქალს თვალები გაუშტერდა.

— ფეხი იღრძო, — ქოშინით ვამბობ

და ტახტისკენ მივიწვიე. უცებ ქალარა ქალის კვიცილმა შემაკრო.

— ჩემი სიკვდილი, ფეხი უტყენია, — ხელებს შლის ნიუტონის დედა.

ქალარა ქალი გვერდიდან არ მშორდება:

— მიშველეთ, გეთაყვანე! — შიშისგან გაფითრებული მევედრება იგი.

ვიგრძენი, ამ წუთში მისთვის ყველაზე საჭირო და საიმედო ადამიანი ვიყავი.

— სად დავაწვინო? — ვიკითხე და ვიდრე პასუხს მივიღებდი, მტვრიან ტახტზე ფრთხილად დავეუშვი. ფრანგულეები გახადეს და მზით ვარუჯულ წვრილ ფეხს გამოცდილი ქირურგივით დავხედე. კოჭთან ამოფუტვდა ნაღრძობი, მოვარდისფრო ლაქებით დაიფარა.

— სასწრაფოა საჭირო, — ვთქვი და ქალებს გადავხედე.

— უნდა გვიშველოთ, გენაცვალე, — დედამისმა ლამის დაიხოქოს.

ტელეფონის ძებნის დრო არ იყო. ქუჩაში გავვარდი და პირველსავე მანქანას წინ დავუდექი, ვუთხარი, რაც მოხდა. მანქანა ეზოს კუთხეში გაჩერდა.

— მანქანა გველოდება, — აქოშინებული შევედი ოთახში და ელეონორასთან დავიხარე.

— მაგრად მომეკიდეთ, — ვეჩურჩულე.

მზემოკიდებული მკლავები კვლავ კისერზე შემომემკლავ. ახალფეხადგმული ბავშვივით ფრთხილად გადავდივარ ზვინულეებზე, თბრილებზე, მორებზე, ლორფინებზე და... ნეტავ ეს გზა დაუსრულებლივ გაგრძელდებოდეს.

მანქანაში გვერდით დედამისი მიუჯდა, მე მძღოლთან ვჯდები. კისერი უკან მაქვს მოქცეული. ზრთოპედიულ ინსტიტუტთან შევჩერდით. მძღოლს გასამრჩელო გავუწოდე.

— არაა საჭირო, — ცივად მომიგო.

ელა ფრთხილად გადავიყვანე მანქანიდან, დარაჟმა კარი გაგვიღო. გრძელ დერეფანში ავადმყოფები და თეთრხალათიანები ირეოდნენ. თითქოს საკუთარი ტყვილი და საზრუნავი დაავიწყდითო, ყველამ ჩვენ შემოგვხედა. სუნამოს ნაწი

სურნელით გაბრუებულს ეთერისა და სკიბიდრის სუნი მებნამუშა. ელას დედამ ერთი თეთრხალათიანი გააჩერა, მიშველეთო, შეევედრა.

ის ქალი რენდგენის კაბინეტისკენ წავიძღვა.

ელას მარჯვენა ფეხის მოტეხილობა აღმოაჩნდა. ატრებულ ქალიშვილს ექიმში ამშვიდებდა. მე დამუნჯებულებით ვიდექი. ელას დედა ლოყას იხოკავდა და აქეთ-იქით აწყდებოდა. ავადმყოფს თაბაშირში ჩაუსვეს ფეხი და საკაცე მოიტანეს. ცალ მხარეს მე დავდექი და აცრემლებული ელა პალატაში წავიყვანეთ.

— ხშირად გინახულებთ... ყოველდღე მოგაკითხავთ. — ჩემი ხმა თვითონვე მეუტხოვა.

დედა-შვილი მარტო დავტოვე.

საავადმყოფოს მუღმივი სტუმარი გავხდი, ყოველდღე ელას საწოლთან ვზივარ. ათასგვარი ანეგდოტით ვართობ. მინდა, როგორმე შევეუმსუბუქო ვასპიჩრი. ხან წიგნი მიმაქვს, ხან — ტკბილეული, ხანაც — გაზეთში საგულდაგულად შეფუთული ჩაის ვარდები. ვატყობ, ამ პრანქია ქალიშვილს სიამოვნებს ჩემი სტუმრობა და უსაზღვროდ მიხარია. დედამისი ისევ ცხვირჩამოშვებული მხედება, რად წუხდებითო, მეუბნება ხოლმე, მაგრამ მის ნათქვამს ნაკლებად ვაქცევ ყურადღებას. მე ჩემი განრიგი მაქვს, ასე იოლად ვერავინ დამარღვევინებს.

იმ დღესაც. ჩვეულებიანებრ, მხრებზე ხალათი მოვისხი და პალატისკენ შევუყვები საავადმყოფოს კიბეს.

— თქვენი ავადმყოფი უკვე გავწერეთ, — სიტყვა დამადგენა მორიგე ექიმმა.

— კი მაგრამ, როდის!

— გუშინ.

— ეს შეუძლებელია, გუშინ მე აქ ვიყავი.

— თქვენ რომ წახვედით, მერე გავწერეთ, ყმაწვილო, — მკვახედ მომახალა ჩემი უნდობლობით განაწყენებულმა ექიმმა.

შემრცხვა... შევწუხდი.

— რატომ მე არ გამაგებინეს? — თითქოს შეგჩივლე კიდეც.

— არ ვიცი, რატომ არ გაგაგებინეს, — ირონიულად ჩაეცინა ექიმს.

— თუ ასეა, შინ მივაკითხავ, — თითქოს ნიშნისმოგებით მივუვლე სიტყვა, მაგრამ გამობრუნება ვერ მოვასწარი, რომ კვლავ თავსატეხი გამიჩნდა: მისი ახალი მისამართი არ ვიცოდი. ის ქობმახები ორი კვირის წინათ დაანგრეეს, ქალბატონი ნათაც სადღაც გადაბარგდა.

ექიმს დანმარება ვთხოვე. იგი მოლბა, მაგრამ ვერაფრით დამეხმარა, ავადმყოფის ფურცელს მხოლოდ ძველი მისამართი ეწერა.

საავადმყოფოდან დარეტიანებული გამოვედი. შეურაცხყოფილი და უზომოდ ნაწყენიც, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს: შეურაცხყოფაც უნდა გადავკლავო... წყენაც... რას იზამ. პოვნით კი აუცილებლად ვიპოვი ელას მისამართს: ნიუტონის დედა პირდაპირ გაჭირვების ტალკვესია. მათი ქობიც რახანია აღარაა, მაგრამ ნიუტონი და იზოლდა კვლავ ჩვენს ეზოში დატანტალებენ, მეზობლად იჭირავენს თთახი. დროდადრო კაფანდარა ქალის წყევლაც ისმის.

პოდა, ნამდვილად ვიპოვი ელას მისამართს. ჯერ ჩემს საქმეს უნდა მივხედო „მშენებლობას, ბიძიკო, დენდები არ უყვარსო!“ ძია ნიკომ თქვა, ხომ? კი ბატონო, მოკვცდები და სირცხვილს არ ვკვამ ძია ნიკოსთან.



ახალი თაგბჯანი

ქვეყნის მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული ცენტრი

წერილი

ო, მომიტევე, მომიტევე, გემუდარები,
კვლავ საზაფხულო სიმღერებში რომ ვიძირები,
რა ვქნა, დამდგარა ყვავილობა შეუდარები,
ია-იებით მოფენილა ღობისძირები.

მოველ უშენოდ, ბაღში ვდგავარ განმარტოებით...
ისეთი დღეა, არაფერი გამიკვირდება
და ღრუბელივით თეთრზე თეთრი ნაზი რტოები,
ძუძუ-მკერდივით აითქვირეს ვაშლის კვირტებმა.

მე გამახსენდა უნაზესი შენი ხელები,
დაბინდებამდე უგზო-უკვლოდ ველად ტარება,
იღვენთებოდნენ ფოთოლ-ფოთოლ არყის ხეები,
გზებზე რომ ენთნენ ყვითელ-ყვითელ კელაპტარებად.

მე გამახსენდა, ცივ ზამთარში როგორ მივინებდი
შენი თვალების უანკარეს განკარგულებას,
ფეხქვეშ ყინვები გვემსხვრეოდნენ, როგორც მინები,
მზეში ჩრდილები დაჰკარგოდათ ნაკადულებსაც.

ვიდექი ბაღში და ვფიქრობდი განმარტოებით,
ბევრის ცხოვრება ამ ბალივით გაჰყვა დინებას,
ადამიანის სიჭაბუკეს ჰგვანან რტოები,
ერთი დაჭკნება, სხვა მოელის აყვავილებას.

რა ვქნა, უშენოდ სიხარული ველარ ვიწამე,
თუმცა სიმწვანე შარიშურობს ბაღში ფარჩებად,
ჩვენი სიცოცხლე თუ გაქრება დედამიწაზე,
მწვანე რტოების სიმღერები მაინც დარჩება!

შ ი შ ი

ნუ მოხვალ და ნურც მომეფერები,
დაე, ნუ ვიტყვით სათქმელს ბოლომდის.
ყველაზე დიდი ბედნიერების
მოცემა ძალუძს მხოლოდ მოლოდინს.
თუმც შორს ხარ ჩემგან, რაღაც საოცარ
მზითა და შიშით ამიყვან გული,
თუ რასაც ეძებ, ოცნებამ მოგცა,
ესეც სიტკბოა თავისებური.
ნუ მოხვალ ჩემთან, გემუდარები,
მინდა სიცოცხლე ჰგავდეს მოლოდინს,
დაე, იმედით ენთოს თვალები,
შეინარჩუნოს სითბო ბოლომდის.

სიყვარულის აღსასრული

რადგან ყველაფერს, ირგვლივ რაც არის,
ჩვეულებრივი თვალთ ვუცქერით,
არ გვესმის ფოთლის გულის ფანცქალი,
აღარ გვათრთოლებს ხმელი ფურცელი;
რადგან კენჭებს და ყვავილებს შორის
ვერ მოციქულობს სიტყვა გულისა,
ეს იმას ნიშნავს, წასულან დრონი, —
ქარი ჩამდგარა სიყვარულისა.

რადგან თვალებმა დაკარგეს შუქი
და შუქურობენ ვარსკვლავთ ხომლები,
რადგან ოცნებებს სხვა ქარი უქრით,
ერთმანეთისთვის აღარ ვღონდებით;
გადაუკეტავს ოცნებას კარი,
ჩიტებს არ ესმით სიტყვა გულისა.
ეს იმას ნიშნავს, წასულა ჟამი, —
ქარი ჩამდგარა სიყვარულისა!

რადგან გაზაფხულს ჩვენად არა ვთვლით,
გაგვხუნებია ძველი ფიქრები,
ვეღარც სიზმარში გხედავ თვალნათლივ,
ვეღარც ოცნების ნისლში ვინთქმები!
აღარ დაგვივართ მინდვრებზე ორნი,
დაგვიშრეტია სიტყვა გულისა,
ეს იმას ნიშნავს, წასულან დრონი, —
ქარი ჩამდგარა სიყვარულისა!

სარბიულიდან თარბგნა შეღვა კახიქია.



ქოსე

მოთხრობა

— კარლ! კარლ!

— აა!

— კარლ, ბავშვმა გაიღვიძა.

— პა? ხმამ?

— კარლ, ბავშვი ტირის.

— ახლავე ავდგები. შია ალბათ.

— ძალიან არ გააცხელო რძე, კარლ.

— კარგი, შუქი აანთე.

— როგორ არის ბავშვი?

— დიდებულად. ხა-ხა! აი, ფილტვები! გვიჯავრდება. აბა, აბა, თინა! ახლავე მოგიტან რძეს... ლუსი, შემაშინე, როცა მალვიძებდი.

— ვიცი, კარლ, შენ ეს დღეები სულ არ გიძინია. განერვიულდი. ვინდა მე ვაჭმევ ბავშვს?

— არა, არა, არაფერია, ლუსი. ახლავე გავუცხელებ რძეს.

— გესმის? ჰენრი ადგა და აქეთ მოდის.

— მამა, მამა!

— ჰენრი, ახლავე დაწევი.

— მამა, თინას დავხედავ. ტირის.

— მოდი აქ, ჰენრი! კარლ, შეხედოს ჰენრიმ ბავშვს.

— კარგი, შეხედოს.

— ჰენრი, სანამ მამა რძეს გააცხელებს, თინასთან იყავი.

— დედა, იგი ისევ პატარაა.

— ერთი კვირისა შენც არ იყავი თინაზე დიდი.

— ასეთი პატარა მე არასოდეს ვყოფილვარ.

— იყავი, სწორედ ასეთი პატარა იყავი.

— არ მახსოვს, რომ მე...

— რასაკვირველია, არ გეხსოვება. არც თინას ეხსოვება, როცა გაიზრდება.

— ჭამის მეტი არაფერი იცის.

— ჭამა ჩვენ ყველამ დაბადებიდან ვიცით, ჰენრი. უიმე, ჰენრი, არც ფეხზე გაცვია, არც ტანზე. რამდენჯერ უნდა ვითხრა? იატაკი ცივია, გაცივდები.

— კარგი, დედა. მაგრამ თინა რატომ ტირის ასე ხმამალა?

— ყველა პატარა ბავშვი ასე ხმამალა ტირის. ეს იმას ნიშნავს, რომ თინა ჯანმრთელია. აბა, ჩაიცვი ფეხსაცმელი და ხალათი.

— ახლავე.

— ლუსი, აბა ნახე ბოთლი. კიდევ გაცაცხელო?

— მგონი, თბილია.

— დაიცა, მამა. შემახედე, როგორ ჭამს თინა.

— მამ, ჩქარა, ჰენრი.

— კარლ, მე ვაჭმევ თინას. მომიყვანე!

— არა, არა. იწევი, ლუსი. დალილი

ხარ. ექიმმა ხომ ვითხრა — დაისვენეო. მე ვაჭმევ თინას.

— უკვე ჩავიცვი, მამა. მაჩვენე, როგორ აჭმევ.

— კარგი, შვილო, უყურე. თავს ოდნავ ავუწვევ და საწოვარას პირში ჩავუდებ. ხედავ? აღარ ტირის.

— დედა, თინა ჭამს.

— რასაკვირველია, ჰენრი. წადი ახლა, დაიძინე.

— ღამე მშვიდობისა, დედა. ღამე მშვიდობისა, მამა. ღამე მშვიდობისა, თინა.

— ღამე მშვიდობისა, ჰენრი.

— ღამე მშვიდობისა, შვილო.

— უყვარს დაიკო.

— ჰო, უყვარს. მისთვის თინა თოჯინაა.

— თავს როგორა გრძნობ, ლუსი?

— არა მიშავს. იცი... ხანდახან, თითქოს სულ კარგადა ვარ. შემდეგ თავბრულ დამეხვევა და დავსუსტდები ხოლმე...

— საყვარელო, ოღონდ შენ არ ინაღვლო. თვითონ გავაკეთებ ყველაფერს. ხა-ხა! კარგია მზარეთულის ცოლობა, ჰა?

— ჰო, კარლ, არ ვინაღვლებდი, დარწმუნებული რომ ვიყო, სახლს არ წაგვართმევენ.

— ჩემად, ჰენრიმ არ გაიგონოს.

— მაპატიე. ჰო, მან არ უნდა გაიგოს ეს ამბავი.

— ბავშვები ყოველთვის გრძნობენ არასასიამოვნო ამბავს.

— როგორა სწოვს თინა?

— ტუმბოსავით ქაჩავს. აი, მადა ამა-სა ჰჭკია.

— კარლ, რა ვქნათ?

— ნუ ღელავ, ლუსი, ექიმმა თქვა...

— აბა, როგორ არ ვიღვლო, კარლ!

— შენ ავად ხარ, ლუსი. სიმშვიდე გჭირდება. ჰენრი რომ დაიბადა, ავად არ გამხდარხარ.

— ჰო, მაგრამ მაშინ არ გვიჭირდა. ახლა, რაც გავგაჩნდა, ამ სახლში მივეცი, და აი, რაღაც ორი უქანასკნელი გადასახადის გამო... კარლ, ვერ დავკარგავთ ამ სახლს.

— საყვარელო, ნუ სწუხხარ, რამეს მოვიფიქრებთ.

— კარლ, შენ გეძინა?

— არა, ცოტა წამთვლიმა. შენ?

— არც მე მეძინა.

— ლუსი, ექიმმა თქვა...

— ვიცი, კარლ, მაგრამ რა ვქნა.

— რაღაცას მოვიფიქრებ, ლუსი. აი, ნახავ, რაღაცას მოვიფიქრებ.

— ჩვენ რომ ორივე არ დავეთხოვეთ სამუშაოდან... მე მშობიარობის გამო დამითხოვეს. შენი მეპატრონე კი იძულებული შეიქნა რესტორანი დაეკეტა. გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში დაწევად, სწორედ ასეა ჩვენი საქმე.

— შეხედე, ლუსი... მთელი ბოთლი დაცალა.

— მთელი ბოთლი?

— წვეთიც არ ჩაუტოვებია. იძინებს.

— თბილ რძეს რომ დალევს, მაშინვე იძინებს.

— აი, ასე, თინა. ახლა შენს საწოლში მიბრძანდი.

— მომიყვანე, კარლ, შევხედავ.

— არ წამოდგე, ლუსი. წამოიწიე მხოლოდ... აი!

— ჩემო ღამაზო! ხომ არ ჩაასველა?

— სახვევი გავუსჩივ. მშრალია, მაგრამ მალე ჩაისველებს.

— ყოველთვის სველი აქვს სახვევი. კარლ, სულ შენა გგავს.

— არა, ლუსი, შენ უფრო გგავს.

— კარგი, ნუ ვიკამათებთ. ორივესა გვგავს.

— ბუნებრივიცაა. აბა ერთი სხვას დაემგვანოს.

— ხა-ხა! შენ, მგონი, ეკვიანობ.

— დეაწვევ. ალბათ, დილაძე იძინებს.

— შენც დაიძინე, კარლ. ამაღამ უკვე ორჯერ აღექი.

— არაფერია. რომელი საათია?

— ხუთი. რა იყო?

— დილის ვაზეთი ჩაუშვეს საფოსტო ყუთში. წავალ, ამოვიღებ.

— დწექი, კარლ, დილით ნახავ გავხეთს.

— არა. განცხადებებს მინდა გადავ-

ხელო. იქნებ ჩემთვის რამე სამუშაო იყოს.

— მოისვენე, კარლ. მოესწრები სამუშაოს შოვნას.

— ლუსი, რაღაც უნდა დამიჯდეს, სამუშაო უნდა ვიშოვო. მხოლოდ ორი ორმოცდაათი დოლარი დავგვრჩა შესატანი. სანამ ცოცხალი ვარ, სახლს არავის დავანებებ. დაიძინე.

— საბრალო კარლ! რა არ სცადა... საიდან დავგატყუდა თავს ეს უბედურება!

— საყვარელო, თუ შეიძლება, შუქს ავანთებ. განცხადებებს უნდა გადავხელო.

— კეთილი, კარლ. ვეცდები დავიძინო.

— შუქს ზურგი შეაქციე. აბა, ვნახოთ... აი, საჭიროა მამაკაცები. მემანქანეები. ქვისმთლელები. წყალსადენის ოსტატები. მეზათქაშეები... ჰე! მზარეული არავის უნდა.

— ნუ იტანჯები, დაიძინე!

— ლუსი, უსათუოდ უნდა ვიშოვო სამუშაო.

— ასე ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ. ბავშვს გააღვიძებ.

— მაპატიე, საყვარელო.

— კარლ, დამშვიდდი. თავგზას ნუ დაკარგავ.

— რასაკვირველია, ლუსი. ჩემი პროფესიის მამაკაცისთვის ამ გაზეთში არაფერია, მაგრამ, სამაგიეროდ, მოახლეები უნდათ. ყოველთვის ასეა.

— კარგად რომ ვიყო, მე წავიდოდი მოახლეად.

— გაჩუმდი, ლუსი.

— შენ თვითონა თქვი, ქალებისთვის არისო ადგილი, და მე...

— მე არც მიფიქრია, სამუშაოდ გავიშვა. ლუსი, შენ ავადა ხარ.

— კარლ, მე...

— ნუ ტირი, ღმერთი არ გავწირავს.

— ცოტა რამით მაინც შემეძლოს მოგეხმარო, კარლ.

— ლუსი, სამუშაოს ვიშოვი. აი, ნახავ. აგერ, კარგი განცხადებაა. ყური დამიგდე: „გვჭირდება მოახლე. უნდა იცოდეს კერძის მომზადება. გვყავს ერ-

თი ბავშვი. გვაქვს პატარა, თანამედროვე სახლი, ყოველგვარი საყოფაცხოვრებო ნივთი. უპირატესობას ფერადკანიანს მივცემთ: ხელფასი—ცვირაში ორმოცდაათი დოლარი. რეკომენდაციები აუცილებელია. ბულვარი საუტ რიდჟუეი, 608. იკითხეთ ქალბატონი დევიდ ფეარჩაილდი“.

— კარლ, ეს ადგილი პირდაპირ გვიხსნიდა ჩვენ.

— მაგრამ მათ ქალი უნდათ. ხა-ხა! მე პირველი კლასის მზარეული ვარ. ეხ, მე რომ შემეძლოს ამ ადგილზე მოწყობა!

— კარლ, კმარა, ნუ იტანჯები. სინათლეს ვაქრობ.

— კეთილი, ეცადე დაიძინო, საყვარელო.



— ლუსი.

— მმმმ... რა იყო, კარლ?

— შემომხედე, ლუსი.

— ჰო, კარლ, რა იყო?

— შუქი აანთე, ძვირფასო.

— კარგი, ამ წუთში. ოი, ვინა ხართ?

— ჩუმაღ, ლუსი, ნუ ყვირი.

— ვინ არის? კარლ, ეს შენა ხარ, კარლ?

— ჰო, ლუსი. შემომხედე, საყვარელო, დამშვიდდი.

— ღმერთო ჩემო! ვიღაც უცხო მეგონე. კარლ, რას აკეთებ? რატომ ჩაიცივი ჩემი კაბა? გული გამიხეთქე.

— ყური მიგდე, ლუსი. მე...

— რა მოხდა, კარლ?

— ჩუმაღ. ბავშვები არ გააღვიძო. საყვარელო, მე...

— არა, არა, კარლ. შენ, ალბათ, ზუმრობ. ახლავე გაიხადე ჩემი კაბა.

— ყური მიგდე, ლუსი. მე...

— კარლ, ხომ არ შეიშალე?

— გაჩუმდი და ყური მიგდე. მე ხომ ბავშვების მოვლა შემეძლია. საჭმლის გაკეთება ვიცი. ნუ შემაწყვეტინებ, დამაცადე. გაჭირვებიდან გამოსავალი კარზე მოგვადგა. მე ხომ ჯარში მზარეულობა მასწავლეს. ბინას ქალზე უკეთ დავალაგებ. გესმის, შენს კაბას ჩავიცმევ.

სარკეში ჩავიხიდე, არა მიშავს. მოვეწყობი ამ ადგილზე..

— კარლ, რას ამბობ. არავითარ შემთხვევაში. ვახიხადე კაბა! არა, არა!

— ლუსი, ამ მისამართით წავალ. შინიდან ისე გავალ, რომ არავინ დამინახავს. ნუ ლეღავ. უკანა ეზოდან გავიპარები. გესმის! ეკლესიის იქით, ავტობუსში ჩავვდები. ყველაფერი გავითვალისწინე. დამიჭერე, შიში ნურაფრისა გექნება. მხოლოდ ერთი თვე ვიმუშავებ იმ თეთრებთან. ორას დოლარს მივიღებ. ამ ფულის ნახევარს სახლში გადავიხდით, მეორე ნახევრით ვიცხოვრებთ. სანამ მე არ ვიქნები, ჰენრი მოვეხმარება...

— არა, არა! ღმერთო ჩემო! კარლ, შენ შეიშალე!

— დამშვიდდი, ლუსი და ყური მიგდე.

— ღმერთო, კანკალმა ამიტანა... ნუთუ არ გესმის, კარლ, რომ... არა, არა!

— ლუსი, ნუ ტირი!

— კარლ, თავიდან ამოიღე ეგ სისულელე.

— ლუსი, სამუშაოზე მოვეწყობი...

— არა, ისინი გაიგებენ.

— როგორ?

— შეგხედავენ და მაშინვე მიხვდებიან, რომ მამაკაცი ხარ.

— ზაზა! ვერ გაიგებენ, ლუსი. სააბაზანოს სარკეში ჩავიხიდე. შენი კაბა ჩავიცვი და მილიონ სხვა მზარეულ ზანგის ქალს დავემსგავსე. ვინ აკვირდება ზანგებს. თეთრებისთვის ჩვენ ყველანი ერთნაირები, ერთი სახისანი ვართ. დავეუშვათ, შენ არასოდეს გინახივარ: შენც კი ერთი შეხედვით ქალი გეგონებოდი, იმიტომ რომ კაბა მაცვია. სხვებსაც ქალი ვეგონები. გარდა ამისა, საყვარელო, გრძელი თმა მაქვს, როგორც ახლა ყველა ზანგს. ვანა ასე არ არის? აბა, ნახე რამსიგრძე თმა აქვს შუგარ რეი რობინსონს ან ნატ კინგ კოულას. ყველა ზანგს შავკანიანების კვარტალში გრძელი თმა აქვს. ასეთი მოდაა ახლა.

— ჰო, მაგრამ...

— კარგი... მე და შენ თითქმის ერთი სიმაღლისანი ვართ. შენი კაბა ზედგამოჭრილია ჩემთვის. შენს ჩანთას წავი-

ღებ, დაბალქუსლიან ფეხსაცმელს ჩავიცმევ. ტუჩის შეღებვა აუცილებელი არ არის. მოახლე ქალს შეუძლია ფერუმარილიც არ წაისვას. პირი სუფთად გავიპარე. სამართებელს თან წავიღებ და როგორც კი წვერი ოდნავ წამომეზრდება, უმალვე გავიპარავ. მხოლოდ „კი ბატონო“, „არა ქალბატონო“-ს თქმა დამჭირდება. მე ხომ ტენორი მაქვს. ვერაინ შემატყობს, რომ კაცი ვარ. ვიშოვი ფულს და გვეშველება.

— კარლ, ამ დილით ხომ არ დაგიღვია?

— არა, მთვრალი არა ვარ. უსათუოდ უნდა დავდგე იმ თეთრებთან მოახლედ.

— მაგრამ თუ მიხვდნენ, ციხეში ამოგაყოფინებენ თავს.

— ეს მათ აზრადაც არ მოუვიათ...

— მიხვდებიან. აი, ნახავ.

— არა, ვერ მიხვდებიან.

— სიარულში რომ შევატყონ?

— ვერ შემატყობენ. მამაკაცის და ქალის სიარულს შორის მაინცდამაინც დიდი განსხვავება არ არის. ყური მიგდე, ლუსი. ჩემს კოსტუმს სარდაფში დავტოვებ და როცა დავბრუნდები, ჩავიცმევ. შენს მეტს ეს არავის ეცოდინება. ჩვეულებრივად ასეთ ოჯახებში მოახლეები ნასადილევს მხოლოდ ქურქლის დასარეცხად რჩებიან. ახლა შემოდგომაა, დღემ იკლო. საღამოთი, იმათგან რომ წამოვალ, შებინდებული იქნება. მეზობლები ვერ დამინახავენ... შენ ჰენრი არ მოიშორო. გესმის? ჰენრიც ვერაფერს გაიგებს.

— კარლ, ნუ მტანჯავ. ეს სიგიჟე! ნამდვილი სიგიჟე!

— ნუ ყვრი, საყვარელო.

— თუ შენ ასე გახვალ გარეთ, იცოდე, მთელი ზმით დაიყვირებ.

— ვცდი და ვნახოთ, ლუსი...

— არა, არა! ეს რა სულელური აზრი დაგებადა, კარლ!

— სკოლის წარმოდგენებში ვთამაშობდი. ჯარშიაც ვდგამდით წარმოდგენებს. იმდენი კი შემიძლია, რომ თეთრები მოვატყუო. გარდა ამისა... სულ ერთ

თვის ვიმუშავებ, ლუსი. მერე გვეშვე-
ლება. დაფიქრდი, ლუსი. ერთი თვის
შემდეგ სახლი ჩვენი იქნება.

— კარლ, სიტყვა არ გამაგონო ამაზე.
თავი დამანებე. და გაიხადე ჩემი კაბა!
ახლავე! გესმის?

— ყური მივდე...

— გაიხადე კაბა!

— ლუსი, შემომხედე. რად ჩარგე ბა-
ლიშში თავი? აბა დაფიქრდი. მე ერთ-
გვარ რისკზე მივდივარ, მაგრამ გარწ-
მუნებ, ყველაფერი კეთილად დამთავრ-
დება.

— დანახვაც არ მინდა შენი.

— კარგი, რა მოგივიდა, ადამიანი არა
ხარ?

— პოლიცია გაგქაჩავს და ციხეში ჩა-
გადგებენ. დაგსჯიან იმის გამო, თავს ქა-
ლად რომ აჩვენებ. ეს თუ მოხდა, იცო-
დე, გაგეყრები, კარლ! შეიღებსაც მივა-
ტოვებ. შენს თავს ვფიცავ, თუ ამ კაბით
გახვალ ქუჩაში, მივატოვებ, ჩვენს შო-
რის ყველაფერი დამთავრდება!

— კი მაგრამ, ლუსი, რანაირად მიხვ-
დებიან, რომ მე ქალი არა ვარ? კაბას
ამიწვევენ თუ? ხა-ხა! ლუსი, ნუ სულე-
ლობ. თეთრების მოტყუება არც ისე
ძნელია.

— გაჩუმდი, გაჩუმდი, თორემ დავიყ-
ვირებ! თვალებს ამოგთხრი. **გაიხადე ჩე-
მი კაბა!**

— კარგი, კარგი, გავიხდი. ვიხუმრე.
დამშვიდდი, ნუ ტირი. ჩააქრე შუქი და
დაიძინე.

— კარლ, აღარასოდეს გააკეთო ეს.
გვედრები, არასოდეს გააკეთო ეს.
ღმერთო ჩემო, როგორ შემაშინე.

— კარგი, კარგი.

— გაიხდი თუ არა კაბას?

— რასაკვირველია, საყვარელო, ახ-
ლავე დავბრუნდები.

— ნუ ღელავ, კარლ. რალაცას მოვი-
საზრებთ. ღმერთო, საბრალო კარლ, ეს
რამ გაფიქრებინა? რა ვქნა, იგი ისე ღე-
ლავს. ჩემს კაბაში რომ დავინახე, მოჩ-
ვენება მეგონა. კინაღამ გონება დავკარ-
გე. საოცარია. რომ არ ვიკვილე.



— ოოო-ხო-ხო!.. კარლ, კარლ, კარლ!
ღმერთო ჩემო, სადა ხარ, კარლ? აღბათ
სამზარეულოშია. რვა საათია, ბავშვს
უნდა ვაჭამოთ. კარლ, კარლ! სადაა ჩემი
ხალათი? არა, იგი არ წასულა. არ ჩაი-
დენს კარლი ამას. მაგრამ სამზარეულო-
ში რომ არ არის? არც აბაზანაშია. კარლ!
ღმერთო, შინ არ არის! ბავშვი გავადვი-
ძე. არც ჩემი კაბაა, არც ჩანთა. **არც
ფეხსაცმელი!.. ნუთუ მან... არა,** ასე გა-
მოწყობილი ქუჩაში გასვლას ვერ გაბე-
დავდა! მამ, სადღაა? წავიდა იმ თეთ-
რებთან, გიყი, სულელი... უბედურებაში
ივლებს თავს. ვიცი, უბედურებაში ივ-
ლებს თავს.

— დედა!

— რაო, ჰენრი?

— თინა ტირის.

— ჰო, შვილო, მესმის. დაწეკი. რძეს
გავუცხებებ ბავშვს.

— მეც მშობი, დედა.

— ახლავე მოგიშვადებ საუზმეს.

— მამა სადღაა?

— წავიდა. მალე დაბრუნდება.

— რატომ ტირი, დედა?

— ჰენრი, ჩაწეკი ლოგინში და არ ად-
გე, სანამ არ დაგიძახებ. გესმის?

— კარგი, დედა.

— შენ კარგი ბიჭი ხარ, ჰენრი... რას
სჩადის ეს გადარეული მამაშენი? მუხ-
ლი მეყაცება. დავწვები. აი, სულელი!
იქნებ დავეწიო და დავაბრუნო? ან პო-
ლიციას შევატყობინო? არა, არა, ბავ-
შვებს უნდა ვაჭამო. როგორ მოვიქცე?
საბრალო კარლ, ისე ჭავრობს! კუჭიდან
გადავიდა.



— ვინ არის?

— მემ, განცხადება წავიკითხე, რომ
თქვენ მოახლე გჰირდებათ და გეახე-
ლით.

— ახლავე. დევი? კართან ზანგის ქა-
ლი დგას. განცხადება წავიკითხე და გეა-
ხელითო.

— ფუი ეშმაკს! რომელი საათია?

— მეცხრე დაიწყო.
 — რამ დამაძინა ამდენ ხანს. კარგი, ახლავე ვნახავ, ვინ არის. ასე უთენია რამ მოიყვანა? ჩვენ მხოლოდ გუშინ საღამოს მივეციტ განცხადება.
 — ალბათ, დილის გაზეთში დაბეჭდეს.
 — შემოვეუშვებ. ენ, ხალაი მოისხი და მოვლაპარაკე. თავზიანად მოექეცი. ამას წინათ რომ შეცდი, ხომ გახსოვს!
 — მე არ შევმცდარავარ. ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ შენ იმ გომბიოს არ გაეღლაბუცე.
 — ენ, შენ ისევ თავიდან იწყებ. შემოვეუშვებ და ვეტყვი დაგელოდოს. კარგი?
 — კარგი, დევი.

●
 — დილა მშვიდობისა, სერ.
 — დილა მშვიდობისა.
 — მაპატიეთ, რომ ასე ადრე შეგაწუხეთ, მაგრამ მინდოდა პირველი მოვსულიყავი. ძალიან მჭირდება ეს სამუშაო, სერ.
 — შემოდით.
 — გმადლობთ, სერ.
 — ჩემი მეუღლე გამოვა ახლავე. რა გქვიათ?
 — ლუსი ოუენსი, სერ.
 — რამდენი წლისა ხართ?
 — ოცდაათისა, სერ.
 — აჰ, ქალაქში ცხოვრობთ?
 — დიახ, სერ. ოცი წუთი სავალია ჩემი სახლიდან აქამდე.
 — მოახლედ გიმუშავნიათ? ბავშვის მოვლა თუ იცით?
 — რასაკვირველია, სერ. თავად ორი ბავშვი მყავს.
 — რამდენი წლისანი არიან თქვენნი ბავშვები?
 — ერთი ექვსისა, მეორე ერთი წლისაა.
 — ბავშვებს ვინ უვლის, თქვენ რომ სამუშაოდ მიდიხართ?
 — ქმარი, სერ. იგი ღამის ცვლაში მუშაობს სახერხ ქარხანაში და დღისით შინაა.
 — რეკომენდაციები გაქვთ?

— დიახ, სერ.
 — კარგი, ლუსი. ახლა თქვენ ჩემი ცოლი მოვლაპარაკებთ. ეს მას ეხება დაჯექი და ცოტა დაიცადე.
 — გმადლობთ, სერ.

●
 — ენ, აბა ერთი მოვლაპარაკე იმ ქალს. ახლო ცხოვრობს. მგონი, სუფთა დედაკაცია, თანაც ჯანიანი. ეტყობა, თავისი ადგილიც იცის. ლუსი ოუენსი ჰქვია. ორი ბავშვი ჰყავს.
 — მოვლაპარაკები და რეკომენდაციებსაც გადავხედავ, დევი. თუ სვამს, არ ავიყვან.
 — როგორც გინდა.
 — როგორ გამოიყურება? რამდენი წლისაა?
 — არ მივითხავს და არც დავკვირვებ ვივარ.
 — ეგ როგორ მოგივიდა?
 — ნუ დაიწყებ შენებურად, ენ. თუ გამოგვადგება, აიყვანე.
 — მოვლაპარაკები.
 — პირს ვავიარსავ. თუ გადაწყვეტ და აიყვან, სწრაფად მოგიმზადოს საუზმე.
 — ვნახოთ.

●
 — დილა მშვიდობისა, მემ.
 — თქვენ ლუსი ოუენსი ხართ?
 — დიახ, მემ.
 — ლუსი, ექვსი წლის ბავშვის მოვლა შეგიძლიათ?
 — რასაკვირველია, მემ.
 — თან საშინაო საქმეები უნდა გააკეთოთ.
 — ჩემთვის ეს სულ იოლი საქმეა, მემ. გამომცადეთ. ბავშვები ძალიან მიყვარს.
 — აი, ჩემი გოგონა, ლილი. ლილი, მოდი აქ, ეს ლუსია. ჩვენთან იმუშავენს
 — გამარჯობათ, ლუსი.
 — გამარჯობათ, მის ლილი. რა მშვენიერი გოგონა ხართ. როგორ ბრძანდებით?
 — კარგად, ლუსი. ტკბილდღეზელის გამოცხოვა თუ იცი?



— ხა-ხა! აბა, ლუსი, უპასუხებთ ლილის. მაგიდასთან ლილია ჩვენი უფროსი.

— მის ლილი, მე ისე ვაცხობ, თითებს ჩაიკვნეტ. რა გინდათ მე რომ არ გავაკეთო: ბისკვიტი, ტკბილღვებელი, ნაყინი. ჩემს ხელში მალე მოიკეთებ.

— ახლა მოუსვი აქედან, ლილი. ლუსი, მომეცი თქვენი რეკომენდაციები.

— მემ... იცით, მემ, მე შემოძლია გამოვართვა კარგი რეკომენდაცია, მაგრამ ისინი, ვისთანაც ვმუშაობდი, ევროპაში წავიდნენ და მხოლოდ ორი თვის შემდეგ დაბრუნდებიან. თქვენ მათ ვერ დაელაპარაკებით. მაგრამ ჩემზე შეგიძლიათ კითხვით წმიდა ბერკს ბაპტისტების ეკლესიაში პერლ-სტიტიდან. შეგიძლიათ დაურეკოთ.

— ჰო... დიდი ხანი მუშაობდით უკანასკნელ ადგილზე?

— ხუთი წელიწადი, მემ.

— ლუსი, გულახდილად მინდა გელაპარაკოთ. ჩვენთან ერთი ქალიშვილი მუშაობდა. მოგტყუვდი იმ ქალიშვილში. ისეთი კარგი ჩანდა, მაგრამ სვამდა. როცა დათვრებოდა, საშინლად იქცეოდა. გესმით, რას გეუბნებით?

— დიახ, მემ, რასაკვირველია. მაგრამ მე, მე პატიოსანი, მორწმუნე ქალი ვარ. მინდა პატიოსნად გემსახუროთ. იცით, მემ, მე და ჩემი ქმარი სახლს ვყიდულობთ. ჩვენ სანდონი ვართ, მემ.

— მომწონს თქვენი გადაწყვეტილება. ადამიანს საკუთარი სახლი უნდა ჰქონდეს. სუფთა ქალი ჩანხართ, ღონიერი, მარჯვე.

— მემ, ჩემი მუშაობით კმაყოფილი იქნებით.

— მაშ ასე. ლუსი. კვირაში ორმოცდაათ დოლარს ვადაგიხდით. დილის შვიდ საათზე მოხვალთ. ამ დროს ჯერ კიდევ გვიძინავს, მაგრამ ჩვენს გაღვიძებადვე საუზმეს მოამზადებთ. ჩვენი წასვლის შემდეგ ლილისთან იქნებით, დაალაგებთ სახლს, როცა დაგვეპირდება, თეთრეულს გარეცხავთ და ლენჩსა და სადილს მოამზადებთ. ჩემი ქმარი ლენჩის დროს შინ მოდის. როცა აქ საღამე

ახლოსა ვარ, მეც შემოვირბენ ხოლმე შინ. გესმის?

— დიახ, მემ. როგორც გნებავთ. თქვენ მხოლოდ ბრძანეთ, რომელი საათისთვის მოვამზადო, რა გავაკეთო და ყველაფერს მოვასწრებ.

— ლუსი, მე შენ მომწონხარ, მოდი ვცადოთ, აგიყვანთ. საკმარისია შეხედო ადამიანს, რომ მიხვდე, რას წარმოადგენს.

— გმადლობთ, მემ.

— ახლა სახლს გაჩვენებ, ლუსი. ეს ვერანდაა. როგორც ხედავ, აქ შემოსასვლელია. აქ სასტუმრო ოთახია, ეს საძინებელი. აი სააბაზანო. ეს კი ლილის ოთახია. ეს სასადილო, აქ კი სამზარეულოა.

— რა დიდი სამზარეულოა, მემ.

— დრო რომ არ დაგვარგოთ, სამზარეულოში ესაუხმობთ.

— გასაგებია, მემ. რა კარგი მაცივარია!

— უკანასკნელი მოდელია. ეს სარეცხი მანქანაა.

— ვიცი სარეცხი მანქანის ხმარება, მემ.

— სურსათს აქ, საკუჭნაოში ვინახავთ. დანა-ჩანგალს და ჭურჭელს აქ. ეს საპნის ფხვნილი, ჯაგრისი, ავერ ცოცხი. თეთრეულს ეზოში ვფენთ. მაგრამ მთავარი შენი საზრუნავი ლილია.

— დედა, ლუსიმ წითელქუდას ამბავი იცის?

— მის ლილი, წითელქუდაზე მე ყველაფერი ვიცი.

— კარგი, ლუსი. ახლა სწრაფად მოამზადე საუზმე.

— ახლავე, მემ. რა გიყვართ?

— რას შემოგვთავაზებთ, ლუსი?

— ალბათ, ყველას გიყვართ მაჭკატი. ისეთ პაეროვან მაჭკატს ვაკეთებ...

— ერთი წუთი. დეივ!

— ჰო, ენ.

— ლუსის უნდა მაჭკატი გააკეთოს. კარგ მაჭკატს ვამზადებო.

— კეთილი, გააკეთოს. დიდი ხანია კარგი მაჭკატი არ მიჭამია.

- ლუსი, ესაა ჩენი დაკვეთა.
- მესმის, მეშ. ახლავე მზად იქნება მაქკატი, ცხელ-ცხელი, ერბოიანი.



- საუზმე მზადაა!
- კეთილი, ლუსი. მიუჭეკი მაგიდას, ლილი. მე და ლილი ყოველთვის ერთად ვსაუზმობთ. მისის ფეარჩაილდი ჯერ კიდევ აბაზანაშია, იგი მერე ისაუზმებს. მკაცრ დიეტაზეა. შავი ყავისა და ერთი ნაჭერი მოხალული პურის მეტს არაფერსა ჰჭამს. მისის ფეარჩაილდი ცოტა უფრო გვიან მიდის სამსახურში.

- მესმის, სერ.
- მაქკატი დიდებულთაა. ენ, უნდა გასინჯო. თუნდ ერთი მიინც. ლილი, უთხარი დედას, რა გემრიელი მაქკატია.

- დედა, პირდაპირ ტკბილღვეულია.

- მმმმ!.. კიდევ ხუთს შევჭამ.
- დეივ, წელს გაუფრთხილდი.
- ლუსი, დიდი ხანია ასეთი მაქკატი არ მიჭამია. მმმმმ...

- მისტერ დეივ, კიდევ მიირთვით.
- ლილი, შენც გადაიღე.
- რასაკვირველია, მამა, ისეთი გემრიელია.

- მისტერ დეივ, კიდევ ხომ არ შეგიწვით?

- შემიწვით.

- ახლავე იქნება კიდევ ერთი ტაფა მაქკატი.

- მამა, ხომ კარგად ამზადებს საქმელს ლუსი?

- ჩემოდ, აგრე ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ. არ უნდა გავანებივროთ ლუსი. მაგრამ მან თავისი საქმე კარგად იცის. არ ვიცი, რითი შეაზავა მაქკატი, მაგრამ აი მესამედ ვიმატებ. ენ!

- რა იყო, დეივ?

- სულმოუთქმელად ესანსლავ მაქკატს. ამაზე უკეთესს ვერაფერს ინატრებს კაცი.

- ძალიან კარგი, დეივ. იქნებ ლენჩის დროს ვნახოთ ერთმანეთი. ლილი, აბა შენ იცი, წესიერად მოიქეცი და ყვე-

ლაფერი გაუგონე ლუსის. არავითარი წუწუნი, არავითარი ჭირვეულობა.

- კარგი, დედიკო. მე ლუსი მომწონს იგი დიდა და ღონიერი. მამა, მე კიდევ ერთ მაქკატს შევჭამ.

- ენ, ლილის მადა გაეხსნა.

- დიდად მოხარული ვარ, დეივ.

- ყავაც დიდებულთაა. მმმმ... რა კარგია სამსახურში წასვლის წინ რომ მაგრა გამოძღობი.



- აბა, ენ, მივდივარ. ლენჩის დროისთვის მოხვალ?

- თუ მოვასწარი, დეივ. ნახვამდის.

- ნახვამდის, მამა.

- ნახვამდის, ლილი. წადი სამზარეულოში და ლუსისთან იყავი, სანამ დედა აბაზანას ლებულობს.

- კარგი, მამა.



- ეს მე ვარ, ლუსი. რას აცეთებ?

- შემოდი, ლილი. ჭურჭელს ვრეცხავ. ახლავე მოვათავებ.

- ლუსი, სიმღერა იცი?

- ვიცი, რატომ შეკითხები?

- მამ, მიმღერე რამე. ბერთა ყოველთვის მღეროდა.

- რა გიმღერო?

- თქვენი რომელიმე სიმღერა.

- ხა-ხა! გასაგებია. კეთილი... ვცადოთ.



- კარგი სიმღერაა. მეც რომ ასე ვმღეროდე.

- შენც ისწავლი, როცა გაიზრდები.

- შენ როგორ ისწავლე ეს სიმღერა?

- ეს იმდენი ხნის წინათ იყო, ლილი, რომ დამაფიქსდა, როგორ ვისწავლე.

- ლუსი, შენ ისეთი დიდი ხელები გაქვს.

- რა თქვი?

- და ბალნიანი.

- ეგ არაფერია.

- შენ ისეთი დიდი კუნთები გაქვს.

- ეს იმის გამო, რომ ვრცხავ, ვალა-

გებ და კერძებს ვამზადებ, მძიმე ტაფებსა და ქვაბებს ვწევ.

— და ხმააც არა გაქვს ისეთი, როგორც ბერტას.

— როგორ?

— უხეში ხმა გაქვს, მამაკაცივით.

— ეს იმის გამო, რომ ბევრს ვმღერი.

— სიგარეტიც ისე გიჭირავს პირში, როგორც მამას.

— რაო? ჰო, ეს იმიტომ რომ ხელები დაკავებული მაქვს.

— მაშინაც სწორედ ასე მიბასუხა.

— შენ ყველაფერს ამჩნევ თურმე, ლილი.

— რასაკვირველია. ადამიანებს ვაკვირდები. ოი, ლუსი, რა სწრაფად მიმოდისარ სამზარეულოში! შენ თეფშების ამ გროვას ცალი ხელით იღებ. ბერტას ეს არ შეეძლო.

— შე დიდი გამოცდილება მაქვს, ლილი. ერთი ეს მითხარი, რატომ თოჯინას არ ეთამაშები?

— მირჩენია, გიყურო როგორ მუშაობ.

— ლუსი!

— დედა გეძახის, ლუსი.

— აქა ვარ, მისის ფეარჩაილდ.

— გასასვლელში ჭუჭყიანი თეთრეულის ფუთა თუ ნახე?

— დიახ, მემ, ვნახე.

— დღეს უნდა გარეცხო.

— მესმის, მემ. ლილი, არ წამოხვალ ჩემთან ვერანდაზე? მანქანაში ჩავდებ თეთრეულს, ჩავყრი საპნის ფხვნილს. შემდეგ ცხელ წყალს დავასხამთ... აბა, ჩავდოთ თეთრეული. აი, ასე. სწრაფად გავაკეთოთ. ახლა მანქანა ჩავრთოთ. ამუშავდა. თეთრეული უკვე ირეცხება.

— რა კარგია! შენ მანქანასავით მუშაობ, ლუსი.

— ღმერთო ჩემო, როგორ ამჩნევ ყველაფერს? ყველაფერს ნუ დააკვირდები, თორემ ბევრ გაუგებარ რამეს დაინახავ.

— რას დავინახავ გაუგებარს?

— ხა-ხა! არაფერს. აბა, ლილი, სანამ სახლს დავალაგებ, შენ რითი გაერთობი?

— სილაზე ვითამაშებ.

— სად?

— ეზოში.

— წაივდი, მაჩვენე სად არის სილა.

— ლობესთან.

— რამოდენა გროვია! რა კარგი კუთხე გქონია აქ, ლილი.

— მაშამ მთელი სატივირთო მანქანა სილა მიყიდა სათამაშოდ.

— გინდა სილისგან სახლს ავიშენებ? — მინდა.

— მოდი, ცვალოთ. ჯერ საძირკველი ამოვიყვანოთ, აი, ასე... ახლა კედლების ამოშენებას შევუდგეთ. ნუ ჩქარობ. ახლა გასასვლელი გავაკეთოთ. აქ, ხომ?

— ჰო, აქ. ლუსი, მშვენიერი სახლი გამოდის. ახლა მე თვითონ დავამთავრებ.

— შეძლებ?

— რასაკვირველია.

— მაშ, მე წავალ და სახლს დავალაგებ.

— ლუსი!

— მოვდივარ, მემ.

— აქეთ, გეთაყვა.

— დიახ, მემ.

— ლუსი!

— დიახ, მემ. სადა ბრძანდებით, მისის ფეარჩაილდ?

— აქა ვარ, აბაზანაში. შემოდი. ზურგი გამიხეხე.

— რა თქვით?

— შემოდი აბაზანაში.

— მემ?

— აი, აქეთ. მესმის შენი ხმა. კარია გააღე და შემოდი. ზურგი გამიხეხე.

— დიახ, მემ.

— ლუსი, არ გესმის?

— მესმის, მემ.

— მაშ, გააღე კარი და შემოდი.

— მე... ჰო, მემ.

— რა დაგემართა, ლუსი? რას იმალები კარს უკან?! შემოდი. აი, ამ ჯაგრისით გამიხეხე ზურგი. გამიხეხე, რას უყურებ. მთელი დღე აბაზანაში ხომ არ ვიქნები.

— დიახ, მემ.

— ვერ დავიგვიანებ სამსახურში. აბა! რატომ მიყურებ ასე უცნაურად, ლუსი? — ე...

— ავად ხომ არა ხარ, ლუსი?
 — არა, მემ.
 — მაშ, მოდი და გამიხეხე ზურგი.
 — კარგი, მემ.
 — აი, ასე. უფრო მაგრა წამისვი. ნუ გეშინია, შუშა არა ვარ, არ გავტყუდები. მაგრად. რა გემართება, ლუსი? ხელები გიციანკალეხს.
 — მემ...
 — რა გემართება, ლუსი? გეშინია თუ გრცხვენია?
 — არა, მემ.
 — იქნებ გუუხერხულება, ტიტველი რომ ვარ.
 — ო, არა, მემ.
 — მაშ, რა მოვივიდა? სახე გავიოფლიანდა, საშინელი შესახედავი ხარ. ავად ხომ არა ხარ, ლუსი?
 — არა, მემ, თავს მშვენივრად ვგრძნობ.
 — მაშ, გამიხეხე ზურგი! მაგრად! ხელები სულ არ გემორჩილება, ლუსი. რა გემართება? უცნაურად იქცევი. იქნებ გეწყინა. ბერტა ყოველთვის მშველოდა ტანის დაბანაში...
 — ეს მხოლოდ პ-პ-პ-პირველად დამემართა.
 — მესმის, მაგრამ რატომ გეშინია ჩემი? მე ისეთივე ქალი ვარ, როგორც შენ.
 — დიახ, მემ.
 — უფრო მაგრად, ლუსი. ზევით, ბეჭებს შუა. ასე. მიყოფა. ახლა პირსახოცი მომეცი, ლუსი. სად მიდიხარ? დაიცა, ჯერ არ მომიტავევია. ფრთხილად უნდა ამოვიღე აბაზანიდან. აქედან ამოსვლა სახიფათოა, შეიძლება ფეხი დაგიცდეს ადამიანს. ლუსი, მომეცი პირსახოცი. რა გემართება? რატომ მიყურებ ეგრე უცნაურად? აიღე პატარა პირსახოცი და სახე შეიმშრალე. ავად ხომ არა ხარ? იქნებ ექიმს ეჩვენო. ჩემი სიძე ბერტ სტოლმანი ექიმი. თუ გინდა მოვიწვევ ბერტს.
 — აქ ცხელა და იმის ბრალია, მემ.
 — ცხელა? მე კი მცივა. მე მცივა და შენ გცხელა. რაღაც კარგი ამბავი არაა შენს თავს, ლუსი. მომეცი პირსახოცი!

ახლა ტალკის კოლოფი. გმადლობთ... დაჯექი ამ სკამზე. რაღაც უნდა ვითხრა, ლუსი. ამაზე უკეთეს დროს ვერ მოვნახავ. გულახდილად მინდა მოგელაპარაკო, როგორც ქალს.

— დიახ, მემ.
 — წედან არ ვითხარი, რატომ დავითხოვე მოახლე. ჩემი მეუღლე სვამს... იმაზე მეტს, რაც საჭიროა. სხვა დროს ჭკვიანი, თვინიერი კაცია და ჩვენ შეწყობილად ვცხოვრობთ. გესმის, ლუსი, რას გეუბნები?
 — დიახ, მემ, მესმის.
 — ბერტაც სვამდა. როცა ორივე დალევადა... ალბათ, წარმოიდგენ, რა ხდებოდა მაშინ... ვასაგებია?
 — დიახ, მემ.
 — შენ სვამ, ლუსი?
 — არა, მემ. არც ერთ წვეთს.
 — კარგი. თუ არ დალევ, ჩემი მეუღლე თითოსაც არ მოგაკარებს და შენ ადვილად დაიცავ შენს თავს. ხელი ჰკარი და მეტი არაფერი. მითხარი, როგორც ქალმა, ჩვენ გავუგეთ ერთმანეთს?
 — მისის ფეარჩაილდ, თქვენი ქმარი მე არ შემეხება.
 — მოხარული ვარ, ლუსი. ჩემთვის ვასაგებია დეივის საქციელი. ეს ხანდახან ემართებათ ხოლმე მამაკაცებს. შემდეგ სირცხვილისაგან თვალები სად დამალოს არ იცის. გესმის? მაგრამ შენც თუ ბერტასანიირი ხარ, ამას ცუდი ბოლო ექნება.
 — მენდეთ, მემ.
 — ოხ, ლუსი, თუ ჩემს ტანს არ გავუფრთხილდი, ცუდადაა საქმე. როგორა ფიქრობ, ძალიან სქელი ვარ, არა?
 — მემ, ზოგ ადამიანს უხდება, ცოტა სქელი რომაა.
 — მაგრამ ჩემი ძუძუები... ვანა ძალიან დიდი არაა?
 — შეიძლება მართლაც ოდნავ დიდია...
 — ბარძაყები?
 — არა, მემ.
 — შენ ერთობ თავაზიანი ხარ, ლუსი, რომ ისა თქვა, რასაც ფიქრობ. როგორ

მინდა მეც შენსავით გამხდარი ვიყო.
როგორ აღწევ ამას, ლუსი?

— ალბათ, მძიმე სამუშაოს რომ ვასრულებ, იმიტომ ვარ გამხდარი, მემ.

— ძალიან მომწონხარ, ლუსი. ხა-ხა! თექვსმეტი წლის გოგოსავით ხარ, ლუსი. არა მჯერა, რომ ორი შვილი გყავს... ყური მიგდე, ლუსი. რაც ჩემს მეუღლესე ვითხარი, ჩვენს შორის დარჩება. კარგი?

— კარგი, მემ. არავისთან არ ვიტყვი, მემ.

— ქმართან როგორა ხარ, ლუსი?
— კარგად, მემ.

— ჰო, ლუსი... ლენჩისთვის ისპანახი, ცხვრის დაბეგვილი ხორცი, მოხარშული კარტოფილი, სალათი და მსხლის კომპოტი უნდა მოამზადო. აგრეთვე ყავა. დღეს შინ არ ვისადილებთ.

— მესმის, მემ.

— ლუსი, ლიფი მომეცი. აი, იქ არის...

— ინებეთ, მემ.
— ღმერთო ჩემო, არაფერს არ ვჭამ და შინც ვსუქდები.

— ახლა კი შეგიძლია სახლის დალაგება განაგრძო.

— მემ, ყავა ცხელია. პური მოგიხალოთ?

— არა, პურს არ შევჭამ. შავ ყავას დავლევ.

— კარგით, მემ. წავალ. ვნახავ რას აკეთებს პატარა ლილი.

— ჰო, ლუსი. კარგად მოუარე ბავშვს.

— ლილი! ლილი!

— აქა ვარ, ლუსი. შეხედე ჩემს სახლს.

— შენ თითქმის ავიშენებია.

— ლუსი, რა დაგემართა, სახე რამ დაგისველა ეგრე? რად კანკალეზ?

— არაფერი. ცოტა ხანს დავჯდები აქ, კიბის საფეხურზე, დავისვენებ. საბაზანოში ძალიან ცხელია.

— შეშინებული სახე გაქვს, ლუსი.

— ხანდახან სული მეხუთება ხოლმე.

— მოგწონს ჩემი სახლი?
— დიდებულია.
— ლუსი!

— ჰო, მისის ფეარჩაილდ.

— ნახვამდის. ნახვამდის, ლილი.

— ნახვამდის, დედა.

— ნახვამდის, მისის ფეარჩაილდ.

— ლილი.

— ჰო.

— ლენჩი მზადაა. ჭამე და დაიძინე.

— კარგი, ლუსი.

— არა, ლილი, ახლავე მოდი. გაგიცივდება საჭმელი.

— მოვდივარ.

— ხელები დაიბანე?

— დავიბანე.

— დაჯექი, ხელსახოცი აიფარე მკერდზე. აი, გემრიელი ისპანახი.

— არ მიყვარს ისპანახი.

— ჭამე. სასარგებლოა. მერე ნაყინს მოგცემ.

— რისას?

— შოკოლადისას.

— მე ვანილისა მიყვარს.

— კმარა. გააღე პირი და ჭამე. სწრაფად!

— ლუსი, რადა გაქვს ეგეთი ბოროტი სახე?

— რაო?

— თანაც უხეში.

— ხა-ხა! მთელი სიცოცხლე მძიმე სამუშაოს ვეწევი, ლილი. ამიტომ მაქვს უხეში სახე. რატომ მიყურებ თვალმოუშორებლად? ნუ მიყურებ. ჭამე.

— მამის ლენჩი მზადაა?

— ჰო. მამის ლენჩიც მზადაა და დედასაც.

— თუ იცი, დედა მოვა ლენჩისთვის?

— არ ვიცი. ჭამე, შეწყვიტე ლაპარაკი.

— ლუსი, შენ ისეთი იქნები, როგორიც ბერტა იყო?

— როგორი იყო ბერტა?

— შენც ეჭვიდავები მამას?

— რაო? ხა-ხა! არა, არ ვეჭვიდავები.

— ხა-ხა! ბერტა ყოველთვის ეჭვიდავებოდა მამას და ოთახიდან ოთახში დარბოდა.

— რატომ?

— არ ვიცი, მაგრამ ძალიან სასაცილო იყო. მესმოდა ბერტას გინება. ისეთ აურზაურს ატეხდნენ ხოლმე, რომ ვერ ვიძინებდი და მამა ათ ცენტს მაძლევდა, ეს ამბავი დედას არ გაუზიხლოო.

— მე არ ვეჭვიდებები მამაშენს, ასე რომ, შენ შეგიძლია დაიძინო.

— მაგრამ მამა ისეთი ღონიერი და მარღია.

— გავეჭვევი.

— დავიჭერს, როგორც ბერტას იჭერდა ხოლმე.

— ნუ ჭაქანებ, ლილი, კატლეტი ჭამე.

— ვჭამ, ლუსი.

— თუ არ იჩქარებ, ვერ მოასწრებ დედ-მამის მოსვლამდე დაწოლას.

— შენ გინდა მამის მოსვლისთვის და-ვიძინო?

— მე ეგ არ მითქვამს.

— ბერტა ყოველთვის მიძილებდა სწრაფად მეჭამა, რომ მამის მოსვლამდე დამეძინა.

— ჰო? აბა, მიაშვებ, როგორ ეჭვიდებოდა მამა ბერტას.

— ჩვეულებრივად ჰიდაობდნენ.

— ზშირად?

— თითქმის ყოველ დღე. მერე ბერტა დაითხოვეს.

— რატომ?

— დედამ თქვა, ქალს არ ეკადრება კაცთან ჰიდაობაო.

— მართლა არ ეკადრება.

— ლუსი, შენ დედაჩემივით არ იღებავ ტუჩებს?

— ხანდახან. გაინძერი, ჭამე. ნუ ცელ-ქობ. ვინ უსტვენს იქ?

— ფოსტალიონი.

— ჭამე. წავალ, ფოსტას მოვიტან.

— ფოსტალიონი ბერტას მეგობარია, ისიც შავკანიანია.

— ჰო.

— ბერტა ყოველთვის ეპატიყებოდა მას. შენ შემოიყვან?

— მე არ შემოვიპატიყებ. ჭამე. ფოსტას მოვიტან.

— არის ფოსტა, ლუსი?

— მხოლოდ ერთი წერილია მამაშენის სახელზე.

— ფოსტალიონი ნახე? ელაპარაკე?

— არა. იგი ეზოდან გადიოდა. არ დამიძახია.

— ბერტა ყოველთვის ეძახდა.

— მე ბერტა არა ვარ.

— განა იგი შენი მეგობარიც არ არის?

— არა.

— იცი რა ჰქვია?

— არ ვიცი. რა ჰქვია?

— კერკბი რიკვორდი ჰქვია.

— ჰო, გამიგონია.

— ბერტა ყოველთვის ეპატიყებოდა მას.

— მე არ შემოვიპატიყებ.

— ბერტა მამის ბოთლიდან ალევინებდა სასმელს.

— აი, ნაყინი, ლილი. სანამ შეჭამ, დედასა და მამას გავუშლი სუფრას.

— კარგი, ლუსი, მაგრამ შენ სულ არ ჰგავხარ ბერტას.

— ეი, ვინ არის შენ?

— მამა! ლუსი, მამა მოვიდა.

— რას შვრები, ლილი? ჯერ არ გიჭამია?

— თითქმის ყველაფერი შევჭამე, მამა.

— რამდენჯერ გითხარი, დაძინებული დამხვდი-მეთქი.

— ლუსის ველაპარაკებოდი, მამა.

— ა, გამარჯობა, ლუსი.

— გამარჯობათ, მისტერ ფეარჩაილდ.

— როგორაა საქმე, ლუსი?

— კარგად, სერ. ჩინებულადაა საქმე, სერ.

— კარგად ჭამა ლილიმ?

— გვარიანად, მისტერ ფეარჩაილდ.

— მოდი, ლილი. ნაყინს მე შეგაჭმე.

— არ მინდა ნაყინი... მამა, დედა მოვა ლენჩზე?

— არ ვიცი.

— შენ მარტო ჭამ?

— შეიძლება.

— მამა, ბერტა სად წავიდა?

— არ ვიცი. დაივიწყე ბერტა! მოათავე ნაყინი!

— ოჰ, მამი, ნუ მიწყურები...

— აბა, სწრაფად, ლილი. ძილის დროა.

— შენ რომ მოხვალ, ყოველთვის და-

საძინებლად მგზავნი. ვიცი, გინდა ლუსის ელაპარაკო.

— გაჩუმდი და ჭამე! ნეტა სად გადა-
მალა ენმა ბოთლი. ყოველთვის მიმა-
ლავს ბოთლს. ლუსი, არ გინახავს ბოთ-
ლი?

— რომელი ბოთლი, სერ?

— ვითომ ვერ ხვდები... ვისკის ბოთ-
ლი. მინდა ერთი ჭიქა ვისკი დავლიო.

— არა, სერ, არ მინახავს.

— აი, აგერაა. ისე კარგად დამიმა-
ლავს, ძლივს ვიპოვე. ერთ ჭიქას ზომ არ
გადახვავ, ლუსი?

— არა, სერ, მე არა ვსვამ.

— სირცხვილი. ერთ ჭიქა ვისკის ჯერ
არავინ მოუკლავს. არაფერი ჯობია ჭა-
მის წინ ჭიქა ვისკის მადისთვის.

— დიახ, სერ, მაგრამ მხოლოდ იმის-
თვის, ვინც სვამს, სერ.

— ვისკის ფასი არაფერია.

— არ ვიცი, სერ.

— ძალიან მიყვარს ვისკი.

— მამა, რამე მომიტანე?

— რა თქვი? არა, ჩემო სიხარულო.
დღისით მე ზომ არაფერი მომაქვს შენ-
თვის. საღამოთი მოგიტან. აბა, მორჩი
ჭამას!

— რას მომიტან, მამი?

— ეს სიურპრიზი იქნება. ეს! კარგად
ჩამისველა ყელი ამ ერთმა ჭიქამ. ლილი,
მორჩი-მეთქი ჭამას! ლუსი სად წავიდა?

— სამზარეულოშია.

— ლუსი!

— დიახ, სერ.

— რას აკეთებ სამზარეულოში?

— ცხვრის ხორცს გიწვავთ, სერ.

— დალევ თუ არა ერთ ჭიქას?

— არა, სერ. გმადლობთ, სერ.

— სამწუხაროა.

— მოვათავე ჭამა, მამა. წავიდე დასა-
ძინებლად?

— ახლავე. ლუსი, დააწვინე ლილი...

— მესმის, სერ. აბა, ლილი, წადი შენს
ოთახში და გაიზადე.

— ლუსი, მამასთან ითამაშებ?

— გაჩუმდი და სანდლები გაიზადე.

— კარგი.

— ლუსი, ლილი ვიჭერებს?

— დიახ, სერ. აბა, ლილი, ჩაძვერი სა-
წოლში. აი, ასე. საბანი დაიფარე, მაგრამ
თავზე ნუ წაიხურავ. აბა, ძილი ნებისა.
კარს ვხუტავ.

— ბავშვებს კარგად ევუებები, ლუსი?

— კარგად, მისტერ ფეარჩაილდ.

— მოდი აქ, დალიე ვისკი.

— არა ვსვამ, მისტერ ფეარჩაილდ.

— სად მიხვალ?

— ხორცს უნდა დაეხედო, არ დამეწ-
ვას, მისტერ ფეარჩაილდ.

— ლუსი, შენ ისეთი შესანიშნავი მზა-
რეული ხარ, რომ მეც მინდა ვნახო, რო-
გორ აკეთებ კერძებს.

— როგორც სხვები, სერ.

— აი რა, ლუსი...

— ხელი გამიშვით, მისტერ ფეარ-
ჩაილდ.

— კარგი ერთი!

— ხელი გამიშვით, მისტერ ფეარ-
ჩაილდ.

— ქმრით კმაყოფილი ხარ, ლუსი?

— მისტერ ფეარჩაილდ, თუ თავს არ
დამანებებთ, არ ვიმუშავებ თქვენთან.

— ლუსი, თავსა ვღებ, რომ კმაყოფი-
ლი არა ხარ შენი ბებრუცუნით.

— მისტერ ფეარჩაილდ, თავი დამანე-
ბეთ. სამუშაო მაქვს.

— ეშმაკმა დალახვროს, ბერტას არ
ჰგავხარ. უკარებად ნუ მიჩვენებ თავს!
მინდა გასიამოვნო, ლუსი!

— ხელი გამიშვით, სერ!

— ნუ ყვირი, ლუსი. მე მხოლოდ ისე...

— თუ კვლავ მომეკარებით, ხელს
გტაცებთ.

— ვინ ვის ეკარება? ხელს გტაცებ?
მეც სწორედ ეგ მინდა. აბა, ჰა! ნუ
იპრანჭებ!

— მომეშვით, სერ!

— ბიჭოს, შენ თურმე ღონიერი ხარ!

— მომეშვით, მისტერ ფეარჩაილდ!

— ბიჭოს, შენ მამაკაცის ღონე გაქვს!
კარგი, ვნახოთ, ვინ უფრო ღონიერია!
დავლევ და გამოგცდი.

— არ მომეკაროთ, მისტერ ფეარ-
ჩაილდ!

— დალახვროს ეშმაკმა, ეს ვინ ყოფი-
ლა! რა მარჯვე ხარ! მოდი ჩემთან!

— თუ შემიხებთ, იცოდეთ, ხელს გადავიგრებთ, მისტერ ფეარჩაილდ!

— დალახვროს ეშმაკმა, ამ შავკანიანს ჰგონია, ორივე ბეჭზე დამდებს! ენახოთ!

— ოი, მისტერ ფეარჩაილდ, თქვენი ბრალია! თქვენ მკარით ხელი, თევფებს დაეჯახე და დაიმტვრა.

— წიხლებს ნუ იცემინები, ლუსი! სულ ერთია, ჩემსას მაინც გავიტან!

— იცოდეთ, გაფრთხილებთ, მისტერ ფეარჩაილდ!

— ბიჭოს, შენ თითქოს ფოლადისგან ხარ ჩამოსხმული. ხელებს ნუ მიკაეებ! მე შენ ვასწავლი ჭკუას!

— შეჩერდით, მისტერ ფეარჩაილდ, თორემ იატაკზე გაგაკრავთ!

— აბა ერთი, სცადე!

— კიდევ ერთხელა გთხოვთ... თავი დამანებთ!

— ოხ, შე თავხედო, შავკანიანო კახპავ!

— გამიშვით, მისტერ ფეარჩაილდ, თქვენი ხორცი დაიწვი!

— მამა, რა მოხდა?

— ლილი, წადი, დაწეკი!

— მამა ლუსის ეჭვიდავება, ისე როგორც ბერტას ეჭვიდავებოდა ხოლმე.

— ლილი, შენ გეუბნებიან, წადი, დაიძინე!

— კი, მამა, მაგრამ...

— მომეშვით, მისტერ ფეარჩაილდ!

— მე შენ ვასწავლი ჭკუას!

— მამა! შენ მაგადა გადააბრუნე! ვაიმე, ლუსი, შენ!

— ხელი გამარტყი, შე შავო კახპავ!

— გტკივა, მამა? ლუსი, შენ ისე მაგრა გარტყი მამას, რომ იგი წაიჭკა.

— ვერ წამიხვალთ, მისტერ ფეარჩაილდ. გაგიშვებთ თუ პირობას მომცემთ, რომ ხელს არ მახლებთ.

— აი, ავდგები და კისერს მოვიგრეს! ხელი გამიშვი! გამიშვი, თორემ მუცელში ჩაგცხებ!

— პირობას მაძლევთ, რომ ხელს არ მახლებთ?

— ჰო, ლუსი, ოღონდ ხელი გამიშვი.

— თავი დამანებთ, მისტერ ფეარჩაილდ, კერძი უნდა მოვამზადო.

— კარგი, გამიშვი.

— აღეკით, მისტერ ფეარჩაილდ და გადით აქედან.

— ლილი, წადი შენს ოთახში!

— კეთილი, მამი. გტკივა?

— არა. ლუსი, არ მჭერა, რომ ასეთი ღონიერი ხარ. აბა, ენახოთ...

— ხომ არ შეიშალეთ, მისტერ ფეარჩაილდ! მომეშვით, თორემ გლუწავთ!

— ენახოთ.

— გაფრთხილებთ, არ მომეკაროთ!

— ველარ წამიხვალ.

— გამიშვით, მისტერ ფეარჩაილდ!

— ნუ ინახები, ლუსი!

— უკანასკნელად გაფრთხილებთ!

— აააააა!

— არ მომიკლა, მამა, ლუსი!

— ხომ გაგაფრთხილეთ, მისტერ ფეარჩაილდ! კიდევ გლუწავთ, თუ... არა, არა! ხელი გამიშვით ფეხზე! თუ კიდევ გლუწეთ, კარგი დღე არ დაგადგებათ.

— დალახვროს ეშმაკმა, ლუსი. შენ ცბენივით ღონიერი ხარ.

— დედა მოვიდა.

— დევი! ღმერთო, რა ხდება?

— დედა! მამა ლუსის ეჭვიდავება...

— მისის ფეარჩაილდ, ჩემი ბრალი არ არის. მისტერ ფეარჩაილდმა ვადაჰკრა და აღარ მეშვებოდა.

— ახ, შე ძუკნავ! ტყუის! არ დაუჯერო, ენი!

— მისის ფეარჩაილდ, თქვენი მეუღლე გამოთვრა და აღარ მეშვებოდა...

— ეგ შენ გამოთვერი ჩემი ვისკით. შენ...

— რას ბრძანებთ, მისტერ ფეარჩაილდ!

— მინდოდა მომეშორებინა, დამკაწრა. ენ, გეფიცებ, ჩემი ბრალი არ არის!

— დევი! დევი! ჭკუაზე შემშლი! საკმარისია შინიდან გავიდე, რომ იგივე განმეორდეს! რამდენჯერ შემომფიცე, რომ ეს აღარასოდეს განმეორდება! მეგონა, შენ მაინც იყავი სანდო, ლუსი! ო, როგორ დავიქანცე, ღმერთო ჩემო! მეტი მოთმენა აღარ შემიძლია!

— ნუ ტირი, დედა!

— დამშვიდდი, ენ. ახლავე გააგდე ეგ კახა! აიციოცხოს აქედან!

— არ გამაგონო შენი ხმა, დეივ. თითონ ვიცი, როგორ მოვიქცე. დამაცადე!

— აი, ხომ ხედავ, ლუსი, რა ელად მიხვდა ჩემი ცოლი, რა სულიცა ხარი!

— წყევლიმიც იყავ, თეთრო გარყვნილო კაცო!

— აიკარი გულა-ნაბადი და მოუსვი აქედან! სანამ ცოლი არ შემოვა.

— კეთილი, მივიღვივარ, გამატარეთ!

— ნურას უკაცრავად, ასე იოლად ვერ გადამირჩები!

— ვაიმე მამი! დედამ რევოლვერი აიღო!

— ენ, დადე რევოლვერი!

— ჩამომეცალე, დეივ, თორემ ორრვეს მოგკლავთ!

— გეუბნები, რევოლვერი დადე! ნუ სულელობ!

— ჩამომეცალე, დეივ! მეტს აღარ მოვითმენ! ალბათ, შენ თვითონ გამოგზავნე ეგ შავი კახა. არ გამიკვირდა, უთენია რომ მობრძანდა! ახლა სულს გაეფურთხოვინებ.

— მისის ფეარჩაილდ, მე არაფერ შუაში ვარ. ღმერთს გეფიცებით, არაფერ შუაში ვარ. მე ასეთი რამ აზრადაც არ მომივა. თქვენ არ გესმით!

— ჰო? ბერტაც ასე ჭიკჭიკებდა. დეივ, ჩამომეცალე! უნდა ვესროლო. თუ არ ჩამომეცლები, შენ მოგხვდება ტყვიბ!

— ენ, ენ, ნუ სულელიობ! დაუშვი რევოლვერი!

— არ მომეკარო, დეივ!

— მომე რევოლვერი!

— არ მომეკარო!

— აბა, ძალით წაგართმევ! ოი! არა, არა! შენ იგი მოკალი, ენ!

— დედა! მამა! ლუსი მოკალიო...

— მოდი აქ, ლილი! დედასთან არ მიხვიდი.

— ღმერთო ჩემო! დეივ, ეს რა საშინელედა ჩავიდინე? მოვკალი! ო, ეს შენ ჩამადენინე, შენი ბრალია! შენ შემპირდი, რომ აღარასოდეს არ განმეორდებოდა! და ახლა მე მოვკალი ადამიანი.

ღმერთო ჩემო! დეივ, ეს რა ჩამადენინე! ალბათ, მკვდარია.

— დედა, იატაკზე სისხლია!

— ენ, დაუშვი რევოლვერი.

— თავი უნდა მომეკლა, დეივ!.. სიციოცხლე მომიწამლე! ყველას მოვკლავ, შენც, ლილისაც!.. და ჩემს ტანჯვას ბოლო მოელება!

— დაუშვი რევოლვერი! სასხლეტს თითს ნუ აჭერ! ან მე მომხვდება, ან ლილის!

— აჰა, დეივ... გამომართვი რევოლვერი... ღმერთო, დეივ... ეს რა ჩამადენინე? სიციემდე მიმიყვანე შენი ლოთობით! როგორ მოვიქცე ახლა?

— წადი შენს ოთახში. ლილიც წაიყვანე. უნდა მოვილაპარაკოთ. ცუდი ამბავი დაგვატყდა თავს.

— დედა, ნუ ტირი, შენი ჭირიმე, დედა...

●

— დეივ, მოკვდა ლუსი?

— არ ვიცი... ლილი, შეწყვიტე ტირილი. ყური მიგდე, ენ...

— ო, დეივ, რა ვქნათ ახლა? თავს მოვიკლავ!... ციხეში ჩამსვამენ?

— გაჩუმდი! გამაგრდი და ყური მიგდე. მამატიე, საყვარელო, მე მხოლოდ ვიხუმრე.

— შენ ხომ შემპირდი, დეივ...

— დილით გადავხუხე. არ მესმოდა, რას ჩავდიოდი.

— შენ ყოველთვის ასე ამბობ.

— დედა, ლუსი მოკვდა?

— იყუჩე, ლილი. ენ, ექიმი უნდა გამოვიძახოთ. რაღაც უნდა ვიღონოთ.

— ღმერთო! ალბათ, უნდა ვიღონოთ. რას მიზამენ, დეივ? დახედე, იქნებ ცოცხალია!

— ბერტ სტოლმანს დავურეკავ. იგი შენი სიძეა, ჩვენი მეგობარი. იქნებ რამე გვიჩიოს. ტყვიის დაჭრის შესახებ მაშინვე პოლიციას უნდა აცნობო. იქნებ ბერტმა რაიმე გამოსავალი გამონახოს, ა? დავურეკავ...

— ჯერ ლუსის დახედე. იქნებ ცოცხალია.

— არა, ბერტს დავურეკავ.

— დეივ, მაპატიე, მაგრამ ეს შენი ბრალი! მე არ მინდოდა მომეკლა!

— ჩუმად, ენ, სუუ, ლილი!.. ეს შენა არ, ბერტ? დეივი გელაპარაკები. ახლავე წამოდი ჩვენთან, ბერტ. საშინელი ამბავი დაგვატყდა თავს. ტელეფონით ვერ ვატყვი. უბედურება შეგვემთხვა. უნდა მოხვიდე და რაიმე გვიშველო. ცოდვა დატრიალდა ჩვენს ოჯახში. ადამიანი დავეკრით, ბერტ. ჰო, ქალი, შავკანიანი მოახლე. სისხლისგან იცლება. ჰო, ასე მოხდა. მე ვესროლე, ბერტ. სამზარეულოში წევს იატაკზე. არ ვიცი, ცოცხალია თუ არა. ჰო, ენი ცდილობს გამაგრდეს. რასაკვირველია. ლილის არაფერი მოსვლია. ახლავე წამოხვალ? კარგი. გმადლობთ, ბერტ. უჰ!.. ენ, ახლავე წამოვა შენი სიძე. ვუთხარი რომ მე ვესროლე.

— არა, დეივ. სიმართლე უნდა ვთქვა. შენ თუ არ იტყვი, მე ვიტყვი.

— ძვირფასო, ეგ საქმე მე მომანდე. ყველაფერი შეცდომით მოხდა.

— დედა, ლუსი მოკვდება?

— დეივ, აბა ერთი დახედე, იქნებ ჯერ კიდევ სუნთქავს.

— კარგი. თქვენ აქ იყავით.

— დედა, რატომ მოკალი, ლუსი?

— ოო, ლილი, სამწუხაროა, რომ შენ ყველაფერი ნახე და გაიგონე! მაგრამ საბრალო დედაშენს ბრალი არ მიუძღვის. მალე მოგაშორებ აქაურობას, წავიყვან და წავალთ შორს, ძალიან შორს.

— ენ, მგონი ძალიან ცუდადაა მისი საქმე. ისევ იქა წევს და სისხლი მთელ იატაკს მოედო.

— ღმერთო, ოღონდ გადარჩეს! დეივ, რა მოგივიდა ხელზე?

— იმ გომბიომ დამკაწრა ალბათ... არც შემომჩნევია.

— ეს რა მიქენი, დეივ? სიკვდილი სანატრელი გამიხდა! თავი უნდა მომეკლა და არა ის საბრალო სულელი.

— დამშვიდდი, ენ. ყური მიგდე. მას მე ვესროლე. გასაგებია? ჩემს თავზე ვიღებ დანაშაულს. რალაცა მოგვპარა, დროზე შევნიშნე და მინდოდა დამეჭირა. ის გაიქცა და ვესროლე.

— არა, არა. ტყუილს არ ვიტყვი, დეივ! პირველი წელი არ არის, რომ მაძულე, ტყუილი ვთქვა. იცოდე, რაც უნდა მოხდეს, ტყუილს ვედარ მათქმევინებ.

— ნუ სულელობ. მოდი, შევთანხმდეთ, რა ვთქვათ. ბერტს თამამად შეიძლება ვენდოთ. იგი მოგვეხმარება. გამიგონე, მე ვესროლე. გასაგებია?

— ტყუილს არ ვიტყვი, დეივ. მე ვესროლე. და მოვკალი.

— ენ, ერთ-ერთ ჩვენგანს, ალბათ, დააპატიმრებენ. სჯობს მე ჩამსვან. შენ ლილისთან დარჩები.

— ღმერთო, არაფერი მესმის!.. თავი უნდა მოვიკლა! ადამიანი მომაკვლევინე, დეივ! შენ უნდა მომეკალი, უბედურო, რეგვენო! შე მურღალო გარყვნილო! შე გამობრუტულო...

— ჩუმად, ბერტი მოვიდა. ენ, იცოდე, მე ვესროლე!

— გამარჯობა, ენ. გამარჯობა, დეივ. რა მოხდა?

— შემოდი, ბერტ. კარგია, რომ მოხვედი. მოახლემ გაგვექურდა, მაგრამ შევნიშნეთ. გასაგებია? ავდექი და ვესროლე...

— ღმერთო ჩემო!

— დეივი ტყუის, ბერტ. მე ვესროლე.

— გაჩუმდი, ენ.

— სადაა ქალი?

— სამზარეულოში წევს, ბერტ.

— გავსინჯავ. შენ აქ დარჩი. ეს სერიოზული ამბავია.

— ენ, ხელს ნუ მიშლი.

— ტყუილს არ ვიტყვი, დეივ. იცოდე, ტყუილს არ ვიტყვი.

— დედა, ჩვენ ყველას დაგვიჭერენ?

— იყუჩე, ლილი.

— ენ, მაპატიე. მთვრალი ვიყავი. არ ვიცოდი რას ჩავდიოდი.

— არ გამაგონო შენი ხმა, დეივ.

— დედა, ლუსი მოკვდა?

— არ ვიცი. ჩუმად იჯექი, გენაცვალე.

— ჩუუ! ბერტი მოდის.

— დავრეკავ, რომ სისხლის გადასახ-

მელი ყველა საჭირო ხელსაწყო მომიტანონ.

— გადარჩება, ბერტ?

— ძნელი სათქმელია, ენ. ბევრი სისხლი დაუკარგავს.

— ბერტ, რაც კი შესაძლებელია, ყველაფერი გააკეთე. მაგრამ გახსოვდეს, მე ვერსოლე მას.

— ჰმ... შენ ესროლე?

— ჰო, მე.

— რატომ?

— ეგ გრძელი ამბავია, ბერტ. მაგრამ ეცადე გადაარჩინო.

— დეივი ტყუის, ბერტ. მე ვერსოლე მას და ყველა სასამართლოში ვიტყვი, რატომ.

— ენ, ენას კბილი დააჭირე! მე ვილაპარაკებ.

— მისმინეთ ორივემ... სისხლი უნდა გადავუსხა. აქ დარჩით. შემდეგ უნდა მოვილაპარაკოთ. ჩემთვის გაუგებარია...

— გადარჩება, ბერტ?

— არ ვიცი, ენ. იქნებ გადარჩეს, თუ ზომებს სწრაფად მივიღებთ.

— მადლობა ღმერთს. თუ ვინმე იმსახურებს სიკვდილს, ეს მე, ბერტ.

— ენ, დამშვიდდი და ეგ საქმე მე დაჰმანებე.

— არ გამაგონო შენი ხმა, დეივ.

— შემოდით.

— ენ, დეივ, სისხლი უკვე გადავუსხი.

— ცოცხალია? გადარჩება?

— შეიძლება გადარჩეს.

— სადაა?

— დევანზე წევს, სასტუმრო ოთახში.

— ბერტ, როგორ მოვიქცეთ? გახსოვდეს, მე მოვკალი. ენს ამ საქმესთან არაფერი საერთო არ აქვს...

— ნუ ტყუი, დეივ! ბერტ, მე ვერსოლე მას...

— ყური მიგდეთ, რამდენიმე შეკითხვა უნდა მოგკეთ.

— გიამენთ, მაგრამ მე ვერსოლე და არა ენმა.

— საიდან მოიყვანეთ ეგ მოახლე?

— განცხადება წაუკითხავს.

— წინათ თუ გინახავთ იგი?

— არა.

— ბერტ... ალბათ, თვითონ დეივიმ გამოგზავნა იგი. მას შავკანიანი ქალები მოსწონს. ამიტომ მობრძანდა უთენია.

— ენ, სისულელეებს ნუ რომავ! გეყოფა!

— ყური მიგდეთ, ბერტ... ეს საიდუმლო არ არის. დეივი სვამს. დიდი ხანია... ამის გამო მოახლე ვერ ამყავს.

— ენ, ღვთის გულისათვის! ბავშვზე იფიქრე!

— მათქმევინე, დეივ.

— გაჩუმდით, ყველაფერი ეს უფრო რთულია, ვიდრე თქვენ გგონიათ. ჭრილობა არც ისე მძიმეა. ბარძაყში მოხვედრია ტყვია. ბევრი სისხლი აქვს დაკარგული, მაგრამ თუ მოვუვლით, გადარჩება.

— მადლობა ღმერთს!

— ხომ ხედავ, ენ! ყველაფერი კეთილად დასრულდება.

— მხოლოდ ეგ საქმე ცოტა უცნაურად მეჩვენება...

— რა ვინდა ამით თქვა, ბერტ? გულახდილად გვითხარი. მე და ენი ყველაფერისთვის მზადა ვართ. რაც მოხდა, ამაზე პასუხს მე ვაგებ.

— ხომ არ აიძულეთ, რაიმე მიზეზით ქალის ტანსაცმელი ჩაეცვა მოახლეს?

— არ მესმის რას ლაპარაკობ, ბერტ.

— რა თქვი, ბერტ?

— ნუთუ არ იცით, რომ... რომ... დალახვროს ეშმაკმა, თქვენ მამაკაცს ესროლეთ.

— ღმერთო ჩემო, ეს რა მესმის!

— ბერტ, რას ლაპარაკობ?

— ვინ ესროლა მოახლეს, ეს თქვენი პირადი საქმეა. მაგრამ თქვენი მოახლე მამაკაცია ქალის ტანსაცმელში გადაცმული.

— დაგვცინი, ბერტ?

— არა, დეივ, ხუმრობის გარეშე.

— ლუსი კაცია?

— ჰო, ენ, კაცია.

— ოოოოოო!

— ნუ წივი, ენ. ბერტ, მართლა კაცია?

— მართლა. იგი თვითონ გამოტყდა.

— დეივ... განა ეს შესაძლებელია? ხომ არ ცდები, ბერტ?

— ხა-ხა! მე ხომ ექიმი ვარ. როგორმე გავარჩევ ქალს კაცისგან. მოახლე, რომელიც სასტუმრო ოთახში წევს, მამაკაცია...

— აი, რატომ შეშინდა ამ დილით აბაზანაში...

— რაა? ის შენთან აბაზანაში შემოვიდა?

— ის ქალი... ის კაცი... ის ქალი ოფლში იწურებოდა, თრთოდა...

— გასაგებია... ალბათ...

— ენ, ბერტ, ყური მივდეთ!.. მოვიფიქრე, როგორ მოვიქცეთ. ყველაფერი იოლად მოგვარდება. ამ ყარაჩამ ქალის ტანსაცმელი ჩაიკვია, რომ ჩვენსა შემოპარულიყო და ჩემი ცოლი გაეუბატიურებია! ხა! გესმით! ეს თავის დაცვა იყო. ვესროლე, რათა ნაშუსი დამეცვა, ჩემი ოჯახი დამეცვა. ჩვენ ასე ვიტყვი! მე თეთრი ქალის ნაშუსს ვიცავდი ქალის ტანსაცმელში გადაცმული მოძალადისგან! კაბაში გადაცმული მოძალადე უფრო სახიფათოა. ყოველი საფიცი მსაჯული გამამართლებს. ენ, ასე ვთქვათ პოლიციაში.

— ენ, იმ კაცმა რაიმე დაგიპირა აბაზანაში?

— არა, ბერტ. დაეჩანცე ამდენი ტყუილის ლაპარაკით, მეტი აღარ შემიძლია. არა, იგი არ შემხებია. და თუ ის მამაკაცია... იმიტომ მისდიოდა შისისგან სული, ადვილიდან ფეხს ვერ იცვლიდა. ახლა ჩემთვის ყველაფერი ცხადია...

— რა არის ცხადი, ენ?

— აი, რატომ იყო დაფეთებული... ზურგი გამიხსებე-მეთქი ვთხოვე და ძლივს...

— მაშ, იგი შეგვხო! ბერტ, ეს სერიოზული ფაქტია სასამართლონთვის!

— არა, დეივ. მე ტყუილს არ ვიტყვი, ვერ მათქმევინებ ტყუილს.

— ბერტ, არ შეიძლება ეს ამბავი როგორმე მივჩქმალეთ? ენს არ უნდა მომეხმაროს, შენ მაინც მომხმარე. შენ

ჩვენი მეგობარი ხარ. ბანკში ამ სკანდალს არ მამატიებენ.

— მე ექიმი ვარ, დეივ, და ვალდებული ვარ ეს ამბავი პოლიციას შევატყობინო.

— მაგრამ, ბერტ, ეს ხომ ჩვენი ოჯახის ამბავია. გასაგებია?

— მან რომ განაცხადოს, ტყვია მესროლესო, მაშინ რას იზამთ, დეივ?

— რასაკვირველია, შენ ეს ამბავი პოლიციას უნდა აცნობო, ბერტ.

— ენ, ეშმაკმა წაგილოს, კბილი დააჭირე მაგ შენს წყეულ ენას. ბერტ, შავკანიანი ჩემს სახლში გადაცმული შემოიპარა.

— სწორია.

— მე თავს ვიცავდი.

— დეივ, ყური მივდე. მე მხოლოდ და მხოლოდ ექიმი ვარ. თუ ამ კაცმა პოლიციაში განაცხადა, კარგი დღე არ დაგადგებათ. არც მე მეტყუიან მაღლობას. თუ დაჭრის ამბავს არ შევატყობინებ. გასაგებია?

— ბერტ, მოელაპარაკე იმ შავკანიანს. ჰკითხე, რატომ გადაიცვა ქალის ტანსაცმელი.

— შენ გინდა შევეუთანხმდე მას?

— ჰო, მოელაპარაკე. ვნახოთ, რას იტყვის.

— არა, ბერტ, ტყუილს არ ვიტყვი.

— გაჩუმდი, ენ. სცადოს ბერტმა, იქნებ შეუთანხმდეს.

— კარგი. თქვენ აქ დარჩით. მაგრამ იცოდეთ, თუ გამოივს, რომ ასეთი საქმე დავფარე, ამით დასრულდება ჩემი კარიერა.

— გვენდე, ბერტ.

●

— ენ, თუ ღმერთი გწამს, ნუ სლუტყუნებ. შეიკავე თავი. უნდა გამოვჭვრეთ ამ გაჭირვებიდან.

— დეივ, ეს მაინც ბინძური საქმეა! და ასე იყო მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე. ველარ მოვიტყუებ თავს.

— დედი, მეშინია. ჩვენა დასაჭერად პოლიცია მოვა, არა?

— გაჩუმდი, ლილი. ვაი, რომ არავინ მყავს ისეთი, აქედან წაგაყვანოს.

— თუ შენ შეწყვეტ ტირილს, ლილი დამშვიდდება. ბერტი ყველაფერს გააკეთებს ჩვენთვის.

— მოავარე ეგ საქმე, როგორც გეინებოს, დეივ, მაგრამ მე ტყუილს არ ვიტყვი თუ ვინმე რამეს შემეკითხება. **დავიქანცე ამდენი ტყუილით.**

— ენ, ძვირფასო, ერთ წვეთსაც არ დავლევ ვისკაის.

— ეს ათასჯერ ვითქვამს ჩემთვის, დეივ.

— ღმერთი მოწმეა, ამჯერად მართალს გეუბნები.

— დედა, ლუსი მოკვდება?

— მადლობა ღმერთს, არა.

— დედა, რატომ ესროლე ლუსის?

— ლილი, ნუ ეკითხები საბრალო დედაშენს ნურათფერს, გეხვეწები, შვილო!

— არა, ლილი, პოლიცია არავის დაიჭერს. ლუსი მალე მორჩება. მამამ იხუმრა მხოლოდ. ენ, ნუ აშინებ ბავშვს.

— მამა, ბიძია ბერტი აკაკუნებს.

— შემოდი, ბერტ.

— რაც შემეძლო, ვეცადე. მაგრამ არ ვიცი, რა გამოვა აქედან. დაჩქებით და ყურღი დამიგდეთ. არ ვიცი, ვერკვევი თუ არა ადამიანებში. მე იგი პატიოსან ადამიანად მიმაჩნია, თუკი მამაკაცი ქალის ტანსაცმელში შეიძლება პატიოსანი იყოს. აი, რა მიაშბო მან: თურმე მისმა ცოლმა ახლახან მოილოგინა. კაცი კი სამუშაოდან დაითხოვეს. ავადმყოფობის გამო ცოლი ვერ იმუშაებს. მათთვის სახლი უნდა წაერთმიათ და სასოწარკვეთილი იყო. ამ დროს თქვენი განცხადება წაიკითხა გაზეთში. ჩაიცვა ცოლის კაბა, ფეხსაცმელი, აიღო მისი ჩანთა, მოვიდა თქვენთან და გითხრათ, ლუსი მქვიაო. თუ რა მოხდა შემდეგ, ეს თქვენი იცით.

— მაგრამ ამით მან კანონი დაარღვია.

— რასაკვირველია, დეივ. მაგრამ შენ არ გინდა ეს ამბავი გახმაურდეს. ენი ამბობს, არ მივცემ ჩვენებას, რომ ძალადობა დამიპირაო.

— ჰო, ტყუილს არ ვიტყვი.

— კარგი, ბერტ. რამდენს თხოულობს ეგ ყარაჩა, რომ დავიწყოს, რაც მოხდა?

— თუ მკურნალობის ფულს გადამიხდიან და ორას დოლარს დამიმატებენ, ყველაფერს დავივიწყებო. რასაკვირველია, ეს იმ შემთხვევაში, თუ ენს არ უნდა მის წინააღმდეგ საქმის აღდგრა.

— არ მინდა, მას ჩემთვის არაფერი დაუშავებია.

— ბერტ, ის ხელს მომიწერს ქალაღზე?

— უკვე მოაწერა ხელი. მაგრამ სანამ ჩეკს არ მომიცემ, ამ ქალაღს ვერ მიიღებ.

— ახლავე მოგცემ ჩეკს. ვწერ. ხედავენ, რა კარგად ჩაიარა ყველაფერმა!

— ჰო, მაგრამ არა ჩემთვის.

— ძვირფასო, დამშვიდდი. აი, ბერტ, ჩეკი და მოუსვას აქედან. ინციდენტი ამოწურულია.

— დეივ, გთხოვა ცოტა ხნით ერთ-ერთი შენი კოსტუმში მომეცი, რომ შინ მივიდეთ. თავისი კოსტუმში თურმე სარდაფში შეუნახავს.

— კარგი, ამოარჩიე გარდერობში. ოღონდ, რაც შეიძლება სწრაფად წავიდეს აქედან.

— კარგი, შინ მივიყვან და ერთ საათში დავბრუნდები.

— მადლობა ღმერთს, ბერტ. ენ, გადავჩიოთ. ჩემო გვრიტო, მამატიე, გეთაყვა, დამნაშავე ვარ.

— დეივ, აღარ შემიძლია ასე ცხოვრება!

— კარგი რა, ენ, ადამიანი არა ხარ!

— ვიყავი ადამიანი რვა წელიწადი. დავიღალე. ბოლო უნდა მოედოს ჩემს წამებას!

— ენ, ძვირფასო, მე შენ ახლა ძალიან მჭირდები, უშენოდ ძნელი იქნება ჩემთვის ცხოვრება. ყველაფერმა ჩაიარა, ყველაფერი კარგად მოეწყო. დაფიქრდი, რა საფრთხეში ვიყავით, კაბაში გადაცმული ყარაჩა რომ ოჯახში გეყავდა.

— არა, დედაჩემთან წავალ, ლილისაც წავიყვან.

— ენ, ნუთუ ასეთ დღეში დამტოვებ?

— მივდივარ, დეივ.
 — არა, არა. თუ ღმერთი გწამს, შე-
 მიბრალე, ენ.
 — უნდა წავიდე, დეივ.
 — ენ, შენ რომ წახვიდე, მთლად გავ-
 ლოთლები.
 — ახ, დეივ!
 — მითხარი, ხომ დარჩები, ენ!
 — ღმერთო... ასეთ დღეში ვერ დაგ-
 ტოვებ, დეივ.
 — ჩემო კეთილო ენ! აი, ნახავ, სულ
 სხვა ადამიანი ვიქნები. მოიცა! ბერტს
 თავისი მანქანისკენ მიყავს ის ყარაჩა.
 შეხედე! ბარბაცებს ის წყეული. ისლა
 გვაკლია, გზაში ფეხი გაფშოკოს. მორჩა.
 წავიდნენ. მადლობა ღმერთს, ყველაფე-
 რი მოგვარდა, ენ!
 — ჩემთვის არ მოგვარებულა ყველა-
 ფერი, დეივ. სანამ შენ სმას არ მიატო-
 ვებ, ყველაფერი ისევ ისე იქნება.
 — საყვარელო, გფიციები, ამიერი-
 დან წვეტს არ დავლევ!
 — შენ ყოველთვის ასე მეფიცები,
 დეივ!

●
 — ვინ არის?
 — კარი გამიღეთ. თქვენი ქმარი მო-
 ვიყვანე.
 — ღმერთო, რა მოხდა? კარლ! კარლ!
 ავადა ხარ?
 — ნუ ღელავ, ლუსი, დამშვიდდი.
 კარგადა ვარ.
 — რა დაგემართა?
 — სჯობია ახლავე დააწვინოთ თქვე-
 ნი ქმარი. დაჭრილია.
 — ვინ დაჭრა?
 — თვითონ მოგიყვებათ... ჯერ დააწ-
 ვინეთ.
 — შემობრძანდით, შემობრძანდით!
 — მამა!
 — გამარჯობა, ჰენრი!
 — მამა, ავადა ხარ?
 — არა, ჰენრი, მხოლოდ ბარძაყი და-
 ვიშავე. საშიში არაფერია.
 — ამ კარში შემობრძანდით, სერ.
 — ამ საწოლზე დააწვინეთ. ასე. რო-
 გორა გრძნობ თავს?

— კარგად, სერ.
 — გტყვი?
 — არა, სერ.
 — ერთი კვირა არ ადგე. თუ სიცხემ
 აგიწია, ცოლმა დამირეკოს.
 — კარგი, სერ.
 — ჩემს მეგობრებს იმედი აქვთ, რომ
 პირობას არ დავარღვევ. გინახულებ, თუ
 ეს საჭირო იქნა. სულ მალე გამოკეთ-
 დები.
 — დიახ, სერ. გმადლობთ, სერ.
 — თუ ვერ დაიძინო, ეს აბი დალიე
 ყოველ ორ საათში თითო.
 — გმადლობთ, სერ.
 — ხვალ აქეთ მხარეს ვიქნები და გი-
 ნახულებ.
 — დიახ, სერ. გმადლობთ, სერ.
 — არასოდეს გააკეთო ამგვარი რამ.
 ამჯერად ბედმა გაგიღიმა.
 — არა, სერ, არ გავაკეთებ. ლუსი,
 გააცილე ექიმი.
 — ახლავე, კარლ. რამდენი მოგართ-
 ვათ, ექიმო?
 — არაფერი არ უნდა მომართვათ.
 ოღონდ თქვენს ქმარს კარგად მოუარეთ
 — დიახ, სერ.
 — მამა, თავს უკეთა გრძნობ?
 — რასაკვირველია, ჰენრი. მე თავს
 კარგად ვგრძნობ. შენ?
 — დედა ტირილდა...
 — ვიცი. პაწია როგორაა?
 — ძინავს. მავრად დაშავდი, მამა?
 — არა, მსუბუქად. დედას ეხმარე-
 ბოდი?
 — რასაკვირველია. ჩვენ...
 — კარლ, ხომ გეუბნებოდი, ნუ გა-
 კეთებ ამას-მეთქი.
 — რა გააკეთა მამამ, დედა?
 — ეგ შენი საქმე არ არის, ჰენრი. რა
 მოხდა, კარლ?
 — გამიგონე ლუსი, მოდი, ნუ მკით-
 ხავ. არაფერი არ გეტყვი. თავს კარგად
 ვგრძნობ. და, საერთოდ, ყველაფერი
 დიდებულად მოეწყო... შეხედე. აი, ფუ-
 ლი. სახლის ფულსაც გადავიხდით. ორა-
 სი დოლარი.
 — ღმერთო! საიდან მოიტანე ფული?
 — მაჩუქეს.

— ვინმე გაძარცვე? არ დამიმალო...
 — არა, არა, ლუჩი. თუნდ ერთხელ მაინც ნუ მკითხავ ნურაფერს. პირობა მივეცი, არაფერი არა ვთქვა. და შენც ნუ მეკითხები, დილით ბანკში წაიღე ჩეკი და ფულს მოგცემენ.
 — არ მესმის.
 — არც გინდა. სახლი ჩვენია. სახარჯოდაც გვეყოფა.
 — რა გააკეთე?
 — აკი გითხარი, ნუ მკითხავ-მეთქი.
 — მაგრამ პოლიციამ რომ მოგაკითხოს?
 — არ მომაკითხავს.
 — წახვედი თუ არა, მაშინვე ვიგრძენი, რომ რაღაც საშინელი მოხდებოდა.
 — არაფერი მომხდარა, ლუსი. ფეხში დავიჭერი, ეგ არის და ეგ.
 — როგორ დაიჭერი? სად? როდის?
 — ლუსი, ახლავე გაჩუმდი.
 — და შენ მართლა ჩაიცივი ჩემი ტანსაცმელი?
 — ჰო, მაგრამ დაივიწყე ეს ამბავი.
 — ტანსაცმელი სადაა?
 — არ ვიცი. დავკარგე...
 — რა მოხდა, კარლ?
 — ნუ შემომიჩნდი, ლუსი. სხვა ტანსაცმელს გიყიდი.
 — კარლ, ჩეკი ყალბი ხომ არ არის?
 — არა. რატომ ტირი? ლუსი... და შენ, ჰენრი, ნუ ღრიალებ. შეხედეთ, თინა გააღვიძეთ და ისიც ტირის. ყველა ტირის! შეწყვიტეთ! შეწყვიტეთ-მეთქი! ლუსი... ეშმაკმა დალაზეროს, არ შემოძლია გულდამშვიდებით გიყუროთ, როგორ ტირით! ოოოო!
 — მაპატიე, კარლ. ჰენრი, ბავშვს მიხედე და გაჩუმდი, თორემ მამა უფრო ცუდად გახდება.
 — კარგი, ღედა.
 — კარლ, რატომ გაჩუმქვს ორასი დოლარი?

— მე იგი დავემსახურე, ლუსი.
 — კერძს ამზადებდი?
 — ყოველგვარ საქმეს ვაკეთებდი.
 — ოჯახში?
 — ჰო.
 — დიასახლისი იყო იმ ოჯახში?
 — ლუსი, მეტს ნურაფერს მკითხავ!
 — დიასახლისი კმაყოფილი იყო შენი მუშაობით?
 — ჰო, ჰო! ყველა კმაყოფილი იყო, ამიტომ მივიღე ორასი დოლარი! კმარა!
 — რა გაეწყობა, კარლ. მაგრამ ერთი რამ უღაფთაა: ჩემი ტანსაცმლის ჩაცმით უბედურებას გადაეყარე. ხომ ასეა?
 — ასეა.
 — კარლ, არასოდეს... პირობა მომეცი, რომ არასოდეს ჩაიღენ ამგვარ რამეს.
 — ხა-ხა! ნუ მთხოვ, ლუსი. მხოლოდ ექვსი საათით ვიყავი ქალი და კინაღამ თავი წავაგე. კაბა ჩავიცვი და ორი საათის შემდეგ, მეგონა, შევირყევე-მეთქი.
 — ხომ გაგაფრთხილე, კარლ! მამაკაცისთვის იოლი არ არის ქალს მიბაძოს.
 — დალაზეროს ეშმაკმა, ლუსი, როგორ ახერხებთ ქალები ამას?
 — ძვირფასო, ეს ინსტიქტია.
 — მეგონი, მართლა ასეა. არ მეგონა, თუ ასე ძნელი იყო.
 — კარლ, აღარასოდეს ჩაიცვა ქალის კაბა! კინაღამ სული დავლიე, რომ ვეღარ გნახე.
 — ნუ მთხოვ, ლუსი. სიკვდილით დასჯითაც რომ დამემუქრონ, მაინც არ ჩავიცმევ კაბას.
 — კინაღამ პოლიციას დავურეკე.
 — ღმერთო ჩემო, კარგია რომ არ დაურეკე.
 — ლუსი, კარგი, ნუ ტირი!
 — მამი, რა ატირებს, ღედას?
 — ჰენრი, ახლა შენც ატირდი. ღმერთო! ყველა ტირის... ლუსი, ჰენრი... ტირით!.. მეც ვერ ვიკავებ თავს.. ოოოოო!..

თარგმნა გრიგოლ ჩიქოვანმა.





ბიბლია - ზეპუჯი

პასილ ჟაკონსკი
(1783—1852)

ივანე გასტონიუჰილი და ჯუჯი მკვალი

პოეზია-ზღაპარი

და ერთდროულად დაეცა პირქვე
 კიდევ თერთმეტი კარი თუჯისა.
 იმ კარებს იქით ღვევივით რაში
 ჰყავდა ჯადოქარს გამოწყვედუელი.
 უცებ ივანე ბატონიშვილმა
 დაუსტენინა და მოვარდა ცხენი —
 ფიცხი, ძლიერი და მშვენიერი.
 ვარსკვლავებივით ენთენ თვალები,
 ნესტოებიდან ცეცხლი სცვიოდა,
 ღრუბელსა ჰგავდა ფაფარი მისი.
 რა გავაგრძელო, რაში კი არა,
 საკვირველება იყო ნამდვილი.
 რაშის ძალ-ღონის გამოსაცდელად
 ზურგზე მარჯვენა დაჰკრა ივანემ,
 დაიხრიალა ცხენმა ანაზდად,
 ჩაიჩოქა და მაინც გასწორდა,
 ფლოქვები მძლავრად ჩასო მიწას
 და ამეტყველდა კაცური ენით:
 „ვაჟო მამაცო და უშიშარო,
 მე სწორედ შენებრ მხედარს ვნატრობდი.
 მზად ვარ ერთგულად რომ გემსახურო.
 შემაჯექ ზურგზე და ღვთის შეწევნით
 გაგუდგეთ შორ გზას. გზა კი ყოველი

ვიცი, რაც არის ამ ქვეყანაზე.
 მხოლოდ მიბრძანე, საით წავიდე
 და იქ მიგიყვან, სადაც ინებებ“.
 ბატონიშვილმა წვრილად მოუთხრო
 თავისი დარდი და გასაჭირი,
 მოახტა რაშს და შესძახა მჭახედ.
 დაიჭიხვინა ცხენმა უეცრად
 და ყალყუე დადგა გახარებული.
 მიფრინავს რაში ხეებზე მალდა,
 მიფრინავს იგი ღრუბლებზე დაბლა,
 მიფრინავს, მიჰქრის, როგორც ისარი,
 ისე მსუბუქად ესება მიწას,
 მტვერს არ აყენებს, არ თელავს ბალახს.
 ბოლოსდაბოლოს, მთელი დღის
 სრბოლით

დაიქანცა და უმატა ქშენას.
 ჩამოსდიოდა ოფლი წურწურით
 და ოსშვიარი ესვია ტანზე
 ვითარცა კვამლი. ეს როგორც იგრძნო,
 მოსწია აღვირს ბატონიშვილმა
 და წაიყვანა ნელი ნაბიჯით.
 სადამო იყო, ტრიალ მინდორზე
 იგი ჩამავალ მზეს შეჰყურებდა,
 როცა მოესმა მოულოდნელი,
 რაღაც ველური, შლვეი ყვირილი.
 რას ხედავს: გზაზე დგანან ქაჯები,

დასასრული. დასაწყისი იხ. „ციცქარი“, № 11, 1966 წ.

იკაწრებიან, ილანძღებიან,
ცხვირ-პირს ამტვრევენ ერთმანეთს
რქებით.

ქაჯებს ივანე ბატონიშვილი
მიუახლოვდა და შეეკითხა:
„ბიჭებო, მამცნეთ, რაისთვის დაობთ!“
ერთმა მიუგო: „აი რაისთვის:
სამი განძი გვხვდა წილად ორივეს,
ჯოხი, რომელსაც მტერთან ბრძოლაში
არ ჰყავს ბადალი, არ ჰყავს მომრევეი;
სუფრა, რომელიც თვითონ იშლებს,
ქუდი, რომელშიც უჩინარდება
ყველა უსულუ და სულიერი.
ჩვენ კი ორნი ვართ მათი მფლობელი
და სამი განძი ვერ გაგვიყვია.
შეგლაპარაკდით და წავიკიდეთ.
შენ გონიერი კაცი ხარ, ძმაო,
როგორ მოვიქცეთ, გვიჩიე რამე!“
„როგორ მოიქცეთ? — მოჩხუბარ ქაჯებს
უთხრა ივანე ბატონიშვილმა, —
მე ვტყორცნი ისარს, თქვენ გაედევნეთ
ვიდრე მიწაზე დაეცემოდეს.
აიღეთ, ჩემკენ გამოიქცით.
ვინც მოიჭრება ჩემთან პირველი
მას წყვილი განძი ეკუთვნის, სოლო
მეორეს ერთი განძიც ეყოფა.
თანხმანი ხართ?“

„პო, გეთანხმებით!“

ერთად იყვირა ორივე ქაჯმა
და გაეკიდა სასწრაფოდ ისარს,
რომელიც სტყორცნა ბატონიშვილმა.
იქვე დატოვეს სამივე განძი.
არ დაბნეულა ბატონიშვილი:
დაავლო ხელი ჯოხსა და სუფრას.
რომ დაიხურა ქუდიც, მამნივე
გაუჩინარდა იმ ცხენიანა.
განაგრძო გზა და უჭკუო ქაჯებს
გადასაწყვეტად ეს დაუტოვა:
ჩხუბი ფრიათ თუ მორიგება.
ისე იარა რაშმა ფრთამალმა,
რომ მზის ჩასვლამდე შევიდა ტყეში,
სადაც ცხოვრობდა როკაპი ქალი.
გაოცდა დიდად ბატონიშვილი,
როცა იხილა უზარმაზარი
ტყვრი მუხების და ნაძვებისა.
ირგვლივ სუფევდა სიჩუმი სრული,
ხეები თითქოს ზეწეურ თვლემდნენ,
არცა შრიალი ისმოდა ფოთლის,

არცა ჭრიალი ისმოდა ტოტის.
არცა სულდგმული მოჩანდა სადმე,
არცა ფრთოსანი — ხეთა რტოებში,
არც ქიაღუა — ბალახბუღასში.
სამარისებურ დუმილს არღვევდა
მხოლოდ თქარუნი ცხენის ფლოქვების.
ბატონიშვილი მიაღგა ქოხმასს,
ოწოფვნებზე რომ იდგა ტყეში.
„ქოხო, ქოხმასო, შემოტრიალდი
გახსენ კარები და შიგ შემიშვი!“ —
ბრძანა და ქოხიც შემოტრიალდა,
დაუყოვნებლივ შევიდა ვაჟო.
გარდაისახა პირჯვარი კართან,
როგორც წესია, თავი დახარა
და მიმოავლო მზერა ყოველმხრივ.
ნახა: როკაპი წევს იატაკზე,
ფეხები ჭერზე მიუბჯენია.
რომ გაიგონა ხმაური, უმაღ
წამოიძახა იმ კუდიანმა:
„აი თუ გინდათ საკვირველება!
რუს კაცს აქ ფეხი ჯერ არ დაუღამს.
არცა მისი ხმა სმენია არვის,
დღეს კი რას ვხედავ? ბატონიშვილო,
რისთვის ინებე აქ მობრძანება?
რამ მოგიყვანა — ჭირმა თუ ლხინმა?
არ გაუვლია აქ ნადირს ტყისას,
არ ჩაუვლია მამაც დევგმირსაც,
ჩიტს გადაფრენა ვერ გაუბედავს.
შენ კი, ივანე ბატონიშვილო,
აქ როგორ მოხველ, საიდან გაჩნდი?“
„შე ჯადოქარო, უჭკუო ქალო,
ჯერ გამიშალე სუფრა, მაჭამე,
როგორც მეკუთვნის ვაჟკაცს და სტუმარს.
შემდეგ ლოგინიც დამიგე, დავწვე
და რიგოიანად გამოვიძინო.
მერე რაცა გსურს მკითხე და გეტყვი.“
ფეხზე წამოდგა როკაპი ქალი, —
დაბანა, ასვა, აჭამა პური,
დააწვინა და ეს უთხრა მხოლოდ:
„ძილი ნებისა, კარგო ვაჟკაცო,
როდი იქნება ხვალაც გვიანი!
აქ ახლა მშვიდად გამოიძინებ.
შენს გაჭირვებას ხვალ მომიყვები
და შეგეწვევი, რაც შემიძლია!“
ილოცა ვაჟმა, ჩაწვა ლოგინში
და ჩაეძინა ღრმა ძილით მალე.
გაედგია და — შუადღე იყო.
წამოხტა, პირზე ისხურა წყალი,

ჩაიკვია, მერე ჯადოქარს ამცნო უდაბურ ტყეში მოსვლის მიზეზი. როკაპმა ქალმა მიუგო ასე:
 „ჰეი, ივანე ბატონიშვილო, კარგო ვაჭკაცო, რასაც შენ ლამობ, ხუმრობა საქმე ხომ არ გგონია! მაგრამ ნუ დარდობ და ღვთის შეწევნით ჩვენ მოვაგვარებთ ყველაფერს. დიას, მე შენ გასწავლი, როგორ იპოვო უკვდავ კოშეის სიკვდილი. მხოლოდ ყური მომაპყარ და მომისმინე: ერთ ზღვაში არის კუნძული დიდი და მას ბუიანს უწოდებენ ხალხი. იმ ბუიანზე, ბებერ მუსხტიქეშ დამარხულია სკივრი, რომელიც მთლად რკინით არის შემოჭვდილი. სკივრში კურდღელი წევს ბეწვიანი, კურდღელში იხვი ზის ნაცრისფერი, იხვში კვერცხი დევს და კვერცხში კიდევ თვითონ კოშეის სიკვდილი ბუდობს. აიღე კვერცხი და გაეშურე უკვდავ კოშეის ციხე-კოშკისკენ. მის შესასვლელთან, როგორც გუშაგი, წევს თორმეტთავა უხსენებელი. არც გაიფიქრო იმასთან შებმა, მიუშვი ჯოხი, დატრიალდება და დააწყნარებს იგი შამინევე. შენ დაიხურე უჩინმარინის ქუდი და გასწი კოშეისაკენ. გატეხე კვერცხი მის თვალწინ სწრაფად და აღმოხდება სული ბოროტი. მხოლოდ ბარბითი თან წარიტანე. მაშინლა შეძლებ გამოადვიდო მამა დემიან დანიელის ძე და მასთან ერთად მიძინებულნი მთელი სამეფო, როცა ბარბითი აწყრიალდება და ამღერდება. ახლა მშვიდობით, ბატონიშვილო, ღმერთი გფარავდეს. ეს შენი რაში თვითონ გაიგნებს გზასა და სავალს, რომ აღასრულებ ამ სახიფათო და გამირულ საქმეს, გთხოვ, დედაბერი მოიხსენიო კეთილი სიტყვით“. გამოეთხოვა ბატონიშვილი, ისევე პირჯვარი გარდაისახა. ომახიანად დასტვინა ერთიც და გააჭენა ცხენი ფრთამალი. მალე უღრანი ტყე დაილია

და გაიელვა ცის კაბადონზე ცისფერმა ზოლმა — ეს ხომ ზღვა იყო, ოკიანეს რომ ეძახდა ხალხი.

აი, მიიჭრა ოკიანესთან, მიმოიხედა და რა იხილა: მეთევზის ბადე დევს ზღვის ნაპირას და იმ ბადეში ფრთხალებს მწარედ ქარიყლაპია. მოულოდნელად ალაპარაკდა თვეში კაცებით: „ამომიყვანე ბადიდან მალე და გადამაგდე ზღვაში. ოდესმე გამოგადგები, ბატონიშვილო!“ ივანემ თვეში ისროლა ზღვაში. ქარიყლაპიამ ნიშნად მადლობის ბოლო ასწია, შეერთო ზვირთებს. გარინდებულა ბატონიშვილი, არ იცის რა ქნას, რა გადაწყვიტოს! იქ, სადაც ზეცას ზღვა უერთდება, შავი ზოლივით მორჩანს კუნძული. განა შორს არის, მაგრამ იქამდე ვინ გადაიყვანს, როგორ და როდის? კვლავ ამეტყველდა რაში კაცებით: „რამ ჩაგაფიქრა, ბატონიშვილო? ნუთუ ასეთი ძნელი გგონია, რომ მივალწიოთ კუნძულ ბუიანს? შენი ხომალდი ვიქნები თვითონ — მომეკარ მაგრა, არ შეკრთე მხოლოდ და ბუიანთან მიცურავთ მალე“. ივანემ ფაფარს ჩაავლო ხელი, შემოასალტა გვერდებს მუხლები, გახელდა ცხენი, ციცაბო კლდიდან გაექანა და ზღვაში ჩაეშვა. წამით ცხენიც და მისი მხედარიც გაუჩინარდა, შთაინთქა. უცებ... გაიხსნა ტალღა, გამოჩნდა ცხენი (და ჩაფრენილი მის ფაფარს ვაჟი!), მთელი სხეულით ებრძოდა ზვირთებს, როგორც ხომალდი იალქნიანი. თუმცა გარშემო ზღვა ბობოქრობდა, ბორგავდა, დუღდა, ღელავდა, თრთოდა, — წინ მიიწვედა, წინ — კუნძულისკენ! მალე ბუიანს მიადგა რაში — ქაფმორეული და მოქანცული. ივანემ როდი დაიგვიანა: მწვანე მინდორზე მიუშვა ცხენი, რომ დაეცვენა ცოტახნით მაინც.



თან მოეწიწვანა ლორთქო ბალახი.
 ზღვისპირას, ბორცვზე, სარობდა მუხა,
 ბატონიშვილი გაიქცა მისკენ,
 მოავლო ხელი და შეეჭიდა.

პირველად სცადა, ვერც შეარხია,
 მეორედ სცადა — ხემ დაიკვნესა,
 მესამედ სცადა — შეატორტმანა,
 მეოთხედ სცადა — ძირფესვიანად
 ამოთხარა და დასცა მიწაზე.
 მუხას ამოჰყვა მისი ფესვები,
 ნაფესვარებზე გამოჩნდა ორმო.
 ორმოში რკინის სკივრი იპოვა,
 ამოიღო და მიღევ-მოღევს.
 მერე ყურებში ჩაავლო ხელი
 და ის კურდღელიც შუა გახლიჩა.
 ამასობაში გაექცა იხვი, —
 ფრთები გაშალა, გასწია ზღვისკენ,
 მაგრამ ივანე ბატონიშვილმა
 სტყორცნა ისარი, ძირს ჩამოაგდო,
 იწვილა იხვმა, მშფოთვარე ზღვაში
 რომ ჩაუვარდა კვერცხი უცერად.
 დარჩა ივანე პირდაღებული.
 უცებ, სად იყო ანდა სად არა, —
 ჭარიულაპიამ იელვა წყალში
 და მოიქნია ღონივრად ბოლო.
 ჩაყვინთა, მერე გამოჩნდა ისევ,
 ქვიშაზე კვერცხი დატოვა ფრთხილად.
 „შენ ახლა თვითონ ხედავ, ივანე,
 რომ გამოგადექვ გასაჭირის ჟამს“, —
 თქვა და საჩქაროდ შესცურა ზღვაში.
 ივანემ კვერცხი ხელში აიღო,
 უცხო კუნძული დატოვა მალე.

მიუვალ მთაზე იდგა ზვიადად
 უკვდავ კოშეის ციხე-სიმაგრე.
 მთის ძირს კედელი ერტყა რკინისა.
 ხედავს ივანე: რკინის კარებთან
 წევს თორმეტთავა უხსენებელი!
 როცა მის ექვს თავს ეძინა მშვიდად,
 მეორე ექვსი ფხიზლობდა მაშინ.
 აქ შორიახლო გაჩერებასაც
 ვერა ბედავდა ძე ხორციელი, —
 წამოდგებოდა უხსენებელი,
 გაჰკარავდა კბილს და — არ იყო შველა.
 ზიანს ვერავინ მიაყენებდა,
 არვის შეეძლო მოშთობა მისი.
 სული მაშინლა აღმოხდებოდა,
 თუ დაგესლავდა თავისთავს თვითონ,

თორემ ვერასვჯით დაამარცხებდა
 გარეშე ძალა ვერავითარი!
 აი, ამიტომ ფრთხილობდა რაში!
 არ მიაყენა მხედარი კარებს,
 სადაც ბრდღვინავდა წყვეული მხეცი,
 შემოუარა მეორე მხრიდან.
 ივანეს სულაც არ ეშინოდა,
 უჩინმაჩინის ქუდი ეხურა
 და მიეპარა მრისხანე გუშავს.
 უხსენებელი ექვს თავს საზარლად
 ატრიალებდა მარჯვნივ და მარცხნივ,
 კბილებს ბოროტად აღრჭიალებდა,
 ხოლო დანარჩენ ექვს თავს ეძინა, —
 ერთად ეყარა მიწაზე ყველა.
 ნიშანი მისცა ივანემ ხელკეტს,
 უნაგირზე რომ ეკიდა მშვიდად,
 ჩურჩულით უთხრა: „მიდი, დაიწყე!“
 მანაც ისეუბა უნაგირიდან
 და უხსენებულს დააცხრა რისხვით —
 მიძინარ თავებსაც, ფხიზელ თავებსაც,
 ურტყა და ურტყა შეუბრალებლად.
 გადაირია უხსენებელი,
 აქეთ მიაწყდა, იქით მიაწყდა,
 მაგრამ ხელკეტი როდი მოეშვა,
 ურტყა და ჩეჩქვა, ჩეჩქვა და ურტყა.
 აი, დააღებს ერთ ხახას ივი,
 რათა მომხდური ჩაიგდოს ხელში, —
 აჰ, უკაცრავად, ნუ აჩქარდებით!
 თორმეტ პირს ერთად როცა დააღებს,
 მაშინ უყურეთ, როგორ დაუვლის
 და სათითაოდ დაადრობს კბილებს!
 როცა სიმწრისგან მოკუშავს ხახას,
 ეპოტინება ხელკეტს თათებით, —
 უფრო და უფრო ხედება კეფაში.
 მართლაც შავი დღე დაადგა ტიალს:
 ხტოდა, ბორჯავდა და სისინებდა,
 სიბრახისაგან სულ ცეცხლსა ჰყრიდა,
 მიწასა ჭამდა, მაგრამ ამაოდ —
 არ ეშვებოდა მანაც ხელკეტი.
 აუნჩარებლად, თანაბრად, მშვიდად
 კვლავ განაგრძობდა საქმეს თავისას.
 ბოლოსდაბოლოს ისე გამწარდა,
 ისე გაავდა უხსენებელი,
 საკუთარ ხორცის ჭამა დაიწყო.
 უცებ ბრტყალები ჩაირჭო მკერდში,
 ჩაირჭო მძლავრად, ამოიგლიჯა
 და... გაიხლიჩა შუაზე თვითონ.
 ერთიც საზარლად დაიღრიალა



და მიაბარა ეშმაკებს სული.
 როგორც ცოცხალზე, ისე უნდოდა
 მკედარზეც ბზრიალი ჯოხს გახელებულს,
 მაგრამ ივანემ უბრძანა: „კმარა!“
 და... დაუბრუნდა თავის უნაგირს.
 მხედარმა რაში კართან დატოვა
 და გაუშალა ფეხებქვეშ სუფრა,
 რომ დადლილ ძმობილს ესვა, ეჭამა
 რამდენიც სურდა და როგორც სურდა.
 არ მოუხდია ივანეს ქუდი,
 ისე წავიდა ციხე-კოშკისკენ.
 წაიღო კვერცხი, თავისი ჯოხიც, —
 ვინ იცის, იქნებ კვლავ დამჭირდესო.
 მიუვალ მთაზე ასვლა გაძნელდა,
 მაინც მიადგა კოშკის ციხეს.
 უცებ მოესმა ხმა ბარბოთისა,
 ბაღში მღეროდა თავისით იგი.
 შევიდა ბაღში ივანე. მართლაც
 ერთ მუხის ტოტზე ნახა საკრავი,
 რომ გამოსცემდა საამო პანგებს,
 მუხის ქვეშ იჯდა ტურფა ელენე
 ჩაფიქრებული. ბატონიშვილმა
 უჩინმაჩინის ქუდი გადძრო
 და თავის სატრფოს გამოეცხადა,
 მხოლოდ ანიშნა, ხმა არ გაეღო,
 შემდეგ ელენეს ჩურჩულით უთხრა:
 „მე კოშკისთვის მომაქვს სიკვდილი.
 შენ დამელოდე აქ, ამ ადგილას,
 გავუსწორდები, როგორც რიგია,
 და გავშორდებით აქაურობას!“
 კვლავ დაიხურა უჩინმაჩინის
 ქუდი და წასვლა რომ დააპირა,
 ხედავს, რას ხედავს: თვითონ კოშკი
 მობრძანდა ბაღში თავისი ფეხით.
 დადგა ელენეს წინაშე იგი,
 უსაყვედურა, რომ დედოფალი
 ტყუილად დარდობს, ამოდ ელის:
 „შენი ივანე ბატონიშვილი
 აწ ვედარ მოვა შენდა საშველად.
 ვის შეუძლია მკედრის გაცოცხლება!
 აბა მითხარი, რითი არა ვარ
 მე შენი საქმრო, ტურფა ელენე?
 გეყო დუმილი და ჯიუტობა.
 ეს ჯიუტობა ვერ შემეჩერებს,
 რადგან...“ ივანემ ხელკეტს უბრძანა:
 „დაიწყე!“ მანაც კოშკის ზურგზე
 გაინავარდა დარდნიმანდულად.
 ჯერ დაიბლაგვა კოშკიმ მწარედ,

მერე დაიწყო ცოფიანივით
 კოტრიალი და ხტუნვა მიწაზე.
 და უჩინარმა ბატონიშვილმა
 ცეცხლი შეუნთო თავის მეგობარს:
 „ეს არ ეყოფა, ზილე და ზილე.
 ეს ძალი უფრო მეტს იმსახურებს.
 ნულა იპარავ სხვათა პატარძლებს,
 ნულა აწუხებ მეფის ასულებს
 შენი ბრივეული შუამავლობით.
 სამეფოებსაც ნუ დააძინებ
 სალათას ძილით... მაგრა და მაგრა,
 ურტყი და ურტყი, რაც შეგიძლია.“
 „სადა ხარ, თვალით მეჩვენე მაინც, —
 ყფდა კოშკი, — მითხარ, ვინა ხარ?“
 „აი, ვინა ვარ!“ მიუგო ვაჟმა
 და მოიხადა ქუდი მაშინვე,
 და დაანარცხა მიწაზე კვერცხი.
 გადატრიალდა, ჩაძაღღდა იგი,
 ვისაც ეძახდნენ კოშკი-უკვდავს.
 ხელი ჩასჭიდა ვაჟმა ელენეს,
 გამოიყვანა ბაღიდან ჩქარა,
 არცა ბარბოთი დაევიწყებია,
 არცა ფასკუნჯი დაევიწყებია,
 არცა — თავისი ოქროსფაფარა.
 როცა დაეშენენ ციციბო მთიდან,
 შესხდნენ ცხენებზე და გზას გაუდგნენ,
 მთამ ერთი მძლავრად დაიზრიალა
 და კოშკიანა ჩაიქტა ქვესკნელს.
 იქ, იმ ადგილას, ტბა გაჩნდა უცებ,
 რომელსაც შავი კვამლი ებურა.
 ის შავი კვამლი მთელ არემარეს
 დიდხანს შხამავდა საზარელ სუნით.

ამასობაში ბატონიშვილი
 გზას მიიკვლევდა აუჩქარებლად,
 თან მიჰყვებოდა ტურფა ელენე.
 რომ დადგებოდა დრო საამისო,
 გაიშლებოდა თავისით სუფრა.
 საუხუმეც ჰქონდათ, სადლიც ჰქონდათ.
 ვახშამიც ჰქონდათ შესაფერისი:
 დილით მწვანე და ლორთქო ბალახზე,
 შუადღეს მაღალ ხისქვეშ, ჩეროში,
 და აბრეშუმის ჩარდახში ღამით,
 (ორთათხიან, ნათელ ჩარდახში).
 საუხუმის შემდეგ, სადლით შემდეგ,
 ვახშამის შემდეგაც ბარბოთი ტკბილი
 ბედნიერ პანგებს აფრქვევდა ირგვლივ.
 მათ უნათებდა ღამით ფასკუნჯი,

იდგა ხელკეტი, იცავდა ჩარდახს.
 ბოლო ცხენები, უკვე ძმობილინი,
 დასეირნობდნენ ნიადაგ ერთად,
 ხან გორაობდნენ ხასხასა კორდზე,
 ხან კი ნამიან ბალახს წიწკნიდნენ,
 ხან მიადებდნენ თავებს ერთმანეთს
 და მშვიდი ძილით დაიძინებდნენ.
 გზას მიიკვლევდნენ ასე, ტაატით...

ბოლოს მივიდნენ იმ ქვეყანაში,
 სადაც მეფობდა თვითონ დემიან —
 მამა ივანე ბატონიშვილი.
 საღათას ძილით იყო მოცული
 მთელი სამეფო კიდეით-კიდე.
 ყველას, ყველაფერს ეძინა ირგვლივ:
 შუა მინდორზე, სახნისის გვერდით
 ჩასძინებოდათ ვეება ხარებს;
 იქ, ახლომახლო, იდგა გლეხკაცი,
 რომელსაც ხელში ეჭირა სახრე,
 მოქნეული და გაქვავებული.
 ზედ შუა გზაზე ეძინა მხედარს
 და მისი ცხენის ფლოქვების მტვერი
 გაყინულიყო უძრავ ჰაერში;
 ხეებზე ჩუმად თვლემდნენ ფოთლები;
 ტოტებზე ჩუმად თვლემდნენ ფრთოსნები;
 ყველა სოფელში, ყველა ქალაქში,
 სადაც მიუსწრო კოშვის ჯაღომ,
 იქ გააქვავა კაცი ყოველი, —
 მისეირნობდა, იჯდა თუ იდგა.
 და განა მართო ადამიანებს,
 მოულოდნელად ჩასძინებოდათ
 ძაღლებს და კატებს, ცხვრებსა და
 ქათმებს;
 საჯინიბოში თვლემდნენ ცხენები,
 სახლის კედლებზე თვლემდნენ ბუხები;
 ეძინა კვამლსაც საკვამურებში.
 ბოლოსდაბოლოს, აი, ასეთ დროს,
 ეწვია მამის სატახტო ქალაქს
 ივანე თავის პატარძლიანა.
 მეფის სასახლის ფართო ეზოში
 მიწაზე ეგდო ორი ცხენდარი:
 უფროსი — კლიმი ბატონიშვილი,
 მომდევნო — პეტრე ბატონიშვილი.
 ორივე მოკლული კოშვის ხელით...

იმ დღეს სასახლის კარზე ყოფილა
 მხიარული და დიდი ნადიმი,
 უფლისწულების შინაბარუნების

აღსანიშნავად. როდი დასცალდათ:
 მაშინ დახოცა კოშვიმ ძმები —
 უფროსი კლიმი, მომდევნო პეტრე
 და... მთელ სამეფოს მოჰგვარა ძილი:
 მთელი ნადიმი დარჩა ისევე,
 როგორც ჯადოქრის გამოჩენამდე:
 ვინ როგორ იჯდა, ვინ როგორ იდგა,
 როგორ ცვეკავდა და შლიდა ხელებს, —
 ყველა მათგანი სწორედ იმგვარად
 ნახა ივანე ბატონიშვილიმა.
 მეფე დემიან დანიელის ძეს
 ზეზეურ მშვიდად ჩასძინებოდა.
 სასახლის მინისტრს ეძინა ისე,
 თითქოს ლამობდა კვლავ გაგრძელებას
 დაუმთავრებელ მოხსენებისას.
 იქვე სასახლის მოხელეები,
 მთვლემარნი, იდგნენ მეფის წინაშე,
 მისკენ მიეპყრო ყველას თვალები,
 ძილისგან ჩამქრალ-ჩაბინდულები.
 სახეებს აჩნდა პირმოთნეობა
 და შეჰყინებოდა ღიმილი ტურნებს.
 როცა მივიდა მეფე-მამასთან,
 თავის მშვენიერ პატარძლიანა,
 ბარბითს უბრძანა ბატონიშვილიმა:
 „აბა დაუკარ, ბარბითო, ტკბილად“.
 და ამეტყველდა უცხო საკრავი.
 უცებ ყველაფერს გამოეღვიძა
 და ყველას ერთად გამოეღვიძა.
 სასახლე ისევ აჭრიამულდა,
 ისევე აცვეკვდა, ალაპარაკდა,
 თითქოს წამითაც არ შეწყვეტილა
 ეს ნადიმი და მხიარულება.
 მეფე დემიან დანიელის ძემ,
 რომ ნახა შვილი უსაყვარლესი
 და უფლისწულთან — ტურფა ელენე,
 ლამის გაგიჟდა სიხარულისგან.
 ხან იცინოდა, ხანაც ტიროდა,
 შვილს შეჰყურებდა და შეჰხაროდა,
 ეფერებოდა და ეხვეოდა.
 დაბოლოს ისე გამხიარულდა,
 რომ საცვეკვოდ გაშალა ხელი
 და გაიწვია ტურფა ელენე.
 შემდეგ უბრძანა მეზარბაზნეებს:
 „ატყდეს ქუხილი შეუწყვეტელი“.
 შემდეგ უბრძანა მებაფუღაფეებს:
 „ატყდეს რვევა და გუგუნე ზართა“.
 შემდეგ უბრძანა მალეშბროლებსაც,
 მთელ სატახტოში გაიგოს ყველამ,

რომ შინ დაბრუნდა მშვიდობიანად
დემიან მეფის უმცროსი შვილი;
რომ ნახევარი სამეფოისა
ამიერიდან მას მიეზოძა
და ენიჭება ამასთან ერთად
მემკვიდრეობა დიდი ტახტისა;
რომ ხვალ სასახლის ეკლესიაში
დაქორწინდება ბატონიშვილი,
რომ ამ ქორწილზე ეპატიჟება
მისი სამეფოს ყველა ბინადარს,
დიდსა თუ მცირეს, მდიდარს თუ ღატაკს,
მეფე დემიან დანიელის ძე...
...როცა დემიან დანიელის ძემ
აიღო ღვინით სავსე ფიალა
და სურდა ეთქვა ნეფე-დედოფლის
სადღეგრძელო და სადიდებელი,
მოედნის მხრიდან მოისმა უცებ
ხმა საყვირისა. გაოცდა ყველა.
მეფემ, ივანემ და დედოფალმა
გადაიხედეს ფანჯრიდან ერთად.
ნახეს, რა ნახეს: სასახლისაკენ
რვაცხენშებმული კარეტა მოჰქრის
(წინ მესაყვირე მოუძღვის ლაღად!).
ზღვა ხალხს მთარღვევს ოქროს კარეტა
და უკან მოსდევს ექვსი მხედარი,
გვერდითაც ექვსი მალემსროლია,
თვითთულ მათგანს შვენის სამოსი
მოოქროვილი თუ მოვერცხლილი.
კარეტის კარზე ჰკილია ღერბი:
მგლის კუდი წითლად შემოფერილი.
ბატონიშვილმა წამოიყვირა:
„ეა ხომ ის არის, ჩემი ძმობილი,
ჩემი მსხნელი და გადამჩინელი!“

რუხი მგლისაკენ გაიქცა ვაჟი.
კარეტის კარი გაუღო თვითონ
და შეაგება ხელი მეგობარს.
გადმოიყვანა, გადაეხვია,
სასახლისაკენ გაუძღვა დინჯად
და წარუდგინა მეფეს თვითონვე.
მგელმა თაყვანი სცა ქვეყნის მფლობელს,
დარბაისლურად ჩამოუარა
სტუმარს, მასპინძელს —
ქალს და მამაკაცს,
თვითთულს, როგორც წესია, უთხრა
თითო საამო ქათინაური.
შესანიშნავად იყო ჩაცმული:
თავზე წითელი ქუდი ეხურა
ნიკაბთან ბაბთით შეერთებული
და სილაბანდი აბრეშუმისა
შემოეხვია ყელზე ფაქიზად.
შვენოდა ჯუბა ოქროქსოვილი,
ფოჩიბიანი ხელთათმანები,
ატლასის კოხტა შარვალიც ეცვა...
თავაზიანი, ზრდილი მოქცევით
ყველა მოხიბლა და განაცვიფრა:
უჩინონიც და ჩინიანებიც,
მამაკაცებიც, მანდილოსნებიც.
მეფე დემიან დანიელის ძემ
გვერდით მოისვა ჭკვიანი მგელი,
აიღო ღვინით სავსე ფიალა,
მიუჭახუნა სასურველ სტუმარს,
შემდეგ წარმოსთქვა ნეფე-დედოფლის
სადღეგრძელო და სადიდებელი.
ატყდა ქუსალი ზარბაზნებისა.

შუალამემდე გაგრძელდა ღვინი...





სკუნუსი თხზულსკული

ზღაპარი

კოეტივის ქვიჩანაში. აბამეფონე შუზლა

შევიდეს ამ ქალაქში სალამურა თუ გვერდი აუქციოს და გზა განაგრძოს? მაგრამ როგორ აუქციოს გვერდი? იქნებ ბაია სწორედ ამ ქალაქის მკვიდრებმა მოიტაცეს და აქა ჰყავთ დაჟუჯღღეული? მითუმეტეს, ასეთი ლამაზი ქალაქი გერ გზად არ შეხვედრია. ბაიას უსათუოდ ამ ლამაზ ქალაქში მოიყვანდნენ.

თოქზე მოსიარულეთა და მოკრივეთა ქალაქებში სალამურამ იმდენი დრო დააკარგა და ისეთი უსიამოვნება შეხვდა, რომ ძალაუწებურად ასე ფიქრობდა. ასეთი რამის გაფიქრებაც კი სისულელე იყო. თუ ყველა ქალაქსა და სოფელს გვერდზე დატოვებდა და მხოლოდ მინდორ-მინდორ და ტყე-ტყე ივლიდა, რა თქმა უნდა, ვერასოდეს მიაგნებდა დაკარგულ მეგობარს.

ნამდვილი სამოთხის ბაღი აქ იყო და არა იქ. შენობის სახურავზე, სადაც ძველმა ჯამბაზმა ორ ანძას შორის გაჭიმულ თოქზე ანტუნავა სალამურა.

ქალაქი მთლიანად მწვანეში იყო ჩაფლული. ქუჩებს ორივე მხარეს ულამაზესი გაზონები გასდევდა. გაზონები ფერად-ფერად ყვავილებს აეჭრელებინა. მაროსავით გაშლილი პალმები ტო-

ტებს ნელ-ნელა აჩხვედნენ და მაცოცხლებელი ნიავეთ აგრილებდნენ ქალაქს. ვარდის ბუჩქებზე ბულბულები ისხდნენ, ვალოზდნენ და მომნუსხველი ვალოზით ადიდებდნენ სილამაზის უკვდავებას.

თითქმის ყოველ ნაბიჯზე ათასფრად შეღებილი მერხები და ღია ფანჩატურები იღვა. თითქმის ყოველ მოედანზე შადრევანი ჩქეფდა.

აგერ, აუზის შუაგულში, წყლიდან ამოზრდილ ხელოვნურ კლდეზე დგას მარმარილოსაგან გამრქანდაკებული ლამაზი და პეტტუნა. მთლად ტიტველი ბიჭი, რომელსაც მხრებზე ნანევრადგამლილი პატარა ფრთები აქვს. ბიჭს ხელში მშვილდ-ისარი უჭირავს. მშვილდი მოზიდულია და ისარი პირდაპირ შეწყენ არის მომართული. სალამურა ხეს ამოეფარა. ისარი შემთხვევით არ გაუსხლტეს ხელიდან და არ მომახვედროსო. უცებ დაავიწყდა, რომ ბიჭი მარმარილოსაგან იყო გამოქანდაკებული და მშვილდ-ისრის სროლა არ შეეძლო.

აუზის მოაჯირზე ერთმანეთისაგან თანაბრად დაშორებული ზურმუხტის ბაყაყები სხედან. ბაყაყებს პირები აქვთ დაბჩენილი. დაბჩენილი პირიდან წყლის წვრილი ნაკადი ჩქეფს და წყალი პირდაპირ თავზე ესხმება მარმარილოს ბიჭს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. «სიკარი» № 2.



მეორე აუზში ყველაფერი შებრუნებულია იყო. აუზის შუაგულში, კლდეზე, უზარმაზარი ზურმუხტისაგან გაკეთებული თვალმდაყვლეპილი ბაყაყი იჯდა. ხოლო ფრთიანი ბიჭები აუზის მარმარისხოლო მთაჯირზე იდგნენ და ბაყაყს ისრებს უმიზნებდნენ. ისრები წყლის ნაკადებს ისროდნენ. წყალი ზუსტად ხვდებოდა ბაყაყს და ასველებდა. სალამურას მოეჩვენა, რომ ამ თავსხმაში ზურმუხტის დიდი ბაყაყი უფრო ბედნიერად გრძნობდა თავს, ვიდრე გაწუწული, ფრთიანი ბიჭი. ასე იყო თუ ისე, ყველაფერი მიანიც ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა.

ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა. ეტყობა, ამ ქალაქში ხალხი გვიან იღვიძებდა. მზემ უკვე შუბის ტარზე აიწია და ქუჩებში კაციმგვილი არ ჰქანებდა.

სალამურა ნელა მიდიოდა, ხეებში ჩაფლულ ერთსართულიან ლამაზ სახლებს ათვალიერებდა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო, სიჩუმეს მხოლოდ ბუღბუღებისა და იაღონების სტვენა არღვევდა.

მაგრამ ამ სტვენა-გალობაში სალამურამ შთაგონებული ბუტბუტიც გაიგონა. გვერდზე მიიხედა და ცისფერ ფანჩატურში მჯდარი კაცი დაინახა. სკამზე გადაწოლილ ფეხები მაგიდაზე შეეწყო, თვალი სიერცისთვის გაეშტერებინა და ბუტბუტებდა. მაგიდაზე, ფეხებთან, საერთო რვეული ედო, ხოლო ყურში ფანქარი ჰქონდა ვაჩრილი.

ყურში ფანქარვაჩრილმა სალამურა დაინახა თუ არა, თვალებით გაოცება გამოხატა, მერე სახე გაებადრა, დინჯად გადმოალაგა მაგიდიდან ფეხები და წამოდგა. თავაზიანად მიესალმა სტუმარს.

— გამარჯობათ! გამარჯობათ!

— გავიმარჯოთ! — მიესალმა სალამურაც.

— როდის ჩამობრძანდით ჩვენს ქალაქში?

— ეს-ესაა მოვედი. — უპასუხა სალამურამ. — პირველი, ვისაც შევხვდი, თქვენა ხართ.

— ძალიან სასიამოვნოა!.. ფრიად...

ფრიად სასიამოვნოა! ასეც უნდა ყრფილიყო!

ნამდვილად ვილაც სხვა ვგონივარო, — ფიქრობდა სალამურა, — ძველი ნაცრობივით მელაპარაკებო.

— როგორ მოგეწონათ ჩვენი ქალაქი?

— ჯერ მთლიანად არ დამითვალისწინებია... მე მხოლოდ ქალაქის ნაწილი ვნახე.

— რომელი?

სალამურამ ხელი გაიშვირა.

— თქვენ ძველი უბანი გინახათ, — გაიღიმა ყურში ფანქარვაჩრილმა, — იქ სულ ბებერა პოეტები ცხოვრობენ. თქვენ ახალი უბანი უნდა ნახოთ!

— რატომ იღვიძებთ ასე გვიან? — ჰკითხა სალამურამ.

— ეს ამბავი თქვენთვის, ალბათ, საიდუმლოს არ წარმოადგენს. ჩვენ, პოეტებს, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მთელი დამე არ გეძინავს, — ვმუშაობთ. თქვენ ჩემზე უკეთ იცით და რატომ მელაპარაკებთ?

ნამდვილად სხვა ვგონივარ, — ისევ გაიფიქრა სალამურამ. თქმით კი არაფერი უთქვამს.

— მინდა გავეცნოთ, მე ვარ პოეტი ავამემონო შუბლა... აქ ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტად მთვლიან, მაგრამ არც ისეთი ახალგაზრდა ვარ, როგორც მგაბათ ჰგონიათ.

— ავამემონო შუბლა... — ძლივს დამარცვლა სალამურამ.

— დიახ... ალბათ, გავიგონიათ. საზღვარგარეთ ყველაზე მეტი წიგნი მე მაქვს გამოცემული.

ქუჩაში აქა-იქ უკვე გამოჩნდა ძილისა თუ უძილობისაგან დასიებული სახეები. ისინი გაკვირვებით უმწერდნენ სალამურასა და ავამემონო შუბლას, ცისფერ ფანჩატურთან გულითადად რომ საუბრობდნენ.

— ხომ არ ვისაუბროთ? — ჰკითხა სალამურას ავამემონომ. — წამობრძანდით ჩემთან. მე მართო ვცხოვრობ.

სალამურას ისე შიოდა, რომ მაშინვე დათანხმდა შინ წაყოლაზე.



აგამემნონ შუბლა ამაყად მიაბიჯებდა. თავაზიანად, ოღონდ შესამჩნევი თავშეკავებით ესალმებოდა ქუჩებში სასიერწოდ გამოსულ ყველა ასაკის პოეტს.

— მე აქ ვცხოვრობ, — თქვა პოეტ-

მა, — ძველი და ახალი უბნის საზღვარზე.

სალამურამ და პოეტმა პალმების ხეივანი გაიარეს და ერთსართულიან სახლს მიაღწენ.

მ ი თ ქ მ ა - მ ო თ ქ მ ა

სკვერებსა და მოედნებზე, ფანჯატურებში, აუზების გარშემო ყველა ასაკის პოეტები შეკრებილიყვნენ და მსჯელობდნენ. მათი მსჯელობის საგანი, რა თქმა უნდა, სალამურა იყო.

პოეტთა ქალაქის მკვიდრნი კეთილი და სტუმართმოყვარე ადამიანები იყვნენ. სტუმრის გამოჩენა ნამდვილი ზეიმი იყო მათთვის, მითუმეტეს, თუ სტუმარი პოეტი იყო.

ვინ არის ეს პატარა და რომელი ქვეყნიდანაა ჩამოსული? პოეტია თუ არ არის პოეტი?

აი ეს საკითხები აწუხებდათ და ალელებდათ ქუჩებში გამოფენილ პოეტებს.

— მე მგონი, ეგ ჰილარო ბუერა გახლავთ. — თქვა ერთმა ახალგაზრდა პოეტმა, — ქონდარეთის სახელგანთქმული მგოსანი.

— შენ რა იცი? — შეეკითხა მეორე.

— სხვა რომელი ქვეყნის მკვიდრი იქნება ასე პატარა, თუ არა ქონდარეთისა! — უპასუხა პირველმა. — ქონდარეთი ხომ ქონდრისკაცების ქვეყანაა.

მთელს ქალაქში დაიროხა ხმა. ყველგან ერთი და იგივეს ამბობდნენ:

— ჩვენს ქალაქს ეწვია სახელოვანი პოეტი ჰილარო ბუერა.

ჰილარო ბუერას სახელი პოეტთა ქალაქში ყველას ჰქონდა გაგონილი, მაგრამ მისი ლექსები ჯერ არც ერთს არ წაეკითხა.

ასე თუ ისე, მთავარი საკითხი გადაწყვიტეს და დაასკვნეს: მათ ქალაქში ჩამოვიდა სახელგანთქმული პოეტი ჰილარო ბუერა.

ახლა უმთავრესი საკითხი: — როგორ გამასპინძლებოდნენ სტუმარს?

— რა თქმა უნდა, ჯერ ქალაქი უნდა დაეთავალიერებინოთ. — თქვა ერთმა.

— რასაკვირველია! — დაეთანხმა მეორე.

— აბა რა, ხომ უნდა ნახოს, როგორ ქალაქში ვცხოვრობთ.

— იქნებ სჯობია, ჯერ ვასაუზმოთ?

— რა თქმა უნდა, მშვიდი იქნება. ამ უთენია სად ისაუზმებდა? — ახლა დარჩათ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი: რა იქნა უდიდესი პოეტი ჰილარო ბუერა?

— მე მგონი, — თქვა ერთმა, — აგამემნონ შუბლამ წაიყვანა.

— ოჰ, ეს აგამემნონ შუბლა! თუ ვინმე უცხო მწერალი ჩამოვიდა, მაშინვე დაისაკუთრებს!

— კაცი ვერ ჩამოსულა ჩვენს ქალაქში, მაგან რომ არ გამოგველიჯოს ხელიდან, — აღშფოთდა მეორე. — ჩვენც გვინდა პატივი ვცეთ სტუმარს.

— აბა, აბა!

— სტუმარი ღვთისაა. სტუმარი ყველას ეკუთვნის, ამიტომ ყველამ უნდა ვცეთ პატივი, — თქვა სულ ახალგაზრდა პოეტმა ქალმა, რომელსაც ჯერჯერობით ერთი-ორი ლექსი თუ ექნებოდა გამოქვეყნებული.

ყველა პოეტი უკვე ქუჩაში იყო გამოსული. ყველამ შეიტყო პოეტთა ქალაქში დიდი ჰილარო ბუერას ჩამობრძანება... თუმცა ჩვენ ხომ ვიცით, რომ ამ ქალაქში ჰილარო ბუერა არ ჩამოსულა. ჰილარო ბუერა, შეიძლება, ისევ ქონდარეთშია და ჯერ კიდევ ვერ მოუწვლეს თავისი საქციელი, ქონდარეთსუცეს როგორ დავემორჩილეთ და ჩემი ხელით როგორ დავეწვი ერთ ღამეში დაწერილი ოცდასამი ლექსით.

შეიძლება, ჰილარიო ბუერა არც არის ქონდარეთში... თუმცა ცოტა ხანს მოვითმინოთ და მოულოდნელ ამბებსაც შევტიკობთ.

მანამდე კი სალამურას გავყვეთ... უნახოთ, რას აკეთებენ, ანდა რის გაკეთებას აპირებენ სალამურა და ავამემნონ შუბლა.

საუბარი აივანზე

სალამურა და ავამემნონ შუბლა აივანზე ისხდნენ და საუბრობდნენ, აივანი ქალაქის ახალ უბანს გადასცქეროდა.

ახალი უბანი სრულებით არ ჰგავდა ძველ უბანს. ძველ უბანში ყველაფერი — სახლები, შადრევნები, ფანჩატურები, ხეები, ბუჩქები და გაზონებში ყვავილების განლაგებაც კი მომრგვალებული და მოჩუქურთმებული იყო. ახალ უბანში ასეთ რამეს ვერ ნახავდით. ჯერ ერთი, ახალ უბანში ამდენი ყვავილი და ბუჩქი თვალში არ გეცემოდათ, მეორეც — ყველა ნაგებობა იყო კუთხოვანი, წახნაგოვანი. ეტყობა, ახალგაზრდები სიმრგვალეს ვერ იტანდნენ.

ავამემნონ შუბლამ აივანიდან დაანახვა თეთრი ქანდაკება და უთხრა, ამ ქანდაკებას „პოეტის ოცნება“ ჰქვიაო. სალამურა ვერაფრით მიხვდა, რატომ ვერქვა უზარმაზარ თეთრ ლოდს „პოეტის ოცნება“.

— დიდი ხნით ჩამოზრძანდით? — ჰკითხა ბოლოს ავამემნონ შუბლამ.

— მე არ ჩამოვსულვარ, — უპასუხა სალამურამ, — მე გზად გამოვიარე.

— საით მიეშურებით?

— თვითონაც არ ვიცი, დაკარგულ მგობარს ვეძებ.

— აჰა, გასაგებია... მე ვიცი: თქვენ დიდი ტკივილი გადაიტანეთ.

სალამურას გაუკვირდა: ამან საიდან იცის, მე რა ტკივილი ვადავიტანეო.

— მართლა ძნელია, — თქვა ავამემნონ შუბლამ, — ოცდაშვიდი ლექსის დაწვა. ეს ველურობაა... როგორ გაბედეს.

— რა ოცდაშვიდი ლექსი?! — გაუკვირდა სალამურას.

— აჰ, ზუსტად აღარ მახსოვს, იქნებ უფრო მეტი იყო ან ნაკლები?

— მე არაფერი ვიცი.

— როგორ არ იცით, ბატონო ჰილარიო ბუერა.

ავამემნონ შუბლასაც ჰილარიო ბუერად მიუღია ჩვენი სალამურა.

— მე ჰილარიო ბუერა კი არა, სალამურა ვარ.

ავამემნონ შუბლამ არ დაუჯერა.

— ვიცი, ვინც ბრძანდებით, ბატონო... განა თქვენ არ დაწერეთ ოცდაცხრა ლექსი ციციანთელების ქვეყნის მზეთუნახავზე?

— ვინ არის ციციანთელების ქვეყნის მზეთუნახავი?

— ყვითელკაბიანი გოგონა... მას კაბა ბაიას ყვითელი ფურცლებისაგანა აქვს შეკერილი.

— სად არის ახლა ბაია?! — წამოიყვირა სალამურამ და აღელვებისაგან გაფითრდა.

— განა არ იცით, რომ ციციანთელეების ქვეყნის მზეთუნახავი ქონდარეთის უფლისწულისთვის მიუყვანიათ, ბატონო ჰილარიო ბუერა.

— მე სალამურა ვარ, ჰია-შიაიების მწყემსი. ბაია დავკარგე და მის საძებნელად წამოვედი.

— მართლა?

— დიახ! მე სალამურა ვარ და ბაიას ვეძებ. მითხარით: რა ქვეყანაა ქონდარეთი ანდა სად არის, რა გზით შეიძლება იქ მისვლა?

— ქონდარეთი... ქონდრისკაცების ქვეყანაა. ზუსტად არ ვიცი, იქ მისვლა რა გზით შეიძლება.

შეხვედრა კლუბში. ჩაზლილი ერთი ლექსის საღამო

სალამურა სიხარულისაგან ფეხზე არ იდგა, შიმშილიც კი გადაავიწყდა. სულ ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა კიბეზე და ქუჩაში გამოვარდა. თურმე ბაია ცოცხალი ყოფილა! ამაზე სასიხარულო ამბავს რას შეიტყობდა.

მართალი რომ ვითხრათ, ბოლო ხანებში სალამურამ ცოტათი დაკარგა იმედი. თუ ბაიაც ჩემსაგვით აწვალეს, ამდენ ტანჯვა-წამებას როგორ გადაიტანდაო. ბაია ხომ მეტად ნაზი და ფიჭი არსებობდა.

სალამურა პოეტთა ქალაქში ჩამოსვლით ბედს ვერ დაემდურება, სწორედ აქ გაიგო, საღ, რომელ ქვეყანაშია ბაია. თემცვა ვერაფერობით არ იცის, რა გზებით უნდა მივიდეს ქონდარეთში, მაგრამ ეგ არაფერია. ბოლოსდაბოლოს, გაიგებს, მივა და გამოიხსნის ბაიას.

ოჰ, რა გასარებელი გამოვიდა!

ქუჩაში გამოფენილ პოეტებს საშინლად გაუკვირდათ, აგამემნონ შუბლას სახლიდან გამოსული სალამურა რომ დაინახეს.

აგამემნონ შუბლას სახლში შესული ბევრი უცხო პოეტი უნახავთ, იქიდან გამოსული კი — არა.

— იცით რა, მოდი, შეხვედრა მოვეუწყოთ! — წამოიძახა პართენონმა. — შევეკრიბოთ კლუბში და შეხვედრა მოვეუწყოთ. შეხვედრას მე გავხსნი, მერე შიკერონი მიესალმება. ამის შემდეგ გოგონები შემოვლენ და ყვავილებს მიართმევენ... სულ ბოლოს, ურიგო არ იქნება, თუ ერთი ლექსის საღამოს გავმართავთ. მერე სტუმარსაც ვთხოვთ, სტუმარმაც წაგვიკითხოს საკუთარი ლექსები.

პართენონის აზრი ყველას დაუჯდა ქუთაში.

— აბა, დატრიალდით, ბიჭებო. — გასცა ბრძანება პართენონმა.

ბიჭები მართლა დატრიალდნენ. ზოგი კლუბში გაიქცა დარბაზის მოსაწესრიგებლად, ზოგი სალამურას მიეახლა.

— ბატონო ჰილარიო ბუერა, — თა-

ვანიანად მიმართეს სალამურას, — წამობრძანდით კლუბში... იქ თქვენ პოეტები გელოდებიან.

— მე... მე... — სალამურას უნდოდა ეთქვა, მე ჰილარიო ბუერა არა ვარო, მაგრამ ვინ აცალა, კლუბისკენ გააქანეს. გზაში, არ მოიწყინოსო, შეკითხვები დააყარეს.

— როგორ მოგეწონათ ჩვენი ქალაქი?

— არის თუ არა დედამიწის ზურგზე ჩვენს ქვეყანაზე უფრო ლამაზი ქვეყანა?

— ვინ მიგაჩნიათ თანამედროვეობის უდიდეს პოეტად?

— რომელ ჩვენს პოეტს იცნობდით აქ ჩამოსვლამდე?

— მოგეწონათ თუ არა აგამემნონ შუბლას ლექსები?

რას ჩამაცვიდნენ, — ფიქრობდა სალამურა, — ნეტავი რა უნდათ, რატომ არ მეშვებიანო? ოღონდ გამაგებინა, საით არის ქონდარეთი და ახლავე დავტოვებდი აქაურობას და ჩემს გზას გავეუდგებოდიო. არც მაგათი შადრევნები მინდა და არც ბულბულების სტვენაო.

გზადაგზა ისიც იფიქრა, იქნებ უკეთესია, რომ მივყვებიო. შეიძლება, ვიღაცას წამოსცდეს ანდა, ბოლოსდაბოლოს, ვიღაცამ მითხრას, რა გზით მივაგნო ქონდარეთსო.

კლუბი უკვე ხალხით იყო გაჭედილი. სცენაზე ურძელ მაგიდას რამდენიმე პოეტი უჯდა. როგორც კი დარბაზში სალამურა შემოიყვანეს, ყველანი ერთბაშად წამოდგნენ ფეხზე და ტაში დასცხეს. ვიღაცამ წამოიყვირა:

— გაუმარჯოს სახელოვან პოეტს ჰილარიო ბუერას!

— გაუმარჯოს! — იღრიალა დარბაზმა.

პართენონი წამოდგა და ხელი მაღლა ასწია. ამით პოეტებს ანიშნა, გეყოფათ, საკმარისია, ახლა დაწყნარდითო.

სალამურა სცენაზე აიყვანეს და განცალკევებით მდგარ ყვავილებით მორთულ მაღალ სკამზე შესვეს.

— ბატონებო, — დაიწყო პართენონ-

მა, — ჩვენს ქვეყანას ეწვია დიდი პოეტის ჰილარის ბუერა...

სალამურამ ველარ მოითმინა და რალაციის თქმა დააპირა. ეს დიდებული შეხვედრა, დღეს რომ უწყობდნენ, სინამდვილეში სხვას, ვილაც ჰილარის ბუერას ეკუთვნოდა. ამიტომ ძალიან უხერხულად გრძობდა თავს. სალამურას უნდოდა ეთქვა, ვინ იყო და ამ ქალაქში საიდან მოხვდა, მაგრამ პართენონმა შეაჩერა.

— დაბრძანდით... ნუ წუხდებით, ბატონო ჰილარის ბუერა!

სალამურას წამოდგომა პოეტებში თავაზიანობად მიიღეს და კიდევ ერთხელ დაავრიალეს მოწონების ტაში.

პართენონმა მოკლედ დაახასიათა ჰილარის ბუერას პიროვნება და შემოქმედება. თან ისიც აღნიშნა, რომ ამ დიდებულ პოეტს პირველად ხედებოდა და არც მისი ლექსები ჰქონდა წაკითხული.

შემდეგ სიტყვა მისალმებისათვის მისცეს ჰიქერონს.

ახალგაზრდა კრიტიკოსმა გადაწყვიტა, ვიდრე მივესალმები, მოკლედ მოვუთხრობ, რა დიდსა და გმირული წარსულის მქონე ქვეყანას ესტუმრა საპატიო სტუმარი.

აჲეე მოიქცა.

მოკლედ ვააცნო სტუმარს თავისი ქვეყნის ისტორია.

საწყალი სალამურა გატანჯული იჯდა და ფიქრობდა, — რას მერჩიან ეს დოლოცილები, განა ახლა უქმად ჯდომის დრო მაქვსო. ჯერ გაიგონ, ვინა ვარ, საიდან ვარ ჩამოსული და რისთვის ჩამოვედიო.

ჰიქერონი გატაცებით ლაპარაკობდა. მისალმების დამთავრებისთანავე კარი გაიღო და დარბაზში შემოვიდნენ თეთრ კაბებში საგანგებოდ გამოწყობილი ქალიშვილები. სახეგაბადრულებმა გაიარეს დარბაზი, სცენაზე ავიდნენ და სალამურას ყვავილები დაეყარეს.

კლუბის დარბაზი ტაშმა შეაზანზარა. აყრიდნენ და აყრიდნენ სალამურას ყვავილებს. იმდენი დაეყარეს, რომ სა-

ლამურა მთლიანად ყვავილებში დაფარა და აღარ ჩანდა.

ეს რა უბედურებაა, — უთხრა თავის თავს სალამურამ. მიდი მოადეს გავექცი და ნუთუ ამით ვერ დავაღწევ თავსო. თუმცა რა, მიდი მოადე ერთი იყო და ესენი, ღმერთმა იცის, რამდენი არიან, რომელ ერთს გავექცივო.

ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო ერთი ლექსის სადამო. სამწუხაროდ, ლექსი არც ერთს არ წაუკითხავს, რადგან დარბაზში ყვირილით შემოვარდა ერთი ახალგაზრდა პოეტი.

— ბატონებო, ბატონებო!

— რა გაცვირებს, ბიჭო? — ჰკითხა პართენონმა.

— ჰილარის ბუერა ჩამოვიდა!

— უყურე ახლა ამ ტუტუტუს! აგერ არ ზის დიდებული ჰილარის ბუერა?! ყვავილებშია ჩაფლული და ვერ ხედავ?

— ეგ არა, ბატონო, ნამდვილი ჰილარის ბუერა ჩამოვიდა!

— აბა, ეს ვინაა?

— რა ვიცი მე, ვინაა.

პართენონი ყვავილების გროვასთან მივიდა და ჩასძახა:

— ვინა ხარ, ბიჭო, შენ?

ყვავილების გროვამ საცოდავად დაიწრობინა:

— მე... მე... სალამურა ვარ... ჭია-მამიების მწყემსი...

— მერე თავიდან გეთქვა, შე კაცო! უფრო სხვანაირ შეხვედრას მოგიწყობდით. სად არის ნამდვილი ჰილარის ბუერა?

— აგამემნონ შუბლამ წაიყვანა სახლში, — თქვა ახალგაზრდა პოეტმა.

— აუჰ! — იყვირა პართენონმა.

სცენაზე ყვავილების გროვა შეირბა და სალამურამ ამოყო თავი. გაწამებულმა გადახედა დარბაზს.

დარბაზი ნელ-ნელა იცლებოდა.

რატომ მოიყვანეს ამ დარბაზში ანდა რატომ მიატოვეს? ყვავილების სურნელით გაბრუებულმა სალამურამ ვერ გაიგო, რა მოხდა. მითუმეტეს, რომ ყვავილებში ჩაფლულს კარგად არ ესმოდა, რას ლაპარაკობდნენ. ორივე ხე-

ლი აიფარა სახეზე და მწარედ ჩაფიქრდა.

იციტ, რა ვქნათ, მოდიტ, ასე ჩაფიქრებული დავტოვოტ საღამურა და მერე მოვაკითხოტ, ახლა კი ქონდარეტს მივხედოტ. გავიგოტ, ნამდვილად იქ არის ბაია თუ არა. თუ ქონდარეტშია, იმასაც გავიგებოტ, რა დღეშია, როგორ გრძნობს თავს ხელმწიფის სისახლეში. ზოგს უყვარს და მოსწონს ხელმწიფის

სისახლეში ყოფნა, ზოგს — არა. ზოგო იქ ბედნიერად გრძნობს თავს, ზოგი — უბედურია. ერთი სიტყვით, გავემგზავროტ ქონდარეტში და ვნახოტ, რა ხდება ქონდარისკაცების ქვეყანაში. ამისათვის ცოტათი უკან დახევა მოგვიხდება. რადგან ბაიას მოტაკების შემდეგ თითქმის ორი თვე გავიდა. თუკი ბაიას ამბავს მართლა გავიგებოტ, რა უშავს, ორი თვით დავიხიოტ უკან.

ხელმწიფის მითხუთმეტი ქანდაკება. მეორე ვეზირი ბაინს კვაყოფილია

ქონდარეტის ქუჩებსა და მოედნებზე ხელმწიფის თოთხმეტი ქანდაკება იდგა. კაცმა რომ თქვას, ესენი ქანდაკებები კი არა, თუნუქის მილისაგან გამოკვერილი და თეთრად შეღებილ ფიგურები იყო. დედა, როგორა ჰგავს ხელმწიფესო, — ვერ იტყოდი, მაგრამ ქონდარეტში მაინც ყველა ცნობდა, ერთხმად ამბობდნენ კიდევ: ეს მილი პირწავარდნილი ჩვენი ხელმწიფეაო.

თოთხმეტი ქანდაკება საქმარისი არ აღმოჩნდა, რადგან ქონდარი თავისი ქვეყნის მეთხუთმეტე მეფე გახლდათ. თვით ხელმწიფე და მთელი სისახლის კარი ასე ფიქრობდა: თუ ქონდარი მეთხუთმეტე ხელმწიფეა, რატომ დგას ქონდარეტში თოთხმეტი ქანდაკება, თოთხმეტი ზომ თხუთმეტზე ერთით ნაკლებიაო?

ქონდარეტში არითმეტია კარგად იცოდნენ და თხუთმეტამდე მიმატება და გამოკლება არ ეშლებოდათ.

ქონდარეტში მოქანდაკეები არა ჰყავდათ და მათ მოვალეობას დროებით, ვიდრე ამ ქვეყანაში მოქანდაკე დაიბადებოდა, მჭედელი დაჰკა-დაჰკა ასრულებდა.

დაჰკა-დაჰკა მშრომელი ქონდარისკაცი იყო. ქონდარეტში ყველა ცელი, ნამგალი, ჩაქუჩი, ლურსმანი, ყველა ტაფა, ქებაი, კოვზი, ჩანგალი დაჰკა-დაჰკას ან მის მამა-პაპას — ცნობილ მჭედლებს გაუკეთებიათ.

მჭედელს საქმე გამოუღვევლად ჰქონდა და საშინლად ეზარებოდა ქანდაკებების კეთება. დროს სულ უქმად ვკარგავო, — ფიქრობდა დაჰკა-დაჰკა, — მაგას მორჩევენია, ერთი კარგი ტაფა გამოკვერო, ტაფაზე რამეს მაინც შეწვავ და ეს ქანდაკებები რისი მაქნისია, ვისიც არ უნდა იყოსო. ერთთავად წუხდა, როდის მოვრჩები ამ დავიდარბას, რომ ჩემ საქმეს მივხედოო.

როგორც ხედავო, მჭედელ დაჰკა-დაჰკას ხელოვნების ბევრი არაფერი გავგებოდა, სამაგიეროდ, ზედმიწევნით კარგად იცოდა მჭედლობა.

იმ ოთახში, სადაც დაჰკა-დაჰკა ხელმწიფეს „აქანდაკებდა“, თუნუქზე ჩაქუჩის დარტყმისაგან ისეთი ხმაური იყო ატეხილი, რომ კაცი დაყრუვდებოდა. მთელ ქონდარეტს უკვირდა: მიუხედავად იმისა, რომ ორივე ყურში ბამბა აქვს დაცული, მაინც ასეთ ხმაურს ხელმწიფის ფაქიზი სმენა როგორ უძლებსო? მაჭრამ სისახლეში სულ სხვა აზრის იყვნენ, სისახლის ქონდარისკაცები ამბობდნენ: მხოლოდ ხელოვნების სიყვარულს შეუძლია ხელმწიფეს ასეთი გმირობა ჩაადენინოსო.

ჩემის აზრით კი ქონდარ XV, როგორც ამქვეყნად ყველა მეფე, თავის უკვდავებისთვის ზრუნავდა: მე თუ ქვეყანაზე აღარ ვიქნები, ეს თხუთმეტი ქანდაკება მაინც დარჩეს, ხალხი შეხედავს და



თავისი დიდი და სახელოვანი ხელმწიფე გაახსენდებაო.

ასე იყო თუ ისე, ქონდარ XV სკამზე გაშეშებული იდგა, ხოლო მჭედელი დაჰკა-დაჰკა გამეტებით ურტყამდა ჩაქუჩს თუნუქის მილს. ამ დროს ოთახში ორივე ყურში თითებდაცობილი მეორე ვეზირი შემოვიდა.

მეორე ვეზირი ხელმწიფეს ეახლა და რაღაც მოახსენა. ხელმწიფემ ვერ გაიგონა, ამიტომ ვეზირმა გაუშეორა ნათქვამი. ხელმწიფემ ცალი ყურიდან ბამბა გამოიღო, დაიხარა და მაინც ვერ გაიგონა, რა უთხრეს. მეორე ყურიდანაც გამოიღო ბამბა... აბა, ასეთ ხმაურში ყურებიდან ბამბის დაძრობა რას უშველიდა! ვეზირი იძულებული იყო, შეეჩერებინა მჭედელი დაჰკა-დაჰკა.

მჭედელი შეჩერდა და ოთახში სამართლებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— ოპ! — ამოიკენესა ხელმწიფემ, — რა სასიამოვნო ყოფილა თურმე სიჩუმე!

— ხელმწიფევე, — მიმართა მეორე ვეზირმა, — ჩემმა ლამის შიკრიყებმა

დავალება ბრწყინვალედ შეასრულეს!

— რა დავალება?

— ციციანთელების ქვეყნის მზეთუნახავი შეიპყრეს და მოიყვანეს.

— რას მეუბნები, ვეჟო?! ყოჩაღ, ყოჩაღ, ლამის შიკრიყებო! — ხელმწიფე სკამიდან ჩამოხტა და რატომღაც შარვალი დაიფერთხა. — სად არის ციციანთელების ქვეყნის მზეთუნახავი?

— ჩემს სასახლეშია, ხელმწიფევე, სძინავს. ეტყობა გზამ დაღალა.

— ქონდარუსს თუ შეატყობინე?

— არა, ხელმწიფევე, არავისთვის არ მითქვამს. პირველად თქვენ მოგახსენეთ.

— ვეზირო, შენ მაღალი ჯილდო დაიმსახურე, დღესვე დაგიდებ მკერდზე ორდენს — მეორე ხარისხის ქონდარის ფოთოლს!

პირველი ხარისხის ქონდარის ფოთოლი თვით ხელმწიფეს ჰქონდა მიღებული და ამ ორდენით არავის აჯილდოვებდა.

მეორე ვეზირი მაინც კმაყოფილი დარჩა.

ბაია ხელმწიფის სასახლეში

ხელმწიფის დიდ დარბაზში მთელი სასახლის კარი შეიკრიბა. აქ იყვნენ მეფე ქონდარ XV, დედოფალი ქონდარინე, ქონდართუხუცესი, სხვა ნაზირ-ვეზირები, მრჩევლები, ხელმწიფისა და დედოფლის მთელი ამალა. მხოლოდ უფლისწულ ქონდარუსსა და მეორე ვეზირს ვერ მოჰკრავდით თვალს. ქონდარუსს ეძინა, ხოლო მეორე ვეზირს ხელმწიფის სასახლეში ციციანთელების ქვეყნის მზეთუნახავი უნდა მოეყვანა.

ქონდართუხუცესი გაბოროტებული აბრიალებდა თვალებს. იმდენად იყო გაბოროტებული, რომ ჩუმ-ჩუმად ჰაღარა წვერსაც კი იწიწკნიდა.

ასე რამ გააბოროტა ქონდართუხუცესი?

ჯერ ერთი, მეორე ვეზირი მისგან დაფარულად მოქმედებდა და დიდ წარმატებასაც მიიღწია: ციციანთელების ქვეყ-

ნის მზეთუნახავი მოჰგვარა უფლისწულს. მეორე, რაც ყველაზე მეტად აწიწკნებდა, ის იყო, რომ ქონდართუხუცესს იმედი გაუცრუვდა, ეგონა, მზეთუნახავს ვერ მიაგნებდნენ და ხელმწიფის ვაჟი იძულებული იქნებოდა ფრინტასთან ეთამაშა ასკინკილა ან თვალხუტობანა...

დარბაზი სულგანახული ელოდა ციციანთელების ქვეყნის მზეთუნახავს. ბოლოს კარი გაიღო და დარბაზში მეორე ვეზირმა ბაია შემოიყვანა.

საბრალო ბაია!

ვერ წარმოიდგენთ, როგორი დაღლილი და გაწამებული სახე ჰქონდა! აბურღული და აწიწკილი თმა სახეზე ჩამოშლოდა, ბაიას ყვითელი ფურცლებისაგან შეკერილი კაბა დაჰმუჭუნოდა.

ყველა, როგორც ერთი, ბაიას მისჩერებოდა. ყველა ამოწმებდა, მეორე ვე-

ზირის მიერ მოყვანილი გოგონა ნამდვილად იყო თუ არა ციციანთალების ქვეყნის მზეთუნახავი და თუ იყო, ღირდა კი ამდენ დავიდარაბად და წვალებად მისი მოყვანა?

— დემართო ჩემო, რა უშნოა! — თავი ვეღარ შეიკავა ქონდართუხუცესმა. — ამას ხომ ჩემი ფრინტა ათასჯერ სჯობია! ვილაკამ ქონდართუხუცესის ზურგს უკან დაცინვით ჩაიფრუტუნა. პირველმა ვეზირმა მაშინვე მიიხედა, ერთი ვნახო, დაცინვა ვინ გამიბედაო, მაგრამ იმდენ ქონდრისკაცებში რას იპოვიდა, ყველა გაშტერებული უმჯერდა მზეთუნახავს.

ბაია შუა დარბაზში დაბნეული და შეშინებული იდგა. მან არ იცოდა, სად და ვისთან მოიყვანეს ან რა უნდოდათ, რას მოითხოვდნენ მისგან? ნამტირალევი თვალებით აქეთ-იქით იხედებოდა, თითქოს ნაცნობსა და საუნუგემო სახეს დაეძებო. ამაოლ! მთელ დარბაზში ასეთ სახეს ვერ დაინახავდა!

— შეუძლებელია! ეს არ არის ციციანთალების ქვეყნის მზეთუნახავი! — თქვა ქონდართუხუცესმა.

დარბაზს ეჭვი შეეპარა: დაკმუქნულკახიანი და თმაწიწილი გოგონა, მართლაც, მზეთუნახავი არ იქნებაო.

— ჰკითხეთ, ვინ არის ან რომელი ქვეყნის მკვიდრია! — ბრძანა ხელმწიფემ.

მეორე ვეზირი წინ წამოდგა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მისმა ღამის შიკრიკებმა ციციანთალების ქვეყნის მზეთუნახავი მოიყვანეს. ამიტომ გულდამშვიდებულად შეეკითხა:

— რა გქვია შენ, გოგონავ?

— ბაია.

— ვინა ხარ?

— მე... მე... მწყემსი ვარ.

— ხომ ვთქვი! — იყვირა ქონდართუხუცესმა, — მწყემსი არ შეიძლება მზეთუნახავი იყოს!

დარბაზი ახმაურდა:

— მწყემსი ყოფილა!

— სად მწყემსი და სად მზეთუნახავი!

— ხა, ხა, ხა, ხა!

— ხი, ხი, ხი, ხი!

— ხო, ხო, ხო, ხო!

— დახატული მზეთუნახავია!

— ფუჰ! მწყემსი!

— ფანჯრები გამოაღეთ, ღამის გავიგულოთ.

ხელმწიფემ ხელი ასწია. დარბაზი გაჩუმდა.

— ვეჟო, — მიმართა მეორე ვეზირს ხელმწიფემ, — აქი ციციანთალების ქვეყნის მზეთუნახავიაო?!

— ეს გოგონა ციციანთალების ქვეყნიდან მოიყვანეს ჩემმა შიკრიკებმა, — მეორე ვეზირი უცებ ბაიას მიუბრუნდა, — მითხარი, გოგონავ, ვინახავს მზე?

— არა, არ მინახავს. — მიუგო ბაიამ.

— ხომ მოგახსენეთ, მზეთუნახავია მეთქი! — წამოიყვირა გახარებულმა მეორე ვეზირმა. — რა ჰქვია, გოგონა, შენს ქვეყანას?

— ციციანთალების ქვეყანა.

— მე არ მომიტყუებიხართ, ხელმწიფევ! — მეორე ვეზირმა მდებლად დაუტკრა თავი ქონდარ მითხუთმეტეს, — ნამდვილია ციციანთალების ქვეყნის მზეთუნახავია!

— მწყემსი და მზეთუნახავი! — არ ცხრებოდა ქონდართუხუცესი. — ყველა მზეთუნახავი ხელმწიფის ასულია, თუ ხელმწიფისა არ იქნება, პირველი ვეზირის მაინც უნდა იყოს!

დაიწყო კამათი, აზრთა შეხლა-შემოხლა. ზოგი ამბობდა: სულ ერთია, მწყემსია თუ ხელმწიფის ასული, თუკი მზე არ უნახავს, უსათუოდ მზეთუნახავი არისო. ზოგი ამ აზრს უარყოფდა — მზეთუნახავები მხოლოდ ხელმწიფის ასულები არიანო. მხოლოდ იმ უკიდურეს შემთხვევაში, როცა ხელმწიფეს არა ჰყავს ასული, შეიძლება, პირველი ვეზირის ქალიშვილი მზეთუნახავად ვალიაროთო. ზოგი სულ არაფერს ამბობდა, ჩვეულებრივად თავს იკავებდა: რომელი აზრიც გაიმარჯვებს, იმას მივმხროთო.

ბოლოს დედოფალმა ქონდარინემ ბაიასთან საუბარი ისურვა და ყაყანიც შეწყდა.

— გოგონა, — უთხრა ბაიას ქონდარინემ, — ბადმინტონის თამაში თუ იცი? — მე არ ვიცი, რა არის ბადმინტონი. — უპასუხა ბაიამ. — არც პინგ-პონგი ვითამაშობ? — არა. — რა უბედურებაა! არაეინ იცის ბადმინტონისა და პინგ-პონგის თამაში!

სხვათა შორის, არც დედოფალმა იცოდა. ქონდარინეს გაგონილი ჰქონდა, რომ სადღაც, რომელიღაც ქვეყანაში თამაშობდნენ ბადმინტონსა და პინგ-პონგს. იმისთვისაც მოეკრა ყური, ეს თამაშობანი ვახლომისა და წონის დაკლებიანთა მისწრება არისო. საშინლად უნდოდა დედოფალ ქონდარინეს ცოტათი მაინც მოეშორებინა ზედმეტი ქონი. მაშინვე მოიწყინა, როგორც კი გაიგო,

ყვეთელკაბიან გოგონას არც ერთ თამაშზე წარმოდგენა არა ჰქონდა.

— ხელმწიფე! — მიმართა მეორე ვეზირმა ქონდარ XV-ს, — ჩვენ ტყუილად ვკამათობთ, თვითონ ქონდარუხი იტყვის, მზეთუნახავია თუ არა ეს გოგონა. მხოლოდ ქონდარუხმა იცის, ვინ დაესიხმრა.

ღმერთო, რა ქვეიანია, — გაიფიქრა ხელმწიფემ, — ასე ახალგაზრდა რომ არ იყოს, ნამდვილად პირველ ვეზირად დავაწინაურებდიო. მაინც რა ნელა გადის დრო, როდემდე უნდა ვუცადო მაგის დაბერებასო.

მეორე ვეზირის აზრი თითქმის ყველას დაუჯდა ქვეუაში. ახლა მთავარი იყო, უფლისწულს როგორმე გაღვიძებოდა.

საკინძილა და თვალშორობანა

ქონდარუხის საძილე ოთახში ხელმწიფე და დედოფალი შევიდნენ. უფლისწულს ეძინა.

— ოჰ! ღმერთო ჩემო, როგორ გახდა! — ამოიკენესა დედოფალმა, როგორც კი მძინარე ვაეიშვილს დახედა.

საერთოდ, ყველა დედას ეჩვენება, რომ მისი შვილი ფერდაკარგული და გამხდარია, თუ ერთ დღეს შვილმა უგუნებობის გამო უხალისოდ ისაძილა. ასე ეჩვენებოდა დედოფალსაც. ქონდარუხის გააუნტულელებული ლოყები თეთრ ბალიშზე წითელი ვარდებივით ყვავდა. სიმსუქნისაგან თვალებიც კი არ უჩანდა. საწყალი მზარეულიც ტყუილად გააძევეს. იმ უცნაური სიზმრის ნახვიდან ორი დღეც კი არ იყო გასული, უფლისწულს ისეთი ჭამის მადა გაეღვიძა, ათი ქონდარისაკაცის ულუფას ერთ ჯერზე ნთქავდა.

— შვილო, ქონდარუხ, გაიღვიძე! — დედოფალმა ქონდარინემ შვილს თავზე გადაუსვა ხელი. — ნახე, ვინ მოგიყვანეთ.

თქვენ ალბათ ფიქრობთ, უფლისწულს

ახლა რა გააღვიძებსო, მაგრამ არც ასეა საქმე.

ქონდარუხს ძილში მოშვივნოდა. სიზმარში რძით სავსე ტოლჩასა და ნაირნაირ ტკბილეულს ხედავდა. დედის სიტყვები „გაიღვიძე, ნახე, ვინ მოგიყვანეთო“ მძინარეს და მოშეებულს ასე მოესმა: „გაიღვიძე, ნახე, რა საქმელი მოგიტანეთო“. ქონდარუხმა იმწამსვე გაიღვიძა. აბა, რას იზამდა, როცა ეს სანატრელი სიტყვები გაიგონა? მუცელზე ორივე ხელი დაიტყაბუნა და საწოლზე წამოჯდა.

— სად არის საქმელი? — იკითხა ახლად გაღვიძებულმა.

— ქონდარუხს შია! — ხმამაღლა დაიძახა ხელმწიფემ.

ამის დაძახება და კარის გაღება ერთი იყო. საძილე ოთახშივე შემოუტანეს რძით სავსე ტოლჩა და ცხელ-ცხელი ასფურცელა ქადა.

ქადა სამ ლუქმად არ იყო. სამ ლუქმას სამი ყლუბი რძე უნდოდა, ჰოდა, ერთი ტოლჩა რძე სწორედ სამი ყლუბი იყო.

ამასობაში ფარეშებიც მოვიდნენ,

ტანსაცმელი შემოიტანეს. ხუთმა ფარეშმა სწრაფად გამოაწყო ქონდარუხი. მერე ხელმწიფე და დედოფალი ვაჟიშვილს აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და დარბაზისაკენ წაიყვანეს.

ბაია ისევ შუა დარბაზში იდგა. სასახლის ქონდარისკაცები გოგონას გარშემო უვლიდნენ და ცნობისმოყვარეობით ათვალეობდნენ.

დარცხენილი და შეშინებული ბაია ახლა ტყეში უპატრონოდ დარჩენილ ციციანთელეებზე ფიქრობდა. ცრემლი დაბალუპით წამოუვიდა, როცა გაახსენდა, რა შეუბრალებლად დატოვებენ დამის შიკრიკები ციციანთელებს.

ხელმწიფემ და დედოფალმა ქონდარუხი დიდ დარბაზში შემოიყვანეს. სასახლის ქონდარისკაცებმა მაშინვე დიკავეს თავთავიანთი ადგილები.

— აბა, შვილო, მითხარი, — მიმართა ხელმწიფემ თავის ვაჟიშვილს, — ვინ არის ეს გოგონა?

ქონდარუხი ბაიას მიაჩერდა. მერე ახლოს მივიდა. დაიხარა, სახეში შეხედა და გახარებულმა წამოიყვირა:

— ეს ხომ ციციანთელების ქვეყნის მზეთუნახავია!

— აჟი მოგახსენეთ, ხელმწიფე! — თქვა ამაყად მეორე ვეზირმა.

პირველ ვეზირს შურისა და სიბრაზისაგან ცხვირი გაულტურჯდა.

— რა უყავი ციციანთელები? — ჰკითხა ბაიას ქონდარუხმა.

— ნახევარი თქვენმა შიკრიკებმა გაწყვიტეს... დანარჩენმა ტყეს შეაფარა თავი.

— რატომ არ წამოიყვანე დანარჩენი? ბაიამ არაფერი უპასუხა.

— გინდა ასკინკილა ვითამაშოთ? — ისევ შეეკითხა უფლისწული.

— არ მინდა. — თავი გააქნია ბაიამ.

— რას ჰქვია, არ გინდა?! — ერთად იღრიალეს ნაზირ-ვეზირებმა.

მერე ატყდა ყაყანი:

— უყურე ამ თავხედს!

— ეს უფლისწულია, შე გომბეშო!

— როგორ შეიძლება უარის თქმა!

— ახლავე ეთამაშე ასკინკილა!

ბაია შიშისაგან აცახცახდა.

— მე არ ვიცი, რა არის ასკინკილა. — თქვა ბაიამ სასოწარკვეთილი ხმით.

— ახლავე გასწავლი. — ბაიასთან მეორე ვეზირი მივიდა. — მარცხენა ფეხი ასწიე და მუხლში მოხარე.

გოგონამ მარცხენა ფეხი ასწია და მუხლში მოხარა.

— ახლა უფლისწული გაიქცევა, შენ კი ცალი ფეხით დაედევნები და დაიჭერ.

— ცალი ფეხით რატომ უნდა დავედევნო?

— ასეთია თამაშის წესი! — განუმარტა მეორე ვეზირმა.

— ეს თუ ორი ფეხით ირბენს, მე ცალი ფეხით როგორ დავიჭერ?

დარბაზში სასახლის ქონდარისკაცების უკმაყოფილო წამოძახილები გაისმა:

— რამდენს ლაპარაკობს ეს გომბიო!

— ოჰ! რა ყბელი ყოფილა!

ბაია კი ცალ ფეხზე იდგა და დაბნეული აცუცებდა თვალებს.

უფლისწული გაიქცა, კი არ გაიქცა, გაძუნძულდა. სირბილის დროს ლოყები და მუცელი სასაცილოდ უთახთახებდა.

— ოჰ, რა მოხდენილად გარბის! — წამოძახა ერთმა ქონდარისკაცმა, თან ხელმწიფეს ვადახედა, ნეტავი ჩემი ნათქვამი თუ გაიგონაო.

ხელმწიფემ, რა თქმა უნდა, გაიგონა და კმაყოფილებით ჩაილიმა კიდევ. ეამა ვაჟიშვილის ქება.

უფლისწული დარბაზში ხენეშა-ხენეშით დარბოდა, თან უკან-უკან იხედებოდა, ციციანთელების მზეთუნახავი ასკინკილათი მომდევს თუ არაო.

ბაია ადგილიდან არ დაძრულა.

ქონდარუხი შედგა. გაკვირვებულმა მოხელა ბაიას.

— ეგრე არ მინდა, ვა! გამომეკიდე!

— გაიქეცი და გამოგეკიდება, — უთხრა მეორე ვეზირმა. მერე ბაიას მიუბრუნდა, — აბა, გაეკიდე!

უფლისწული ისევ გაიქცა. მეორე ვეზირმა ცოტათი უბიძგა გოგონას, გოგონა წაბოროტყდა, კინაღამ წაიქცა.

— მიდი, გაეკიდე! გაეკიდე! — შესძახეს ბაიას აქეთ-იქიდან.

ბაია ცალ ფეხზე ხტუნვა-ხტუნვით დაედევნა უფლისწულს.

ქონდარუხი სასაცილოდ დათახთახებდა დარბაზში. საბრალო ბაია კი ასკინკილათი დასდევდა. ისე იყო დაღლილ-დაქანცული, რომ ორივე ფეხზე დგომაც გაუჭირდებოდა, ესენი კი ცალ ფეხზე ახტუნავენდნენ.

მთელი დარბაზი იცინოდა, ხორხობდა, უფლისწულს აქეზებდა:

— შენი ჭირიმე, უფლისწულო!

— ოჰ, რა ბიჭია!

— ნახეთ, ნახეთ, როგორ გარბის ჩვენი საამაყო უფლისწული!

— ნამდვილი ქურციკია!

ბაიას მუხლმა უმტყუნა, ღონემიხდილი ჩაიკეცა. თავი ვეღარ შეიმავრა და წაიქცა.

— ახლავე წამოდექი! — უყვირეს წაქცეულ ბაიას ქონდრისკაცებმა.

ქონდარუხი ისევ გარბოდა. მერე დაინახა, როგორ ეგდო იატაკზე ციციანათელების ქვეყნის მზეთუნახავი და წამოიყვირა:

— ოლოლო შენ, ვერ დამიჭირე!

— ვერ დაიჭირა! ჩვენი უფლისწული ვერ დაიჭირა! — ღრიალებდნენ ვახარებული ქონდრისკაცები.

ბაიამ წამოდგომა სცადა. ვერ წამოდგა. ქონდარუხმა სახელოთი მოიწმინდა ოფლი და ციციანათელების ქვეყნის მზეთუნახავს უთხრა:

— ახლა თვალხუტობანა ვითამაშოთ!

— თვალხუტობანა! შესანიშნავია, ძალიან კარგი, — წამოიძახა ხელმწიფემ, — ითამაშეთ, ცოტას ჩვენც გავერთობით.

— მეტი აღარ შემიძლია. — სუსტი, ძლივს ვსაგონი ხმით თქვა ბაიამ.

— ვა, მე მინდა! — ცხვირი აიბზუა ქონდარუხმა.

უფლისწულს მაშინვე მოუტრბენინეს ხილაბანდი. ბაია წამოაყენეს და ამ ხილაბანდით აუხვიეს თვალები. თანაც ასწავლეს თამაშის წესი: უფლისწული ირბენს და შენ თვალხუტულმა უნდა დაიჭიროო. ბაიას არ ესმოდა და უყვირდა, რატომ აიძულეს წედან ცალ ფეხზე

მბტუნავს უფლისწული დაეჭირა ახლა რად აიძულებენ ამასვე თვალხუტულს?

ბაიამ ხელები წინ გაიშვირა და გაუბედავად გადადგა ნაბიჯი.

უფლისწულმა წვრილი ხმით დაუძახა: „კუ-კუ“ და ადგილი მოინაცვლა. ბაია პაწაწინა, სუსტ ხელებს აცეცებდა, ქონდარუხს ეძებდა.

— კუ-კუ! — ისევ დაიძახა უფლისწულმა, ეშმაკურად გაიღიმა და ფეხაკრებილი გაეცალა იმ ადგილს, სადაც: „კუ-კუ“ თქვა.

ბაია ხელებგაყვდილი დადიოდა დარბაზში, უფლისწულის დაჭერას ცდილობდა. მიხვდა, ქონდრისკაცები მანამდე არ მოეშვებოდნენ, სანამ ქონდარუხს არ დაიჭერდა. ამიტომ ცდილობდა, რაც შეიძლება მალე დაეჭირა უფლისწული. მერე, ალბათ, ცოტას დაასვენებდნენ და სულს მოათქმევინებდნენ. საბრალო გოგონა ხან კედელს მიაწყდა და ხან სვეტს. ზოგჯერ სასახლის ქონდრისკაცებსაც ეჯახებოდა. ეს ყველაფერი აუწერელ სიხარულსა და აღტაცებას იწვევდა. მთელი დარბაზი სიცილისაგან იგუღებოდა.

— კუ-კუ, კუ-კუ! — მოესმა ბაიას სულ ახლოდან, სწრაფად შეტრიალდა და რაღაცას წაატანა ხელი.

თვალხუტულ გოგონას, აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ეს რაღაც სწორედ ქონდართუხუცესის მეჭეჭიანი ცხვირი იყო.

თურმე პირველი ვეხირი თვალხუტობანას თამაშის დროს თვლემდა და ვერ დაინახა მისკენ გამოშვებული ორი ხელი, თორემ როგორმე სახეს მოაჩივებდა. ჯერ ვერ ვაერკვა, ვერ მიხვდა, რა დამართა, მაგრამ როცა თვალი გაახილა და დაინახა, რომ მის დიდად პატივცემულ ცხვირს ხელებით ჩაფრენოდნენ, საშინლად გაბრაზდა. თავი მთელი ძალით დაიქნია და საბრალო გოგონა იატაკს დაანარცხა.

ქონდართუხუცესმა მაშინვე მოითხოვა, ბაია საპურობილეში ჩახვიოთო. რამდენიმე ქონდრისკაციც კი მიიძხრო.



მაგრამ, კიდევ კარგი, ხელმწიფე მშვენიერ გუნებაზე გახლდათ და არ მოიხსურვა გოგონას დაპატიმრება: ეს გოგონა რომ საბურთალოსში ჩავსვა, ჩემი ვაჟიშვილი ხვალ ვის ეთამაშება ასკინკილას ანდა ჩვენ რითი გავერთობითო? პირველ ვეზირს ეწყენა ხელმწიფის უარი. მართალია, წყენა არ დაუმჩნევია, მაგრამ ისეთი ცხვირის ცემინება აუტყდა, რომ სასახლის ფანჯრის მინებს ზრიალი გაჰქონდა. დარბაზი დაიშალა.

ჯერ ხელმწიფე და დედოფალი გავიდ-

ნენ. მათ უფლისწული მისდევდა. გაბარებული ყველას ეკითხებოდა:

— როგორ გავრბოდი, შა?! ხომ ვერ დამიჭირა?!

უფლისწულს პირველი ვეზირი გაჟევა, პირველ ვეზირს — მეორე. ასე გვიდნენ ნელ-ნელა და დარბაზი დაიკალა. ბაია არავის გახსენებია.

დადლილი და გაწყამებული გოგონა იატაკზე ეგღო და ეძინა. იმდენად იყო დადლილი, რომ თავისი ცაცინათელებიც კი არ დასიზმრებია.

**ფხვზურთელის უარი და საიდუმლო საკანი.
ფრინტას ფანჯარაში სინათლე ანთია**

არ ვიყავი მთლად მართალი, როცა ვთქვი: ბაია არავის გახსენებია-მეთქი. უფრო სწორად რომ ვთქვა, ბაია ქონდართუხუცესს არ დაეწყებია, სასახლის ქონდარტიკაცები როგორც კი დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ, პირველი ვეზირი მაშინვე შებრუნდა დარბაზში. დაავლო ხელი იატაკზე მიძინებულ ბაიას, თავისი მოსასხამი გადააფარა და ფარულად გააპარა სასახლიდან.

პირველი ვეზირი საპატიმროში შევიდა და რკინის კარმა ისევ გაიჯახუნა.

— რას მიბრძანებთ, დიდო ბატონო?! — ცალთვალა რაზა ისე მოიხარაწელში, კინაღამ თავი ქვის იატაკს ხეთქა.

ქონდართუხუცესმა უხმოდ გადასცა ბაია რაზას და წინ გაუძღვა. ნელა აჰყვნიენ ქვის კიბეებს. აიარეს ერთი სართული, მეორე, მესამე... ქონდართუხუცესი და რაზა საპატიმროს კოშკში აღიოდნენ. ყოველ სართულზე რამდენიმე საკანი იყო. ერთ-ერთი საკნიდან ვიღაცამ დაუძახა პირველ ვეზირს.

სად წაიყვანა?

ქონდართუხუცესს საპატიმროში ერთი საიდუმლო საკანი ჰქონდა. მისი არაებობა თვით ხელმწიფემაც არ იცოდა. პირველმა ვეზირმა სწრაფად გაიარა სასახლის ჩახნელებული ბაღი და საპატიმროს რკინის კარს მიაღწა. კარზე შეიდჯერ დააკაუნა. შეიდჯერ დააკაუნება საპატიმროში პირველი ვეზირის მობრძანებას ნიშნავდა.

— ბატონო ქონდართუხუცესო... ბატონო ქონდართუხუცესო... მე ხომ არაფერი დამიშავებია, რატომ მტანჯავთ ამდენ ხანს?!

— ვინ არის? — ჰკითხა ქონდართუხუცესმა რაზას.

— ამ საკანში კვანტი დაუღია... ფეხბურთელი.

შვინიდან გასაღებმა გაიხსაკუნა, მერე ჭრიალ-ჭრიალით, მძიმედ გაიღო რკინის კარი და ქონდართუხუცესს ქლესური ღიმილით შეეგება საპატიმროს მცველთა უფროსი — ცალთვალა რაზა.

რაზა ქონდართუხუცესის ყოველ სიტყვასა თუ ნება-სურვილს უსიტყვოდ ასრულებდა. როცა შეხედებოდა, სულ თვალეშში შესცივინებდა—ნეტავი რამე დამავალოს, რომ ახლავე შევესრულო.

— აჰა! — პირველმა ვეზირმა ახლადა იცნო ცნობილი ფეხბურთელი.

კვანტი დაუდეს მამამისიც ველარ იცნობდა, თმა და წვერი წამოზრდოდა და გაბურძგვოდა, ტანისამოსი მთლად შემოფლეთოდა ტანზე.

— შენ უდიდესი შეურაცხყოფა მომაყენე, — ცხვირში მომახვედრე ბურთი!

— უნებურად მომიხვდა, ბატონო ქონდართუხუცესო, მაპატიეთ.

— ვაპატიებ თუ, ფეხბურთს თავს დაანებებ და საპატიმროში დადგები მცველად.

— მე შეიძლება ფეხბურთს თავი დავანებო, მაგრამ...

— რა, მაგრამ?

— საპატიმროს მცველად არ დავდგები.

ქონდართუხუცესმა აღარ ისურვა კვანტი დაუდესთან ლაპარაკი და გზა გაანაგრძო. ქვის კიბეები აათავეს და კოშკის ქერხოს მიადგნენ.

საიდუმლო საკანი სწორედ კოშკის ქერხოში იყო მოთავსებული.

პირველმა ვეზირმა რაზას ანიშნა, ეს გოგონა ზევით უნდა დაეაშფყვედიოთ. რაზამ ბაია იატაკზე დასვენა. ცარიელი საკანი გააღო და ხის კიბე გამოიტანა. კედელზე მიაყუდა და ზედ ამობღდა. ახლა ქერხოში ასავლელს უჩხიკიონა გასაღები, დიდი წვალეების შემდეგ ისიც გააღო.

ბაია ქერხოში აიყვანეს, საიდუმლო საკანში დაამწყვდიეს და კარი ჩაუკეტეს.

გულდამშვიდებული წამოვიდა ქონდართუხუცესი... ბაიას ახლა მეორე ვეზირის ღამის შიკრიკები კი არა, თვით ღმერთიც ვეღარ მიაგნებდა. კვანტი დაუდეს საკანს რომ ჩაუარა, იფიქრა, ეს ფეხბურთე ფეხბურთელი დამიძახებს და ციხის მცველად დადგომას შემეხვეწება, თანაც ბოღიშს მომიხდისო... მე კი არ ვაპატიებ და არ გვანათავისუფლებო.

ქონდართუხუცესისათვის არავის დაუძახია და არც პატიება უთხოვია... საშინლად გააბრაზა პირველი ვეზირი ფეხბურთელის სიციუტემ. შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, უფრო მკაცრად დასჯიდა, მაგრამ ქონდართუხუცესი ამაზე დიდი სასჯელი არ არსებობდა.

პირველი ვეზირი მაინც კმაყოფილი იყო, ბაია რომ მოაცილა სასახლესა და ქონდართუს. სულ ლიღინ-ლიღინით მივი-

და თავის სასახლემდე. არც ახლა მაშებსო ჩემს ფრინტასთან?

სასახლესთან შეცბუნებული შეჩერდა.

ფრინტას ფანჯარაში სანთელი ენთო. უკვე საკმაოდ გვიან იყო და ასეთ დროს ქონდართუხუცესის ქალიშვილი არასოდეს ანთებდა სანთელს... თანაც ფანჯარა ღიაა. ეს უკვე საეჭვოა!

პირველი ვეზირი სიბნელეში იდგა და ელოდა — ერთი ენახო, რა ამბავია ჩემს თავსო. დიდხანს არ დასჭირებია ლოღინი. ღია ფანჯარას ფრინტა მოადგა. ხელი დაუქნია ვილაცას და რაღაც საგანი გადმოუვლო. მერე სწრაფად მიხურა ფანჯარა.

ამჯარა იყო, ფრინტას ფანჯრის ქვემოთ ვილაც იდგა.

ვინ?

ამ კითხვამ დაუქარგა მოსვენება ქონდართუხუცესს.

ფეხაკრეფით წავიდა, თავისი თვალით რომ ენახა, ვინ იდგა ფრინტას ფანჯრის წინ, მაგრამ ქონდართუხუცესს მარტო ეს არ აინტერესებდა. ახლავე უნდოდა გაეგო, რა ვადმოვადლო მისმა საყვარელმა ქალიშვილმა.

ათოდე ნაბიჯი კიდევ გადადგა და გარკვევით დაინახა ლანდი. ლანდი ჩაკუხულიყო და მიწაზე ხელებს აფათურებდა. ეტყობოდა, ფრინტას გადმოგდებულ საგანს ეძებდა.

პირველი ვეზირი თითის წვერებზე შემღვარი ეპარებოდა ლანდს, ცდილობდა ჩქამი არ გაეღო, ლანდმა ამასობაში იპოვა ფანჯრიდან გადმოგდებული საგანი და წამოადგა. ქონდართუხუცესი კი უკანასკნელი ნახტომისთვის მოემზადა, დაიძაბა. ერთი ნახტომი და საზიზღარი ლანდი დაჭერილი ეყოლებოდა.

მაგრამ ქონდართუხუცესი მოხუცი იყო და მხედველობა სუსტი ჰქონდა... თანაც ბნელოდა, ალბათ, ამიტომ ვერ დაინახა, რომ წელში მოხრილი და ნახტომისთვის მომზადებული, საკუთარ მოსახლამზე იდგა.

პირველმა ვეზირმა ისკუპა და, ვაი

ამ სკულს, იქვე გაიშობა და ხმელ ტოტებს აუტეხა ლაწა-ლუწი.

ლანდმა ერთი გაიშლიგინა სიბნელეში და მოჩვენებასავით ვაჭრა.

პირველი ვეზირი წამოდგომით კი წამოდგა, მაგრამ ეს რას უშველიდა... ვაჭყელუს ვერაფრით დაეწეოდა და ამიტომ არც უცდია გამოკიდება. სამაგიეროდ,

თავის ქალიშვილზე ისე იყო გაცეცხლებული, თვალებიდან სულ ნაპერწკლებს ყრიდა.

მაშინვე აეარდა ფრინტასთან. მაგრამ ფრინტამ იეშმაკა და თავი მოიძინარა. ამაღამ იძინოს, — გაიფიქრა ქონდართუხუცესმა, — იმასაც ნახავს, ხვალ რა დღეს დაეყარო.

ბაიას აბაოლ მძებნე. ფრინტა მოიტაცეს

წარმოიდგინეთ, რა ამბავი ატყდებოდა მეორე დღეს, როცა უფლისწული საუხშის შემდეგ ციციანთელების ქვეყნის მზეთუნახავთან ასკინკილას ან თვალუჭობანას თამაშს მოინდომებდა.

მართლაც ასე მოხდა.

უფლისწული გააღვიძეს და ასაუხშეს. კარგად გამოძდა ჩვენი უფლისწული და კარგ გუნებაზეც დადგა. მუცელზე ხელები დაიტყაუხა და თქვა:

— ახლა მზეთუნახავი მომიყვანეთ, უნდა ვითამაშო.

ბაია მანამდე არავის გახსენებია.

ახლად მოიკითხეს. ჯერ დიდხანს ეძებეს, მერე დიდხანს იფიქრეს და ვერაფრით გაიხსენეს, წუხელ სად დატოვეს ციციანთელების ქვეყნის მზეთუნახავი.

პირველი ვეზირის შეწუხება არ უნდოდათ და მეორეს შეეკითხნენ:

— ხომ არ განსოვთ, სად დავტოვეთ წუხელ ციციანთელების ქვეყნის მზეთუნახავი?

მეორე ვეზირმა საჩვენებელი თითი შუბლზე მიიღო და ჩაფიქრა. ამგვარად უფრო უადვილდებოდა ფიქრი.

— მე მგონი, ციციანთელების ქვეყნის მზეთუნახავი დარბაზში დარჩა.

— იქ რომ არ არის?

— როგორ თუ არ არის?!

— ნამდვილად არ გახლავთ.

— ეძებეთ, სადმე იქნება დამალული! მთელი სასახლე აწრიალდა, აიშალა. კიბეებზე არბოდნენ და ჩამორბოდნენ, ოთახებში შერბოდნენ და გამორბოდნენ. ისეთი აღიაქოთი ატყდა, გვეგონე-

ბოდა, ხელმწიფის სასახლეს ხანძარი გაუჩნდაო.

რა თქმა უნდა, ყოველგვარი ფუსფუსი და ფაცი-ფუცი ამოიყო. ბაიას ვერც სასახლეში და ვერც სასახლის შემოგარენში ვერ მიაგნეს. ვერც მიაგნებდნენ. ჩვენ ხომ ვიცით, სადაც არის დამწყვეთული საბრალო ბაია.

— ციციანთელების ქვეყნის მზეთუნახავი დაიკარგა!

— ციციანთელების ქვეყნის მზეთუნახავი გაიქცა!

ეს სიტყვები ლახვარივით მოხვდა გულზე უფლისწულს. ისეთი ღრიალი მორთო, რომ მჭედელ დაქა-დაქას ჩაქუჩის ხმა მასთან მოგონილი იყო. ყველამ თითები დაიციო ყურებში. ხელმწიფემ და დედოფალმა თითების დაცობა არ იკადრეს და ბაბა მოატანინეს ფარეშებს.

მაგრამ უფლისწულის ღრიალი ტკბილ სიმღერად მოგეჩვენებოდათ, ქონდართუხუცესის ბღავილი რომ მოგესმინათ.

ქონდართუხუცესი სასახლის კიბეზე ამორბოდა. თან ცხვირს აცემინებდა, თან ბლაოდა.

— დავიღუპეთ!.. დავიღუპეთ!..

ყველას ეგონა, ციციანთელების ქვეყნის მზეთუნახავს რაღაც უხედურება შეემთხვა და იმიტომ ბღავისო ასე გამწვარებული.

— რა მოხდა, გავგაგებინეთ, რა დამართა?!—დაესიგნენ ქონდართუხუცესს აქეთ-იქიდან.

— დავიღუპეთ!.. დავიღუპეთ!..

— ბოლოსდაბოლოს, თქვი, რა მოუ-



ვიდა ციკინათელების ქვეყნის მზეთუნახავსა?!

— ხელმწიფე, რა დროს ციკინათელების ქვეყნის მზეთუნახავია. ქალიშვილი მომტაცეს, ჩემი ლამაზი, ჩემი მზეთუნახავი ფრინტა!

— ვინ გაბედა, ვინ მოიტაცა!

— პოეტმა ჰილარიო ბუერამ, იმ გარეწარმა, იმ მდაბიომ!..

ჰილარიო ბუერას ფრინტა არ მოუტაცია, თავისი ნებით წააყვა. ჰილარიო ბუერას, როგორც ბევრ სხვა პოეტს, მოგზაურობა უყვარდა. ფრინტასაც სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობის დაუოკებელი წყურვილი ჰკლავდა თურმე... ეს პირველსავე შეხვედრაზე გამოარკვეის ქონდართუხუცესის ქალიშვილმა და ხელმწიფის კარის პოეტმა, პირველსავე შეხვედრაზე გადაწყვიტეს ერთად გაპარულიყვნენ, რადგან მამა ქონდართიდან გამგზავრების უფლებას არ მისცემდა თავის ქალიშვილს.

ფრინტას ფანჯრიდან გადმოგდებული საგანი, პირველმა ვეზირმა რომ დაინახა, პატარა კოლოფი იყო, ხოლო ის ლანდი — ჰილარიო ბუერა. იმ კოლოფში

ბარათი იყო, ბარათში კი, აი, რა ეწერა: „ჩემო ერთადერთო მეგობარო ჰილარიო, ხვალ გათენებამდე მოვალ თეთრი იასამნის ბუჩქებთან, დამელოდე. ფრინტა“.

იასამნის ბუჩქთან ფრინტას გათენებამდე დახვდა ჰილარიო ბუერა, ჩაჰკიდეს ერთმანეთს ხელი და გაუდგნენ გზას.

საით?

საითაც მოისურვეს, საითაც გული მიუწევდათ.

ბევრი ქვეყანა მოიარეს და ბოლოს, როგორც უკვე ვიცით, პოეტების ქვეყანას ეწვივნენ, სწორედ იმ დროს, როცა სალამურას ახალგაზრდა კრიტიკოსი ესალმებოდა. არც ჰიჭერონმა და არც სხვებმა მამინ არ იცოდნენ, რომ ყვავილებში ჩაფლული სალამურა სახელოვანი პოეტი კი არა, უბრალო მწყემსი ბიჭუნა იყო, თანაც ჭია-მაიების მწყემსი.

თქვენ, ალბათ, ისიც გახსოვთ, რომ სალამურა საზეიმო შეხვედრის შემდეგ მარტოდ-მარტო დარჩა კლუბის დარბაზში მწარედ ჩაფიქრებული.

ამ ზღაპრის მეორე ნაწილის მოყოლას სწორედ აქედან დავიწყებ.

მსცოვანი პოეტის რჩევა-ღარიგება

ფიქრებიდან სალამურა მსცოვანი პოეტის ხმამ გამოარკვია.

— როდემდე გინდა იყო, ბიჭუნა, მაგ ყვავილებში ჩაფლული? გეტყობა, ძალიან მოგწონს ყვავილებში ჯდომა.

— სულაც არ მომწონს, — უპასუხა სალამურამ.

— თუ არ მოგწონს, გამოდი. რაღას უტედი?

— ვერ გამოვდივარ, ეკლები მკაწრავს.

მსცოვანი პოეტი სცენაზე ავიდა და სალამურა ყვავილებიდან ამოიყვანა. მწყემს ბიჭუნას ხელები და სახე რამდენიმე ადვილას გაეაწვროდა და სისხლი სდიოდა.

— მოდი, წამალს წავისვამ. ცოტათი აგეწვეება, მაგრამ არაფერია, მალე გაგივლის. — მსცოვანმა პოეტმა ტოვა გა-

დაიწია და ჯიბიდან პატარა ბოთლი ამოიღო. საცობი მოაძრო და მწყემს ბიჭუნას ნაკაწრებზე წაუსვა მუქი სითხე.

საწყალ სალამურას ისე აეწვა კანი, რომ სულ ცალ ფეხზე დაიწყო ხტუნვა.

— სული, სული შეუბერე! — დაარიგა მსცოვანმა პოეტმა.

სალამურამ სული შეუბერა დაკაწრულ ხელებს, მაგრამ ცხვირსა და ლოყას ვერაფერი მოუხერხა.

— ეგრე, ეგრე, გაუძელო! — ამხნევებდა მსცოვანი პოეტი. — ყოჩაღ! მაგარი ბიჭუნა ყოფილხარ, ერთი ცრემლიც კი არ ჩამოგვარდნია. აჭაურ ბიჭებს რომ წაუსვა, სულ ღრიალით გასკდებოდა.

— ბატონო, — მიმართა სალამურამ,

როცა წვამ გაუარა, — ხომ ვერ მიმასწავლით ქონდარეთის გზას?

— ქონდარეთი... ქონდარეთი... — ჩაფიქრდა მსცოვანი პოეტი. — აქედან შორს არის ქონდარეთი.

— ნუთუ ასე შორსაა? მაინც საითაა და რამდენ ხანში შევძლებ იქ მისვლას?

— ეგ ქვეყანა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთით არის... მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვი, რამდენი დრო დაგეზარება იქ მისასვლელად. ვიღაც ქონდარეთი ყოფილა ჩამოსული და თუ ასე გაინტერესებს, იმას ჰკითხე.

— აუცილებლად ვკითხავ.

— მაინც, რატომ მიისწრაფი, ბიჭუნა, ასე ქონდარეთისაკენ?

სალამურამ არაფერი დაუმალა კეთილ პოეტს. უამბო, რა გადახდა თავს და რატომ მიდიოდა ქონდარეთში.

მსცოვან პოეტს, ეტყობა, შეებრალა სალამურა, თავზე გადაუსვა ხელი და მოეფერა.

— თუ კვლავ ასე მოიქცევი, არაფერი გამოვივა. ბოროტებას ნუკი გაუქცევი, შეებრძოლე. შენ ხომ გსურს. ბაია დაუბრუნო ციციანთელების ქვეყანას?

— მე შევპირდი, მზის ამოსვლას ვაჩვენებ-მეთქი და ვერ ვაჩვენე.

— მესმის, კარგად მესმის შენი წუხილი. ყური დამივდე, კარგო ბიჭუნავ, თუ ისევ ბედის მორჩილი იქნები, ბაიას ვერ აამოიხსნი. შენ ისე ვათამაშებს ბედი, როგორც ნაფოტს მდინარე. შენ კი არ მიდიხარ, ამ მდინარეს მიჰყავხარ. შენი გზა სხვაა, მდინარე კი სხვა გზით მივაქანებს. თუკი იცი. საით მიდის შენი

გზა, ამ გზიდან, როგორ წინააღმდეგობასაც არ უნდა წააწყდე, არ გადაუხვიო! რადგან არ არსებობს წინააღმდეგობა, რომელიც ადამიანის შეიღობა, ადრე თუ გვიან, არ დაძლიოს. თუ ასე არ მოიქცევი, მიხანს ვერ მიადწევ. კიდევ ერთს გეტყვი და დაიმასხოვრე. ბოროტებას ნუ დეჩაგვრინები, ნუ მოუხრი ქედს. ყოველ შემთხვევაში, როგორც შეძლებ ისე შეებრძოლე. თუ ვინმეს საწყულად და დაჩაგრულად მოაჩვენებ თავს, უფრო მეტად მოინდომებს შენს დაჩაგვრას.

— გმადლობთ, ბატონო!

— ესეც იცოდე, ამ ქვეყნად ყველაზე უფრო ძლიერი სიკეთის ძალაა.

— გმადლობთ... ისე მოვიქცევი, როგორც თქვენ დამარბეთ.

— ოღონდ, კეთილსა და ბოროტის გარჩევა უნდა შეგეძლოს.

— მაგის გარჩევა ადვილია.

— არც ისე ადვილი, ბიჭუნავ, როგორც შენა გვინია... ახლა წადი, რაც ვითხარი. არ დაივიწყო.

— ნახვამდის, ბატონო.

— მოიცადე, შენ კარგი ბიჭუნა ჩანხარ და დიდ გზასაც ადგახარ. მოდი, ამ წამალს ვაკატან. ვინ იცის, სად და როდის გამოვადგება!

— სულ მატანთ? — გაუყვირდა სალამურას.

— მე კიდევ მაქვს... მინდერისა და მთის ბალახებისაგან ვამზადებ ამ წამალს.

კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა სალამურამ. წამლიანი ბოთლი გულში შეინახა და დაემშვიდობა.

დახლზე გაშლილი ხილი. ზრინტა სილაგაზის სალონში

დახუთული ჰაერიდან სუფთა ჰაერზე რომ გამოვიდა, მძაფრად იგრძნო შიმშილი. აღარც კი ახსოვდა უკანასკნელად როდის ჭამა. უცებ გამოეღია ღონე და ფილაქანზე ძლივს მილასლასებდა.

დუქანს ჩაუარა გვერდით. მედუქნეს დახლზე ათასნაირი ხილი ეწყო. სალამურას თვალები აუჭრებდა. მწიფე ატ-

მები, ჩაშაქრული ყურძენი, ლოყაფითეული ვაშლი, თაფლის სანთელივით ყვითელი გულაბი მსხალი, შავი ქლიავი. რა გინდოდა, სულო, და გულო, დახლზე რომ არ ყოფილიყო გამოშლილი. სალამურა ხილის სუნმა გააბრუა და დაბარბაცდა. თავი ძლივს შეიკავა. მერე სწრაფად

გაშორდა დუქანს, ასე რომ მივჩერები-
ვარ, ჩემთვის უფრო ცუდიაო.

სალამურს დაეუკრა, იქნებ შიმშილი
გადამავიწყოს, — გაიფიქრა და ქაშარ-
ში გარჭობილი სალამური ამოიღო. ის
იყო სული უნდა ჩაებერა, რომ ბულბუ-
ლის სტვენა გაავონა. ბულბული იქვე,
ვარდის ბუჩქზე იჯდა და თავდავიწყებით
გალობდა.

— ეს ძალიან მოეწონებოდა ბაიას, —
თქვა ხმამაღლა. — მოდი დავისწავლი და
თუ ბაიას ოდესმე შევხვდი და დავიხ-
სენი, მოვასმენინებ.

მწყემსმა ბიჭუნამ სალამურს ჩაჰბერა
და ბულბულის ჰანგი დაუკრა. ვერც კი
გაიგო, როგორ მოვროვდა მის გარშე-
მო ხალხი.

სალამურა გატაცებული უკრავდა.
როცა დაამთავრა, ხალხმა ტაში დაუკ-
რა. წვიმასავით წამოვიდა ხურდა ფული.

— ეს ბიჭუნა ქუჩის მუსიკოსი ყოფი-
ლა და ჩვენ პოეტი გვეგონა, — თქვა
ერთმა.

— კიდევ დაუკარი! — შეეხვეწნენ
სალამურას.

— მე თქვენი ბულბულის ჰანგი ვის-
წავლე... მეტს ვეღარ დაეუკრავ. — უპა-
სუხა სალამურამ და გზა განაგრძო.

— ამ ფულს ვის უტოვებ?

— ეგ ფული მე რად მინდა?

— შენი გასამრჩელოა. — უთხრეს სა-
ლამურას, — წაიღე.

ამ დროს მედუქნე მოვარდა.

— ბიჭუნავ, არ გინდა ხილით ჩაიტყ-
ბარუნო პირი? ნახე, რანაირი ხილი
მაქვს, უკეთესს ვერსად შეჭამ.

— ვიცი.

— მერე?... არ გინდა?

— მინდა.

— თუ ამ ფულს მომცემ, თუ მიწაზე
რაც ფული ყრია, ჩემი იქნება, რამდენ-
საც შეძლებ, იმდენი ჰამე... თუ გინ-
და, გზაშიც გაატან.

ამ ცთუნებას უკვე ვეღარ გაუძლო სა-
ლამურამ და დათანხმდა. დახლს მიადგა
და სულ ნარჩევი ხილი გადმოიღაგა წინ.
რაც ჰამა, ჰამა, რასაც ვერ მოერია, გუ-

დაში ჩაიწყო. მედუქნემ კი ფილაქანზე
დაყრილი ფული მოხვეტა და ჩაიჭიბა.

მწყემსმა ბიჭუნამ ცოტათი ღონე მო-
იკრიბა და წავიდა. ქუჩაში პირველსავე
შემხვედრს ჰკითხა: ხომ არ იცით, სად
შეიძლება ქონდარეთის სახელოვანი
პოეტის ჰილარიო ბუერას ნახვაო.

— აგამემნონ შუბლასთან. — არც კი
დაფიქრებულა, ისე უპასუხა პირველმა
შემხვედრმა.

სალამურას დრო აღარ დაუკარგავს,
სირბილით მივიდა ნაცნობ სახლთან, კი-
ბე აირბინა და კარზე დააკაკუნა.

კარი აგამემნონ შუბლამ გაუღო.

— რა გნებავთ?

— ჰილარიო ბუერას ნახვა მინდა.

— ჰილარიო ბუერას ძინავს.

— ეპ, ჩემთვის იქნებ ქონდარეთის გზა
ესწავლებინა.

— თუ გინდათ, ქალბატონი ფრინტა
ნახეთ, შეიძლება იმან გასწავლოთ.

სალამურასთვის სულ ერთი იყო, ვინ
ასწავლიდა ქონდარეთის გზას, სახელო-
ვანი ჰილარიო ბუერა თუ ქალბატონი
ფრინტა.

აგამემნონ შუბლა შებრუნდა და კარი
მიხურა. სალამურა კარგა ხანს ელოდებ-
ოდა კარის წინ დაყუდებული, აღზათ
გამოვა და ქალბატონ ფრინტასაც გა-
მაცნობს. მაგრამ აგამემნონ შუბლა არ
გამოდიოდა.

ხელმოკრედ დააკაკუნა.

კარი ისევ აგამემნონ შუბლამ გააღო.

— მე მინდა ქალბატონი ფრინტა
გნახო.

— აჰ, სულ დამავიწყდა. ქალბატონი
ფრინტა შინ არ არის, სილამაზის სალონ-
ში წავიდა. ცხვირი უნდა გაილამაზოს.

— სად არის ეგ სილამაზის სალონი?

— ზუსტად ჩემი სახლის წინ... ოღონდ
ქუჩა უნდა გადაჭრაო.

სალამურა კიბზე დაეშვა. მერე სირ-
ბილით გადაჭრა ქუჩა და სილამაზის სა-
ლონის წინ აღმოჩნდა.

ფრინტა ჯერ არ შესულიყო საოპერა-
ციო ოთახში: მოსაცდელში იჯდა მოწ-
ყენილი. სალამურა მივიდა და სთხოვა:

ქონდარეთში მივდივარ და, თუ შეიძლება, გზა მასწავლეთო.

— ქონდარეთი ჩემი სამშობლოა, — თქვა ფრინტამ, — მამაჩემი ქონდარეთუხუცესია, ხელმწიფის შემდეგ პირველი ქონდარისკაცი. დიან, პირველი ვეზირია და მე მისი ქალიშვილი ვარ. თუ ქონდარეთში ჩახვალთ, გადაეცით, რომ მე მნახეთ და უხვად დაგასახუქრებთ. უთხარით, რომ კარგად ვგრძნობ თავს. მართალია, მოგზაურობამ, ცოტა არ იყოს, დამალა, მაგრამ არა უშავს, მე მაინც ბედნიერი ვარ... როცა ქონდარეთში ჩახვალთ...

— გზას თუ არ მასწავლით, — გააწყვეტინა სალამურამ, — როგორ ჩავიდე ქონდარეთში?

— აჰ, თქვენ გზა არ გცოდნიათ.

— დიან, არ ვიცი.

— გზა არც მე ვიცი. ჩვენ ბევრი ქვეყანა მოვიარეთ, ძნელია იმ ქვეყნების

და იმ გზების დამახსოვრება. ძალიანაც რომ მინდოდეს, მარტო უკან ვერ დაბრუნდები. ისე კი კმაყოფილი ვარ მოგზაურობით... ქონდარეთში ჩასვლისთანავე მამაჩემს მიაკითხეთ, იგი კეთილია და უსათუოდ დაგასახუქრებთ, მითუმეტეს, თუ ჩემს ამბავს ჩაუტანთ.

— ის მაინც გეცოდინებათ, იქ არის თუ არა ციციანათელების მწყემსი გოგონა.

— რა თქმა უნდა, იქ არის! ჯერ ხმები დაჰყარეს, ვითომ ციციანათელების მზეთუნახავიო, მაგრამ მწყემსი აღმოჩნდა. ერთ ღამეს მეც ვიყავი ციციანათელების ქვეყნის მზეთუნახავი. ჩვენს შორის დარჩეს და, მაინცადამაინც სასიამოვნო არ ყოფილა...

სალამურამ აღარ დაუგდო ყური ფრინტას ყბედობას, მაშინვე დატოვა სილამაზის სალონი და აღმოსავლეთის გზას დაადგა.

ქონდარელები ფეხბურთელის გათავისუფლებას მოითხოვენ

ქონდარელებს მოთმინების ფილა აეცსთო.

ერთხანს სამართლიანად მიაჩნდათ ცნობილი ფეხბურთელის კვანტი დაუდეს დასჯა. კვანტი დაუდემ, მართალია, უნებური, მაგრამ მაინც დანაშაული ჩაიდინაო: ხელმწიფის სასახლის ფანჯარა ჩაღეწა და ქონდართუხუცესს ცხვირზე წამოსკუპებულნი საამაყო მეჭეჭი დაუზიანათ. მიუხედავად ამისა, მაინც არ ეგონათ, თუ ამ უნებურ დანაშაულს ამდენი ზნის პატიმრობა მოჰყვებოდა.

ორჯერ ბრძენ კინა-ლოკოს დააწერივნეს დიდი არზა. არზაში ქონდარელები თხოვდნენ პირველ ვეზირს, ჩვენს სათაყვანებელ ფეხბურთელს აბატით დანაშაული და გაათავისუფლეთო.

ასე ძლიერ უყვარდათ ქონდარელებს თავიანთი ერთადერთი, სათაყვანებელი ფეხბურთელი. თუ არ გვერათ, წავიკითხოთ ბრძენი კინა-ლოკოს მიერ დაწერი-

ლი არზა. გინდ პირველი, გინდ მეორე. თუმცა სულ ერთია, რომელს წაიკითხავთ, პირველსა თუ მეორეს, ორივე კინა-ლოკოს დაწერილია და ყოველი პატიოსანი ქონდარელის სულსკვეთებით არის გამსჭვალული.

აი, თვით არზაც:

„კეთილშობილო, ყოვლად განათლებულო, დიდებულო, ვეზირთა შორის უპირველესო, მოწყალეო ქონდართუხუცესო!

თქვენი გულკეთილობისა და ღმობიერების ამბავი საქვეყნოდ არის ცნობილი. ვიცით, რომ ჩვენმა ფეხბურთელმა კვანტი დაუდემ საშინელი დანაშაული ჩაიდინა. ფანჯარა ჩაღეწა და მინის ნამსხვრევი დაესო მეჭეჭს, რომელიც ასე რიგად ამშვენებს თქვენს უკეთილშობილეს ცხვირს.

იმ შავნელ დღეს მთელი ქონდარეთი გლოვობდა. ყველა თავში იცემდა



ხელს ანდა იმავე თავზე ნაცარს იყრიდა: ეს რა დაგვემართაო.

მაგრამ გავიდა დრო და ყველაფერი კეთილად დაბოლოვდა. თქვენს უკეთილშობილეს ცხვირზე მეჭეჭი ისევ ბრწყინავს; როგორც დიდი მარგალიტი ჩვენი უსაყვარლესი მეფის ქონდარ მეთხუთმეტის გვირგვინზე.

თავხედმა ფეხბურთელმა საკადრისი სასჯელი მიიღო.

ახლა დადგა ქამი მისი პატიებისა. რა ხანია ქონდარელებს ფეხბურთი არ გვიჩინავენ. ძალიან მოგვენატრა ფეხბურთის თამაში.

გაიღეთ მოწყალება, გაათავისუფლეთ კვანტი დაუდეთ.

ო, დიდო ქონდართუხუცესო, ვეზირთა შორის უპირველესო, რა მადლიერნი ვიქნებით თქვენი კეთილი გულისა, თუკი კვანტი დაუდეს გაათავისუფლებთ.

ფეხბურთის ქონდარელ გულშემატკივართა სახელით ხელს ვაწერ ბრძენი კინა-ლოკო“.

არც პირველ, არც მეორე არხაზე ქონდართუხუცესს პასუხი არ გაუცია. პირიქით, საშინლად აღაშფოთა ორივე წერილმა, აღშფოთებულს ისეთი ცხვირის ცემინება აუტყდა, რომ მისი სასახლის გარშემო დარგული ხეებიდან გულდახეთქილი ჩიტები პანტა-პუნტით ცვივოდნენ მიწაზე.

— ასე არაფერი გამოვა, — უთხრა ქონდარელ გულშემატკივრებს მჭედელმა დაჰკა-დაჰკამ, — ვისაც ჩვენს საამაყო ფეხბურთელზე გული შესტკივა, მე წამომყვება!

— სად? — იკითხეს გაუბედავად აქეთ-იქიდან.

— სადა და ქონდართუხუცესთან. ხომ ნახეთ, არაფერი გამოვიდა. ახლა მივიღეთ პირველ ვეზირთან და მოვიტხოვოთ კვანტი დაუდეს გაათავისუფლება. ჩვენ უფეხბურთოდ ცხოვრება არ შეგვიძლია. მასასადამე, ჩვენი ფეხბურთელი უნდა დაგვიბრუნოს პირველმა ვეზირმა.

— ვაშა! — წამოიძახეს გახარებულმა ქონდარელებმა.

— დროს დაქარგვა აღარ შეიძლება. აბა, წავიდეთ!

— სად? — ისევ იკითხეს გაუბედავად ქონდარელებმა.

— რამდენჯერ უნდა გავიმეოროთ ერთი და იგივე. — ვაბრაზდა დაჰკა-დაჰკამ და ჩაქუჩი დაჰკრა გრდემლს (თქვენ, ალბათ, მიხვდით, რომ მჭედელი და ფეხბურთის ქონდარელი გულშემატკივრები დაჰკა-დაჰკას სამჭედლოში თათბირობდნენ).

— რა საჭიროა ყველას წასვლა? — იკითხა ცომი ზელიამ, სახელოვანი პოეტის პილარიო ბუერას შამამ. ცომი ზელიას ქონდართუხუცესის სახელის გავგონებაც კი შიშის ზარს სცემდა, რადგან მისმა შეიღმა პირველ ვეზირს ერთადერთი ქალიშვილი მოსტაცა და არ იცოდა, ეს საქმე როგორ დაბოლოვდებოდა.

— ჰო, რა საჭიროა?! — მხარი აუბა დალაქმა ცომი ზელიას.

— მაშ რა ვქნათ? — იკითხა დაჰკა-დაჰკამ.

— მარტო შენ წადი. — ძლივს გასაგონად წარმოთქვა პილარიო ბუერას შამამ.

— მხდალებო! — დაიგრავინა ჰედელმა და საბერველი დაქანა. სამჭედლოში ნაცრის კორიანტელი დატრიალდა. — ფეხბურთის ყურება ხომ გინდათ!

— გვინდა! — ერთხმად წამოიძახა ყველამ.

— თუ გინდათ, წამომყევით!

ქონდარელები სამჭედლოში მიმოიფანტნენ. ზოგი ტანსაცმელს იბერტყავდა — ნაცარი დაგვეყარაო, ზოგს ხველა აუტყდა, ვითომ ნაცარი გადაგვეცდა და ვიბრჩობითო, ზოგი კი კუთხეში მიმდგარიყო და თვალებს ისრესდა.

— თავს ნუ იკატუნებთ, მშინებო, — მხეუტია მჭედელმა. — მარტო წასვლას რა აზრი აქვს. ვისაც ჩვენს ფეხბურთელზე გული შესტკივა, ახლავე წამომყვება. თუ არ წამოხვალთ, თქვენი სიმხდალის ამბავს ქვეყანას მოვდებ.

ჩვენ შორის დარჩეს და, ქონდარელები ცოტათი მშინებები იყვნენ, მოუხედა-

ვად ამისა, სიამაყე არ აკლდათ. მაშინვე შეწყვიტეს ტანისამოსის ბერტყვა, ზველება და თვალები სრესა.

შეძეღლი დაჰკა-დაჰკა სამეძღლოდან გამოვიდა და უკანმოუხედავად გაუდგა გზას ქონდართუხუცესის სასახლისკენ.

ერთხანს ასე იარა, მერე შეჩერდა და უკან მოიხედა. მართალია, ქონდარელები უხალისოდ მისდევდნენ, ფეხს ითრევდნენ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა

ჰქონდა, მთავარი ის იყო, რომ მაინც მიჰყვებოდნენ.

— რისი გეშინიათ? უფრო გაბედულად გამოადგით ფეხი! — შეუძახა მკედელმა. ქონდარელებმა ნაბიჯს მოუმატეს.

შეძეღელმა ერთი-ორჯერ კიდევ გაამხნევა, სათავეში ჩაუდგა და მტკიცე ნაბიჯებით გაუძღვა ქონდარელებს.

სალამურა ქონდართუხუცესთან. ძარბორბალა — ქონდართუხუცესის პირადი მცველი

ქონდართუხუცესი თავის სასახლეში იყო და ესაუბრებოდა...

— აბა, თუ მიხვდებით, ვის ესაუბრებოდლა?

ვისა და სალამურას.

გაგიკვირდათ! აქ გასაკვირი არაფერია. სალამურამ ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოსდაბოლოს, მიაგნო ქონდარეთს. რა თქმა უნდა, ქონდარეთში ჩამოსვლა ერთიათად გაუჭირდებოდა, თან რომ არ წამოეყვანა ჭია-მაიები და ციციანთელები. დღისით ჭია-მაიები უკვლევდნენ გზას, ღამით ციციანთელები და, როგორც ხედავთ, სალამურა ქონდარეთში აღმოჩნდა.

ართუ ქონდარეთში, თვით ქონდართუხუცესის სასახლეში ამოჰყო თავი.

სალამურა ისე მოიქცა, როგორც ფრინტამ უთხრა. ქონდარეთში მისვლისთანავე პირველ ვეზირს მიაკითხა და ქალოშვილის ამბავი მიუტანა.

— მაშ, ჩემი ფრინტა ნახე?! — ქონდართუხუცესს თვალებზე ცრემლი მოერიდა.

— დიახ, ბატონო. — უპასუხა სალამურამ.

— აღბათ ძალიან გამოიცვალა, გახდა.

— წინათ არ მინახავს, არ ვიცი, როგორი იყო. ისე კი გამხდარი ჩანს, ცხვირად არის ქეუელი, ბატონო.

— რეგვენო, — გაბრაზდა პირველი

ვეზირი, — ცხვირი ჩვენი შთამომავლობის სიამაყეა.

სალამურა დაიბნა, ვერაფრის თქმა ვეღარ მოახერხა, მხოლოდ ნერწყვი გადაყალბა.

— მაშ, შენ ამბობ, რომ კიდევ ვახსოვარ ჩემს ფრინტას.

— დიახ, ბატონო. სულ თქვენზე მელაპარაკებოდა. მითხრა, მამაჩემისთანა კეთილი კაცი მთელს ქვეყანაზე არ არსებობსო.

— კიდევ რას ამბობდა?

— ჩემს ამბავს რომ ჩაუტან, ძალიან გაუხარდებო.

— მერეო?

— რა ვიცი, გაუხარდებო... კეთილი გული აქვსო და...

— ჰო, დამთავრე, რა გითხრა.

— დაგასაჩუქრებსო... — დამთავრა სალამურამ და კიდევ ერთხელ გადაყალბა ნერწყვი.

პირველმა ვეზირმა, საქვეყნოდ ცნობილმა ძუნწმა, უსიამოვნოდ შეჰქმუნა წარბები, თავი გვერდზე მიაბრუნა და ცხვირი დააცემინა. სალამურა გულგახეთქილი შეტბა. ეგონა, შიგ ყურში დამახალეს თოფიო.

— ასე გითხრა... დაგასაჩუქრებსო?

— დიახ, ბატონო... მაგრამ მე არავითარი საჩუქარი არ მინდა. ისედაც ბე-



დის მადლობელი ვარ, ქონდარეთს რომ მოვაგენი.

— მაინც რატომ ვიხარია ასე ქონდარეთში ჩამოსვლა?

— მიხარია, ბატონო.

— რატომ?

— მითხრეს და მეც რატომღაც დავიჯერე, რომ ჩემი მეგობარი აქ არის, ქონდარეთში.

— ვინ არის შენი მეგობარი?

— იქნებ თქვენიც გაგეგონოთ, ბატონო, და გზა მიმასწავლოთ.

— ჰო, მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი?

— ბაია, ციციანთელების მწყემსი გოგონა. მას ბაიას ყვითელი ფურცლები-საგან შეკერილი კაბა აცვია.

— რაო? — იქუხა ქონდართუხუცესმა.

სალამურას შიშისაგან ფერი ეცვალა. ელდნაკრავი მისჩერებოდა ქონდართუხუცესს. ვერ გაეგო, ასე რამ განარისხა ხელმწიფის შემდეგ ქონდარეთში პირველი ქონდრისკაცი.

— რად გინდა ბაია?

— ბატონო... ბაია ციციანთელების ქვეყნიდან მოიტაცეს... მე კი შევპირდი, მზის ამოსვლას გაჩვენებ-მეთქი და ვერ ავუსრულე... ახლა მინდა წავიყვანო და ვაჩვენო... მინდა თავის ქვეყანას დავუბ-

რუნო. ციციანთელები შეშფოთებულნი არიან ბაიას დაკარგვით.

— აჰა, გასაგებია! მაშ მზის ამოსვლა გინდა აჩვენო, არა?! ციციანთელებს ქვეყანაში გინდა დააბრუნო?! ბრიყვო, შენ იცი, ეგ გომბიო რომ არ გამოჩენილიყო ხელმწიფის სასახლეში, დღეს ჩემი ფრინტა დედოფალი იქნებოდა?!. ახლა კი რა გამოვიდა, ვილაც ვიგინდარამ მომტაცა! მართალი უთქვამს ფრინტას, ისე დავასაჩუქრებ, ეს საჩუქარი სიკვდილამდე არ დავაგვიწყდეს. — ქონდართუხუცესი სავარძლიდან წამოდგა და ოთახში დაიწყო სიარული, გამწარებული ბრძღვინავდა, თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდა. მერე შეჩერდა, კარს მიაშტერდა და ხმამაღლა დაიძაბა, — ქარბორბალა!

კარი გაიღო.

ოთახში საზამთროსავით მრგვალი ქონდრისკაცი შემოვიდა. ეს იყო ქარბორბალა — ქონდართუხუცესის პირადი მცველი. ქარბორბალას მომრევს ქონდარეთში ვერ იპოვიდით, მისი შიშით მთელი ქონდარეთი ძრწოდა.

— ქარბორბალა, შეიპყარი ეს არამზადა! — ბრძანა პირველმა ვეზირმა.

ქონდართუხუცესის პირადმა მცველმა ბოროტი მხერა შეანათა სალამურას, მელოტი კეფა მოიფხანა და მწყემსი ბიჭუნას შესაპყრობად გამოგორდა.

ქარბორბალა ქონდარელებს დაერია

ვინ იცის, როგორ დატრიალდებოდა სალამურას ბედის ჩარხი, ამ დროს ღია ფანჯარაში რაღაც უცნაური ხმაური რომ არ შემოჰტილიყო.

ქონდართუხუცესისა და მისი პირადი მცველის, ქარბორბალას ყურადღება სწორედ ამ ხმაურმა მიიპყრო. ორივეს მაშინვე გადაავიწყდა სალამურა. ჯერ პირველი ვეზირი ეცა ფანჯარას და ქუჩაში გადაიხედა, მერე ქარბორბალაც მიიჭრა ფანჯარასთან.

ქუჩაში მკვდელი დაჰკა-დაჰკა იდგა ფეხბურთის გულშემატკივრებთან ერთად და ზევით იყურებოდა. რაღაცას ხმამაღლა ამბობდა, მაგრამ ქონდართუხუცესს მისი ნათქვამი არ ესმოდა, რადგან ყველანი თითქმის ერთდროულად ცდილობდნენ ელაპარაკათ.

ქონდართუხუცესმა ყურებში თითები დაიკო. ამით ანიშნა, თუ ასე ერთხმად იყაყანებთ, არ მოვისმენთო.

მაშინ მკვდელმა დაჰკა-დაჰკამ დააჩუ-

მა ფეხბურთის ქონდარელი გულშემატკივრები და თვითონ მიმართა პირველ ვეზირს:

— ო, ვეზირთა უპირველესო, ყოვლად განათლებულო და ბრძენო ქონდართუხუცესო. ვაილეთ მოწყალება და გაათავისუფლეთ ჩვენი სათაყვანებელი ფეხბურთელი კვანტი დაუდე.

— არავითარ შემთხვევაში! — იყვირა პირველმა ვეზირმა.

— აპატიეთ, ბატონო ვეზირო!

— დიდო ვეზირო, გევედრებით, შეუდლოთ დანაშაული.

— მეტს აღარ იზამს. — შეჰბლაოდნენ ქვევიდან ქონდარელები.

— ეგ თქვენი ფეხბურთელი ჯიუტი და თავხედი. — თქვა გაბრაზებულმა ქონდართუხუცესმა, — ციხის მცველობა შევთავაზებ და უარი მითხრა. არავითარ შემთხვევაში არ ვაპატიებ!

— უნდა აპატიოთ!

— დიდო ვეზირო, ჩვენც შეგვიბრალეთ!

— უფეხბურთოდ გაძლება აღარ შეგვიძლია!

ქონდართუხუცესი განრისხდა. ცხვირზე წამოსკუბებული მუქეჭვი გაულურჯდა და აუთრთოლდა.

— ქარბორბალა, რასა ჰვავს ეს, — იყვირა მან, — აჯანყებას ხომ არ აპირებენ?!

ქარბორბალამ თვალეზში შეხედა პატრონს და ანიშნა, მიბრძანე, როგორ მოვიქცეო.

— ახლავე ჩაღი და გარეკე ეგ მემამბოხეები!

პირველი ვეზირის პირადი მცველი მისი სიმსუქნისათვის შეუფერებელი სისწრაფით გაეშურა კარისაკენ, კი არ გაეშურა, გაგორდა. ქონდართუხუცესმა ფანჯარა მიხურა და თავის ქვეშევრდომს დაედევნა.

სალამურა ორივეს დაავიწყდა. ქონდართუხუცესი ბოლო ხანებში ძალიან გულშემატკივნი გახდა. ხელმწიფის კარზე ჩუმ-ჩუმად დასცინოდნენ კიდეც, ბერიკაცს საშინელი სკლეროზი სჭირს და ეგ

მოუღებსო ბოლოს. რაც შეეხება ქარბორბალას — იგი ისეთი მსუქანი და ღონიერი იყო, მესსიერება სულ არ სჭირდებოდა.

ამიტომ არც არის გასაკვირი, წასვლის წინ სალამურა რომ არ გაახსენდათ.

მწყემსმა ბიჭუნამ ფანჯარა გამოაღო და გადაიხედა. ერთი ენახო, ქუჩაში რა ხდებო. ქვევით მაინცდამაინც მნიშვნელოვანი არაფერი ხდებოდა, დაბნეული ქონდარელები იდგნენ და სასახლის ფანჯრებს შესცქეროდნენ. ფანჯარა რომ გაიღო, ეგონათ ისეც ქონდართუხუცესი გადმოდგაო და აყაყანდნენ, მაგრამ როგორც კი სალამურა დაინახეს, დაჩუმდნენ.

უცებ ყველანი ერთად შეტოკდნენ, თითქოს ხეებს ქარმა დაუბერაო, ქონდარელები შეივრხნენ და ოხვრის მავგარი ხმაც აღმოხდათ. სასახლის დარბაზიდან ზვავივით გამოვარდა ქარბორბალა, თან გაბოროტებული ბრდღვინავდა, მუშტებს ცხვირწინ ატრიალებდა.

— ნუ გეშინიათ, ძმებო! — დაიძახა მჭედელმა დაჰკა-დაჰკამ, — ეგ ერთი რას დაგვაკლებს?!

ქარბორბალა დატრიალდა და მერე როგორ დატრიალდა! გარშემო სულ მტერის კორიანტელი დააყენა. ვისაც მოართყა მუშტი, იქვე ადგილზე დასვა. დაჰკა-დაჰკას მიერ გამხნეებული ქონდარელები მაინც არ შედრკნენ, ყველანი ქარბორბალას დაესივნენ.

ქონდართუხუცესის პირადი მცველი ჯარასავით ტრიალებდა. მის გარშემო მწიფე მსხლებივით ცვივოდნენ ქონდარელები. ძირს დაცემულები დგებოდნენ და გარბოდნენ, მეორედ შებრძოლებას ვეღარ უბედავდნენ ქარბორბალას.

— ძმებო, ნუ გარბიხართ! — უხმობდა გაქცეულებს მჭედელი დაჰკა-დაჰკა. — თუ ბრძოლა, ბოლომდე ვიბრძოლოთ!

მაგრამ ფეხბურთის გულშემატკივართა რიგები თანდათან თხელდებოდა. ვისაც ქარბორბალამ მუშტი მოართყა,



ფეხზე არ დააყენა. თავპირდალეწილი ქონდარელები შემწინებულები ვარბოდნენ.

სადარბაზო შესასვლელთან ქონდართუხუცესი იდგა, სიამოვნებისაგან ხელებს იფშვინეტდა და ქარბორბალას აქეზებდა.

— ეგრე, მიდი, ქარბორბალა! დასცხე, მაგ ჭუჭყიანებს!

ქარბორბალა სულ გაგიჟდა და გადაიჩრია. გაცოფებული იქნევიდა ხელებს და წინ ველარავის ხედავდა. ხუმრობა ხომ არ იყო, თვითონ პირველი ვეზირი ადევნებდა თვალს მის გმირულ ბრძოლას.

პატრონის მიერ წაქეზებულმა ერთხელ კიდევ მოიქნია მუშტი, მაგრამ ვერავის მოარტყა. კიდევ კარგი, რომ ეს მოქნეული მუშტი არავის მოხვდა, თორემ შუშზე გახეთქავდა. ეს რა მოშივიდა, როგორ შევრცხვიო. — გაიფიქრა ქონდართუხუცესის პირადმა მცველმა და მეორედ უფრო მაგრა მოიქნია ხელი. მუშტმა ჰაერში გაიზუზუნა და სამი ქონდარელი დასცა ძირს. თვითონ ქარბორბალამაც ვეღარ შეიკავა თავი და ქვა-

ფენილზე დაენარცხა.

სალამურა ისე ვაიტაცა ჩხუბის ცქერამ, სულ გადაივიწყდა, წელან დაპატიმრებას რომ უპირებდნენ. როცა ქარბორბალა ძირს დაებერტყა, მწყემსი ბიჭუნა კინალამ სიცილით გაიგულა — სულ არ სტოდინია ჩხუბით.

წაქეველ ქარბორბალას ქონდარელები დააცხრნენ თავზე, თითქოს ქონდართუხუცესის პირადი მცველი ამას ელოდო, წამოიწია. წამოდგა, ათიოდე ქონდარელი ჰაერში აიტაცა. მერე მძლავრად შეარხია მხრები და საწყლები სულ ზღართა-ზღურთით დააღეწა ქვაფენილს.

— ეგრე, ეგრე, ჩემო ქარბორბალა! — ყვიროდა გახარებული ქონდართუხუცესი.

ქარბორბალამ ორ ქონდარელს ხელები ჩაავლო და სულ ერთმანეთს უჩაჩქუნა.

— ამის ყურება უკვე აღარ შემძღლია! — წამოიძახა სალამურამ და ფანჯარას მოსცილდა.

სალამურას და ქარბორბალას პირველი შერკინება

ქარბორბალას ბრძოლა უკვე მოგებული ჰქონდა. ზოგი მოწინააღმდეგე ვაქცა, ზოგი დაბლა ეგდო და წელს ძლივს ითრევდა. მხოლოდ მჭედელი დაჰკა-დაჰკა იდგა ფეხზე. თუმცა ამას ფეხზე დგომა აღარ ეთქმოდა. დაღლილ-დაქანცული, გასაეათებული, სასახლის წინ დაბოდა, ხოლო ქარბორბალა დასაჭერად დასდევდა.

— ეგ არის ამათი მოთავე, ეგ პირუტყვი, ეგა! — ყვიროდა ქონდართუხუცესი, — ახლავე დაიჭირე! ციხეში უნდა დავალო იმ ფეხბურთელთან ერთად!

პირველი ვეზირი ამას რომ უყვიროდა თავის პირად მცველს, ვილაცამ ისე სწრაფად ჩაუქროლა გვერდით, რომ ქონდართუხუცესმა მხოლოდ ჰაერის რხევა იგრძნო.

სალამურა შურდულივით გავარდა ქუჩაში. ქარბორბალას, ის იყო, ხელი უნდა წაეველო მჭედელ დაჰკა-დაჰკასათვის, რომ მწყემსმა ბიჭუნამ შეუძახა:

— ეი, საზამთროვ, ერთი მეც მეჩხუბე, ვნახოთ, რა ბიჭი ხარ!

— მე ვარ საზამთრო? — გაოცებული შეჩერდა ქარბორბალა და სალამურას მიაშტერდა.

— საზამთრო ხარ, მა რა, თანაც დამპალი საზამთრო!

— იცი, რას გიზამ, შე კიაცელავ, შენა! — ქარბორბალამ წინდაწინვე წარმოიდგინა რას უზამდა და სიამოვნებისაგან სახე გაეხადრა.

მაგრამ სალამურამ ქონდართუხუცესის პირად მცველს ეს მომავალი სიამოვნების განცდა ბოლომდე არ დააცა-

ლა. მოქნეული მუშტი მთელი ძალით ამოარტყა ღიძში.

— ვაი! — ამოაბოყინა ქარბორბალამ.

— ეგ დამიჭირე, ეგ! — დაუყვირა ქონდართუხუცესმა, — მკედელი ვერსად გამეჭიკევა.

— ახლავე! — დაამშვიდა პირადმა მცველმა. — ახლავ...

სალამურამ სიტყვა არ დაამთავრებინა „საზამთროს“, ახლა მარცხენა ხელი ამოარტყა მუცელში.

— ვაი! — ისევ ამოაბოყინა ქარბორბალამ.

— ვაი არ გიშველის, — უთხრა სალამურამ, — თუ შევიძლია, მეჩხუბე.

ქარბორბალამ იფიქრა, ეს ბიჭი ვიდრე რაღაცას მეუბნება, დრო უნდა ვიხელოო და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მოუქნია მუშტი. ამ მუშტის აცილებდა სალამურასთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. თავი უკან გადასწია და ხელმა ჰაერში გაიზუილა. მართალია, სიმწრითა და ტანჯვა-წვალებით ისწავლა კრივი, მაგრამ თქვენ ნახავთ, როგორ გამოადგება ახლა ეს ხელოვნება.

რამდენიმეჯერ რომ აიცილა სალამურამ მოქნეული ხელი, ქარბორბალა მიხვდა, ამ ბიჭთან ბრძოლა გამძინელდებაო. ეს გამომეტყველებასაც კი შეეცყო — სახეზე ოდნავ შესამჩნევად გამოეხატა სასოწარკვეთა. სალამურა სწორედ ამ წუთს ელოდა. მანამდე სულ უკან-უკან იხევდა, დარტყმას იცილებდა. როგორც კი თავს მოარიდებდა მოქნეულ ხელს, სალამურა თვითონ გადადიოდა შეტევაზე — ან ყბაში, ან ღიძში უთავაზებდა მუშტს.

ქარბორბალა თავის გულს ასკდებოდა. ნუთუ ერთხელ მაინც ვერ გავარტყამ ამ ჭიკაყელასო. ერთი თუ მოვარტყი, მერე ვნახავ, რა ბიჭიც არისო. რაც უფრო მეტად ცდილობდა გარტყმას, მით უფრო ვერ ახერხებდა, ჰაერში უაზროდ იქნევდა ხელებს.

ქონდართუხუცესი კი სადარბაზო შესასვლელის წინ იდგა და ბოლმისაგან გულზე სკდებოდა. მსახურებს უხმობ-

და. მსახურები მხრებს იჩეჩდნენ: იქ, სადაც ქარბორბალა ჩხუბობს, ჩვენ კროგორ ჩავერევითო. თან ამშვიდებდნენ პირველ ვეზირს, მაგ ბაქს ახლავე ბოლოს მოუღებსო.

— ახლა კი დროა, საბოლოო შეტევაზე გადავიდე, — ფიქრობდა ამ დროს სალამურა. — ერთხელაც ავიცილებ დარტყმას და მერე შეგვტყვ.

ასეც მოიქცა.

სალამურამ შეტევა დაიწყო.

ოჰ, რა ოსტატურად იბრძოდა სალამურა. ეს იყო მოკრივეს ნამდვილი ხელოვნება. ხან მარჯვნიდან, ხან მარცხნიდან, ხან პირდაპირ ურტყამდა მწყემსი ბიჭუნა მოწინააღმდეგეს. ყოველი მისი დარტყმა იყო მოქნილი, სხარტი. ასევე ოსტატურად ირიდებდა ქარბორბალას დარტყმებს. დაიხრებოდა, ისევ გაიმართებოდა და გამუდმებით უტევდა.

ქარბორბალა მკედელ დაჰკა-დაჰკას საბერველივით ქშინავდა. გამოშტერდა, თვალებს უაზროდ აჰყეტდა.

ახლა ქარბორბალა იხევდა უკან. მაგრამ მისი უკანდახევა უკვე იძულებითი იყო — სალამურამ აიძულა.

ქარბორბალას ბრძოლა აღარ შეეძლო. ხელები ჩამოუვარდა. მწყემსმა ბიჭუნამ ერთიც ამოსცხო ღიძში და პირველი ვეზირის პირადმა მცველმა თავისი პატრონის წინ გადაინა ზღართან.

— დაიჭირეთ, ეგ საზიზღარი! — უბრძანა მსახურებს ქონდართუხუცესმა და სალამურასაკენ გაიშვირა თითი.

მაგრამ მსახურებს ქარბორბალას მომრევის დაჭერა არც ისე იოლ საქმედ მიანდათ.

— დაიჭირეთ! — არ ცხრებოდა პირველი ვეზირი.

არც სალამურა იდგა გულხელდაკრეფილი. როგორც კი ქარბორბალა წაიქცა, გაიფიქრა, — ახლა კი დროა თავს ვუშველოო და მოჰკურცხლა კიდევ. რამდენიმე მსახური დაედევნა. მაგრამ არცერთ მათგანს არ უცდია მთელი სიჩქარით დადევნებოდა გაქცეულს. ან ეში-

ნოდათ, ჩვენც არ ვაგვლობსო, ანდა მოწონათ: მარჯვე ბიჭი არისო და, უბრალოდ, არ უნდოდათ მისი დაჭერა.

ასე იყო თუ ისე, სალამურამ თავს

უშველა. მსახურებმა ქუჩის მოსახვედრი მღე სდიეს. მერე ხელი ჩაიჭინეს — სულ ერთია ველარ დავეწევითო და უკან გამობრუნდნენ ხელმოცარულნი.

ქონდარელების და სალამურას დამეგობრება

როგორც კი სალამურამ მარჯენივ გაუხვია, ქუჩის კუთხეში უამრავი ხალხი დაინახა. გაიფიქრა: — უპ, რამდენი ჩასაფრებულა ჩემს დასაჭერად, ამით კი ველარ გავეჭვივით, გაჩერდა.

თუმცა, დააკვირდა თუ არა ქონდრისკაცებს, მაშინვე მიხვდა, რომ ესენი ქარბორბალას ნაცემი ქონდარელები იყვნენ. თავბირდალენილები, დამსისხლიანებულები იდგნენ და სალამურას ელოდნენ.

ვიღრე მწყემსი ბიჭუნა ქონდართუხუცესის პირად მცველს ებრძოდა, ძირსაკემულმა, გალახულმა ქონდარელებმა წელი ათირიეს და თავს უშველეს. ქუჩის კუთხემდე მოვიდნენ და აქედან ადევნებდნენ თვალს სალამურასა და ქარბორბალას ჩხუბს.

სალამურამ პირველი შეხედვისთანავე იგრძნო, რომ ქონდარელები მისადმი კეთილად იყვნენ განწყობილნი. მადლიერების გრძნობით შესცქეროდნენ. არა მარტო მადლიერება, ქონდრისკაცებს სახეზე მოწინებაც კი ეხატებოდათ.

— ყოჩაღ, ბიჭო! — სალამურას მხარზე დაჰკრა ხელი მკედელმა დაჰკა-დაჰკამ. — შენ ნამდვილი გმირი ხარ. შენ მარტომ მოახერხე ის, რაც ჩვენ ყველამ ერთად ვერ შევძელით. თუ გვიძმობ, შენი ერთგული ძმები ვიქნებით.

მწყემსმა ბიჭუნამ მორცხვად გაიღიმა და ხელები გაშალა:

— ეგ საზამთრო უარესის ღირსი იყო, მაგრამ რა მექნა, მეტი აღარ შემიძლო.

— რას ამბობ, ბიჭო. შენ იცი, რომ მთელს ქონდარეთში მაგის მომრევი შენ გამოჩნდი, თორემ სუყველას დაგვხოცავდა. — უთხრა მკედელმა.

ქონდარელები სალამურას გარშემო მოგროვდნენ. ყოველი მათგანი ცდილობდა მადლობის სიტყვა ეთქვა სალა-

მურასათვის, ხელი ჩამოერთმია. მწყემსი ბიჭუნა ყველას სახეზე აკვირდებოდა: ზოგს შუბლი ჰქონდა გახეთქილი, ზოგს — ცხვირი, ზოგს თვალი ჩალურჯებოდა.

სალამურას გაახსენდა, გუდამი რომ ელო კეთილი მხცოვანი პოეტის ნაჩუქარი წამლიანი ბოთლი. იმ წამსვე გულამოიხსნა და ქონდარელებს მიმართა:

— ახლა მადლობის ღრო არ არის, ძმებო! — გუდიდან ბოთლი ამოიღო და ქონდრისკაცებს აჩვენა, — ამ ბოთლში წამალია, წამალი კი არა, სასწაულია. ახლავე მოგიჩინებ ქრილობებს. მართალია, ქრილობა ცოტათი აგეწევათ, მაგრამ რას იზამთ, უნდა გაუძლოთ.

ქონდარელები სასწაულის მოლოდინში გაყუჩდნენ. სალამურამ ბოთლს საცობი მოაძრო და ყველას სათითაოდ წაუსვა ქრილობაზე წამალი.

— ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ! ცეცხლი მოგვეკიდა, ცეცხლი! — ყვიროდნენ ქონდარელები და თან გამწარებულები ხტუნავდნენ.

— ნუ გეშინიათ, ძმებო. — უთხრა სალამურამ, — ერთმანეთს სული შეუბერეთ და წვა მალე გაგივლით.

ქონდარელებისათვის შორიდან რომ შეგებდათ, ნამდვილად იტყოდით, გაგიყდნენო. ოცდაათიოდ ქონდრისკაცთ გამწარებული ხტოდა. ზოგი მარცხენა ფეხზე, ზოგი — მარჯვენაზე, ზოგი კი — ორივეზე. ხტუნვა არაფერია. ქონდრისკაცები დაწყვილებულიყვნენ და სიმწრისაგან დაჰყანულები ერთმანეთს მთელი ძალით უბერავდნენ სულს სახეში. სალამურას სიცილი წასვდა. ამ სანახაობას ველარც მკედელმა დაჰკა-დაჰკამ გაუძლო — მასაც აუტყდა სიცილი.

— რა დაგეპართათ, ძმებო, — ეუბნებოდა სალამურა, — ნუთუ ამ პატარა ტყვიულს ვერ უნდა გაუძლოთ?!

— გვეწვის! გვეწვის! — ყვიროდნენ ქონდრისკაცები.

— ქონდართუხუცესი ჩვენს მისვლას და ქარბორბალას დამარცხებას არ გვაპატიებს! — თქვა მჭედელმა დაჰკა-დაჰკამ, — წავიდეთ, თორემ ხელკეტთანებს დაგვაღვენებს. რადგან ქონდარეთში სხვა საბრძოლო იარაღი არ არსებობ-

და, ძეფის გვარდია ხელკეტებით იყო შეიარაღებული. ამიტომაც შეარქვა ხალხმა მათ ხელკეტთანები.

ხელკეტთანების სხენებაზე ქონდარელები შეცბნენ. ხტუნვასა და სულს ბერვაში კარგად ვერ ვაიგონეს მჭედელ დაჰკა-დაჰკას ნათქვამი. ეგონათ, ხელკეტთანები უკვე მოდიანო და შეშინებულები მიმოიფანტნენ.

ქუჩაში მარტო მჭედელი დაჰკა-დაჰკა და სალამურა დარჩნენ.

საიღუმლო გვირაზი

დაჰკა-დაჰკამ სალამურა სამჭედლოში მიიყვანა.

გზაში ერთმანეთი გაიცნეს.

მჭედელმა უკვე იცოდა, რომ სალამურა ჭია-მაიების მწყემსი იყო და ქონდარეთში ბაიას საძებრად იყო ჩამოსული. იცოდა, აქ ჩამოსვლამდე რა გადახდა თავს, როგორი ტანჯვა-წვალემა გამოიარა. თუმცა ისიც კი უთხრა: ზოგი ჭირი მარგებელიაო, მოკრივე მიდი მოადე რომ არ შეგხვედროდა, ქარბორბალას ასე ადვილად ვერ დაამარცხებდიო.

სალამურამაც გაიგნო მჭედელი. შეიტყო, რომ დაჰკა-დაჰკა ქონდარეთში მოქანდაკის მოვალეობასაც ასრულებდა და ქალაქის მოედანზე დადგმული თუნუქის მილები, რომლებსაც რატომღაც ქონდარ მეთხუთმეტის ქანდაკებებს უწოდებდნენ, მჭედლის ნახელავი იყო.

ამ საუბრის შემდეგ მჭედელმა დაჰკა-დაჰკამ მოიწვინა, მწარედ ჩაფიქრდა.

— რატომ ჩაფიქრდი, მჭედელო? — ჰკითხა სალამურამ.

— თუ არ დავიმალოთ, ცუდად წაგვივა საქმე, ჩემო სალამურა. — უპასუხა მჭედელმა. ამ საღამოს ხელკეტთანები მოვლენ და დავვიჭერენ.

— რატომ მოვლენ, ხელკეტთანებისათვის ხომ არაფერი დავვიშავებთა?

— ისინი ხელმწიფებს და ხელმწიფის კარისკაცებს იცავენ. თუ მათ ვინმემ რა-მე დაუშვა, მაშინვე აღმართავენ ხელკეტებს, დამნაშავეებს დააპატიმრებენ.

— რა დაუშავეთ ხელმწიფებს ან მის კარისკაცებს. პირიქით, ქარბორბალა თქვენ დავერიათ.

— ჩვენ მოვითხოვეთ ჩვენი საყვარელი ფეხბურთელის გათავისუფლება. შენ კი პირველი ვეზირის პირადი მცველი გალახე. ერთი სიტყვით, ჩვენ უნდა დავიმალოთ, თორემ დავვიჭერენ და დღის სინათლეს მოგვანატრებენ.

— საღ დავიმალოთ?

— საღ? — დაფიქრდა მჭედელი. — მე ვიცი, სადაც უნდა დავიმალოთ.

მჭედელმა კარადიდან პური და ყველი გამოიღო და ხურჯინში ჩაალაგა. მერე სამჭედლოში იბორიალა ერთხანს, ქვებებსა და კოვზებს რახა-რუხი აუტეხა. ხურჯინში კიდევ პატარა ქვები, ერთი დანა და ორი კოვზიც ჩააწყო. სალამურას სულაც არ უნდოდა ახლა გაქცევაზე და დამალვაზე ეფიქრა. რა დროს დამალვაა, როცა ბაიას საძებრადაა ჩამოსული?! რადაც არ უნდა დაუჭდეს, საბრალო ბაია უნდა ნახოს და ციციანთელების ქვეყანას დაუბრუნოს.

ვიღრე სალამურა ამას ფიქრობდა, დაჰკა-დაჰკამ ხურჯინი სანოვავითა და საჭირო ნივთებით გამოტენა და მხარზე მოიგდო.

— აბა, წავიდეთ, ძმაო! — უთხრა სალამურას.

მწყემსი ბიჭუნა შეყოყმანდა.

მჭედელი დაჰკა-დაჰკა მიხვდა, რატო-



მაც ითრევდა ფეხს სალამურა და გაი-
ლიმა.

— ნუ გეშინია, სალამურა, ჩვენ ქონ-
დარეთთან კავშირს არ გავწყვეტთ. ბაია
თუ ქონდარეთშია, უსათუოდ მოვინა-
ხავთ. მე თვითონ მოგეხმარები. ახლა კი
აუცილებლად უნდა დავიმალოთ, თო-
რემ თუ დავგიჟირეს, მერე ბაიაზე ფიქ-
რიც კი ზედმეტი იქნება.

მჭედელი დაჰკა-დაჰკა დამაჯერებლად
ლაპარაკობდა და სალამურასაც ჰქუაში
დაუჯდა მისი რჩევა.

სამჭედლოს კარი დაკეტეს და გზას
გაუდგნენ.

უკაცრიელი ქუჩებით იარეს.

მჭედელი დაჰკა-დაჰკა ქალაქის განა-
პირას ჰიშკართან შეჩერდა და სალამუ-
რას სთხოვა — ცოტა ხანს დამელოდო.
სალამურას მეტი რა გზა ჰქონდა, — და-
გელოდებო, უთხრა და იქვე აიტუზა.

მჭედელმა კი ჰიშკარი შეაღო და შევიდა.
დიდხანს არ დასჭირვებია სალამურას
ლოდინი. ორ-სამ წუთში ისევ გაიგონა
კარის ჰრიალი, გვერდზე მიიხედა და
მჭედლის ჰრელ ხურჩინს მოჰკრა თვალი.

— აქ ჩემი მეგობარი ცომი ზელია
ცხოვრობს, — თქვა მჭედელმა, — სა-
ხელგანთქმული პოეტის ჰილარიო ბუე-
რას მამა.

— ჰილარიო ბუერას მამა?! — გაოც-
და სალამურა.

— შენ საიდან იცნობ ჰილარიო ბუე-
რას? მან ხომ თვით ქონდართუხუცესს
მოსტაცა ქალიშვილი!

— ვიცნობ, — მიუგო სალამურამ. —
ქალბატონი ფრინტა გავიცანი... ჰილა-
რიო ბუერა კი ვერ ვნახე, არ ეცალა —
ავამეზნონ შუბლას ლექსებს თარგმნი-
და ქონდარულ ენაზე.

მერე გზადაგზა უამბო მჭედელ დაჰკა-
დაჰკას, სად შეხვდა ფრინტას და როგორ
გაიცნო პირველი ვეზირის გრძელცხვირა
ქალიშვილი.

ამ საუბრით მიაღგნენ მდინარე ჩქა-
ფუნას.

თქვენ, ალბათ, გახსოვთ, რომ ქონდა-
რეთი ჩქაფუნას ნაპირებზე იყო გაშენე-

ბული. მთიდან მოვარდნილი მდინარე
ბარში ორ ტოტად იყოფოდა და სწო-
რედ მდინარის ამ ორ ტოტშიორის იყო
მოქცეული ეს ულამაზესი ქვეყანა.

მჭედელი სამი მუხის ძირას დაგდე-
ბულ ლოდთან შეჩერდა. ხურჩინი მხრი-
დან ჩამოიხსნა და სალამურას უთხრა:

— მოდი, მომეხმარე, ეს ლოდი ამა-
წვივინე.

ორივე დაეჯაჯტუა ლოდს და ძვრა
ვერ უყო.

— აბა, უფრო ღონივრად! — თქვა
მჭედელმა.

ახლა უფრო ღონივრად დაეჯაჯტუ-
რენ და ლოდი ოღნავ გასწიეს გვერდზე.
ლოდის ქვეშ ხვრელი გამოჩნდა.

— ხედავ იმ კუნძულს მდინარეში? —
ჰკითხა მჭედელმა სალამურას და ხელი
გაიშვირა მდინარისაკენ.

— ვხედავ, — მიუგო სალამურამ.

მდინარეში მართლაც მშვენიერი ხეე-
ბით დაბურული პატარა კუნძული იყო
ამოზრდილი.

— ეს გვირახი, — განმარტა დაჰკა-
დაჰკამ, — საიდუმლოა, ამის არსებობა
მხოლოდ მე და ცომი ზელიამ ვიცით.

— საიდუმლოა? — გაოცდა მწყემსი
ბიჭუნა.

— რა თქმა უნდა. ჩვენ ახლა გვირახს
გავივლით და იმ კუნძულზე აღმოვჩნ-
დებით. მერე რამდენიც უნდა გვეძებონ
ხელკეტთანებმა, ვერ გვიპოვიან. ამ
ლოდს ახლა მეც მოვერუვი, — განაგრ-
ძო მჭედელმა, — შენ კი წადი, ფიჩხი
და ბალახი მოაგროვე.

სალამურამ იქვე ტყეში მოაგროვა
ფიჩხი და ბალახი. როცა უკან დაბრუნ-
და, შეამჩნია რომ მჭედელს ლოდი კი-
დევ გაეწია გვერდზე. ხვდელი ახლა უფ-
რო დიდად ჩანდა. შიგ მჭედელიც და
სალამურაც თავისუფლად გაძვრებოდ-
ნენ.

ხვრელში ჯერ სალამურა გაძვრა. მჭე-
დელმა ხურჩინი ჩააწოდა, მერე ფიჩხი
და ბალახ-ბულახი გაამზადა. თვითონაც
ჩავიდა გვირახში და ქვემოდან გვირახის
ჩასასვლელს წინასწარ გამზადებული
ფიჩხი წააფარა.

— ახლა ამ გვირაბს ეშმაკიც ვერ იპოვის, ისე შევნიღბე. — თქვა მჭედელმა და სალამურას ხურჯინი გამოართვა. — ფრთხილად იარე, სალამურა, გვირაბი ბნელია და სადმე კედლიდან გამოშვებრილ ქვას არ წაყრა შეუბლი.

— მაგის ჭავრი ნუ გაქვს. — გაიცინა სალამურამ, — მე სიბნელის არ მეშინია. მწყემსმა ბიჭუნამ გულის ჯიბიდან კოლოფი ამოიღო და გახსნა, ციციანთელეზი ამოაფრინა. ბნელი გვირაბი ერთ წამში გაანათეს ბაიას ციციანთელეზმა.

ქონდარეთში ბაკრული განცხადება. მგედელი დაჰკა-დაჰკა დაეშვებოდა

მთელ ქონდარეთში ხმა დაირხა: ვიღაც უცნობ ბიჭს ქონდართუხუცესის პირადი მცველი ქარბორბალა ისე უცემია, რომ ახლაც ფეხზე ველარა დგებო.

ამ ამბავს ქონდართუხუცესი სასახლის კარზე მალავდა. არ უნდოდა ხელმწიფესა და მის ნაწირ-ვეზირებს გაეგოთ, რადგან ქარბორბალას უძლეველობა ხალხში ზღაპრად იყო გასული და მისი გალახვა, ისიც ვიღაც უცნობი ბიჭის მიერ, პირველი ვეზირის სახელსაც და ძლიერებასაც შებღალავდა. ქონდართუხუცესმა კარგად იცოდა, ხელმწიფის კარისკაცები ჩუმ-ჩუმად დასცინებდნენ, მასხარადაც აიგდებდნენ, ამიტომ მალავდა ასე გულმოდგინედ ამ ამბავს.

მაგრამ ხალხს პირს ხომ ვერ აუკერავ?! უძლეველი ქარბორბალას გალახვის ამბავმა ხელმწიფის სასახლეშიც შეაღწია. ქონდართუხუცესის შიში გამართლდა. მეფის კარისკაცები აჩურჩულდნენ, პირველ ვეზირს ზურგს უკან დასცინოდნენ. თანაც ძალიან ანტერესებდათ ქარბორბალას მომრევის ნახვა.

იმდენი იჩურჩულეს, მცონარა უფლისწულის ყურსაც მისწვდა ეს ხმა. უფლისწულმა ბღვილი მორთო. ოჰ, როგორ აბღავლდა! ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია! გინდათ თუ არა, ახლა ჩემ თვალწინ აჩხუბეთ ქარბორბალა და უცნობი ბიჭიო. სხვამ თუ ნახა, მე რითი ვარ სხვაზე ნაკლები, მეც მინდა ვნახო, ქარბორბალას როგორ გალახავენო. ჩვენი უფლისწული ცნობისმოყვარეც გახლდათ.

ხელმწიფეს არავისზე ნაკლებად არ მაჩანდა თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი.

პირიქით, მთელს ცისქვეშეთში მასზე უკეთესი არ ეგულებოდა. ამიტომაც დაიბარა ქონდართუხუცესი და დაწვრილებით გამოჰკითხა უცნობი ბიჭის ამბავი.

ქონდართუხუცესმა ყველაფერი უამბო ხელმწიფეს, ოღონდ ერთი რამ დაუმალა. არ უთქვამს, თუ ბაიას საძებრად იყო ქონდარეთში ჩამოსული ჭია-მაიების მწყემსი ბიჭუნა. ბაია ყველას, მათ შორის ქონდართუხუცესსაც, გადაავიწყდა და რა საჭიროა ახლა იმისი გახსენებო.

— სად არის ახლა ის ბიჭი? — ჰკითხა პირველ ვეზირს ხელმწიფემ.

— არ ვიცი, ღიღო მეფეო, გაიქცა. — უპასუხა ქონდართუხუცესმა.

— უნდა იპოვო და მომგვარო.

— დიღო მეფეო, გავიგე, თურმე ის ბიჭი ერთ ხანს დაჰკა-დაჰკას სამჭედლოში იმალებოდა. ხოლო მჭედელი დაჰკა-დაჰკა რა საშიში პიროვნებაც არის, თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. იგი ამასწინანდელი ამბოხების მეთაურიც გახლდათ. ამიტომ ხელკეტიანებს სამჭედლო დავარბევინე. სულ ნაცარტუტად ვაქციე იქაურობა.

— ეგ კარგი გიქნია. მაგრამ ის ბიჭი მაინც უნდა მონახო სადმე.

— თქვენი წყალობით მოგნახავ, დიღო ხელმწიფეც! — დაამედა პირველმა ვეზირმა.

— ჰო, ევრე, მამე, მამე. — ბუტბუტებდა კმაყოფილი ხელმწიფე.

მაგრამ დღეები გადიოდა და ქარბორბალას მომრევი ბიჭი არსად ჩანდა. უფლისწული კი მთელი ხმით ბღავდა და დამ-დამობით აღარ იხურავდა საბანს. —

გინდათ თუ არა, ის ღონიერი ბიჭი მომ-
გვართო.

ხელმწიფემ კიდევ ერთხელ გადაწყვი-
ტა ქონდართუხუცესის თანამდებობი-
დან გადაყენება, მაგრამ ვერ გადააყენა.
ისევ ძველი მიზეზის გამო. მეორე ვეზი-
რი ახალგაზრდა და პირველ ვეზირად
როგორ დაეყენო, როდის დაბერდე-
ბა ეგ წყეულო.

ქონდართუხუცესმა უკანასკნელ ხერხს
მიმართა. თავის მსახურებს მთელს ქა-
ლაქში გააკვრევინა განცხადება. სად არ
ნახავდით ამ განცხადებას გაკრულს, —
ხეზე, ღობეზე, შენობის კედლებზე. მოკ-
ლედ რომ ვთქვათ, სადაც კი შეიძლებო-
და გაკვრა, ყველგან მიაწება ქონდართ-
უხუცესმა შავი მელნით დაწერილი ქა-
ლალდი.

განცხადება

ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულია უცნობი
ბიჭი, რომელმაც ჩხუბში სძლია უძლე-
ველ ქარბორბალს. ჩვენი დიდებული
ხელმწიფის ვაჟს — ქონდარუსს სურს
იხილოს უცნობი ბიჭისა და ქარბორბა-
ლს შერკინება. თუ ამ ბრძოლაში უც-
ნობი გაიმარჯვებს, ჩვენი მოწყალე ხელ-
მწიფე უხვად დაასახურებს გამარჯვე-
ბულს, თუ დამარცხდა, მაშინ საჩუქარს
მიიღებს ქარბორბალს.

ორივე შემთხვევაში ხელმწიფე ჰპირ-
დება უცნობ ბიჭს, რომ ერთ თხოვნას
უსათუოდ შეუძრულებს, როგორც არ
უნდა იყოს იგი.

უცნობ ბიჭს უფლება ეძლევა გამოც-
ხადდეს პირდაპირ მეფის სასახლეში. მის
თავისუფლებას არავითარი საშიშროება
არ ემუქრება.

სიტყვა ხელმწიფისა — კანონია!

ხელმწიფის სახელით ხელს ვაწერ

ქონდართუხუცესი.

როდესაც ასეთ განცხადებებს აკრავ-
დნენ ქუჩებში, სალამურა და მჭედელი
დაჰკა-დაჰკა მდინარის პირზე ისხდნენ
და თევზაობდნენ. თადარიგთან მჭედელს

ანკესებიც კი წამოელო. მთელი დღე
კუნძულზე რა უნდა ვაკეთოთ, ხანდახან
წავითევზავებთ, ცოტას გავერთობითო.

იმ დღეს სალამომდე ითევზავეს. შე-
ბინდებისას ცომი ზელია მოვიდა და ვახ-
შამი მოუტანა.

მჭედელმა ტყეში ცეცხლი დაანთო და
დატყერილი თევზიც მოხარშა. სამივემ
გემრიელად ივანშმა.

— მაშ სულ დაანგრის ჩემი სამჭედ-
ლო? — ჰკითხა ცომი ზელიას დაჰკა-
დაჰკამ.

— სულ. ნაცარტუტად აქციეს.

მჭედელი ყოველ მოსვლაზე ეკითხე-
ბოდა ცომი ზელიას თავისი სამჭედლოს
ამბავს. გული სტიკოდა დაჰკა-დაჰკას,
ძალიან უყვარდა თავისი სამჭედლო.
ქონდარეთში თითქმის ყველა ქვაბი, ტა-
ფა, ტაშტი, კოვზი, ჩანგალი, დანა იმ
სამჭედლოში იყო დამზადებული.

ცომი ზელიამ ვახშმის ბოლოს უბეში
ჩააპარა ხელი და რაღაც ქალაღი ამოი-
ღო.

— ეგ რა ქალაღია? — ჰკითხა დაჰკა-
დაჰკამ.

— განცხადებაა.

— რა განცხადებაა?

ცომი ზელიამ ქალაღი გაუწოდა.
მჭედელმა გამოართვა და ხმამაღლა წაი-
კითხა.

— მთელ ქალაქში გააკრეს, — თქვა
ცომი ზელიამ, — ერთი ავაძრე და წა-
მოვიღე.

— მახეს უგებენ სალამურას. — თით-
ქმის თავისთვის ჩაილაპარაკა მჭედელმა.

— აკი სწერია, მეფის სიტყვა კანო-
ნიაო? — იკითხა სალამურამ.

— მერე რა, რომ სწერია?!

— თუ არ დამიჭერენ, ხვალვე წავალ
და შევებრძოლები იმ საზამთროს.

— დაგიჭერენ... ჯერ გაჩხუბებენ და
მერე უსათუოდ დაგიჭერენ... მე კარგად
ვიცნობ ქონდართუხუცესს. — თქვა
მჭედელმა.

— აქ ჯდომი რას მიშველის?! მე ბაიას
საძებნელად წამოვედი და არა კუნძულ-
ზე დასამაღად.

— ცოტა ხანს მოითმინე, ბიჭო... ეს ამბები მიწინააღმდეგება და მერე დამდამობით შევძლებთ ქონდართში გადასვლას. ახლა დამის შეკრებები მშვიდრი ძალღებვიით დაძრწიან ქალაქში, შენცა და მეც, ორივეს დაგვიძებენ.

ცოში ზელია წავიდა. წასვლის წინ შეჰპირდა, ხვალ საღამოსაც გამოვივლიო. მჭედელმა დაჰკა-დაჰკამ და საღამურამ გვიარაბამდე მიაცილეს ცოში-ზე-

ლია, მერე გულდაწყვეტილები გასცქიროდნენ ქონდართს.

— ის რა შენობაა, ვაღმა კოშკივით რომ მოჩანს? — იკითხა საღამურამ.

— ეგ ციხეა. ჩვენი ფეხბურთელი მანდ არის დამწყვედელი.

ორივენი მდინარის პირას ჩამოსხდნენ. მწყემსმა ბიჭუნამ ქამარში ვარჭობილი საღამური ამოიღო და სული ჩაჰჭერა. დამის სიმღერა დაუტრა.

ბაია და მოციმციმე ოქროს ვარსკვლავები

მთელი ღღე ეძინა ბაიას. როდესაც ვარსკვლავები ცაზე აკიაფდნენ, თვალეზი გაახილა, წამოდგა და ხის ჯამიდან წყალი მოსვა.

ჩუქინის ვისოსებიანი სარკმლიდან ცას ვახედა. თვალეზი ცრემლით ავესო. თავი დახარა და ბაიას ყვითელი ფურცლები-საგან შეკერილი კაბის კალთით ცრემლი მოიწმინდა.

მერე ისევ გაიხედა სარკმელში.

— ვარსკვლავებო, მოციმციმე, ოქროს ვარსკვლავებო, როგორ არიან ჩემი ციციანათელები?

ვარსკვლავები უხმოდ ციმციმებდნენ. შეიძლება არც სდუმდნენ... შეიძლება ბაიას უამბობდნენ კიდევ, როგორ ცხოვრობდნენ უმისოდ ციციანათელები, მაგრამ ვარსკვლავების ხმა მწყემსი გოგონას საკნამდე ვერ აღწევდა.

— ვარსკვლავებო, მოციმციმე, ლამაზო ვარსკვლავებო, ისევ ვახსოვარ თუ არა ჩემს ციციანათელებს?

შორს, ძალიან შორს ციმციმებდნენ ვარსკვლავები. მათი ხმა კი არა, ციმციმიც ძლივს აღწევდა ბაიას საკნამდე.

— ვარსკვლავებო, მოციმციმე, მშვენიერო ვარსკვლავებო! გადაეცით ჩემს ციციანათელებს, რომ მე ძლიერ, ძლიერ მიყვარს ისინი და თუ ოდესმე გავთავისუფლდი, მხოლოდ მათ დავეტბრუნდები.

არც ვარსკვლავებს ესმოდათ ბაიას ხმა. ისინი შეიძლება მთელი გულისყურითა და მონდომებით ცდილობდნენ ბაიას ხმის გაგონებას, მაგრამ ციციანათელების

მწყემსი გოგონა ძალიან შორს იყო ვარსკვლავებისაგან. ბაიას ხმა კი არა, მისი თვალეზის ელვარება ძლივს აღწევდა ვარსკვლავებამდე.

— ვარსკვლავებო, მოციმციმე, უნაზესო ვარსკვლავებო! თუ სადმე საღამურას მოჰკრათ თვალი, აცნობეთ, რომ მე ამ საკანში ვარ დამწყვედელი. გადაეცით, რომ მისი საღამურის ხმა არ დამვიწყება.

სწორედ ამ დროს სარკმელში შემოიჭრა ნაცნობი ჰანგი. ბაიას მღელვარებისაგან გული შეეკუმშა. მერე თრთოლვამ აიტანა.

ეს ხომ საღამურზე დაკრული დამის სიმღერა იყო. ამ სიმღერას ქვეყანაზე მხოლოდ საღამურა უტრავდა.

— გამდლობთ, ოქროს ვარსკვლავებო, ჩემი ვედრება რომ შეისმინეთ. თქვენ ძალიან, ძალიან კეთილი ვარსკვლავები ხართ.

საბრალო ბაიას ეგონა, თითქოს ვარსკვლავებმა მონახეს საღამურა და მისი ნათქვამი გადასცეს. სინამდვილეში კი საღამურა და მჭედელი დაჰკა-დაჰკა მდინარის პირას ისხდნენ მოწყენილები. მჭედელს ორივე ხელი სახეზე აეფარებოდა და თავის დანგრეულ სამჭედლოზე ფიჭობდა. მწყემსი ბიჭუნა კი საღამურზე დამის სიმღერას უტრავდა.

თვალეზგაბრწყინებული ბაია სმენად იყო ქცეული. ღამის სიმღერამ მოაგონა ტყისპარი, სადაც პირველად შეხვდა საღამურას. მოაგონა ისიც, როგორ გაგ-

ზაენა ციციანათელები გზააბნეული ჭი-
მაიების საძებრად.

გული სიხარულით ევსებოდა ბაიას.
გრძობდა, სალამურა სადღაც აქვე იყო,
რადგან ძალიან ახლოდან ისმოდა სალა-
მურის ხმა. ეს სიახლოვე იმედის ნაპერ-
წკალს უღვივებდა ბაიას.

მაგრამ ღამის სიმღერის ჰანგი შეწყდა
და ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩა-
მოვარდა. ბაიას მოეჩვენა, თითქოს უფ-
რო დაბნეულა. მართალია, მისი საკანი
ღამით არასოდეს ყოფილა განათებული,
მაგრამ მაინც ისე მოეჩვენა, თითქოს მის
საკანში ღრუბლიანი ღამის წყვილიაღმა
დაისადგურა.

— სალამურა, უუუ! — ისე დაიძახა
ბაიამ, გვეგონებოდა ტყეში დაკარგა მე-
გობარი და იმას ეძახისო. — სალამურა,
უუუ!

ნეტავი თუ გაიგონა სალამურამ ბაიას
ხმა. თუ გაიგონა, ერთხელაც დაუძახებს.

— სალამურა, ჩემო მეგობარო! სალა-
მურააა!

ბაიამ მიაყურა. იქნებ სალამურას მო-
ესმა ჩემი ძახილი და პასუხი გამაგონო-
სო, მაგრამ პასუხი არ ისმოდა.

— სა-ლა-მურაა!

ცა და დედამიწა დუმილს მოეცვა.
არავინ იძლეოდა პასუხს. ბაიას მაინც
სჯეროდა, რომ მისი ძახილი სალამურამ
გაიგონა. ისევე, როგორც ვარსკვლავებ-

მა. მერე რაა, რომ სალამურას ხმა ვერ
აღწევდა საკნამდე. არც ვარსკვლავების
ხმას მოუღწევია ბაჩამდე, მთავარია, ბაი-
ას ძახილი გაიგონონ მათ — ვარსკვლავ-
ებმა და სალამურამ.

— სალამურა, თუ შენ გესმის ჩემი
ხმა, კიდევ ერთხელ დაუჯარი ღამის სიმ-
ღერა!

ბაია გაყურდა, ღამის სიმღერის მო-
ლოდინში გაიტრუნა. მაგრამ გადიოდა
დრო და სალამურის ხმა არ ისმოდა.

— სალამურა, თუ გესმის ჩემი ხმა,
თუ კიდევ გახსოვარ, ჩემო კარგო სალა-
მურა, კიდევ დაუჯარი ღამის სიმღერა.

ამაოდ ელოდა ბაია ღამის სიმღერის
ტყბილ ხმებს. იდგა და ელოდა, სარკ-
მელს მიშტერებული, დაუსრულებლად
ელოდა. ფეხზე დგომამ დაღალა. სხეუ-
ლი უღუნდებოდა, მუხლები ეკეცებო-
და, მაინც ელოდა.

მერე ცამ ნელ-ნელა იწყო გაფერ-
მკრთალება. ვარსკვლავები თითო-თი-
თოდ ქრებოდა ციდან. ბაიას უკვე აღარ
შეეძლო ფეხზე დგომა, ჩაიჩოქა, მერე
გულაღმა დაწვა იატაკზე. დაღლილი
თვალებით მიჩერდა სარკმელს, საიდა-
ნაც მოჩანდა მკრთალად განათებული
ცა და ერთადერთი ვარსკვლავი — ცის-
კრისა.

გარეთ თენდებოდა.

ბაიას დაეძინა.

«მალრიბელი» ჯამბაზი

ქონდარეთი ერთ მშვენიერ დღეს სა-
ოცრად გამოცოცხლდა.

ყველა, დიდი თუ პატარა, უკლებლად
ფეხბურთის მოედნისაკენ მიეშურებო-
და. ყოველი მათგანი უცნაური სანახაო-
ბის მომსწრე უნდა გამხდარიყო. უნდა
ენახა უტხოელი ჯამბაზი, რომელიც
თოქზე დადიოდა, თოქზევე გადადიოდა
ოთხმაგ მალაყს და თანაც სალამურს
უქრავდა.

ასეთი რამ ჯერ ქონდარელებს არ ენა-
ხათ.

ქალაქში გაკრულმა აფიშებმა ქონდა-
რეთს ამცნო, რომ მალრიბთა ქვეყნიდან
ჩამოვიდა მთელ მსოფლიოში ცნობილი
თოქზე მოსიარულე ჯამბაზი ჩალამურა.
სინამდვილეში კი არავითარი მალრიბე-
ლი ჯამბაზი არ ჩამოსულა. ჩალამურა
იგივე სალამურა იყო. ოღონდ წინა ასო
„ს“ შეცვალა „ჩ“-თი, რომ თავისი სა-
ხელისათვის უფრო სხვანაირი ელერა-
დობა მიეცა.

რატომ გადაწყვიტა სალამურამ ქონ-

დარელებისათვის ეჩვენებინა ეს სანახაობა?

როცა ხეებზე, ღობეებსა და შენობებზე გაკრული ქონდართუხუცესის განცხადებები იმდენად დაძველდა, რომ გაყვითლდა; თანაც ქარბორბალას მომრევი უცნობი ბიჭის არსებობა ყველასა და მათ შორის უფლისწულსაც გადაავიწყდა, სალამურა დამლაშობით პატარა კუნძულიდან ქონდარეთში გადმოვიდა. ხელმწიფის სასახლეს აუვლიდა და ჩაუვლიდა, სალამურზე ღამის სიმღერას აკვნიებდა.

მწყემსმა ბიჭუნამ უკვე იცოდა, რომ ბაია ღამის შიკრიკებს უფლისწულის გასართობად მიეყვანათ სასახლეში. ციციანათელების მწყემსი გოგონა იქ ეგულუბოდა და ამიტომაც მიდიოდა თითქმის ყოველ ღამე სასახლესთან, იქნებ როგორმე გავაგონო სალამურის ხმა და მივახვედრო, რომ ქონდარეთში მის წასაყვანად ჩამოვედიო.

სალამურის დაკვრით ხელმწიფის სასახლეს ათჯერ მაინც შემოუარა. თვალი სულ ფანჯარებისაკენ ეჭირა, იქნებ რომელიმე ფანჯარა გაიღოს და ბაიამ გამოიხედოსო, მაგრამ არცერთი ფანჯარა არ გაღებულა და, არ თქმა უნდა, არც ბაიას გამოუხედავს.

სალამურამ და მჭედელმა დაჰკა-დაჰკამ ამაზე ბევრი იფიქრეს და ითათბირეს. ბოლოს გადაწყვიტეს, უნდა მოეწყოთ ისეთი სანახაობა, რომელსაც მთელი ქონდარეთი დაესწრებოდა. მაშინ ადვილად გაიგებდნენ, ბაია ნამდვილად იმყოფებოდა ქონდარეთში თუ არა.

სალამურას უცებ გაახსენდა, რომ თოკზე სიარული და მალაყზე გადასვლა შეეძლო. აბა, ამაზე უკეთეს გასართობსა და სანახაობას რას მოიფიქრებდნენ? წინააწინვე იცოდნენ, თოკზე მოსიარულე ჯამბაზის სანახავად მთელი ქონდარეთი დაიძრებოდა. ისიც იცოდნენ, ხელმწიფე თავის ჯალბაიანად და ნაზირვეზირებთანად უსათუოდ ეწვეოდა ფეხბურთის მოედანს, სადაც ორ მაღალ ანძას შორის თოკი იყო გაჭიმული.

თერძს საიდუმლოდ მოურთიგდა ცომი ზელია და სალამურასათვის ჭრელა-ჭრულა ტანსაცმელი შეაკერვინა, ვითომ მალრიბელიაო. ასეთივე მალრიბული ქული შეუკვება მექულეს. ქონდარეთში მაინც არ იცოდნენ, რა ქვეყანა იყო ეს მალრიბი და ვერაფერს მიხვდებოდნენ.

მაგრამ მთავარი იყო, ისე შეენიღბათ სალამურა, რომ ქონდართუხუცესსა და ქარბორბალას, რაც არ უნდა მომხდარიყო, მაინც ვერ ეცნოთ. ამისათვის დასჭირდათ ულვაშის შოვნა.

დალაქთანაც მივიდა მოსალაპარაკებლად ცომი ზელია. დალაქი უგუნებოდ იყო და უარი უთხრა: ულვაშებს ვერ გვაკეთებო. მას შემდეგ, რაც ქარბორბალამ მიბეგვა ქონდართუხუცესის სასახლის წინ, დალაქი ერთთავად უგუნებობას უჩიოდა. მაგრამ ცომი ზელიამ უთხრა:

— რა მოგივიდა, შე კაცო, ქარბორბალამ მეც გვარიანად დამზილა, მაგრამ ცომის ზელა კი არ მიმიტოვებია?!

ასეთი პასუხის შემდეგ რაღა ეთქმოდა დალაქს, დაჯდა და სიმინდის ფოჩებისაგან მშვენიერი ულვაში დაამზადა.

მალრიბულ ტანსაცმელში გამოწყობილ სალამურას ველარ იცნობდით. სიმინდის ფოჩის ულვაშმა ხომ სულ გამოცვალა და ნამდვილ მალრიბელს დაამსგავსა.

როდესაც ცომი ზელია თავისი მოზეული ცომით სალამურას ულვაშებს აკრავდა, მჭედელმა დაჰკა-დაჰკამ ჰკითხა:

— ეგ ულვაში თოკზე ხტუნვის დროს ხომ არ ჩამოვარდება?

— რას ამბობ, დაჰკა-დაჰკა, ეს ულვაში მაინც არ მოძვრება, ზედ გინდა მთელი ქონდარეთი დაეკიდოს. ხომ იცი, ვისი მოზეულია ეს ცომი!

მჭედელი დაჰკა-დაჰკა დამშვიდდა. თუმცა საშინლად წყდებოდა გული, თვითონ რომ ვერ ესწრებოდა ასეთ სანახაობას. იგი ჯერ კიდევ ემალებოდა პირველი ვეზირის რისხვას.

ფეხბურთის მოედანი უკვე ქონდარელებით გაქედლიყო. მხოლოდ ხელმწი-

ფის ოჯახისა და მისი ამაღლისათვის განკუთვნილი ლოჯა იყო ცარიელი. ბოლოს, როგორც ჩქნა, მობრძანდა ხელმწიფე თავისი ამაღიანად.

ქონდარ მეთხუთმეტის მოსვლისთანავე საყვირს ჩაჰბერეს.

ამით ამცნეს ყველას სანახაობის დაწყება.

«მალრიბელი» ჯამბაზი ქონდარელებს უჩვენებს თავის ხელოვნებას, მებრამ...

მოედანზე მალრიბულ ტანსაცმელში გამოწეული სალამურა გამოვიდა, ხელის აწევით მიესალმა ქონდარელებს. ატყდა ერთი ყიჟინა და ტაშის გრიალი. ვილაცამ ისიც კი იყვირა: გაუმარჯოს მალრიბსო!

სალამურა სამეფო ლოჯას მიუახლოვდა და ხელმწიფეს მიესალმა. ხელმწიფის ჯავრი სულ არ ჰქონდა, მწყემს ბიჭუნას ერთი ფიქრი აწვალდა: სეფე-ქალებში იქნებ ბაიას მოვკრა თვალიო.

— ოჰ, რა მოხდენილი ყმაწვილია! — ამოიოხრა დედოფალმა ქონდარინემ და თან მუჭულუგუნი გაჰკრა თავის ვაჟს, რომელსაც ლოჯის მოაჯირზე ჩამოედო თავი და გემრიელად ფშვინავდა.

სალამურა გაბრუნდა. ანძაზე სწრაფად აცოცდა და ახლა ზევიდან მიესალმა ქონდარელებს. ეს ყველაფერი აღე ჰპოვისაგან ჰქონდა ნასწავლი. ქონდარელებმა მისალმებას ისევ ტაშითა და ღრინანცელით უბასუხეს.

მწყემსმა ბიჭუნამ ქამრიდან სალამური ამოიღო და თოკზე დადგა. ქონდარელები სულგანაბული შესცქეროდნენ, ასეთ საოცრებას პირველად ხედავდნენ.

სალამურამ გაიარა-გამოიარა თოკზე, მერე შუა ადგოლას შეჩერდა. შეხტა და ფეხებით თოკი დაქანა. თითქოს გასინჯა, კარგად არის დამაგრებული თუ არაო. ქონდარელებს შიშისაგან გული გადაუქანდათ: თოკი არ გაწყდეს და მალრიბელი ძირს არ ჩამოვარდესო.

მწყემსმა ბიჭუნამ ახლა გაირბინა-გამოიბინა თოკზე. მარცხენა ანძისთან ერთი წამით დაყოვნდა, სალამურს ჩაჰ-

ბერა და დაკვრა-დაკვრით გაეშურა მარჯვენა ანძისაკენ.

ასე დადიოდა ერთი თავიდან მერე თავამდე. ხანდახან შეხტებოდა, ერთმაგ მალაყზე გადავიდოდა და ისევ განაგრძობდა სიარულს. ქონდარელებს გული ეკუმშებოდათ, მაგრამ სალტონ შემდეგ, როცა სალამურა ისევ თოკზე დადგებოდა, ყველას ერთბაშად აღტაცების ყიჟინა აღმოხებოდა.

ჯერ ერთმაგი სალტო, მერე ორმაგი, მერე სამმაგი... ქონდარელები უკვე ფეხზე იდგნენ. ასეთ რამ მათ სიზმარშიაც არ ენახათ. მოედანი გამუდმებულად გუგუნებდა.

— ჩა-ლა-მუ-რა!

— ჩა-ლა-მუ-რა!

— ჩა-ლა-მუ-რა!

სალამურა ოთხმაგი მალაყისათვის მოემზადა. მარჯვენა ანძაზე ცოტა ხანს დასვენა და კვლავ ჩაჰბერა სალამურს. ღამისა დაუკრა: სხვა სიმღერა თუ ვერ იცნო ბაიამ, ამას ხომ ნამდვილად იცნობსო.

მოედანი ახალი საოცრების მოლოდინში გაინაბა. ყველას უკვირდა, ამ ყოჩაღმა მალრიბელმა ამაზე მეტი ნეტავი რა უნდა გააკეთოსო — ჰაერში სამჯერ ამოტრიალდა და ისევ თოკზე დადგაო. ქონდარელებს ოთხმაგი მალაყის წარმოდგენაც კი არ შეეძლოთ.

სალამურა ჰაერში ოთხჯერ ისე ამოტრიალდა, რომ სალამურზე დაკვრა არ შეუწყვეტია. ქონდარელებმა ნამდვილად დაჰკარგეს ზომიერების გრძნობა: ყველა ხტოდა, ღრიალებდა. მალღა ის-

როდა ქუდს. ჰაერში ნასროლმა ქუდებმა ცა დააბნელა.

მაგრამ არც სალამურას და არც ქონდარელებს არ შეუშინევიათ ერთი მარცხი, რომელიც მალრიბელ ჯამბაზს მოუვიდა. როდესაც მწყემსი ბიჭუნა ოთხმაგ ვალაყზე გადადიოდა, მოულოდნელად ცოში ზელიას დაჯრული უღვაში მოსძვრა და იქვე თოკზე გადაეკიდა პატარა ხურჯინივით.

ქონდარელებმა რომ ვერ შენიშნეს, გასაგებია, ისეთ ყოფაში იყვნენ, უღვაშის კი არა, ქუდის გადაძრობასაც ვერ შეამჩნევდნენ. სამწუხარო ის იყო, თვითონ სალამურამ ვერ იგრძნო უღვაშის დაქარგვა.

ერთადერთი, ვინც ეს დაინახა, დალაქი გახლდათ. დალაქმაც იმიტომ შეამჩნია, რომ მთელი ამ სანახაობის მანძილზე თავის ვაკეთებულ უღვაშს შესცქეროდა და ტკბებოდა: ეს რა მშვენიერი უღვაში გამიკეთებიაო. მაგრამ როცა მისი ნახელავი ჩამოუვარდა სალამურას და თოკზე გადაეკიდა, მოედნიდან ჩუმად გაიპარა. თუმცა გზაში კი ფიქრობდა, რა ჩემი ბრალია, ცოში ზელიას კარგად ვერ მიუწუებიაო.

სალამურა ყიყინსა და ღრიანცელში ჩამოცოცდა ანძიდან. მიწაზე დადგა თუ არა ფეხი, კიდევ ერთხელ მიესალმა ხელების აწევით ქონდარელებს. ერთი სული ჰქონდა, ხელმწიფის ლოყასთან მისულიყო და ბაია ენახა. დარწმუნებული იყო, ბაიამ მიცნო და ლოყასთან რომ მივალ, უსათუოდ დამენახებო.

მივიდა.

სალამურას მისვლა და ქონდართუხუცესის ლოყიდან გასვლა ერთი იყო.

დედოფალმა ქონდარინემ ყვავილი ესროლა სალამურას. სალამურა ყვავილის ასაღებად დაიხარა. ვიღრე აიღებდა, ქონდართუხუცესი და ათი ხელკეტიანი დაადგა თავზე.

სალამურა შეიბყრეს.

მოედანი გაიტრუნა. ვერავენ მიხვდა, რა ხდებოდა.

— დიდო მეფეო! — მოედნიდან მი-

მართა ქონდართუხუცესმა, — ამ თადლითმა მოგატყუათ, იგი მალრიბელი ჯამბაზი კი არა, ის უცნობი ბიჭია, რომელმაც ჩემი პირადი მცველი ქარბორბალა გალაზა. ათი დღე ვეძებდით და ძლივს მივავენით. — მერე დაცინვით ჰკითხა სალამურას: — რა უყავი უღვაში, ჯამბაზო?

სალამურამ საუღვაშეზე მორცვა ხელი, ახალა იგრძნო უღვაშის დაქარგვა. ქონდართუხუცესმა ქუდიც მოხადა, ხელმწიფისათვის რომ ეჩვენებინა სალამურას შეუნიღბავი სახე.

— მშვენიერი ყმაწვილია! — ისევ ამოიოხრა დედოფალმა და რატომღაც თავისი ახალგაზრდობა გაახსენდა.

ხელმწიფე დაიბნა. არ იცოდა, რა ექნა. ვერ გაერკვა, რატომ არ შეიძლებოდა ის უცნობი ბიჭი მალრიბელი ჯამბაზიც ყოფილიყო.

ამ გამოუვალი მდგომარეობიდან უფლისწულმა ქონდართუხმა გამოიყვანა:

— იჩხუბონ! — თქვა უფლისწულმა.

— რა ბრძანეთ? — შეეკითხა პირველი ვეზირი.

— იჩხუბონ ქარბორბალამ და უცნობმა ბიჭმა, ვა!

— ახლა? — ისევ შეეკითხა ქონდართუხუცესი.

— ვა, მინდა! იჩხუბონ, თორემ ტირილს დავიწყებ.

— ახლავე იჩხუბონ! — გასცა ბრძანება ქონდარ მეთუთმეტემ, — ასე მოისურვა უფლისწულმა!

ქონდართუხუცესი გავარდა და ქარბორბალა უცებ შემოიყვანა მოედანზე. პირველი ვეზირი გზადაგზა ეკითხებოდა თავის პირად მცველს, ახლა მაინც თუ შეგიძლია დაამარცხო.

— რას ბრძანებთ, ქონდართუხუცესო, მაშინ დადლილი ვიყავი და იმიტომ ვერ მოვერეე, ახლა ერთი დარტყმით სულ მარილივით დავფშვნი.

— აბა, შენ იცი, არ შემარტყვინო: — ვაამხნევა პირველმა ვეზირმა თავისი პირადი მცველი.



ქონდართუხუცესმა ხელკეტინებში გაიყვანა მოედნიდან და თვითონაც გავიდა.

სალამურა და ქარბორბალა მოედანზე მარტონი დარჩნენ, ერთმანეთის პირისპირ მდგარნი. ქარბორბალა სალამურასთან ჩხუბს ისე იყო მოწყურებული, სულ კბილებს აკრაქუნებდა და ცახცახებდა. სალამურას კი, პირიქით, თოქზე სიარულითა და ხტუნვით დაღლილს, ჩხუბის თავი აღარა ჰქონდა. თანაც ფიქრობდა: ეს საზამთრო ახლაც რომ გავლახო, ნამდვილად შარს მომდებენ და დამიჭერენო.

— ვა, რატომ არ ჩხუბობენ? მინდა, ვა! — ამოიღუღლულა უფლისწულმა.

— ღაიწყეთ ჩხუბი! — ლოყიდან დასწყვილა ქონდართუხუცესმა.

ქონდარელებმა უკვე იცოდნენ, ამ უცნობ ბიჟს ერთხელ ნაცემი რომ ჰყავდა ქარბორბალა, მაგრამ დღეს რას იზამდა, ამაზე პასუხის გაცემა უჭირდათ. თან უკვე მოესწროთ სალამურას შეყვარება და ეცოდებოდით, გაავებულ ქარბორბალას წინ მოწყენით მდგარს რომ უყურებდნენ.

ამასობაში მუშტებმომარჯვებული ქარბორბალა ნელ-ნელა უახლოვდებოდა სალამურას, თითქოს ეპარებოთ, მაგრამ სალამურა საკმაოდ ეშმაკი ბიჭუნა იყო, არაფერი არ გამოპარვია. ქონდართუხუცესის პირადმა მცველმა როგორც კი იფიქრა, ახლა კი მიუუწყდენ ხელსო, მაშინვე გასარტყმელად მოუქნია მუშტი. სალამურამ ოდნავ უკან გადასწია თავი და მოქნეული ხელი აიციდინა. გოცებულმა ქარბორბალამ თვალში დაჰყიტა, ეს როგორ მოხდა, ვერ მოვარტყიო. მაგრამ მაშინვე გაახსენდა, რომ ვერც იმ დღეს მოახერხა ამ უცნობი ბიჭისთვის ხელის გარტყმა.

სალამურას მოულოდნელად ძალიან სასაცილო აზრმა გაუელვა თავში. მოდი ამ საზამთროს ისე გავლახავ, არც მე გავარტყამ ხელს და არც იმას გავარტყმევენებო. სხვა რომ არა იყოს რა, შარს

ხომ ვერ მომდებენ, რატომ სცემეო. ასეც მოიქცა.

ქარბორბალამ ისევ მოუქნია ხელი და ააციდინა.

ქონდარელები უქამყოფილოდ შეიმუშენენ, ეს რა გამოვიდა, ჩხუბს გაუბრბისო. ერთხელ თუ მიზეგვა, ახლა ჩვენს თვალწინ მიზეგვოსო.

მაგრამ სალამურამ უცნაური რამ გააკეთა: ჯიბეში ჩაიწყო ხელები და იპე დაუდგა წინ ქარბორბალას. ქარბორბალამ ეს რომ დაინახა, სულ ვადაირია, მთელი ძალით ეკვეთა მოწინააღმდეგეს.

სალამურა სხარტი და მოქნილი ბიჭუნა იყო. ადვილად ირიდებდა ქარბორბალას დარტყმებს. თანაც ასე გამწარებულს და გაბოროტებულს რომ ხედავდა, სიცილის ველარ იკავებდა. ამან სულ დააკარგვინა ჭკუა ქონდართუხუცესის პირად მცველს. ოხ, ნეტავი ერთხელ მაინც გამარტყმევინოს და მეტი არაფერი მინდაო. მაშინ მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამო! ქარბორბალა ერთი-ორჯერ თავისივე მოქნეული მკლავის ძალამ დასცა ძირს. მკლავი ისე მაგრა მოუქნია სალამურას, თავი ველარ შეიმავრა, ჯერ დაპროწიალდა და მერე მიწაზე გაიშხლართა.

სალამურამ ორჯერვე დააცალა წამოდგომა.

ქარბორბალამ წამოდგომისას ორჯერვე გააპარა მხერა ქონდართუხუცესისაკენ, ძალიან ხომ არ მიბრახდება პატრონი, ჯერჯერობით რომ ვერ მოვერიეო.

ხოლო ქონდარელებმა, ბოლოსდაბოლოს, გაუგეს სალამურას, ხერხს მიუხვდნენ და სიცილით ოხოცებოდნენ, თავგზადაბნეულსა და გაცოფებულ ქარბორბალას რომ უყურებდნენ.

სალამურა თავისმა ხერხმა ვაიტაცა. ქარბორბალას კი არ ეჩხუბებოდა, თითქოს ეთამამებოდა. ხანდახან ისე ახლოს მივიდოდა მოწინააღმდეგესთან, რომ ქარბორბალა გუნებამი იტყოდა, ახლა კი ამას შავ დღეს დავაყენებო. ერთს

ისეთს დავცხებ, სულ დავლენწავ და დავ-
შლიო.

მაგრამ მოიქნევედა ხელს და თვითონ-
ვე ზღართანით დაენარცხებოდა მიწას.
ქონდარელებს მეტი რა უნდოდათ?
იცინოდნენ და ხარბარებდნენ... სალამურ-
რას შეძახილებით აქეზებდნენ.

ქონდართუხუცესი სიმწრისაგან წვე-
რებს იწიწკნიდა. ეს რა ჰქნა, სულ მასხ-
რად აიგდო ჩემი პირადი მცველიო. თან
იმედს არ ჰკარგავდა, ერთი თუ მოარტყ-
ყა, მერე საქმე კარგად წავაო.

მართლაც ეს ერთი დარტყმა იყო საქ-
მე.

ალბათ, ამ ორთაბრძოლას შეწყვეტ-
დნენ, უფლისწულს რომ არ მოსწონებო-
და. უფლისწული ქონდარუხი ერთობო-
და, იცინოდა და ტაშს უკრავდა, რაც ძა-
ლიან სიამოვნებდა მეფე ქონდარ მე-
თხუთმეტეს.

ქარბორბალა ხელების უმიზნოდ ქნე-
ვამ დაღალა და გაასაჯათა.

რაც უფრო მეტად იღლებოდა, უფრო
მეტად მწარდებოდა და სულ უაზროდ
იქნევედა ხელებს. ბოლოს, ძლიერად მო-
ქნეული მარჯვენა თვითონვე ითბლიშა
სახეში. ქარბორბალა შეცბუნდა, ასეთ
მარცხს სულ არ მოელოდა. სახე მოებ-
რიცა. თვალები დაუელამდა.

ასე იდგა ერთხანს. მერე გაიცინა, შეხ-
ტა და შეკენტრულდა. იქვე დაუთ... დავ-
ლური. უნდა გენახათ, რა სასაცილოდ
დაძუნძულებდა და დააფართხუნებდა
ხელებს.

მერე ისევ შეჩერდა, დაელმებულ
თვალები გადაატრიალ-გადმოატრიალა.
მერე ისევ მუშტები შეჰკრა და ცხვირ-
წინ დაიტრიალა. ყველას ეგონა, ხელ-
მეორედ აპირებდა სალამურასთან ბრძო-
ლის დაწყებას, მაგრამ სრულიად სა-
წინააღმდეგო რამ გააკეთა: საკუთარ
ცხვირ-პირს დაუშინა მუშტები.

— გაგიქდა, დააბით! — ყვიროდნენ
ქონდარელები, თან სიცილით იგუდებო-
დნენ.

მაგრამ ქარბორბალას დაბმა ძნელი
იყო, მითუმეტეს, გაგიყებულნი ქარბორ-
ბალასი.

საკუთარ სახეში ხათქა-ხუთქმა სულ
გამოათაყვანა და გამოაღენჩა პირველი
ვეზირის პირადი მცველი. ჯერ ვითომ
მეც თოქზე მოსიარულე ჯამბაზი ვარ და
წონასწორობას ვიცავო, ხელებგაშლილ-
მა გაიარა ოციოდე ნაბიჯი. მერე მთელ
მოედანს კოტრიალ-კოტრიალით შემო-
ულარა, აქაოდა მალაყზე გადავდივარო.

ამის შემდეგ შუა მოედანზე დაჯდა და
თავისთვის დაიწყო სიმღერა. ნაღვლიან-
ნად მღეროდა, თუმცა სიმღერა მაინც-
დამაინც ნაღვლიანი არ იყო:

ქონდართუხუცესზე ძუნწი
ქვეყნად არეინ მინახავსო,
ადგილი რომ აღარ დარჩა,
ოქროს ცხვირში ინახავსო.

ქონდარელთა სიცილის ახალმა ტალ-
ღამ შეაზანზარა მოედანი.

— ტყუის! — იყვირა ქონდართუხუ-
ცესმა. — ახლავე დაიჭირეთ ეგ მატყუა-
რა! ოქროს ცხვირში რა უნდა! აჰა, ნა-
ხეთ! — მერე ნესტოებიდან ორ ნაკადად
გამოუშვა ჰაერი, მის გარშემო მყოფნი
რომ დაერწმუნებინა, არავითარი ოქრო
არ მაქვსო.

ოცი ხელკეტიანი გაიჭრა მოედანზე,
ქარბორბალამ რომ დაინახა, ხელკეტიან-
ები მოდიანო, მინდორზე გაიშოტა და
გულზე ხელები დაიკრიფა, ვითომ მოვ-
კვლიო.

— ახლავე ადექი და წამოგვყვივი, —
უბრძანა ხელკეტიანთა უფროსმა.

ქარბორბალა არ განძრეულა, თავს
იმკვდარუნებდა.

— ადექი! — ისევ უბრძანა უფროსმა.
ქარბორბალა არც ახლა ინძრეოდა,
ყურსაც არ იბერტყავდა.

— აიყვანეთ და გაათრიეთ მოედნი-
დან! — მიმართა უფროსმა თავის ხელ-
ქვეითებს.





დავით თავზაძე

ოქტომბერი და ქართული მხარობა

1917-1920 წლები ერთ-ერთი რთული პერიოდია ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მენშევიკურმა დიქტატურამ, რომლის დასაყრდენს წარმოადგენდა დასავლეთ ევროპის იმპერიალისტური ქვეყნების სამხედრო ძლიერება, ვერ შეძლო პირველი მსოფლიო ომით დაუძლურებული საქართველოს აღორძინება.

მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც თებერვლის რევოლუციის შემდეგ მემკვიდრეობით მიიღეს ქართველმა მენშევიკებმა, კიდევ უფრო გაუარესდა.

ჯერ გერმანელი იმპერიალისტების, ხოლო შემდეგ ინგლისელი კაპიტალისტების „მფარველობამ“ საქართველო ფიზიკურად მოწყვიტა ოქტომბრის რევოლუციის აკვანს.

საქართველოს მუშები, გლეხები და მოწინავე ინტელიგენცია ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით ებრძოდნენ მენშევიკების ანტიხალხურ პოლიტიკას. საქართველოს სოციალისტური დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ერთობა“ კი იძულებული იყო ადგილი დაეთმო მთავრობის საწინააღმდეგო წერი-

ლებსათვის. „ინგლისის აქ ყოფნა, — ვკითხულობთ მასში, — გადაიქცა მუდმივი ომიანობის და ანარქიის გამეფების ხანად“ (გაზ. „ერთობა“, 1919, № 32).

ამ პერიოდში რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს იმედით შესცქერის არა მარტო საქართველოს ბოლშევიკური პარტია და მუშათა კლასი, არამედ მოწინავე ქართველი ინტელიგენცია.

ცნობილი ქართველი მოაზროვნე და ლიტერატურათმცოდნე გერონტი ქიქოძე წერდა: ჩვენ, როგორც პატარა ჩაგრულმა ერმა, განსაკუთრებული მადლობით უნდა მოვიხსენიოთ რუსეთის დიდი რევოლუცია. ამ რევოლუციამ ჩვენ მოგვანიჭა თავისუფლება, და ეროვნული მთლიანობა, რომელიც არ გვქონია მე-14 საუკუნის შემდეგ. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა მხოლოდ მას შემდეგ გვიცნეს, როცა წითელმა არმიამ ტავანროვი და როსტოვი აიღო და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სამამუდიანო ნაწილსაც იმავე წითელი არმიის წინსვლა დაგვიბრუნებსო.

მენშევიკურმა მთავრობამ, რომელიც გაიხლართა იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკურ ქსელში, სრულიად უყურადღებოდ დატოვა ეროვნული

კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგები. ამის გამო ქართველმა მწერლებმა 1919 წელს მთავრობას გაუგზავნეს მემორანდუმი: „მწერლები ქუჩაში შიმშილით ეცემიან, ქართველი მწერლებისათვის არ არსებობს არც ჰონორარი, არც ურთიერთდახმარების სალარო, მათ არა აქვთ წიგნების გამოშვების შესაძლებლობა...“

მწერლებს არა აქვთ ყურნალი, სადაც შეეძლებათ დაბეჭდონ თავიანთი ნაწარმოებები. ეს უკვე ეროვნულ შეურაცხყოფამდე მიდის და ამის დიდხანს განგრძობა სამარცხვინოა კულტურისა და საქართველოსათვის“.

ქართველი მწერლების პროტესტს თავისი ხმა შეუერთა ტიციან ტაბიძემ:

„...არასდროს არ ყოფილან ასეთ მდგომარეობაში ქართველი მწერლები და არტისტები, როგორც დღეს,—წერს იგი, — პირადი თავმოყვარეობა ბევრს უშლის პირდაპირ შიმშილზე რომ იყვიროს...“

დღეს აუარებელი ფული იხარჯება შედარებით სუბსიდიების სახით სხვადასხვა საქმეებზე და ხელოვნებაზე კი არაფერი.

ქართული პარლამენტი მენშევიკების ვაპირებით რამდენიმე ათი-ათას მანეთს აძლევს ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტს, ქართული უნივერსიტეტისათვის კი იმართება ლატარეია, რომ ამდენივე ფული მათხოვრობით შეიკრიბოს და მენშევიკების ორატორები პატივისცემის მაგიერ უნიჭოებს ეძახიან ქართველ პროფესორებს.

მერე ვინ მსცა მათ ნება ნიჭზე ილაპარაკონ?“

მიუხედავად ამ კატეგორიული მოთხოვნებისა, ქართველი ხალხის საზოგადოებრივი აზრი გაისმოდა „ვითარცა ხმა მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“ და მთავრობა არსებითად არავითარ ქმედით დახმარებას არ უწყევდა ეროვნული კულტურის მოღვაწეებს.

მაგრამ საქართველოში 1917-1920 წლებში მანც ერთგვარად გამოცოცხ-

და მეცნიერებისა და ხელოვნების მრავალი დარგი.

ეს მდგომარეობა უნდა აიხსნას ორი გარემოებით:

პირველი, ხელოვნებას თავისი განვითარების ნიშანდობლივი კანონები აქვს და იგი ყოველთვის არ ემთხვევა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას. მეორე, არ შეიძლება ჯეროვანი შეფასება არ მივცეთ თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას. „თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ — ნათქვამია სკკპ ისტორიაში — განახორციელა პარტიის უახლოესი ამოცანა — ცარიზმის დამხობა—შექმნა კაპიტალიზმის ლიკვიდაციისა და სოციალიზმის დამყარების შესაძლებლობა“. („სკკპ ისტორია“, 1961, გვ. 251). ამ ისტორიულმა ფაქტმა, ბუნებრივია, ქართველი ხალხის, მისი მებრძოლი ინტელიგენციის ცნობიერებაში გამოიწვია მკვეთრი გარდატეხა „ცარიზმის უკანონობიდან და ტერორიდან ფართო პოლიტიკური თავისუფლებისაკენ“.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოდ მთელი კაცობრიობის ბედზე, თავის ორბიტაში მოაქცია კავკასია, კერძოდ, საქართველო და იმთავითვე განსაზღვრა მისი ისტორიული ბედი. იგი ასაზრდოვდა ქართველი ხალხის შემართებასა და ბრძოლას მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, შინაგანად განაპირობებდა მისი ფართო სოციალურ-პოლიტიკური უფლებების მოპოვებასა და კულტურული აღმშენებლობის საქმეს.

ტიციან ტაბიძემ თებერვლის რევოლუციის შემდეგ აქტიური მოქმედების პროგრამა დაუსახა ქართველ მწერლებს და წერილით მიმართა მათ:

„...დღეს, როცა ქალაქიდან ქალაქად, სოფლიდან სოფლად დადიან ალბათ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები და ერის ნებისყოფას ანელებენ კერძო ჯგუფურ თუ სხვა მოთხოვნათა შერევით, საჭიროა, მათ წინ უსწრებდეს

ქართველი მწერლების შეერთებულნი ხმა, რომელშიც ყოველ ჩვეულებრიობაზე მაღლა მდგარი ქართული აზრი გამოითქმება.

დღეს, როცა ხალხში რიგდება ალბათ უთვალავი ფურცლები და მოწოდებები, საქირია, იყოს მოწოდება ქართველი მწერლების მოყვარული გულით და ნიჭიერი ხელით დაწერილი. ეს მოწოდება მონახავს ხალხის გულს“ (გაზ. „საქართველო“, № 74, 1917, 6 აპრილი).

ქართველი ხალხის მოწინავე შვილები, რომლებიც მოწმე იყვნენ გრანდიოზული გარდაქმნებისა რუსი ხალხის არა მხოლოდ პოლიტიკურსა და ეკონომიურ ცხოვრებაში, არამედ კულტურის სფეროშიც, გაბედულად ამხელდნენ მენშევიკურ მთავრობას.

„უველა, ვინც რუსეთში მოელოდა ახალ გარდატეხას და რომელიც გრძნობენ რევოლუციის პათოსს — წერდა ტ. ტაბიძე წერილში „მენშევიკები და ხელოვნება“, — დღეს ბოლშევიკებთან არიან... ბოლშევიკებმა ხელოვნებაშიაც იმოვეს ახალი მეგობრები: ანდრეი ბელი, ალექსანდრე ბლოკი, ვალერი ბრიუსოვი, მიხეილ კუზმინი, მთელი სკოლა რუსეთის ფუტურისტებისა ბოლშევიკების მომხრეა... საიმპერატორო თეატრები გადაკეთდნენ სახელმწიფო თეატრებად და ათასი კრიზისის დროს, მხოლოდ მხატვრები და არტისტები არ არიან მოკლებულნი მთავრობის მზრუნველობას. გამოცხადდა მონოპოლია გამოცემებზე პუშკინიდან დაწყებული ბლოკამდე. ამ გამოცემებს საუკეთესო სპეციალისტები ჰყავთ მიჩენილი და უკვე გამოვიდა რამდენიმე სერია“ (გაზ. „საქართველო“, № 202, 1918, 25 დეკემბრის თვე).

ეროვნულ-გამათავისუფლებელ და მოწინავე რუსულ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილი ქართული კულტურისა და ლიტერატურის მოღვაწეები, შთაგონებულნი რუსეთის დიდი სოციალისტური რევოლუციით და საქართველოს მეგრძოლი პროლეტარიატის გმირული ბრძოლით, მენშევიკური მთავრობის ბა-

ტონობის მიმე წლებშიც ახერხებდნენ განევითარებინათ ეროვნული კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება.

ჩვენი აზრით, აქამდე არასწორად შექედებოდა 1917-1920 წლების ქართული მწერლობა: ქართველი ისტორიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები ზოგჯერ სავსებით ივიწყებდნენ ან გვერდს უვლიდნენ ამ პერიოდის მიღწევებს ლიტერატურისა და საზოგადოდ კულტურის ფრონტზე, რითაც უგულვებელყოფდნენ იმდროინდელი მეგრძოლი ინტელიგენციის უანგარო ღვაწლს.

1917-1920 წლების ქართული მწერლობაში გაბატონებული მიმართულება კვლავ რეალიზმია. „ცისფერყანწულთა“ სკოლა, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული ლექსის ფორმის განახლებას, აშკარად ანტირეალისტურ პოზიციებზე აღმოჩნდა, მაგრამ მან ვერ შეცვალა ამ პერიოდის ქართული მწერლობის ძირითადი მიმართულება.

ქართული ლიტერატურის მაგისტრალური ხაზი ვერ შელახა სუსტმა იმპრესიონისტულმა ნაკადმა, რაც დროდადრო იჩენდა თავს ჩვენს მწერლობაში.

ქართული ლიტერატურის განვითარების ამ ეტაპზე წამყვანი ადგილი დაიკავა სოციალური ყოფისა და რევოლუციური ბრძოლის მოტივებმა, პატრიოტიზმის, ჰუმანიზმისა და შრომის თემატიკამ.

უახლესი ქართული ლიტერატურის წარმომადგენლები: ვ. ბარნოვი, შ. არაგვისპირელი, დ. კლდიაშვილი, შ. დდიანი, ე. გაბაშვილი, ა. ერისთავ-ხომტარია, დუტუ მეგრელი, ნ. ლორთქიფანიძე, ი. გრიშაშვილი, ს. შანშიაშვილი, გ. ტაბიძე, ნ. ჩხიკვაძე, ა. აბაშელი, გ. ქუჩიშვილი, ლ. ქიაჩელი, ი. გომართელი, ვ. რუხაძე, ტ. რამიშვილი და სხვები, რომლებმაც მთელ ქართველ ხალხთან ერთად ორგანულად მიიღეს თებერვლის რევოლუცია, რეალისტური მიმართულების ერთგულნი დარჩნენ. ეს შემთხვევითი არ იყო. ალექსანდრე

ბლოკმა, რომელსაც თებერვლის რევოლუციამ ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდა, რევოლუცია მანც განიცადა, როგორც უდიდესი ისტორიული მოვლენა: „მოხდა ის, — წერდა იგი დედისადმი ვაგზავენილ ბარათში, — რისი შეფასებაც არავის არ შეუძლია. რადგან ასეთი მასშტაბები ისტორიამ აქამდე არ იცის... ჩემთვის აზრი აქვს და მისაღებია მომავალი რუსეთი, როგორც დიდი დემოკრატიის ქვეყანა“ (19 მარტი, 1917).

რევოლუციურმა სინამდვილემ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში, განსაკუთრებით პოეზიაში, რომელშიც მძლავრად იგრძნობა რევოლუციის ქარიშხლით აჩქარებული მაჯისცემა. ამ პერიოდის ქართული ლირიკა გამოირჩევა შინაგანი ექსპრესიით, ახალი ინტონაციებითა და ამალღებული მებრძოლ-რომანტიკული ელერადობით.

გალაქტიონმა მძაფრად განიცადა რევოლუცია და ყოველგვარი შიშისა და ეჭვების გარეშე მიიღო იგი. მისთვის რევოლუცია არსებითად პროლეტარული ბრძოლის ლოგიკური დაგვირგვინება იყო და თუმცა პოეტს კლასობრივი ბრძოლის არსი, შესაძლებელია, ბოლომდე და გარკვეულად არ ესმოდა, მაგრამ მისი ამ პერიოდის პოეზია მოწოდებაა რევოლუციისაკენ.



რევოლუციამ გ. ტაბიძეს ფრთები შეასხა და დიდი ისტორიული მობრუნების მიჯნაზე, ჯერ კიდევ 1917 წლის მარტის პირველ დღეებში, შთააგონა ლექსი „ღროშები ჩქარაა“.

ამ ლექსის ავტორისათვის რევოლუცია ჯერ კიდევ დაუმთავრებელი პროცესია, მზარდი ქარიშხალი, რომელმაც საბოლოოდ ხალხს უნდა მოუტანოს სრული თავისუფლება. „დიდება ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით...“ ე. ი. პოეტი უმდერის არა მხოლოდ თებერვლის რევოლუციას — როგორც უკვე მომხდარ და დამთავრებულ ფაქტს,

არამედ, როგორც დიდი ისტორიული მობრუნების რევოლუციურ საწყისს. ეს ნიუანსი — რევოლუციური ბრძოლის გაგრძელების მოტივი — შეინიშნება გალაქტიონ ტაბიძის სხვა ლექსებშიც („ათრობდა ხალხთა მწუხარება“ და სხვა). სტატიაში „გლეხი და რევოლუცია“ გ. ქიქოძე წერს: „...მეფის ტახტიდან ჩამოგდება და პოლიციელებისათუ ჯამუშების დატყვევება ნამდვილს რევოლუციას როდი წარმოადგენს. ძველი თვითმპყრობელობა, უწინარეს ყოვლისა, თავდაზნაურობას ეყრდნობოდა და მეფის ბატონობა არსებითად თავდაზნაურობის ბატონობას ნიშნავდა... დღეს თავდაზნაურობის ადგილი სახელმწიფო მართვა-გამგეობაში შეძლებულმა ბურჟუაზიამ დაიჭირა... რევოლუცია არსებითად დამთავრებულია შეძლებული ბურჟუაზიისათვის. მისი თვალსაზრისით მომავალში მხოლოდ რეფორმებია შესაძლებელი.“

ეს არ შეიძლება ითქვას მუშათა კლასის შესახებ. მისთვის რუსეთის დიდი რევოლუცია ჯერ კიდევ არ დამთავრებულა... (გაზ. „საქართველო“, № 80, 1917). ასეთივე აზრისაა შ. დადიანიც (იქვე, № 87).

ი. გომართელი აღიარებდა: „ბოლშევიკებს ერთი დიდი ღირსება ჰქონიათ. მაშინ, როდესაც სხვები მთელ თავის ძალ-ღონეს რეზოლუციის შედგენას ალევდნენ, ბოლშევიკები საქმეს აკეთებდნენ... თავისთავად, ცხადია, ბოლშევიკები ნამდვილად რევოლუციონერები არიან, რომლებსაც უნდათ რევოლუციის გაღრმავება, ზავის ჩამოგდება, მიწის საკითხის სწრაფი გადაჭრა და მთელ ევროპაში სოციალიზმის განსახორციელებლად რევოლუციის გამოწვევა...“ (გაზ. „ალიონი“, 2 ნოემბერი, 1917).

საყურადღებოა დ. ლიხელის (სული-აშვილი) მხატვრული ნარკვევი „შვეიცარიიდან საქართველომდე“, რომელშიც ავტორი დიდი სიყვარულით ხატავს ოქტომბრის რევოლუციის ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახეს (იქვე, № 2, 4, 7, 1917).

ამიტომ ბუნებრივია, 1917 წლის ოქტომბერი გ. ტაბიძის წარმოდგენაში თებერვლის რევოლუციის კანონზომიერი დაგვირგვინება იყო. იგი მთელი გულით მიესალმა რევოლუციას, დაწერა ლექსები: „გემი „დალანდი“ (1918), „დაბრუნება“ (1918) და სხვ.

რთული პოეტური ქმნილებაა ამავე ავტორის „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“. მასში ჭეშმარიტი პოეზიის ერთაა წარმოსახული ის რთული პერიპეტეხები, რომლებიც დამახასიათებელი იყო იმ პერიოდის ისტორიული სინამდვილისათვის. მდიდარი პოეტური სახეები, გაბედული მეტაფორული აზროვნება მას ქართული ლირიკის უკეთეს ქმნილებათა გვერდით აყენებს.

მალე გ. ტაბიძის ოცნებები ამაო აღმოჩნდა. თავის სამშობლოში მან ვერ იხილა რუსეთის დიდი რევოლუციის ცისკარი (რომელმაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ „თოვლით დაფენილ რუსეთის ველებს გაჰკრა“) და პოეტმა უდიდესი სულიერი ტანჯვა განიცადა.

ამ დროს გ. ტაბიძის შემოქმედებაში კვლავ იჩინა თავი გულგატეხილობისა და მისტიციზმის მოტივებმა, სიმბოლისტური პოეზიისათვის დამახასიათებელმა რელიგიურ-ბიბლიურმა პოეტურმა სახეებმა.

ავტორის ლირიკული ვმირი გაორებული ბუნების პიროვნებაა, რომელიც ვერ ვარკვეულა მოვლენათა რთულ ხვეულებში და იტანჯება.

პოეტს ცხოვრება არარაობად აქვს წარმოდგენილი:

დედაო ლეთისავ, მზო მარიაში!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაყვარდე!
(„სილაყვარდე ანუ ვარდი სილაში“)

ანალოგიური განწყობილებები — ერთი მხრივ რევოლუციურ-რომანტიკული, მეორე მხრივ პესიმისტური — წარმოადგენს გ. ტაბიძის „არტიტული ყვავილების“ (1919) ძირითად პათოსს. ეს კრებული და პოეტის სხვა იმ პერიოდის

დის უკეთესი ქმნილებები, რომლებიც რევოლუციამდელი ქართული პოეტური კულტურის ბრწყინვალე დაგვირგვინებაა და ახალ ეტაპს მოასწავებს ეროვნული პოეზიის განვითარების გზაზე. ნათლად ასახავს ავტორისა და მაშინდელი ეპოქის რთული წინააღმდეგობებით აღსავსე ბუნებას.

შინაგანი წინააღმდეგობებით ხასიათდება მენშევიკური პერიოდის ე. წ. „დემოკრატიულ მწერალთა“ პოეზია. ნ. ჩხიკვაძე, ა. აბაშელი, ვ. რუხაძე, ს. თავაძე, გ. ქუჩიშვილი, ზ. ვარდოშვილი, იასამანი, პ. ირეთელი გულწრფელად მიესალმნენ თებერვლის რევოლუციას, როგორც ეროვნული ჩაგვრისაგან გამათავისუფლებელ ისტორიულ მოვლენას. ამასთან ისინი ამ რევოლუციიდან მოელოდნენ სოციალური პრობლემის გადაწყვეტასაც.

ი. გრიშაშვილი, რომელიც ამ პერიოდის ლირიკაში ძირითადად კვლავ რჩება ვიწრო, ინტიმური გრძნობის პოეტად, დიდი შინაგანი მღელვარებით მიეგება რევოლუციას („ახალი მარსელიოზის პანგზე“).

1917 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას ოპტიმისტურად შეხვდა პოეტი ვარლამ რუხაძე (ლექსები: „დიდება ქუჩას“, „ხარება“).

თებერვლის რევოლუცია მძლავრად განიცადა ა. აბაშელმა.

...ენა როგორ არ დამეწდეს? თვალი როგორ არ გაგიდეს,
მზეს დილითაც არ ელოდე — შუღლით
აიზვიზუნდეს!
ათასი წლის შავი დამე ერთმა წამმა გააშუქოს!
სასწაული უფრო დიდი ზეცამ მიწას რა
აჩუქოს?
(„სიხარულის ცრემლი“, 1917).

პოეტის სულიერმა მღელვარებამ გამოხატულება პპოვა ახალ პოეტურ-სახეობრივ ლექსიკაში და მეტაფორულ მეტყველებაში. მისთვის რევოლუცია „მზის ამოსვლაა“, რომელმაც დიდი იმედები მოუტანა ხალხს. „წითელ გზაზე აენტო ამომავალი“ და მისი შუქი დასათამაშებს ახალ ქვეყნის მზიურ აკ-



ვანს“, „ცეცხლის ფრთიანი მიჰროლებს ახალ ქვეყნის ეტლს“ და ხალხს მოუწოდებს გადამწყვეტი ბრძოლისაკენ, საბოლოო გამარჯვებისაკენ („მებრძოლს“ და სხვ.).

1917 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ სულიერი განახლება მოუტანა მშრომელი ხალხის მკზნებად ტრუბადურს გიორგი ქუჩიშვილს. ამ პერიოდში პოეტმა შექმნა უახლოესი ქართული პატრიოტული ლირიკის საუკეთესო ქმნილებები: „ჩემი მხარე“, „ადღგომა“... და სხვ.

პოეტს სწამს თავისი სამშობლოს მომავალი და გრანდიოზული გარდაქმნები (ლექსი „მომავალი საქართველო“).

თებერვლის რევოლუცია, როგორც ქართველი ხალხის ეროვნული უღლისაგან გათავისუფლებისა და სოციალური უთანასწორობის მოსპობისათვის გადადგმული დიდი ისტორიული ნაბიჯი, ბუნებრივ აღფრთოვანებას იწვევდა იმ დროის ყველა ქართველ მწერალში — ს. შანშიაშვილის, კ. მაყაშვილის, შ. მღვიმელის, დ. მეგრელის, გ. ლეონიძის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, კ. კიკინაძის, რ. გვეტაძის, ნ. ზომლეთელის, ს. ელის, ი. ვაკელისა და სხვათა შემოქმედებაში.

საყურადღებოა, რომ ცისფერყანწელი ტ. ტაბიძე ოქტომბრის რევოლუციას გამოეხმაურა ლექსით „პეტერბურგი“ („მეოცნებე ნიამორები“, № 1, 1919).

ქართველ პოეტთა ერთმა ნაწილმა (ვ. რუხაძე, ნ. ჩხიკვაძე, ა. აბაშელი, ი. საშანი, ი. გრიშაშვილი, ს. შანშიაშვილი, გ. ქუჩიშვილი და სხვ.) სწორად ვერ გააიგო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის არსი, ზედმეტად შეაფასა მისი ისტორიული როლი. ამას მოწმობს ამავე მწერალთა არა მხოლოდ სკეპტიკური განწყობა მაშინდელი ცხოვრებისადმი, არამედ ის მძაფრი კრიტიკული დამოკიდებულება, რომელიც აშკარად მქლავნდება მათივე ამ პერიოდის ნაწარმოებებში.

სასოწარკვეთილება და ღრმა სევდა გამოსჭვივის ა. აბაშელის, ნ. ჩხიკვაძის,

ვ. რუხაძის, ხ. ვარდოშვილის და სხვ. ლექსებში.

თავისუფლების ძლიერი წყურვილითა და მაღალი ჰუმანური იდეალებითაა გამსჭვალული გ. ლეონიძის „პირველი მაისი“. მწერალი გულისტყვილით შეპლადადებს ცას, რათა მიანიჭოს კაცთ თავისუფლება და სიხარული:

— „ცავ! გვიდა ვიყვეთ თავისუფალი, ვით შენი მკერდი; ვიყვეთ ლალი, ვით შენი შევარდნი; გვიდა ჩვენც შეგვლებოს შენმა მზემ თავის ოქრონმსულთი რომ ჰგომოსავს შენ!“

— ცავ, გვსურს ვიყვეთ მხიარული, ვით შენი სიმღერა მაისიანი.

— ო, მზევე, ჩვენც გვესტუმრე, ჩვენც მოგვეახლე!“ (გაზ. „საქართველო“, 18 აპრილი, 1917).

ახალგაზრდა მწერლის ამ ლაღადისში იგრძნობა დიდი მოქალაქეობრივი პათოსი და არსებული სინამდვილით გამოწვეული მძაფრი სულიერი დრამა.

ქართველ მწერალთა გულისტყვილი უნდა აიხსნას იმ მძიმე ეკონომიური და რთული პოლიტიკური მდგომარეობით, რაც შეიქმნა საქართველოში მენშევიკური მთავრობის დაუდევრობით:

ვ. რუხაძე ეუმორისტულ ლექსში „მგოსანი ფურნის წინ“ ასახავს ქართველი ინტელიგენციის უმწეო პირობებს.

ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ვ. მაღალაშვილის მოთხრობა „ერთი ქალის აზრები“ (გაზ. „ერთობა“, 1918, № 50).

ანალოგიური ხასიათისაა ილია რუხაძის ეტიუდი „გერასიმე“ (გაზ. „ერთობა“, № 137, 1917), რომელშიც ასახულია მშრომელი გლეხის მძიმე ხვედრი.

უახლესი ქართული პროზის ერთ-ერთი შესანიშნავი ოსტატის ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობებში: („ტრაგედია უგმიროდ“, „ბედნიერება“ და სხვ.) დიდი მხატვრული ძალითაა წარმოსახული ხალხის მწარე ბედი, შიმშილის ნიდაღაზე დატრიალებული ტრაგედია. ამ ნაწარმოებებში მწერალმა სიტყვის საოცარი ეკონომიით ჩაგვახედა ცხოვრების შუაგულში და დიდი გულისტყ-



ვილით გადაგვიშალა მშრომელი ადამიანის მიძიმე ზვედრი.

მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება და დიდი სულიერი თრთოლვა გამოსჭვივის „ლიტერატურული საღამოს“ ლირიკულ სტრიქონებში.

...„მოუარეთ საქართველოს!“ — ჩაესმის მწერალს მყინვარის შორეული ხმა.

„მოუარეთ საქართველოს!“ — უხმოთ მეტყველებენ ბაგრატის ნანგრევები.

„მოუარეთ საქართველოს!“ — ბრძანების კალოთი ამბობს დიდი რუსთაველი.

„მოუარეთ საქართველოს!“ — შემოსძახებს გიქმაყი თერგი, მას ბანს ეუბნება დინჯი მტკვარი და გამბულად გაიძახის წვიმის ყოველი წვეთი“.

უახლესი ქართული პროზის ეს მცირე ფრაგმენტი, რომელიც გამსჭვალულია ლორთქიფანიძისეულ გულში ჩამწვდომი ლირიზმით, მოგვაგონებს იმ საგანგაშო ზარების რეკვას, რომლის დროს მთელი ერი დგება ფეხზე. მწერალმა გაბედულად აიძალა ხმა, ამხილა მენშევიკური მმართველობის დამლუპველი პოლიტიკა და ხალხს მოუწოდა: მოუარეთ საქართველოს!

1917-1920 წლებში ნიკო ლორთქიფანიძემ შექმნა მეოცე საუკუნის ქართული პროზის მრავალი საყურადღებო ნაწარმოები: „უამთა სიავე“, „ბებრები“, „წინათ ასე არ ვკედებოდი“ და სხვ. მათში მწერალმა დიდ მხატვრულ სიმაღლემდე აიყვანა ხასიათები და ქართულ პროზას მიანიჭა უჩვეულო სიღრმე. მძაფრმა ეროვნულმა კოლორიტმა და ლირიზმმა ახალი სურსელები მისცა რევოლუციამდე ბელეტრისტიკას.

„მტირალი საქართველო!“ — ასე წარმოუდგენია მენშევიკური სინამდვილე ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთ გამოჩენილ წარმომადგენელს შ. არაგვისპირელს.

„მესმის ქვითინი“... — წერს იგი, — ჩემი საწუთრო სადღაც ქვითინებს... მეც ამ ხმას ავღევ... ვეძებ და ვეძებ

ჩემსა საწუთროს... ისმის ქვითინი... აღმოსავლეთით, ხან დასავლეთით, ხან ჩრდილოეთით და ხან სამხრეთით... დამე რკინის ქალამნებით და რკინის ჯოხით. ოთხსავე მხარეს ცეცხლად ვედები... ვეძებ და ვეძებ ჩემსა საწუთროს...“

მომავლის ნათელი რწმენითაა გამსჭვალული ქართული სიტყვის ერთ-ერთი დიდოსტატის დავით კლდიაშვილის „მშობლის ნუგეში“. მასში მოხუცი დედის მძაფრ სულიერ დრამას ენაცვლება ოპტიმიზმი, რაც თვით მწერლისა და მთელი ქართველი ხალხის საერთო განწყობილებას გამოხატავს.

...„ბედნიერება მოვა ქვეყნად, — ჩაესმის მტირალ დედას რევოლუციის დროს დაღუპული შვილის შთამაგონებელი სიტყვები, — მოვა! ბნელ ღამეს შესცვლის ნათელი დღე! ეს კანონია ბუნებისა და ვერაფერითაა ძალა, ვერაფერი მას ვერ მოჰშლის, ვერ შეცვლის და ყოველივე ცდა ამის საწინააღმდეგოდ სამწუხარო უტუნუტრებაა!“ (ეურნ. „პრომეთე“, № 1, გვ. 7, 1918).

ქართული მწერლობის ამ ეტაპზე რამდენიმე ნაწარმოები დაწერა ა. ერისთავ-ხოშტარიამ. განსაკუთრებით საინტერესოა ვრცელი მოთხრობა „ეკლესიის გარშემო“. მასში მწერალმა გაბედულად ამხილა სამღვდლეობა, რომელმაც ეკლესია აქცია ხალხის ყვლეფისა და ექსპლოატაციის ინსტიტუტად. მოთხრობამ კლერიკალური წოდების მძაფრი პროტესტი გამოიწვია.

მწვევედ იღგა ამ პერიოდში რომანის პროზლემა. ევროპული სახის რომანი, როგორც ეპოსის, დამოუკიდებელი ფორმა, თავის ისტორიას საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ითვლის. მაგრამ იმხანად ამ ქანრმა ვერ ჰპოვა თანმიმდევრული აღმავლობა.

ეურნალ „საფირონში“ (1916 წ.) ერთ-ერთი ქართველი კრიტიკოსი წერდა:

„ეხ, რა რიგად გვწყურია რომანი, ჩვენი ცხოვრების სარკე, მისი ძარღვის ცემა... მაგრამ არ არის მწერალი, რომ მშრალი ენა გავვისველოს, ცოტა გვას-

ვას და წყურვილში ვიხილავით, წყურვილი გვეკლავს...”

ეს პრობლემა ნაწილობრივ დაძლიეს ვასილ ბარნოვმა და შიო არაგვისპირელმა.

ვასილ ბარნოვმა 1917-1920 წწ. კვლავ დაწერა ისტორიული რომანები „ტრფობა წამებული“, „ხაზართა სასძლო“ და ასახა თანამედროვე ეპოქის სოციალური ძვრები („გველის ზეიმი“ და სხვა). ამ რომანებში მწერალი ჰუმანიზმის პოზიციებიდან ამხელს ანგარებასა და პატივმოყვარეობას, რელიგიურ ფანატიზმსა და განდიდებისაკენ ავადმყოფურ სწრაფვას სამშობლოსათვის თავდადებისა და ადამიანთა წრფელი სიყვარულის ნათელ გრძნობას უპირისპირებს.

კაბტალისტური ურთიერთობის მკვლურ ბუნება დახატა ავტორმა მოთხრობაში „განასკილი სიმი“. ეს ნაწარმოები ერთხელ კიდევ ადასტურებს ბურჟუაზიული სინამდვილის ტიპურ ფორმულას: „ადამიანი ადამიანისათვის მგელია.“

ამ პერიოდში მწერალმა გამოაქვეყნა „საბასეჟო ნამცხვარი“, „ამქრის მშენება“, „ეგრძო ბედნიერება“ და მრავალი მოთხრობა. ვ. ბარნოვის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები, თემატურ-იდეური პრობლემატიკა მეტყველებს მწერლის დაუტყბრამელ შემოქმედებით მუშაობაზე.

1919-1920 წწ. ჟურნ. „ცისარტყელას“ ფურცლებზე გამოქვეყნდა შ. არაგვისპირელის რომანი „გაბზარული გული“. რომანი თავისი იდეურ-მხატვრული ღირსებებით ქართული კლასიკური პროზის მაგისტრალურ ხაზს აგრძელებს.

საინტერესოა ამ პერიოდის ქართული დრამატურგიაც. 1917 წელს ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ გამოქვეყნდა რევოლუციამდელი ქართული კომედიური ხელოვნების კლასიკური ნიმუში შ. დადიანის „გუშინდელი“. ამ დროისათვის დაიბეჭდა აგრეთვე: პ. კაკაბაძის „სამი ასული“, ტ. რამიშვილის

„სტუმარ-მასპინძლობა“ და „ფრთამოტეხილი ყორანი“, ა. ყაზბეგის „მამის მკვლელიდან“ გადმოკეთებული დრამა, ი. იმედაშვილის, ს. ერთწმინდელის ი. გომართელის პიესები.

1917-1920 წწ. ქართული ლიტერატურის ისტორია საყურადღებოა იმიტომ, რომ ამ ეტაპზე შეიქმნა პროლეტარული მწერლობის ბირთვი (ნ. ზომლეთელი, ს. ეული, რ. კალაძე, პ. სამსონიძე, ი. ვაკელი, ი. ლისაშვილი, კ. ფეოდოსიშვილი, კ. კალაძე), რომელიც დასაყრდენი გახდა ქართული პროლეტარული მწერლობის ასოციაციისა.

პროლეტარულ მწერალთა შემოქმედება ამ პერიოდის ლიტერატურაში გამოირჩეოდა ბრძოლის პათოსით. ისინი გულწრფელად უმღეროდნენ მუშათა კლასის რევოლუციურ შემართებას.

ამგვარად, 1917-1920 წწ. ქართველმა მწერლებმა მთელ ქართველ ხალხთან და მის მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. შემთხვევითი არ იყო, რომ 1921 წ. 24 თებერვალს, საღამოს, როდესაც მენშევიკური მთავრობა გაიქცა ჩვენი დედაქალაქიდან და მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილები ჯერ კიდევ არ შემოსულიყვნენ თბილისში, ლევან მეტრეველისა და პაოლო იაშვილის მეთაურობით შეიქმნა „თბილისის წესრიგის დაცვის რევოლუციური კომიტეტი“, რომელმაც მეორედლის 12 საათამდე, ვიდრე ქალაქს ჩააბარებდნენ დროებით რევოლუციურ კომიტეტს, შეინარჩუნა ნორმალური მდგომარეობა მოსახლეობაში. საყურადღებოა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველ მწერალთაგან ახალ საქართველოს ბირველი მიესალმა რევოლუციამდელი ქართული პოეზიის წარმომადგენელი პაოლო იაშვილი (ლექსი „ახალ საქართველოს“). მხცოვანი მწერლის ვ. ბარნოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართული მწერლობა ყოველთვის რევოლუციური იყო“.



ჩინი

ქკღწჳ

პასილ კიხნაძე

სანდრო ახმეტელის უსწორი სტრუქტურა

სანდრო ახმეტელის საიუბილეო დღეებში საქართველოს სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტი გადმოგვცა. ამისათვის დიდ მადლობას ვუხდით. წერილი დიდი არ არის, მაგრამ გვერდების ნომერაცია ათიდან იწყება. ეს იმას ნიშნავს, რომ მას წინ უძღოდა ცხრა გვერდი. წერილს თარიღი არ უზის, თუმცა სავსებით გარკვევით ჩანს, რომ იგი რუსთაველის თეატრიდან კოტე მარჯანიშვილის წასვლამდე დაწერილია. წერილში მოცემულია „ღურთუჯის“ წევრების მოკლე დახასიათება. სადიქრებელია, რომ იგი გამიზნული იყო იმ სპეციალურ ჟურნალში დასაბეჭდად, რომელიც 1926 წლის იანვარში გამოვიდა „ღურთუჯის“ სახელწოდებით ამ კორპორაციის დაარსების ორი წლისთავზე. ჟურნალში მოთავსებულია ახმეტელის თეორიული ხასიათის წერილი. შესაძლებელია, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტი სწორედ ამ დაბეჭდილი წერილის გამოუქვეყნებელი ნაწილია. როგორც ჩანს, ახმეტელს სურდა კორპორანტების დახასიათება, მაგრამ შემდეგ გადაუფიქრებია.

გამოუქვეყნებელ წერილში დახასიათებულია პ. კანდელაკი და ივ. აბაშიძე. ისინი კორპორაციის წევრები გახდნენ მხოლოდ 1926 წლის იანვარში (პირველი — 21 და მეორე — 22 იანვარს. იხ.

„ღურთუჯის“ ოქმი № 107, 108). მაშასადამე, წერილი ვერ დაიწერებოდა 21 29 იანვარს. გამოქვეყნებულ სტატიას აქვს შენიშვნა: მასალის გვიან მიღების გამო წერილი წინა რიცხვში ვერ მიდის. შესაძლებელია, ახმეტელმა წერილის მეორე ნაწილის (ჩვენს ხელთ არსებულის) საბოლოო დამუშავება ვედარ მოასწრო და გამოუქვეყნებელი დარჩა.

ამ გამოუქვეყნებელ წერილში იგრძნობა „ღურთუჯის“ სულისკვეთება. ყველა კორპორანტი დადებითად არის დახასიათებული, შენიშვნები გაკეთებულია დიდი სიფრთხილით, ტაქტით. ავტორი ცდილობს ხაზი არ გაუსვას საზოგადოების მიერ გამორჩეულ მსახიობებს, არ მოახდინოს მკვეთრი დიფერენციაცია მათი ნიჭისა და უნარის შეფასებაში. იმხანად „ღურთუჯს“ უკვე ჰქონდა გარკვეული შინაგანი წინააღმდეგობანი, რომელიც შემდეგ თანდათან გაღრმავდა. ამიტომ ახმეტელი ცდილობს ყველა დახასიათოს ისე, რომ არავინ გააღიზიანოს. ჩანაწერი „ღურთუჯის“ ძმობისა და მეგობრობის იდეით არის გაქვნილი.

ქვემოთაღნიშნულ დოკუმენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმიტომ, რომ იგი დაწერილია 4-5 თვით ადრე, სანამ თეატრიდან მარჯანიშვილი წავივლიდა.

კორპორანტების დახასიათებას ექ-

ვეყნებთ იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს ახმეტელს აქვს. იბეჭდება მცირე შემოკლებით.

კოტე მარჯანიშვილი

„იდეოლოგი თეატრში, საკმაო იყო მის გულს მოხვედროდა მშობლიური სიო, რომ მას ეგრძნო უკუღმართი ბედი ქართველი თეატრის და აი, კიდეცა იწყებს მთელი თავისი ნიჭით, უნართ ქართული თეატრის შენებას. მისი იდეოლოგიითაა მოსალტული კორპორაცია „დურუჯი“.

მისივე ცეცხლით არიან ანთებულნი ყველა მასთან მომუშავე დურუჯელები. თეატრის გარდაქმნა შეიძლება უპირველესად არტისტის ვადახალისებით. კორპორაცია „დურუჯი“ რაზმავს ახალგაზრდებს ახალი შემოქმედებისათვის. ყველა იცნობს ამ რაზმს.

ძველები წავიდნენ. ვის უტოვებთ ქართულ თეატრს, ვინ გასწევს მათ მაკვივრობასო, ამბობდნენ ურწმუნონი.

ვპოვეთ, ვპოვეთ. აი ისინიც:

თამარ ჭავჭავაძე

„5 წელი სცენაზე. — ორი წელი უბრალო თანამშრომელი. შემდეგ მცირე როლები და ბოლოს ლაურენსია. გამოცდა იყო სასტიკი, საშიში. მარცხი და... გათავდა. თამარა იმარჯვებს და იზრდება რწმენა, რომ შენდება მომავალი საძირკველი ქართული თეატრის. თამარამ ცხადპო ტემპი ქართველი არტისტის, ემოციის“.

გორგი დავითაშვილი

„აღზრდილი რუსულ სცენაზე. მოკრძალებული. ლანდივით დადის თეატრის კულისებში. იგი უნდა გატყდეს, დაიფრფლოს, რომ ახლად შეიწიროს ახალ ღმერთს. ბევრი ეჭვობს, ძნელი საქმეა. მაგრამ იმარჯვებს დავითაშვილი. მოსხლეთილ გიფხვივით აკეთებს ნახტომს და აღის მწვერვალზედ. მშვიდი, წყნარი ცხოვრებაში, სცენაზედ გახლებული მიუქანება რკინის ნებისყოფით. მომავალში ღიდ შედეგს მიაღწევს“.

¹ ე. ი. ახალ ქართულ თეატრს.

² ახმეტელის წერილის სტილი ყველგან დეტულია

ელენე დონაური

„რუსულ სცენიდან გადმოსული. გაუბედავი, დინჯი, წყნარი ცხოვრებაში, სცენაზე მან იცის არაჩვეულებრივი ანთება, სახასიათო როლში იგი არაჩვეულებრივი გამოჩნდა. ახალი თეატრის ემოცია, ტემპი ისე სწრაფად იგრძნო, რომ მისი გამარჯვება საერთო იმედით გადაიქცა“.

ბუბუჟა შავიშვილი

„ყველაზე ახალგაზრდა კორპორანტთა შორის. ნიჭიერი. „დურუჯი“ მას განსაკუთრებულ ყურადღებით ზრდის ახალი თეატრისათვის“.

აკაკი ვასაძე

„ახალგაზრდა მოხვდა ძველებს შორის. მისი არავის არ სჯეროდა. შეშინებული აკაკი მე პირველად 1920 წელს ვნახე სცენაზედ. მარწმუნებდნენ, მერხია წასულეყო სცენიდან. ვერ იცნობდნენ. აკაკის გული კი თეატრისადმი სიყვარულით ფეთქდა. საჭირო იყო აკაკის გამოცდა. ბედმა არ უმტყუნა. მენგო და აკაკი, აკაკი და მენგო. ვინ შესძლებს ახლა ამ ორი პიროვნების ერთი მეორეს დაშორებას!? დეე სცადონ.

ეს არ იკმარა ვასაძემ. მისი „მეფე“ ჰამლეტში უკვე დახელოვნებული მსახიობის ნაყოფია. მოიგონეთ მისი სცენა ჰამლეტთან, როდესაც იგი გათოკილი შემოჰყავთ მასთან. თქვენ დაინახავთ, რომ ეს ერთი მცირე დეტალიც კი საქმარისია, დარწმუნდეთ თუ რა ღირსეული ძალა ეზრდება ქართულ თეატრს“.

უშანგი ჩხეიძე

„გუშინდელი თანამშრომელი. სტატისტთა შორის 1920 წელს ჩნდება სცენაზე. არავინ იცნობს, არც არავის აგონდება. გამვლელი იქნება ალბათო. ბოლოს რამდენიმე მცირე როლი და უცბად ჰამლეტი. კ. მარჯანიშვილს სიცილით შეხვდნენ, როცა გაიგეს, რომ ჩვენ მას ასეთი არაჩვეულებრივი როლი მივეცით. ასეთი ექსპერიმენტები იშვიათია, მაგრამ უშანგის მიმართ — ეს ექსპერიმენტი არ იყო. უშანგისა გვჯეროდა ყველას. დეე, თქვას ვინმემ, რომ უშანგის სახით ნამდვილი არტისტი არ ვპო-

ვეთ. მომავალი მის წინაა. მის გამარჯვებებში ეჭვი არავის აღარ ეპარება“.

აკაკი ხორავა

„გუშინდელი სტუდიელი: ორი-სამი წელი სცენაზედ. სახიფათოა მასთან მიდგომა, ნორჩია სასცენო მუშაობისათვის. მასალა კი ძლიერია ყოველმხრივ. იგი ახლა თვითრეჟიჟაში, დუღილშია. იმედი დიდია. შემოქმედებითი ტანჯვა მას ახალისებს და ახარებს. გვეჯერა მისი ძალისა და გამარჯვებაც არ ასცდება“.

პლატონ კორიშელი

„ძველი ახლებში. სულით ახალგაზრდა. იგი არც ერთ წამს არ ჩერდება ერთ წერტილზე. მისთვის ყოველი როლი ახალი ამოცანაა. ყველაზე ადრე შეითვისა ახალი თეატრის ტემპი. მასზე თამამად შეიძლება დაყრდნობა“.

დავით ჩხეიძე

„სულ რამდენიმე წელი სცენაზე. დარბაისელი ცხოვრებაში, სცენაზე დინჯად იკავავს გზას. კომანდორით ააშკარავებს თავის ნიჭს და უნარს. თეატრი ელოდა მის საპასუხისმგებლო გამოსვლას და იგიც ყფველმხრივ ემზადებოდა ამისათვის“.

შალვა ლამბაშიძე

„მრავალმხრივ საინტერესო მასალა, მასთან მიდგომა ყოველმხრივ შეიძლება. რაც უფრო ბევრს მუშაობ მასთან, მეტ შესაძლებლობას გრძნობ. „დურუჯისათვის“ იგი მეტად საიმედო ძალაა, მისი სჯერათ და მეგობრული გულისცემით ელიან მისი მონაცემების სრულ გამოაშკარავებას“.

გიორგი სარიჩხელიძე

„ახალგაზრდა მსახიობი. აედამყოფობის გამო მუშაობს ყველაზე ნაკლებად. რასაც შეასრულებს, არ დაგავიწყდება. მის შემოქმედებას აქვს თავისებური იერი“.

მიხეილ ლორთქიფანიძე

„მუდამ გახელებული. დურუჯელია ყველგან, ცხოვრებაში და სცენაზეც. მან ყველას დაანახა, რომ ახალ თეატრს მი-

სი სახით მეტად ჯანსაღი ძალა ჰყავს. როლთან იცის ფრთხილი მიდგომა და თუ იგრძნო მერე საშუაში აღარ არის, გახელდება და გამარჯვებასაც არ დაგივიანებს“.

დოდო ანთაძე, ივი (კუკური) პატარიძე, ალექსანდრე გველეხიანი

„ახალი თეატრის გუშავნი—რეჟისორები. მომავალი საპასუხისმგებლო მუშაობისათვის ემზადებიან. „დურუჯი“ მათთვის ყველაფერია. თეატრი მის გარეშე არც უნდათ და ვერც წარმოუდგენიათ. მათი ბედი მომავალში უფრო სასტიკია. ეს მათ იციან. მომავალი თეატრისა მათ ხელშია. დოდომ უკვე გაიმარჯვა. იგი სავესებით გრძნობს თეატრს და არტისტის ფსიქიკას. თვალი აქვს სასტიკი, ვერაფერს ვერ გამოაპარებ. ეს კი აუცილებელია რეჟისორის მუშაობაში. ჯერი პატარიძეზეა. მას გაალმახლებული ტემპი და ემოცია აქვს. ჩვენი იმედიც ამაშია. გველეხიანი — ღირიყორი და რეჟისორი. არაჩვეულებრივი შეერთება ორი პროფესიისა, რომელი სძლევს მასში, ეს მომავლის საქმეა. ნათესაობა ორივეში კი დიდია. რეჟისორი იგივე ღირიყორია, ძალიან უყვარს თავისი საქმე“.

პავლე კანდელაკი, ივანე (ვანიკო) აბაშიძე

„ახალი კორპორანტები. მათი მომავალი „დურუჯშია“. დღეიდან ახალი ხანა იწყება მათ ცხოვრებაში. პასუხისმგებლობა დიდი აქვთ“.

ახმეტელის წერილი მრავალმხრივ საინტერესო დოკუმენტია. იგი ჩვენს წინაშე ცოცხლად აღადგენს ქართული საბჭოთა თეატრის პირველ მშენებელთა სახეებს. დღეს, ბევრი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მათ გარეშე წარმოუდგენელია ქართული თეატრი.

ახმეტელს, როგორც ამ წერილშიც ჩანს, ღრმად სჯეროდა მათი მომავლისა. გამართლდა იმედი. კორპორანტთა დიდმა უმრავლესობამ შემდეგ საქვეყნო სიყვარული და აღიარება მოიპოვა.





საქართველოს მწერთა კავშირი „სისკაჟი“

პაპი პასაძე

ტრადიციულობა და ნოვატორობა

ლიტერატურის იდეურ-მხატვრული დონე სხვადასხვა კრიტერიუმითა და მასშტაბით შეიძლება განისაზღვროს და მანც მთავარზე უმთავრესია მისი შეფასება ნოვატორობისა და ტრადიციულობის თვალსაზრისით. პოეზიის არსებობის ყოველ ეტაპზე საჭიროა გამოირკვეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს კლასიკოსთა მემკვიდრეობას ამა თუ იმ ეპოქის მწერალთათვის და როგორ ვლინდება ამ უკანასკნელთა ნოვატორობა.

ტრადიციისა და ნოვატორობის პრობლემათა განხილვისას შეუძლებელია შემოიფარგლო ერთი რომელიმე ლიტერატურული მიმართულებით, ან, თუნდაც, ერთი ეპოქით. ეს პრობლემები ძირითადად ზოგადია ყოველი დროისათვის და ყველა დიდ ხელოვანზე ერთნაირად მოქმედებს. ვოეტეს, შექსპირის, რუსთაველის თუ გალაკტიონ ტაბიძის წინაშე ისინი ერთგვარი სიმძაფრით ისახებოდნენ. ამიტომაც ცალკეული ერისათვის ტრადიცია ყველგან და საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა სფეროში უნდა გვესმოდეს, როგორც ერთიანი მიზნითა და საერთო ინტერესებით შეკავშირებული, საუკუნეთა მანძილზე ხალხის მიერ შემუშავებული ჩვევები, ადათები და სავალდებულო გადაცემული წესები. ტრადიცია შეიცავს ბევრს ისეთს, რაც კრძალავს, ზღუდავს მოქმედების სრულ თავისუფლებას. მაგრამ იგი არ უნდა გავგოთ, როგორც დოგმატიკური შენარჩუნება რამდენიმე ჩამოყალიბებული აზრისა და შეხედულებისა. ეს შეხედულებანი ცოცხალ წესებად თვით ტრადიციის ფორმირების პროცესში ყალიბდება და ტრადიციის ყველა თვისებას, — უკეთ რომ ეთქვა, მის თვისებათა მნიშვნელობას, — ნათლად აღიქვამთ მხოლოდ მაშინ, როცა თითოეუ-

ლი მთავანი ძველდება და დაბრკოლებად იქცევა. ასევე, განსაკუთრებული სიმწვავეთ მაშინ შევიგრძობთ ზღვის ტალღას, როდესაც იგი ნაპირთან აზვირთდება და მთელი ძალით დაეჩარცხება დედამიწაზე, ესე იგი, სიცოცხლისუნარიანობის დაკარგვის პროცესშია. ყოველი ცდა უქმად ჩაივლის, თუ მოვინდომებთ ტალღის შეკავებას და მისი სიმძლავრის შენარჩუნებას. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ოკეანის ტალღები დაუღვევლია და ისინი დაუსრულებლად ენაცვლებიან ერთმანეთს.

ტრადიცია, უპირველეს ყოვლისა, შეიცავს ისტორიულობის შემცენების მარცვალს, რაც აუცილებლად უნდა აითვისოს ყველა პოეტმა. ეს ისტორიულობის შემცენების მარცვლი შეიცავს არა მარტო წარსულის წარსულობის გაგებას, არამედ იმასაც, რაც ხელოვანმა უნდა იცოდეს: პომეროსიდან მოყოლებული მსოფლიო ლიტერატურა და, ამასთან ერთად, მთელი ლიტერატურა მწერლის საკუთარი ქვეყნისა ერთდროულად არსებობს, ისინი ერთდროულად ადგენენ სხვადასხვა წესებსა და მიმართულებებს. ისტორიულობის ამგვარი შემცენება, რომელიც სამყაროს მუდმივობის, დროითა და სივრცით განუსაზღვრელობის და, იმავე დროს, ყოველი მოვლენის ეპიქურების აღიარებაში მდგომარეობს, მწერალს ტრადიციულს ხდის; იგი მწერალს უღვივებს განსაღვრულ ეპოქაში საკუთარი ადგილის შეგრძენების უნარს.

ტრადიცია ვაცილებით მეტი მნიშვნელობისაა, ვიდრე კაცს ერთი შეხედვით მოეჩვენება და მისი სირთულე სწორედ ის გახლავთ, რომ მემკვიდრეობით, მქანსკურად არ ვაღმობიებთ (საპირდაპირად ზოგიერთი კრიტიკოსის ამგვარი ფრაზებისა: „ბარათაშვილის ეს იდეა მემკვიდ-

რეობით მიიღო ილია ჭავჭავაძემ... „მემკვიდრეობითი ხასიათისა აგრეთვე გამოსახვის საშუალებანი: კომპოზიცია, ენა და სხვა“). თუ ვინმეს ტრადიციის თავისება მოუნდა, დიდი შრომა მოუწევს. ამას გვიმოწმებს მრავალი ავტობიოგრაფიული ნაწარმოები, მრავალი მონოგრაფია მაღალი ნიჭის მქონე ხელოვანთა. ბაირონი, კიტისი, მაღარამე, რასინი ბავშვობის წლებში და შემდგომაც, იზებიერდენენ და საყუთარ ენაზე თარგმნიდნენ ბერძნულ თუ რომაელ კლასიკოსებს, ითვისებდნენ მათ ოსტატობას. ამასვე აკეთებდნენ თანამედროვე პოეტები და პროზაიკოსები. ესენი უფრო არა მარტო ანტიკურს არამედ უშუალოდ სათი წინა ეპოქის მწერალთა ნაწარმოებებს ამუშავებდნენ. მავალითად, სომეხისტეტ მოვიმ ველახილად აღიარებ, რომ დიპლომატიის წერა იბესნის პიესისა თარგმნით შესწავლა. მოდერნისტული მხატვრობის ნოვატორები წლობით იხსნდნენ ლუვრისა თუ ანტიკური ძეგლების წინ და გერ მათ ოსტატობას ითვისებდნენ. ამგვარად, წარსულ საუკუნეთა გადალახვით მთ შერალს ნაბიჯის წარადგმა და ორიგინალური ტილოების შექმნა. ამის შემდეგ ტრადიციის რომელ მემკვიდრეობით მიღებაზე შეიძლება ლაპარაკი. თანამედროვე ხელოვანი ტრადიციამ ფესვგადგმული უნდა აზროვნებდეს. ვოთუ ამბობდა: მე თოელ მსოფლიოს ვატარებ გულშიო.

როდესაც რომელიმე პოეტზე ვსაუბრობთ, ვეხებით ხოლმე მისი შემოქმედების იმ ასექტებებსა და მხარეებს, რომლებითაც იგი ყველაზე ნაკლებად ვკავონებს გარდაცვლილ მწერლებს. მისი შემოქმედების განხილვისას ვცდილობთ მოვინახოთ რა არის იქ ინდივიდუალური და სპეციფიკურად მისთვის დამახასიათებელი. მსჯელობისას სიამოვნებით ვჩერდებით და ვსაუბრობთ იმაზე, რით განსხვავდება ესა თუ ის მწერალი წინამორბედთაგან, განსაკუთრებით უშუალო წინაბრებისაგან. ვცდილობთ მოვინახოთ ის, რაც შემოქმედს დამახასიათებელი ელფერს ანიჭებს, ე. ი. რითაც მწერლის შემოქმედება საინტერესოდ წარმოგვიდგება. მაგრამ მწერლის შემოქმედებას თუ ამ წინაგანზრახვით არ მოვუდგებით, აღმოვაჩნებთ, რომ არა მარტო საუკეთესო, არამედ ნაწერის უადრესად ინდივიდუალური ნაწილიც კი მოგვავიწყებს მის წინაბრებს, რომელთაც იმავე თემაზე დაწერილ ლექსებში ვაკილებთ მეტი სიძლიერითა და სიმძაფრით გამოხატვით თავიანთი განცდებით. ამიტომაც, რომ არც ერთ ხელოვანს, არც ერთ მხატვარსა თუ მწერალს არ შეუძლია შექმნას ისეთი ტილო, რომელიც მხოლოდ მისი „საკუთარი“ იქნება. წარსულის გავლენას და შემოქმედებას ვერც ერთი ხელოვანი ვერ აცდება. მწერლის მხატვრული შესიერებაში ცხვრების შთაბეჭდილებები ასოციაციის გზით ერწყმეიან კლასიკური მწერლობის წარმომადგენელთა მიერ შექმნილ სახეებს, მოტივებსა თუ განწყობილებებს.

მეგელი უარყოფდა ყოველგვარი გავლენისაგან თავისუფალი შემოქმედის არსებობას. ტოლსტოი ამტკიცებდა, რომ კლასიკოსთა ავტორა გავლენას მწერალი თავისი შემოქმედების ადრესტულ პერიოდში განიცდის, მაგრამ ამით მას იქნებ იმის თქმა სურდა, რომ მომწიფების ხანაში კლასიკოსთა გავლენა დიდი მწერლის შემოქმედებაში შეუმჩვენეელია, რადგან ამ დროისთვის „გავლენა“ იქცევა „საკუთრებად“, საყუთარ გულისთქმად. სოციალისტური რეალიზმის მაშინათავის, გორკის უტიდურესობამდე მიჰყავდა ეს აზრი და აცხადებდა, რომ „ანარდლი“ (ეს სიტყვა გორკის ეკუთვნის) ამა თუ იმ ბუმბერაზი მწერლისა საშუალოდ თანა ხდევს მის შთამომავალს. და ბოლოს, გავიხსენოთ ერთი მოვლენაც ქართული სინამდვილიდან. ქართულ სიმბოლიზმზე საუბრისას კრიტიკოსთა უმრავლესობა აქამდე, შესაძლებელია ახლაც, იმ აზრს ადგავითომ სიმბოლიზმი ჩვენში ხელოვნურად იქნა „გადმორგეული“ საფრანგეთიდან, რომ სიმბოლისტიკური პოეზიის აღმოცენებისათვის საქართულში ნიდავი არ იყო. სიმბოლიზმი ჩვენში ვერობიდან რომ იქნა შემოტანილი, სიმბოლისტიკაც არ უარყოფდნენ, მაგრამ მისი „გადმორგევა“ მართლაც ასე უსაფუძვლო რომ ყოფილიყო, მაშინ თავიანთ ხმას ასეთი სიმბოლიზმი ვერ გაიღებდნენ გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლი იაშვილი, გიორგი ლენინძე და სხვები. ამ პოეტებმა ფრანგ სიმბოლისტთა უდიდესი გავლენა განიცადეს, მაგრამ იმავე ტიციან ტაბიძის სიტყვებით რომ თქვათ: „როდესაც ხალხი იღებს სხვისაგან რამეს, იმას თავის ბრამდემში ატარებს. ნაციონალური აპერეცეციის ძალით ერი ითვისებს იმას, რაც მის ეროვნულ თავისებურებას ემუქება...“ იგივე ითქმის ყოველ დიდ მწერალზე. აქედან ვამომდინარე ყოველი მწერლის შემოქმედების შეფასება, წინათაობის პოეტებთან მისი კავშირის შეფასება. კრიტიკოსს უფლება არა აქვს მწერლის მარტო პირადი შემოქმედების განხილვით წარმოვიდგინოს მისი სახე. კონტრასტისა და შედარების მიზნით მან გვერდში უნდა ამოუყენოს იგი გარდასულ პოეტებს. ეს ნა ერთადერთი საშუალებაა მხატვრის არა მარტო ისტორიული, არამედ ესთეტიკური კრეფის შეფასებისთვის.

ამგვარი დაკავშირება-დამაბრისპირება შემთხვევითი და ცალმხრივი არ არის. ასეთსავე კრიტიკას განიცდიდა ყველა ის დიდი მწერალი, რომელიც თავის ეპოქაში ნოვატორად ითვლებოდა. მასაც უბირისპირებდნენ და აღარებდნენ წინაბრებს.

განსაზღვრულ პერიოდში არსებული მხატვრული ქმნილებანი აყალიბებენ უმაღლეს წესებს, წყობებს (ანუ ტრადიციას), რომლებიც ხელოვნების ახალი (ნამდვილად ახალი) ნიმუშის აღმოცენებისათავე იცლებიან. განსაზღვრულ პერიოდში არსებული ადითები უმაღლეს

სი და სრულყოფილი მანამდე, ვიდრე ახალი ნაწარმოები არ წარმოიშობა, რადგანაც ყოველი ტრადიცია, მასში ითახლის შეტანის შემდგომ, თუნდაც მცირედი იყოს ეს სახელი, სახეს იცვლის; არსებული კავშირები, პროპორციები, ღირსებანი, ახლის აღმოცენებისთან ერთად ირღვევიან, განიცდიან გადაფასებას. სწორედ ეს უნდა მივიჩნიოთ შეთანხმებულ ძველსა და ახალ შორის. ვინც ვაიხიარებს ხელოვნების ამ სახით განვითარების იდეას, მას სრულიადაც არ მოეჩვენება აბსურდად ამგვარი აზრი: წარსული თვითონ სჭედავს თავისი გარდაქმნის იარაღს.

ამ აზრით შთაგონებული მწერალი აუცილებლად შეძლებს დაბრკოლებათა გადალახვას და იმ ვალდებულებათა შესრულებას, რაც ჰემსმარტ ხელოვანს აყირბია. ამ აზრით იყო შთაგონებული პაოლო იაშვილი, როდესაც „პირველიქმნიში“ აცხადებდა: „ყველას ესმოდეს, ჩვენ თვით დავამსხვრევთ ჩვენს თავზე მოვლვარე ვეირგვიწებს, როდესაც ვიხილავთ, რომ პირველი ნააწყვალო ჩვენი კოცონისა მოკვდა სამუდამოდ... როდესაც დავინახავთ, რომ სხვა მალღობზე ვაიხარა განახლების კოცონმა...“

თითოეულ თაობას საკუთარი აზრი ვაჩნია ხელოვნებაზე. თითოეულ თაობას, კალკულური ინტელექტულის მსგავსად, მანამდე არსებულ ხელოვნების ნიმუშებსა და ნააზრევში საკუთარ შეფასებათა კატეგორიები შეაქვს, — ხელოვნებას საკუთარ მოთხოვნებებს უყენებს. მაგრამ არცერთ თაობას ძალა არ შესწევს ზუსტად, სამუდამოდ დააკანონოს ხელოვნების განვითარების გზები და კატეგორიები, ვინაიდან თითოეული თაობა წარმავალია, შეზღუდული იმ დროითა და ვარემოთი, რომელშიც მოქმედებს. კლასიციტებს ეგონათ, რომ მათ მიერ შემოუბრებული წესები საყოველთაო და სამუდამო იქნებოდა, მათ ჩამოაყალიბებს ზუსტი მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც მწერლებს უნდა შეექმნათ მხატვრული ტილოები; მაგრამ მათმა ქადაგებამ ერთი საუკუნეც ვერ იარსება. მკითხველის მსგავსად ხელოვანიც შეზღუდულია. ერთი თაობის მწერლებისათვის არსებობს განსაზღვრული მასალა. ამ მასალის დამუშავების შედეგად მათ თავიანთი წველილი შეაქვთ ზოგადად ხელოვნების განვითარების საქმეში. თითოეული მათგანი მისთვის განკუთვნილ მასალას სხვას აუცილებლად ამჯობინებს, თითოეულ თაობაში არსებობს დაუკლებელი შემოქმედი ძალა, რომელიც ქმნის, მაგრამ შემდგომ თვითონ ეს ძალა აქარწყლებს შექმნილს: იკვრება წრე და ყველაფერი განკუთვნილი გზებით მიედინება.

მოქმედება სხვა არაფერია, თუ არა განვითარების იმიტაცია. მესამე ჩვეულებს კი მიეკუთვნებიან მწერლები, რომლებიც იგონებენ წერის ახალ ტექნიკას (ვევლისხმობთ საერთოდ მხატვრულ სიტყვას). როცა ვთქვი, იგონებენ-მეთქი, ეს სიტყვა წესით წინწყლებში უნდა ჩამხვას, რადგან მწერლობაში ახლად გამოგონებული წერის ტექნიკა უხლად იქნებოდა, თუკი შესაძლებლად ჩავთვლიდით ამგვარ რამეს. „გამოგონება“ უკვე იმითაა ცუდი, რომ შეუძლებელია. თუცა, ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია ისეთი მწერლები, რომლებმაც მოიხურვეს უარყოფით ყოველგვარი ტრადიცია, სიტყვის ტრადიციაც კი, რათა შეექმნათ აბსოლუტურად ახალი პოეზია. მხედველობაში გვყავს ფუტურისტები.

საქართველოში ფუტურიზმი აღმოცენდა საკმაოდ მოგვიანებით, მაშინ, როდესაც საზღვარგარეთ იგი უკვე მოღიღნა გადადიოდა. ჩვენში მისი ხელახალი აღმოცენება უდაოდ შეცდომა იყო. როგორც ცნობილია, საქართველოში „ლექსები“ თავიანთი პოეტური მრწამსი რვეოლუციური ძაქებს დამუკავშირებს, რვეოლუციამ უეუადოდ ძველი, ფეოდალური და ბურჟუაზიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემები. ამის ანალოგიით ფუტურისტებს მიაჩნდათ, რომ მწერლობაშიც უარყოფილი უნდა ყოფილიყო ყველაფერი, რაც მანამდე გაკეთებულა და უნდა შექმნილიყო სრულიად ახალი ტიპის, ახალი ყაიდის მწერლობა, ვათავისუფლებული ძველი ლიტერატურული ტრადიციებისაგან. ეს მისწრაფება ქართველმა ფუტურისტებმა ძველი ფუტურისტული სკოლის მოთხოვნებს შეუფარდეს.

„ფუტურისტების“ მიერ წარსულის უარყოფა, ამო სურვილი აბსოლუტურად ახალი პოეზიის შექმნისა, სიღამახისა და „ციხფერისისხლიანი“ პოეზიის უარყოფა, გადაიზარდა აბსურდში, უაზრო ბგერათათამაშში. ხშირად ისინი მთელ ლექსს აგებდნენ ბგერათა ალიტერაციულ, ასონანსურ და დისონანსურ შეთანხმებებზე.

აი, მაგალითად:

— ღრომი, ურემი, ღამურა, ღობი,
 არხი, ბოხი, ბურღი
 დულს დალი
 მღორე დოლი
 ავღმრე
 გურაგელი ბამბა ბუნდლი
 გურაგელი მორგვი ბორგვი ვერაგული
 გურაგელი ქუფრი მობრვი კუპრი
 გურაგელი შორი შური გვირბა იბრო...

ყოველი თაობის მწერლები შეგვიძლია დავყოთ სამ ჩვეუდად: პირველი ჩვეულის მწერლებს განკუთვნიებიან ისინი, რომლებიც მთელი თავიანთი შემოქმედების მანძილზე ავითარებდნენ წერის ტექნიკას. მეორე ჩვეულის მწერლების შე-

მაგრამ განწყობილების შექმნა მხოლოდ ფონემების, მხოლოდ ფონეტიკის მეშვეობით საესებით უსარგებლო ფორმალზშია.

ამგვარ აბსურდამდე ფუტურისტები მივიდნენ იმიტომ რომ, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, ყალბი და არასწორი იყო მათი ფილოსოფიური

მრწამსი, მათი დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენებისადმი. თუ დღეს რომელიმე ფუტურისტი პოეტი იხსენიებს, ვეცე იმ ლექსთა წყალობით, რომლებშიც იგი ხელოვნურად არ ცდილობდა შეექმნა ხელოვნების ნიმუში. საქართველოში ფუტურისტებმა გადალახეს თავიანთი შეცდომები, მაგრამ, მხოლოდ სიმონ ჩიქოვანმა შეძლო გამოეჩინა შემოქმედის დიდი ნებისყოფა და პოეზიის უფრო მაღალი პრინციპების შეთვისებით დაენახა სამყაროს სულ სხვაგვარად, შეექმნა იმგვარი ტილოები, რომლებიც ნოვატორულად ჩაითვლება თანამედროვე ქართულ პოეზიაში. სიმონ ჩიქოვანმა პოეზიის გარკვეულ მწვერვალს მაშინ არ მი-აღწია, როდესაც ლექსებს დაუბოძა ოქმის ნახევი“ და „ქუსლი დაადგა სიყვარულის ხატს“, არამედ მაშინ, როდესაც მის შემოქმედებაში შეიჭრა „სურთი პანგები“.

ამის დანახვა პრაქტიკული მავალითებითაც შეიძლება. ავიღოთ ფუტურისტული პერიოდის მისი რომელიმე ლექსი, თუნდაც ეს უსათაურო:

შრიალი შორს
შორები რუშ
...გოგირდის გულით საპროტესტით დადგა
ქალაქი
და ვასაფრენი ბურთების ქერქში
დაღვარა ბორბო—მზემ აგებულმა კოშკის
შამფურზე
მარსზე რადიო დაჰკრავს კამერტონს
ქუსლის ლუსმნებზე ვგრძნობ გადმოცემას...

ახლა გავიხსენოთ მისი შემდგომი პერიოდის რომელიმე ლექსი, თუნდაც „მდინარის შე-მოსვლა“.

...დასაბამიდან წამოვა მტკვარი
და ყნოსვით სინჯავს კლდეებს ღონიერს.
ჯერ შეეჩვევა მდინარეს ქარი,
შემდეგ სირბილში ამიყოლიებს.
გადაშორებებს მესხეთის ნიავს
და სურბობის დამპყნარ სიამესს,
ნანგრევთა შორის ზარების წკრიალს
და ქვის გამოთლელ ადამიანებს.
ქანგომოდებული და ქანგისფერი,
პირველყოფილი და მონაწყენი,
თებში მოგვსდევენ და ჩვენ დაგვექერის
ვარძიის კლდე და შავი აწყურის.
მტკვარი მობრბის და ხტიან წყარონი
კალიბივით ღია ტაროსში.
სანაპირონი უანგარონი
მისწრაფვიან სანეტაროში...

ამ უკანასკნელ მავალითში სიმონ ჩიქოვანი უკვე მაღალი რანგის პოეტად გვევლინება. პირველი მავალითი კი ხელოვნურობის გარდა ვერაფერს გვიჩვენებს. „მდინარის შემოსვლაში“ პოეტმა გარკვეული სახით გადმოცევა თავი-

სი შინაგანი განწყობილება, დახატა ორიგინალური სურათები. აქ ამგვარი ფრაზები, „მტკვარი... ყნოსვით სინჯავს კლდეებს ღონიერს“ და ა. შ. უადგილოდ არ გამოიყურება და ლექსის მთლიან სტრუქტურას ორგანულად ერწყმის.

როდესაც სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების პირველ პერიოდს ვეხებით, უნდა აღენიშნოთ ერთი ფაქტი: მის ლექსებში ფუტურისტობის დროსაც ჩნდებოდა ხოლმე წინაპართა სახეები, სახეები ბარათაშვილისა, ჭავჭავაძისა და სხვათა. ფუტურისტთა დებულების საპირისპიროდ იგი წერდა:

ბარათაშვილის და ჭავჭავაძის
მე ვარ მოდგმა და პირდაპირი შთამომავალი.

სიმონ ჩიქოვანის მსგავსად ჩვენში და საზღვარგარეთაც არა ერთი ფუტურისტი პოეტი არღვევდა ფუტურისტობის ზღუდეებს, უნებურად მათში იღვიძებდა ხოლმე ტრადიციის ძალა. სწორედ ეს უნდა მივიჩნიოთ საწინდელ ზოგიერთი ფუტურისტი პოეტის შემოქმედებაში ჭანსალი, რეალისტური ელემენტების აღმოცენებისა.

ამგვარად, წარსულის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ მწერლის შემოქმედებაში არაფერია ისეთი, რასაც აბსოლუტურად ორიგინალური შეგვიძლია ვუწოდოთ, რაც თავისთავად არ არის დაკავშირებული წარსულთან და მის ლოგიკურ განვითარებას არ წარმოადგენს. ვირჯილიუსის, რუსთაველის, გოეთეს, შექსპირის, უიტმენის დაბადებულთან ერთად იცვლებოდა მთელი პოეზია, ხდებოდა უდიდესი რევოლუციები, ძვრები, ნახტომები. მაგრამ არც ერთი მათგანის შემოქმედება არ ყოფილა მოწყვეტილი წარსულსა და მომავალს. თითოეულს მსოფლიო ლიტერატურაში შეჰქონდა საკუთარი წვლილი, რომელსაც შემდგომი თაობის მწერლები ითვისებდნენ და ავითარებდნენ. არც ერთ პოეტს, არც ერთ ხელოვანს არ შეუძლია შექმნას ისეთი ტილო, რაც მხოლოდ და მხოლოდ მისი საკუთარი ნააზრევის შედეგად წარმოიშობა. არც ერთი ხელოვანი არ არის აბსოლუტურად ორიგინალური და, საერთოდ, სინამდვილეში არც არსებობს აბსოლუტური ორიგინალურობა. აბსოლუტურად ორიგინალური ნაწარმოებები აბსოლუტურად ცუდიცაა, რადგან იმდენად სუბიექტური (ცუდი გაგებით) იქნება, რომ ვერაფერს ვერაფერს მიუხევედა და, ამიტომაც, ამოვარდება სინამდვილიდან.

განვითარებასა და იმიტაციის შორის განსხვავება კი ერთი ძირითადი საკითხთაგანია ლიტერატურის ისტორიისა. იმიტაცია ბანალური მოვლენაა, ცივილიზაციის ფუძე ნაყოფი, ხოლო განვითარება იგივე ნოვატორობაა. ორიგინალურობა განვითარებაში ვლინდება. ჭეშმარიტი ნოვატორობა წარმოადგენს განვითარებაში მყოფი ფენომენის მიერ შემდგომი საფუძურის ვა-

დალახვას. მაგრამ არსებობს ერთი საშიშროება: ხშირად ნამდვილსა და ყალბ ორიგინალურობას (იმიტაციას) მკითხველზე ერთგვარად უმოქმედონია. უფრო მეტიც. ყოფილა შემთხვევები, რომ იმიტაციას მეტი ზემოქმედება ჰქონია მკითხველზე, ვიდრე ორიგინალურობას. მაგრამ ამგვარი ზემოქმედება დროებითია. ქემშარიტი ორიგინალურობა არამც და არამც არ უნდა აზროთ მოლაშრი, რაც, უმეტეს შემთხვევაში, იგივე იმიტაციაა. დაახლოებით ასოციათი წლის წინათ ნოვატორებად ითვლებოდნენ გერმანელი რომანტიკოსები, ხოლო სტენდალი აქვეყნებდა წიგნებს, რომლებიც ყველას მოქმედებულად და მოსაწყენად ეჩვენებოდა. შემდეგ ნოვატორებად მოგვევლინენ ნატურალისტები, სტენდალს კი ისევ ცოტა მკითხველი ჰყავდა. ბროკაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაში, სადაც დაწვრილებითაა მიმოიხილული დღეისათვის უკვე შეათხარისხოვანი მწერლების შემოქმედება, მხოლოდ რამდენიმე სიტყვითაა ნახსენები მარი-ჰენრი-ბელი. იმ წლებში, როდესაც ბროკაუზის ენციკლოპედია იბეჭდებოდა, ნოვატორებად სიმბოლისტები ითვლებოდნენ. შემდგომ ამის, ვინ იცის, რამდენაა ნოვატორება შეცვალა ერთმანეთი. ახლა მათ აღარაქონს კითხულობს, სტენდალს კი მილიონობით მკითხველი ჰყავს. იგი აღიარებულია უბრწყინველს მწერლად და უდიდეს ნოვატორად. იგივე ითქმის ჯონ კიტსზე. მისი სახელი არასდროს ჰქუხდა ისე, როგორც ბაირონის, შელისა თუ უორდსუორთის. მეცხრამეტე საუკუნის 40-50-იან წლებში ინგლისში ნოვატორებად ითვლებოდნენ პრერაფაელიტები ჯონ რუსკინის მეთაურობით. პრერაფაელიტთა უშუალო მემკვიდრე ოსკარ უაილდი და საფრანგეთში ბოლდერი თაქიანთ თავს ესთეტურების მამამთავრებად თვლიდნენ. ლიტერატურის ისტორიაში დიდხანს იყო ეს აღიარებული და ბევრმა დღესაც არ იცის, რომ მათზე ათეული წლებით ადრე, ოცდახუთი წლის ასაკში გარდაცვლილმა პოეტმა ჯონ კიტსმა მთელი თავისი შემოქმედებით უმღერა სილამაზეს და მისი ცხოვრების ესთეტიკური ფორმულა იყო: სილამაზე ქემშარიტებაა, ქემშარიტება კი სილამაზე, აი, ყველაფერი, რასაც მიხვდება კაცი და რასაც უნდა მიხვდეს. ამ სიტყვების ავტორი, ინგლისელ რომანტიკოსთა ბრწყინვალე თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მთელი საუკუნის მანძილზე დღეიწყებას იყო მიეცემული, თუმცა, საოცარი დადი დაასვა მომდევნო თაობათა შემოქმედებას და დღეს ევროპაში რომანტიკოს პოეტთა შორის უპირველეს პოეტადაა აღიარებული. გაიხსენოთ მაგალითები ჩვენი, ქართული ლიტერატურიდან. ვინ იცის, ბესარიონ გაბაშვილის სიცოცხლის წლებში რამდენი თხზავდა „ბესიკური“ ლექსებს, ისტორიას მხოლოდ ბესიკი შემორჩა. ვინ იცის, რამდენი მღეროდა რუსთაველის მოტივებზე,

ჩვენ მხოლოდ მას ეხსენებთ. ვინ მოსთვლის გალაკტიონ ტაბიძის მიმბაძველებს, დღესაც მრავლად არიან მისი ეპიგონები, მაგრამ გალაკტიონი ითვლება ახალი ქართული პოეზიის მესვეურად.

ყველაფერი ეს იმისთვის მოვიყვანეთ მაგალითად, რათა გვეთქვას: დრო და მხოლოდ დრო არის ყველაფრის განმსაზღვრელი და ქემშარიტი ნოვატორება უმეტეს შემთხვევაში საუკუნეთა შემდეგ კვლიდება.



ყოველი ეპოქა მწერლის წინაშე ახალ პრობლემებს აყენებს. პოეტს მუდამ ამოძრავებს სურვილი აუტრადლება მიაკციოს სინამდვილის იმ მხარეებსა და ასპექტებს, აღამიანთა სულიერი ცხოვრების ისეთ გამოვლინებებს, რომლებიც წინათ ამგვარი სიმძაფრით არ იცვებოდნენ, რომლებიც წინათ არ წარმოადგენდნენ მთავარსა და გადაწყვეტს. ამ ახალი პრობლემების დასაძლევად კი ახალი გზებისა და საშუალებების გამოხატვაა საჭირო. ეს ახალი საშუალებები მოინახება მხოლოდ და მხოლოდ კლასიკური ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე, კლასიკური მწერლობის მიერ შექმნილი გამოცდილების გამოიღრებთა და განვითარებით.

კლასიკური ლიტერატურის ტრადიციათა განვითარება არ გულისხმობს იმას, რომ ნოვატორმა მწერალმა უნდა დახატოს კლასიკოსების გმირთა მსგავსი ტრაჟედი. ქემშარიტი ნოვატორის საზრუნავია, აღმოაჩინოს ახალი დროის აღამიანი და მისი სახის ჩამოყალიბებისას გამოავლინოს საკუთარი თვალთახედვა, საკუთარი წერის მანერა. ნოვატორი მწერლის მიერ შექმნილი სახე ახალი აღამიანისა უნდა იყოს იგივე ახალი სიტყვა, ახალი მხატვრული აზრი, რაც სრულყოფილად იქნება გადმოცემული როგორც შინაარსით, ისე ფორმით.

ფორმის საკითხი განსაკუთრებული სიმძაფრითაა დასმული თანამედროვე პოეზიაში. შეიძლება ითქვას, ზედმეტი სიმძაფრითაც. ხშირად ზოგიერთი პოეტი ცდილობს „ორიგინალური“ ფორმის მეშვეობით მოხიბლოს მკითხველი და ამით მიჩქაროს თავისი შინაგანი სიტრაიელი. დაფაროს ის, რომ სათქმელი არც თუ ისე დიდი აქვს და გულისწუხილიც მეტად ბანალური. ზოგი მკითხველც ტყუილდება, რადგან ნაწარმოების წაითხვისას უმეტეს შემთხვევაში ამგვარად ასკენის: ლექსი მომეწონა იმიტომ რომ კარგი ფორმითაა დაწერილი. ძალიან ცოტანი იტყვიან ამას: ლექსი მომეწონა იმიტომ რომ მასში კარგი აზრია ჩაქსოვილი. მაგრამ კარგ ლექსში, ნამდვილად კარგ ლექსში, შინაარსი და ფორმა მთლიანობაშია მოცემული. კარგ ლექსში გვრჩება და ვანახლებთ ფორმისა და შინაარსს. გაიხსენოთ გალაკტიონის პატარა ლექსი „მამული“.

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველად არ გავიარებ — რაა მამული! წინაპართაგან წავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ურიაშულად. გამალა ველი ნელმა ნიავემა და შელანდება მე მის წიაღში მოხუცი მამა, მოხუცი მამა სასხლავით ზელში ღადის ვენახში. აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი მასზე ოცნებას დაემგვანება, ისევე ამწვანდა მდელი და კორდი... დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!

ამა, აქ რომელ ფორმასა და რომელ შინაარსზე შეიძლება ლაპარაკი განცალკევებულად. ასე რომ, სწორი ვიქნებით, თუ ერთ შემთხვევაში ვიტყვით: ფორმა და შინაარსი ერთი და იგივეა. ასევე სწორი დავრჩებით, როცა ფორმასა და შინაარსზე ვილაპარაკებთ, როგორც საიარის-პირო მნიშვნელობის მატარებელ ცნებებზე. ზნორად ახსენებენ ჩვენს კრიტიკაში ნაწარმოების კარგ ფორმას, მაგრამ ყველგან კარგი ფორმა მაინც ისეთია, რომელიც აძრელებული სამოსივით თვალს არ მოგპრის და სრულყოფილად გადმოგვეცემს, გამოხატავს მწერლის ჩანაფიქრს.

ლიტერატურის განვითარების წინსვლით ბუნება არ უნდა გვესმოდეს ისე, თითქმის ყოველი მომდევნო თაობა წინამორბედზე მეტი სიღრმითა და ძალით ასახავს ცხოვრებას, საერთოდ, ლიტერატურის განვითარების იგზ უაღრესად რთული და დახლართულია. იგი ზნორად ვაზზე იხრება. მაგრამ ყოველი დიდი მწერალი მისთვის განკუთვნილ სფეროში აუცილებლად აღმოაჩენს რაიმე ახალს როგორც აზრობრივად, ასევე ესთეტიკურად. ნოვატორი მწერლის მხატვრული თვალთახედვა ორგანულად დაკავშირებული ეპოქის იმ თავისებურებებთან, რომლებიც განსაზღვრულ პერიოდში პირველად ჩნდებიან ავანსცენაზე. ლევ ტოლსტოი წერდა: „მთავარია ისე შეიყვარო ცხოვრების რომელიმე მხარე, ისე იყო გატაცებული, რომ იმის გარდა ვეღარაფერს ხედავდე; ზოლი ამით დანახო ის, რაც მანამდე არაიხსენებდი. ამტომაც მთელი შენი ძალა უნდა მოიკრიფო, რომ რაც შეიძლება უკეთესად გამოიქვეყნო დანახული“ (ლ. ტოლსტოი, ტ. 2. გვ. 135).

ნამდვილი ნოვატორობა, ქეშმარიტი ორიგინალურობა თავისი ფესვებით ღრმადაა შეჭრილი კლასიკური მწერლობის ტრადიციაში. ნოვატორი ვერასოდეს გახდება ის მწერალი, რომელმაც არ იცის ყველაფერი, რაც შეიქმნა საუკუნეების მანძილზე. თანამედროვე ეტაპზე შეუძლებელია გახდეს, უბრალოდ, სერიოზული მწერალი ისე, რომ არ იცოდეს მსოფლიო და საკუთარი ქვეყნის ლიტერატურა, ვერ ერკვეოდ ძირითად ლიტერატურულ მიმართულებებში, არ იცნობდეს დიდ კლასიკოსებს. ნოვატორობა ნა-

ციონალურ ლიტერატურაში უნდა გვესმოდეს, როგორც ნაციონალური ტრადიციების განვითარება მსოფლიო ლიტერატურის ტრადიციის გათვალისწინებით, ამ ტრადიციების გამდიდრება და განვითარება.

ნოვატორული ძიებანი მუდამ ღვევის მხატვრული აზროვნების სფეროში. სწრაფვა ორიგინალურობისაკენ ის ძალაა, რომელიც მარადულობის სამოსით მოსავს არა მარტო ხელოვნებას, არამედ მთელ სამყაროს. როდესაც დღეს ქართულ კრიტიკაში ნოვატორობაზე ჩამოვადრება სიტყვა, შეუძლებელია არ გვახსოვდეს თანამედროვე ქართული პოეზიის (საერთოდ, მთელი თანამედროვე ქართული ლიტერატურის) მესვეურები, ერთ-ერთი ნოვატორები თანამედროვე ქართული სიტყვისა — მოდერნისტები. ათეული წლების მანძილზე ისინი „რეაქციონერულ“ და „ავადმყოფური“ აზროვნების შემოქმედებად ითვლებოდნენ. მოდერნიზმი საქართველოში შავი ქირივით იღვენებოდა, მაგრამ დღეს, როდესაც შედგვის სახით შეგვიძლია განეკუთვნოთ წინაპართა ნამოქმედარი, ყველა პატიოსანი ხელოვანისთვის ცხადია, რომ ჩვენი მოდერნისტები ნოვატორები იყვნენ. თუ რა ადარდებით მათ და რა სურული ამობრავებდათ, ეს შეგვიძლია გავიგოთ მათივე გამოსვლებიდან იმდროინდელ პრესაში:

„მთელი ტრაგიზმი ქართული პოეზიისა ის იყო, რომ პოეტები ჩამორჩნენ მშობლიურ პრიმიტივს და ევროპის რადიკალს კი ყოველთვის უარდა გვერდით ტფილისს...“ — (ყურანილი „მეოცნებე ნაიმორები“, 1923 წ., ტიციან ტაბიძის წერილი „ირონია და ცინიზმი“). კიდევ: „ბატონი შაბლონი დღეს მალაიას ვადადის ჩვენს ლიტერატურაში. მარტო პოლიტიკური ცხოვრება არ არის მისი მოდელი, ჭრილია დროგამაყვანილობაში შემოდის... ერთი ჩვენში უკვე სახელიანი კრიტიკოსი ურჩევს ახალგაზრდა მწერლებს რაფიელ ერისთავს მიბაძო...“ (ტიციან ტაბიძის წერილი „ცინიზმი“). და იქვე „ჩვენში სრულიად დავიწყებული სიტყვა... არ არსებობს შრომა, ქართული ლექსის ბუნებას რომ იკვლევდეს... ფორმას უნდა მიგქეცს დიდი ყურადღება, კიდევ ვიტყვი, ჩვენში, სადაც სიტყვა კარგავს თავის თვითმომბოღრებულს, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა უნდა მიეძღვას...“ ჩვენი სიმბოლისტები ებრძოდნენ ყოველივე დრომოქმედს, ინერტულს და უსარგებლოს. მათ თქვენს „მაგარი უარი რუტინის, ფილისტერობის და ესთეტიკური ბაზაროსობის წინააღმდეგ“ (ტ. ტაბიძე „ირონია და ცინიზმი“). იმ პერიოდში, როდესაც დადასტოვდა და ფუტურისტები ამსგვრედნენ ლექსს, ჩვენი სიმბოლისტები „ომებს იძლეოდნენ მართალი სონეტის წერისათვის“.

ციციანეანეულებს უხდებოდათ „ძირს ჩამოგდება მეშინური კრიტიკის და პოეტების დააწ-

ყებინეს ლექსებზე წერა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ამბავი არც ისე შორია, დღეს, როგორც არავინ კითხულობს, ვინ ააშენა კავკასიონის ქვედა, ისე არავინ კითხულობს, ვინ გადაავადო ქართული მწერლობიდან შემწანური კრიტიკა და შექმნა მოდერნისტული სტილი“ (ტ. ტაბიძე „დადაიზმი და ცისფერი ყანწები“). თანამედროვე პოეზიის მესვეურებმა: ს. შანშიაშვილმა, ალ. აბაშვილმა, გ. ტაბიძემ, ვლ. ვაფორიძემ, ვლ. ტ. ტაბიძემ და სხვებმა წინ წამოსწიეს ლირიკული პოეზიის უმთავრესი მოთხოვნა: რომ იგი უნდა იყოს გამომსახველი პოეტის სუბიექტური, შინაგანი ბუნებისა და მხატვრული სახეების მესვეურთა გვეგებინებდეს მის ზოგადფილოსოფიურ საგანთჭკვრეტას. ისინი მოითხოვდნენ, რომ პოეზიაში ყოფილიყო: ინდივიდუალიზმი, შემოქმედების თავისუფლება, დასწავლით ფორმულათა უარყოფა, ანტინატურალიზმი, ტენდენცია მხოლოდ იმ ხაზების ვაიმოციმისა, რაც ერთადამიანს მეორისაგან განასხვავებს, — სურვილი დაიჭიროს ის, რაც ატყობითა და სხვ.

მართალია, ჩვენს მოდერნისტებს შემოქმედების პირველ პერიოდში ახასიათებდათ ვადახრები ქვეშარბიტი გზიდან. მათ ჰქონდათ „მხვრევისა“ და „განადგურების“ სურვილიც. უსაფუძვლო არ არის მათდამი წაყენებული ბრალდება: ფორმალიზმი. სერგე ჰილაია სამართლიანად აღნიშნავს, რომ მოდერნისტებმა „ენობრივ ნატურალიზმს ფორმალში დაუპირისპირეს“, მაგრამ ყოველ მოვლენას თავისი მიზეზი გააჩნია და მიზეზი მოდერნისტთა მიერ ფორმით გატაცებისა. ჰილაიას იმავე ციტატაში ნახსენებია: ფორმალური დაუპირისპირე ენობრივ ნატურალიზმს. ამ ციტატაში ორიოდ სიტყვას შევცვლით აზრის გასაძლიერებლად და ვიტყვი, რომ მოდერნისტებმა პოეტურ ნატურალიზმს პოეტური ფორმალში დაუპირისპირეს, რადგან ციტატაში ნაგულისხმევ პოეტებს ახასიათებდათ არა მარტო ენობრივი, არამედ აზრობრივი ნატურალიზმიც. ზემოთაც აღვნიშნე, რომ დეკადენტური პოეზია ჩვენში ხელოვნურად როდი გადმოიწერება სახლავარგაგეთიდან. ზედმეტი გატაცება ფორმით, სიმარტული ზმანებებითა და არარეალური სამყაროს ჩვენებით იყო საპირისპირო ქმედება პოზიტიური ფილოსოფიიდან გამომდინარე იმ უხეში რეალიზმისა, რომელმაც ფეხი მოიკიდა მეოცე საუკუნის ათიან წლებამდე ქართულ სიტყვიერებაში. მეცხრამეტე საუკუნეში ამგვარი რეალიზმი ბატონობდა არა მარტო საქართველოში.

დეკადენტური პოეზია ისევე დაუპირისპირდა ნატურალიზმს, როგორც წინა საუკუნეებში სენტრალურალიზმი კლასიციზმს. უკიდურესობა იწვევს უკიდურესობას, მაგრამ ჩვენი მოდერნისტების უკიდურესობაში ზომიერების მარცვლილი დეიოდა, — მარცვალი სამყაროს რეალური ხილვის და გადმოცემისა. ამას ისიც მოწმობს, რომ

ოციანი წლებისთვის მოდერნისტები დაადგინენ რეალისტური ხელოვნების გზას. მაგრამ იმ პოეტთა მიერ რეალისტური ხელოვნების პრინციპთა შეთვისებაც არ მომხდარა მექანიკურად. ეს გახლდათ მათი შემოქმედების შემდგომი და აუცილებელი საფეხური, ეს გახლდათ აუცილებელი გრადაცია მათი პოეტური მსოფლმხედველობისა. ყოველი ქვეშარბიტი ხელოვნება არის რეალისტური (ამ ენების ფართო გაგებით) და ზემოთ ხსენებული პოეტებიც თავიანთი ჯანსაღი ბუნების წყალობით მიხვდნენ ამას.

მოდერნისტები გარდაამავალ ხანაში მოღვაწეობდნენ. ეს იყო გარდაამავალი წლები არამარტო საქართველოში (და არა მარტო სოციალურ-პოლიტიკურში), მთელი მსოფლიო ლიტერატურა იცვლიდა სახეს. დეკადენტური ხელოვნების კრდო მოძველდა და ჩვენს პოეტებსაც არ შეეძლოთ დეკადენტური „ობიში“ შემოფარვლულიყვნენ. ოღონდ, მათ თავიანთი მისია შეასრულეს. მათ ნაზრევში ქვეშარბიტებამ სძლია მცდარობას და ხსენებულ პოეტებზე საუბრისას კრიტიკოსი ვალდებულია მეტი პატივისცემითა და სიმპატიით განიმსჯელოს მათდამი, რადგან უსიმპატიოდ არავითარი კრიტიკა არ არსებობს.

იმ „მკვდარ“ პოეტთა ნათელი დღესაც შუქსა ჰფენს ჩვენს მხატვრულ აზროვნებას. მათი თავგანწირული სიყვარული და სამსახური სამეგალითა ახალგაზრდა შემოქმედთათვის. მაგრამ დასაფასებელი მინც ისაა, რომ მეოთხმეტე საუკუნის შემდეგ პირველებმა გაბედეს და სცადეს თავიანთი შემოქმედებით მხარი აეხდოთ მსოფლიო პოეტებისთვის. ერთ-ერთი სიმბოლისტი პოეტი წერდა: სიმბოლისტების მისია იყო და რჩება — გამართოს ქართული პოეზია მსოფლიო რაიუსით. იმ მოღვაწეებს კარგად ესმოდათ, რომ ხელოვნების შემოფარვლა მარტო ნაციონალური სახელებით არ შეიძლება. ხელოვნება — ეს ზოგადკაცობრიული ფენომენია და იგი ეკუთვნის ყველას. „თანამედროვეობა შეუბრალებელ კლანებში ახრანობს ძველს... ამ საბედისწერო მცვლელობას ვადარჩება მხოლოდ ის, რაც ძლიერია... თქვენ, პოეტებო, არტიტებო, მხატვრებო, მწერლებო, გრძნობთ თუ არა, რომ ჩვენს ეპოქას უნდა ანათებდეს მისი შესაფერი ხელოვნება, რომ პოეზია სამუდამო გამოცანა... უდიდეს რთიმეში ახლა უნდა ისმოდეს პლანეტათა შეჯახება... ქართული ხმა უნდა ისმოდეს ამ ფანტასტიურ დროს. ამერიკიდან ხელოვნების დევიზია: განახლება ან სიკვდილი. ძირს... დრომოქმედი და შემოქმედების უნარს მოკლებული ელემენტები. მომავალი საქართველოს წინაშე ჩვენ წარვსდგებით ამყანი იმით, რომ ამ პლანეტათა კივილში და ქვეყანათა მსხვრევის გრივალში ჩვენი ძახილი: სიკვდილი ან განახლება (გალაკტიონ ტაბიძის ჟურ-

ნალია, 1922 წ., № 3). ასე ესმოდათ ხელოვნების ნოვატორობა ოციან წლებში, ასე ესმოდათ მანამდეც.



არაან მწერლები, რომლებიც წერენ მხოლოდ იმას, რაც გაახსენდებათ საკუთარი ცხოვრებიდან, თუ წაითხულიდან. ეს მწერლები ყველაზე არასანატრესო შემოქმედთა ჯგუფს განეკუთვნებიან. უმეტესი მათგანი კომპილიაციის მიმართავს და მწერლობა იმიტომ სურს, რომ მოსწონს მწერლის პროფესია. არაან მწერლები, რომლებიც ფიქრობენ, მაგრამ ფიქრობენ მხოლოდ მაშინ, როცა მივადის მთესხდებიან, ესე იგი, ფიქრობენ მხოლოდ და მხოლოდ წერის პროცესში. ისინი საოცრად ბანალური გრძნობებისა და აზრების მატარებლები არიან. ფიქრობენ მხოლოდ ერთზე, — დაწერონ წიგნი, — და მათი აზროვნება წიგნის ჩარჩოვით ისაზღვრება. ამგვარი მწერლები გადაჭარბებულად ზრუნავენ ხალხზე ფორმაზე და ფორმით ცდილობენ მიჩქმალონ აზრობრივი სიღუბეებზე. და ძალიან ცოტა ისეთი, ვინც ფიქრობს მანამდე, ვიდრე წერას შეუდგებოდეს, ვინც თავად სავანზე ფიქრობს; ვინაც აწუხებს თავად სავანი და არა სავანი წიგნში. აი, ამ მცირეობაზე უმცირესნი კმნიან ნამდვილ ნაწარმოებებს. მათი საზრუნავი მუდამ ერთია: რაც შეიძლება მკაფიოდ გამოთქვან ნააზრები. აზრი და მხოლოდ აზრი (რა თქმა უნდა მხატვრული) შექმნის ხელოვნების ნამდვილ ნიმუშს. აზრისა და მსჯელობის უნარს მოკლებული ხელოვანი უბადრუკი სანახავია. დიდ ნაწარმოებებს შორის ვერ მოვნახავთ ისეთს, რომელსაც არ ჰქონდეს საკუთარი ფილოსოფია. და სწორედ ის მწერლები, რომლებიც ფიქრობენ სავანებზე, შექმნიან ორიგინალურ, ნოვატორულ ტილოებს, რადგან სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა საზრუნავი სავანი; სხვადასხვა ეპოქაში თუნდაც ერთი და იგივე სავანი სხვაგვარი კუთხითაა გაშუქებული და მოაზროვნე კაცო საკვირო კუთხით განსჭვრეტს მას.

ეურნალ „ვობროსი ლიტერატურის“ ფურცლებზე მწერალთა და კრიტიკოსთა წინაშე დასმული იყო ერთი ფრიად საინტერესო კითხვა: როგორ ზეგავლენას ახდენს განვითარება ცხოვრებისა (სოციალური ძვრები, მეცნიერული და ტექნიკური პროგრესი) ხელოვნების განვითარებაზე?

მართალია, ჭეშმარიტი ხელოვნება მისტიურობითაა გარემოცული და წარმოვედგება როგორც ასტრალური ფენომენი, მაგრამ იგი მაინც ადამიანისაგან წარმოიშობა, ხოლო ადამიანი, ნებით თუ უნებლიეთ, მიწასთანაა მიჯაჭვული და, ნებით თუ უნებლიეთ, განიცდის ყოფითი ელემენტების სახეცელილებას. მენტალი არ არის

დამოკიდებული ყოფაცხოვრებისაგან, რადგან ადამიანთა ნიჭი მტკიცებისა და უარყოფისა ყოფითი მოვლენებით არ განისაზღვრება. კეთილისა და ბოროტის გარჩევა, — რაც ზოგადად აზროვნების საწყისს წარმოადგენს, — თანდაყოლილი თვისებაა სულიერ არსებთა. მაგრამ მენტალის ვარა და არსებობს ცოდნა, რომლის რაოდენობაც პირდაპირ პროპორციულია ცხოვრების პროგრესისა. ცხოვრების განვითარება, მეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლა, ამიღრმებს ჩვენს ცოდნასა და გამოცდილებას. ყველაფერი იცვლება, ყველაფერი წინ მიდის, მაგრამ ერთი რამ მაინც მუდმივია — თავად ადამიანის ბუნება. ყოველ საუკუნეში ადამიანები იმით ვემსგავსებით ერთმანეთს, რომ თითქმის ერთნაირად შორსა ვართ ჭეშმარიტისაგან. ჩვენ ერთნაირად სუსტნი ვართ მიუწვდომლის წინაშე და ამიტომ არსებობს ზოგადი პრობლემები; პრობლემები, რომლებიც იმგვარადვე აწუხებენ თანამედროვე ადამიანს, რამდენადაც ვინმე ელინთა ხანის წარმომადგენელს. საუკუნეთა მიმართ ჩვენს წინ აღმართულია ერთი და იგივე სფინქსი, რომელსაც ყველა ერთგვარი მოწიწებით შევეცქირით.

თვალს ვერ ვუსწორებ შენს სიღაღეს. მინდა შენს ფერხითი წუთით დავეზხო. შენ, ძაღმცეული ეკლესიასტევი, მწუხარე სიბრძნევი, გულის გამტეხო.

დღეს დამე მოსდევს, ნათელს — ჩრდილები, დღე არ თვდებდა ეამის თარეში... დროს მხოლოდ შენ არ ემორჩილები, მხოლოდ შენ დგახარ დროის გარეშე.

გრ. აბაშიძე.

ამ სტრიქონებში ნათლად ჩანს, რომ ეს სფინქსი სამუდამო გამოცანაა. იგი გამოცანა იყო მისი მამუნებლისთვისაც და დღევანდელი მოაზროვნე კაცისთვისაც. ცხოვრების წინსვლა მხოლოდ იმ კუთხეებსა ცვლის, რომლითაც ამ სფინქსს შეპყრებენ ადამიანები. ცხოვრება ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს სრულყოფისაკენ და ადამიანები მთელი თავისი სიმძაფრით განიცდიან ცხოვრების ცვლილებათა გავლენას, განსაკუთრებით კი სოციალურ ცვლილებათა გავლენას. თუ რამდენად ზემოქმედებს მხატვარზე სოციალური ძვრები, ამასი დავრწმუნდებით ლიტერატურის ისტორიის ერთი თვალის გადავლებითაც. ერთი და იგივე პოეტიკი კი სახეს საოცრად იცვლის, როდესაც გარდაივალ ეპოქაში მოუხდება ცხოვრება. მაგალითისთვის ავლით გალკტიონის შემოქმედება: მისი ლექსები ოციან წლებამდე, ოციანი წლებიდან ოცდაჩვიდმეტი წლის დამდეგამდე და ორმოციანი წლების შემდგომ. რუსული ლიტერატურიდან: რევოლუციამდელი შემოქმედება ბლოკის, ნესტროვის და რევოლუციის შემდგომ. ეურნალ

„ეკობროსი ლიტერატურის“ ფურცლებზე ყველამ ერთნაირად აღიარა სოციალური ცვლილებების შემოქმედება ხელოვნების განვითარებაზე. ხოლო ტექნიკური პროგრესის ზემოქმედების განხილვისას მოსაუბრენი ორ ბანაკად გაიყვნენ: ერთნი უარყოფდნენ მის ზემოქმედებას, მეორენი აღიარებდნენ. პირადად ჩვენ პირველთა აზრს ვიზიარებთ და სასურველ ვეთანხმებით ვლადიმერ სოლოუხინს: „რაც შეეხება ტექნიკურ პროგრესს, რომელსაც ზოგიერთნი სოციალურ სახეცვლილებათა მნიშვნელობასთან აფიგურებენ, მას (ე. ი. ტექნიკურ პროგრესს) არავითარი არსებითი კავშირი არა აქვს ხელოვნებასთან. მეცნიერებას შეუძლია დაძრას ადგილიდან მთა ვერცხტი, მაგრამ ძალა არ შესწევს ოდნავ მაინც კეთილი ვახდლოს ადამიანის გული. ამის გაკეთება ხელოვნებას შეუძლია. უფრო მეტიც — სწორედ ესაა ხელოვნების მიზანი.

მეოცე საუკუნეში ატომგული იხილება. ეს უდავოა, მაგრამ, მაინც ატომგული იბომა შუაზე და არა სული ადამიანისა. ხოლო ადამიანის სულმა თუ დაიწყო გახლეჩა, მაშინ ხელოვნებაც ჩაყვდება“.

ამ სიტყვების წარმოთქმისას იგი იმდენად ამომწურავ პასუხს იძლევა, რომ დასამატებლად აღარაფერი რჩება. ადამიანები დღეს მთვარეზე მიფრინავენ. ისინი შედეგებზე მისწვდნენ ყველაფერს, ყოველ ფიზიკურ სხეულს, მაგრამ იმას, რაც ფიზიკურად არ არსებობს და იმას, რაც მუდმივ გამოცანადაა დასმული კაცობრიობის წინაშე, ადამიანები ხელონ ვერ მისწვდებიან.

ამ საკითხთან ახლოსა დგას „ადამიანისა და მანქანის“ პრობლემა, რომელიც დღეს მწვავედაა დასმული. მეცნიერების, კიბერნეტიკის განვითარება, მისი დონე იმდენად მაღალია, რომ სადაღე დაიჩრდილა ადამიანი. ზოგი იმდენად გააღანდირდა, რომ განაცხადა: ადამიანი მანქანაა. „სოვეტსკაია კულტურას“ სამ ნომერში დაბეჭდილი იყო გენადი პოსპელოვის წერილი „მეცნიერება და კულტურა“ (1965 წ., № 24, 26, 28), სადაც იგი აცხადებს: „მეცნიერებას ძალა შესწევს ახსნას შემოქმედებით პროცესის შინაგანი არსი... ჩვენ მტკიცედ გვჯერა: რომ ადამიანებს მომავალში ეყოლებათ პოეტი-კიბერნეტიკოსები (კრიტიკოსი აქ შედგელობაში ჰყავს პოეტი-მანქანები)“. ეს მანქანები შექმნიან ისეთ ხელოვნებას, რომელიც „...იქნება უფრო მშვენიერი, ვიდრე ხელოვნება აღმოცენებული მხოლოდ პირად ტალანტზე და შემოხედულთა ცალკეულ პიროვნებათა ცოდნითა და გაგებით“. მთელ ამ წერილში იგი გვიმტკიცებს, რომ მანქანა განდევნის პოეტებს და თავად შეუდგება ლექსების თხზვასო.

არინა ადამიანები, რომლებიც იმდენად გართულან მანქანებით, რომ მართლაც მანქანებით დაუწყიათ აზროვნება. მათ დაიწყებიათ, რომ

ადამიანი არ არის მართო ფიზიკური სხეული, რომ ხელოვნება არ არის მხოლოდ ცოდნის პროდუქტი. ის ადამიანთა სულიერი განცდების ნაყოფია. ხელოვნება არ არის მათემატიკა, სადაც ერთი ფორმულიდან ლოგიკურად გამოიძინა რეობს მეორის სისწორე. ხელოვანი მხოლოდ გადმოგვეცემს განცდილს, გვიჩვენებს იმ ცხოვრებას, რომელიც მასშია არეკლილი და მისი გონებით გადაშუაებული. ის გვიჩვენებს, გვიყვება, გვაშალებს, მაგრამ არასდროს არაფერს ამტკიცებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ფილოსოფიად მოგვევლინებოდა. კიბერნეტიკოსებმა, შესაძლებელია, მართლაც გამოიგონონ ისეთი მანქანა, რომელიც „დაწერს ლექსებს“. ოღონდ, ეს ნაწერი ვერ მოგვევლინება შემოქმედების ნიმუშად, რადგან მასში არ იქნება გადმოცემული სულიერი განცდები.

მანქანას შეუძლიათ აუწყონ ბრწყინვალე მექანიზმი, მაგრამ სულს ვერ ჩაუდგამენ.



მწერალთა და კრიტიკოსთა წინაშე ყურნალ „ეკობროსი ლიტერატურის“ ფურცლებზე დაისვა კითხვა: დამახასიათებელია თუ არა თანამედროვე ლიტერატურისთვის ლაკონიზმი და ექსპრესიულობა?

ლაკონიზმი და ექსპრესიულობა ყოველი ეპოქის ყოველ დიდ მწერალს ახასიათებს. დღეს, რა თქმა უნდა, მკითხველს თვალსა სურის ლაკონური ფრაზები, მაგრამ განა ყველა მწერალი ერთნაირად წერს? მაგალითად, ფოლკნერთან შეუძლებელია ლაპარაკი ლაკონურობაზე. მაგრამ იგი იმავ დროს საოცრად ლაკონურია. ლაკონური იყო შოთა რუსთაველი, რომელიც ამბობდა, გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო.

მწერლის ლაკონურობა, ალბათ, გულისხმობს იმას, რომ მხატვარს მუდამ უნდა ჰქონდეს ზომიერების გრძნობა. მწერალი უნდა ყვებოდეს, ძირითადი შტრიხებით უნდა გადმოგვეცემდეს სათქმელს. ნაწარმოების შეფასება არ შეიძლება იმით, თუ რამდენად ლაკონურია იგი. მწერლის თანამედროვეობა განისაზღვრება არა ლაკონურობითა და ექსპრესიულობით, არამედ თანამედროვე პრობლემების თანამედროვე ფილოსოფიის დონეზე აყვანი. არც იმით გამოაჩვევის თანამედროვე მწერლის ნოვატორია ხასიათი, თუ რაზე წერს იგი: ქარხნებსა და დიად მშენებლობაზე თუ რაინდებსა და გარდასულ საუკუნეთა გმირებზე. ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია აზრი, თითქმის პოეტი, რომელიც ქარხნებზე წერს ნოვატორია, ხოლო ვინც მეფეებსა და ისტორიულ მოვლენებზე — არქაული. თუ მწერალი სწვდება წარსულ საუკუნეთა ცხოვრებას, ნაფიქსსებდა უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ ის ახალ ცხოვრებასაც კარგად იგებს. პოეტი, რომელიც სევეტიცხოვლის

ჩუქურთმების ღირსებას შენიშნავს, თანამედროვე არქიტექტურის მნიშვნელობასაც ჭარბუნად დააფასებს. დრო ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი ფაქტორი არ არის. მთავარი ის კი არ არის, თუ რას ზედაც: თამარის სახეს თუ თანამედროვე ქალაქის პროსპექტზე მიმავალ ქალიშვილს. მთავარია სწორად დიანახო, სწორად შეიგარჩონ ის, რასაც ზედაც და რაც შეიძლება უკეთ გამოხატო. საერთოდ კი, ხელოვნებაში მთავარია შედეგი და არა საშუალება, რადგან ყოველი მხატვრული ტილო შედეგის სახით გვევლინება.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყოველ მწერალს ელის ერთი საშიშროება: საქმის გასაიოლებლად ხელი მოჰკიდოს ძველის აღდგენას, ძველის გადმოღებას. ან კიდევ, უცოდინარობისა და უღონობის გამო ერთმანეთისაგან ვერ გააჩიოს ნამდვილი და მეორეხარისხოვანი, საჭირო და უფარგისი, სიცოცხლისუნარიანი და დრომოკმული. მეორე საშიშროება ისაა, რომ მწერალმა არ აღიქვას ტრადიცია, როგორც შეუცვლელი საგანი, არ გაიგოს ისე, თითქოს იგი მიუყარებელი რამაა. ორიგინალურმა, ნოვატორმა პოეტმა არამც და არამც არ უნდა განიზრახოს განვლილი ეტაპების დაბრუნება. პირიქით, მან ხელი უნდა შეუწყოს ცხოვრებას, რომელიც თავისთავად ცდილობს ყოველ ახალ ეპოქაში შექმნას რაიმე ახალი და ორიგინალური. მაგრამ ძალიან ზედაპირულია ის აზრი, რომლის მიხედვითაც ორიგინალური პოეტი უშუალოდ ცხოვრებიდან იღებს მასალას,

ხოლო „გაკეთებული“ პოეტი მხოლოდ კლასიკური ლიტერატურის ტრადიციების კომპილაციას ეწევა. თუ ამ საკითხს ღრმად ჩაუუყვარდებით, დაეინახავთ, რომ მართლაც, „გაკეთებული“ პოეტი ისაა, ვინც ლიტერატურას ცხოვრებად თვლის, ე. ი. რომელსაც ეშლება, რომელია ლიტერატურა და რომელი — ცხოვრება.

ნოვატორი პოეტი მეოცნებე, სენტიმენტალური თვლით არ შეხედავს წარსულს. ჭარბუნად, ყოველი ტრადიცია (საუკეთესოც კი) აუცილებლად შეიცავს ორ მხარეს: კარგსა და ცუდს. ამიტომაც, წარსულში დადგენილი წესები და ადათები კრიტიკას იმსახურებს. მეორეც ის, რომ ტრადიცია მართო გრძნობებისა და სიმპატიების საგანი არაა. ყოველი მომდევნო თაობის მწერლებს მოეთხოვებათ: კარგად შეიხირონ, რომ ტრადიცია ინტელექტის გარეშე, კრიტიკული განჭვრეტის გარეშე, უფარგისი ფენომენია. ყველა მომდევნო თაობამ უნდა გამოარკვიოს რა იყო წარსულში ისეთი, რისი შენახვაც შეიძლება, რისი ვადრმავებაც საჭიროა, რა არის ისეთი, რაც უფარგისია. ხოლო, რაც მთავარია, ყოველ თაობას მოეთხოვება შეისწავლოს მის ხელთ არსებული საშუალებანი, რომ შექმნილი სახეებით აღზარდოს იმგვარი საზოგადოება, როგორც ყველასათვის სისურველი და საჭიროა. მაგრამ ხელოვანი ვერასდროს გაიგებს თავის დანიშნულებას, სანამ უზრალო აწმყოთი ცხოვრობს, სანამ იგი არ იცხოვრებს იმ აწმყოთი, რომელიც თავისთავად სხვა არაფერია, თუ არა წარსულის შემდგომი საფეხური.



ნიონაის საყუჩოაი



როსა ნიონი დაბაჟიქრებს...

ნოღარ ზურაბანიძე — „სვინა, რემისორი, მსახიობი“,
გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“

ხელთა გვაქვს წიგნი, სერიოზული, დაფიქრებული, ბევრგან ლიტერატურული არტისტიზმის დონემდე ამაღლებული. მის ყდაზე გამოსახულია სვეტზე გაკრული კომედიისა და ტრაგედიის ნიღბები. ამ გრაფიკულ კომპოზიციაში არ იგრძნობა თეატრალური, საზეიმო განწყობილება, იგი არც სუპერის პლაკატურ იერს ეთანხმება.

ავტორი არ იფარგლება თეატრის ისტორიით ან ცალკეული სპექტაკლების რეცენზირებით. ყოველი საკითხი და პრობლემა თეატრის დღევანდელ დღესთან, მისი განვითარების პერსპექტივასთანაა დაკავშირებული, ყოველი მსჯელობა, ყველა მოსაზრება ქართული თეატრის ბედსა და მომავალზე ფიქრია.

სტერნს უთქვამს — „მზად ვარ ფეხით გავიარო ოცდაათი მილი კაცის სანახავად, რომელიც იმით დატკბება, რაც მოეწონა, და სხვას არ ჰკითხავს — რატომ და რისთვის“.

თეატრმცოდნე სწორედ ის „სხვაა“, ვისაც უნდა ახსოვდეს — ჩვენ ბევრი რამ მაშინ მოგვწონს, როცა დამაჯერებლად აგვიხსნიან, თუ რატომ უნდა მოგვწონდეს და თანაც იმდენად არ დაუპირისპირდებიან ჩვენს უშუალო

შთაბეჭდილებას, რომ საბოლოოდ დაგვაბნინონ.

ამჯერად ჩვენ უფრო ტექსტის კომენტირებას ვაყვებით, თუნდაც იმიტომ რომ ნ. გურაბანიძის სტატიათა კომენტირებაც კი თანამედროვე ქართული თეატრის სასიცოცხლო პრობლემებს უკავშირდება.

კრებულში ათი სტატიაა დაბეჭდილი, განსაკუთრებით პირველზე — „რეჟისორი ეძებს თეატრს“ — შევჩერდებით.

ეს სტატია იმის დასაბუთებაა, რომ ჩვენ მხოლოდ თეატრალური ტრადიცია კი არა, მომავლისთვის გამიზნული თეატრალური ფორმების ძიებათა დიდი ტრადიციაც გვაქვს.

ჩვენთვის ს. ახმეტელის სახელი ქართული თეატრის ისტორიაა, ეროვნული სცენის აღმავლობისა და გამარჯვებათა გუშინდელი დღეა, მაგრამ ნ. გურაბანიძემ თვალნათლივ დაამტკიცა, რომ ამ ისტორიის საფუძველი და არსი, სანდრო ახმეტელის ფიქრი და ზრუნვა, დღევანდელ დღესთან, სცენის დღევანდელ არსებობასთან უშუალოდ არის დაკავშირებული.

შეიქმნა ვმირულ-რომანტიკული თე-



ატრი. ს. ახმეტელმა იცოდა, რომ მიღწეული გმირულ-რომანტიკული სტილი არ ემართა „საბოლოო და სრული გამარჯვებისათვის“, იგი ეძებდა ამ სტილის განვითარების ახალ გზებსა და ფორმებს. მან ნათლად ჩამოაყალიბა თავისი კონცეფცია — „ყოველდღიურ საქმიანობაში მე ვხედავ უდიდესი აზრების მატარებელ გვიანტებს... მე არ ავსახავ იმ ადამიანებს, რომლებიც კანტორაში მუშაობენ, არ ვლაპარაკობ, როგორ მუშაობს, როგორ დადის ტრამვაით საბჭოთა მოქალაქე... მე მინდა ვილაპარაკო იმაზე, თუ რა ახალი აზრებით ცხოვრობს იგი... ჰეროიკული თეატრის, დიდი აზრის თეატრის გარეშე ჩვენ ცხოვრება არ შეგვიძლია...“ ეს პრინციპი რეჟისორისთვის ხელშეუხებელია, მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში არ გახდებოდა „ერთხელ შეთვისებული მეთოდისა და თეატრალური ფორმების ტყვე“, — წერს გურაბანიძე. მხოლოდ იმის ასახვას უარყოფდა, რაც მაღალი აზრის, მაღალი იდეის გამოშვებული არ იქნებოდა. მისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ოსლოპოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბოეტურ გახელებას“, მაყურებლის სულიერი სამყაროს გარდაქმნას; ამისთვის აუცილებელი, დროის მოთხოვნილების შედაფერისი ფორმების მიგნებას.

სანდრო ახმეტელმა ისიც კარგად იცოდა, რომ მოსალოდნელი იყო „ფსევდორეალური წვრილმანების“ გაბატონებაც. რა დასამალია, რამდენიმე ტენდენციის (დაწყებული ნეორეალიზმით და დამთავრებული „ბუნებრივობის“ უცნაური ვაგებით) გამო, „ფსევდორეალური წვრილმანები“ კარგა მაგრად მოგვეძალა და, თურმე ნუ იტყვი, აქ „ინტელექტუალობის“ გამოვლინების ახალ ფორმებთანაც კი გვაქვს საქმე. ინტელექტუალობის საკითხი ქართულ ხელოვნებაში ის ალქიმიური ქვაა, რომლითაც დღეს ბევრი რამის გამართლებას ცდილობენ და, უმეტესად, ამოიღ.

კვლავ მივმართოთ ს. ახმეტელს — სამხატვრო თეატრი „ყველა თავის დად-

გმაში არ დალატობს ერთიანი, მთლიანი განცდის კანონებს, ამ კანონით აღწევს დადგმის შემადგენელი ნაწილების იმ ფაქიზ ჰარმონიას, რომელიც საიმედო პირობაა ავტორის მხატვრული იდეის ღრმა და ყოველმხრივი გაშუქებისათვის“.

ლიტერატურაში „ერთი, მთლიანი განცდის კანონის“ დარღვევა კომპოზიციურ სიძვიფესა და ეკლექტიზმს იწვევს. თუ გავიხსენებთ თაბამედროვე სპექტაკლების უმრავლესობას, საფიქრებელია, რომ თეატრში ამ კანონის დარღვევას უფრო მკვეთრად გამოხატულ ეკლექტიზმამდე მივყავართ.

„არ შეიძლება ყოველ დრამატულ ნაწარმოებს თავს მოახვიო ერთი და იგივე სტილი, მოაქციო იგი ერთი განწყობილების ფარგლებში, გამოუნახო ერთი და იგივე რიტმი“ (ს. ახმეტელი).

როცა ირღვევა ეს პრინციპი, ირღვევა „თეატრალური თეატრის“ პრინციპიც. როგორი გამართლებაც უნდა გამოუძებნონ სცენაზე გაბატონებულ ერთ სტილსა და ერთ რიტმს, ჩვენ მაინც იმ ფორმების მოძიებას ვართ, რომლებიც თეატრის საზეიმო, ნაირფერ, მრავალმხრივ თეატრალობას ანიჭებს. ჩვენ გვეკრძება საზეიმო განწყობილება, (რაც, სხვათა შორის, სრულებით არ გამოიციხავს თავშეკავებას, ლირიზმსა და, თუ გნებავთ, დაწვეულ ტონსაც). ეს ოდითგან მოგვდამს. ჩვენი მშობლები თეატრში დაიდგადნენ, როგორც ტაძარში, მათთვის უცხო იყო ის ირონიული დამოკიდებულება, რაც მაყურებელმა თეატრისადმი და პირუტყუ, თეატრმა მაყურებლისადმი დღეს გამოიმუშავა.

„რუსთაველები ერთი რიტმის თეატრი როდი ვართ“, — აცხადებდა ახმეტელი.

სპექტაკლისა და თეატრის რიტმი, რის „პედალირებასაც“ ს. ახმეტელი მასობრივი სცენების რიტმული დამუშავებით აღწევდა და რაც პიესის შინაგანი რიტმის, ხასიათის შესატყვისი ფორმა იყო, თანდათან გადაიზარდა, ნ. გურაბანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ,

„უაზრო ტრიუქში“, თავისთავად, უმიზნო რიტმულ მოძრაობაში.

კონფლიქტი საზოგადოებასა და თეატრს შორის მწვევედ მიმდინარეობს და კომპრომისი გამორიცხულია, — აღნიშნავს ნ. გურაბანიძე. „სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვეთა გემოვნებისა და მათი სულიერი მოთხოვნილებების საუკეთესო მისწრაფებანი ვაივო, თორემ ცხოვრებაში ზოგჯერ ბანალობა და ტრივიალური გემოვნება ისე ძლიერია, როგორც მისი ანტიპოდი“.

„ძიებათა შორის მთავარია პრობლემების ძიება“, — ამბობს ს. ახმეტელი.

„ს. ახმეტელისთვის, — წერს ნ. გურაბანიძე, — უდიდესი მნიშვნელობის პრობლემა იყო თეატრისა და მსაყურებლის ერთიანობა“, მაგრამ ს. ახმეტელი ამ ერთიანობაში გულისხმობდა თეატრის ესთეტიკურ და ეთიკურ ზემოქმედებას მსაყურებელზე.

როდესაც ჩვენ „დავუშვით“ ბანალურის არსებობა ადამიანის ცხოვრებაში (თავისთავად ამის კატეგორიული უარყოფა კვლავ სქემებთან დაგვაბრუნებდა), როგორღაც ისე მოხდა, რომ ბანალური მივიჩინეთ დიდი ღირებულების მქონე მოვლენად, ნაცვლად იმისა, რომ შევბრძოლებოდით „ბანალურსა და ტრივიალურს“, იგი ხელოვნების თემად დაქცეოდა და „ფსევდორეალური წვრილმანებიც“ საკმაოდ მოგვეძალა.

რასაკვირველია, ყველაფერი ეს უბრალოდ, ერთ დღეში ან ერთი პიროვნების სურვილისამებრ არ მომხდარა, მას სხვა, არანაკლებ სერიოზული მიზეზებიცა აქვს. როცა ნ. გურაბანიძე იწყებს მსჯელობას ს. ახმეტელის დამოკიდებულებაზე შექსპირის დრამატურგიასთან, ეს მიზეზებიც თავისთავად იჩენენ თავს.

ს. ახმეტელი შექსპირის დრამატურგიაში უპირველეს ყოვლისა „ახალი მონუმენტური ფორმების გამართლებას“ ხედავდა.

„უბრალო, ყოფითი ლოგიკით ვერ დაიბერ შექსპირის „ელემენტრული

გენის“ სკდომას და დუმილს, ძალთხმევას, რომელიც წინააღმდეგობის ზრდასთან ერთად იზრდება, ვერ გადმოსცემ წყალქვეშა, ზოგჯერ ზემოთ აღმოხეთქილ მდინარებას პყრობილი და ტანჯული სულისას...“ (ნ. ოხლოპკოვი).

ნოღარ გურაბანიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რა გართულებების გამოიწვევა შეუძლია გამირულ-რომანტიკული თეატრის ესთეტიკის დოგმად გადაქცევას: „პათეტიკურობის გადაზრდა ცრუ პათოსში, ზეაწეული ტონის, სპექტაკლის მეტაფორულობის — ცრუ რიტორიკაში, ხოლო რიტმული მოძრაობის — უაზრო ტრიუქში“.

ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იცოდნენ, რომ პათეტიკურ სტილს შესაძლოა მოჰყვეს ე. წ. პარენტირისი — ყალბი პათოსი (აღბათ ბევრ მსაყურებელს დაუფლება უხერხულობის გრძნობა სპექტაკლ „ჰამლეტში“ კლავდიუსის ლოცვის ცქერისას). „პარენტირსმა“ (დავესესხოთ ანტიკურ ავტორს) უკურეაქცია გამოიწვია — რასაც არა ერთგზის აღნიშნავს ნ. გურაბანიძე — უკურეაქციამ კი ამავე სტილის ოღითგანვე ცნობილ მეორე უკიდურესობაში ჩავვაგლო, რასაც „ცივ მეტყველებას“ უწოდებენ, ერთი სიტყვით, ყალბი პათეტიკიდან არა ნაკლებ ყალბ გულგრილობასა და სიცივიმდე მივდივით.

როგორც ვხედავთ, არაფერი მოულოდნელი არ მომხდარა, ხელოვნებაში ბევრი მიმართულება გადაქცეულა ბოლოსდაბოლოს საკუთარი თავის ანტიპოდად. საქმე ის იყო, თუ რითი იცვლებოდა იგი, რა ახალი ფორმა დაიკავებდა ძველის ადგილს.

ს. ახმეტელმა იცოდა, რომ გამირულ-რომანტიკული თეატრი შეიძლება „თავის ანტიპოდად“ გადაქცეულიყო და, ძირითადად, ეს პროცესი ზომიერების გრძნობის დაკარგვასთან იქნებოდა დაკავშირებული.

ეს ფაქტია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გამოსავლის ძიებამ არანაკლებ მანკიერ ვითარებამდე მიგვიყვანა.

ნ. გურაბანიძეს საგანგებოდ მოჰყავს ს. ახმეტელის სიტყვები — „შექსპირი უნდა გადავჭრათ გახელებული თეატრალიზმით“, იქვე მიჰყვება რეჟისორის შეხედულებათა განვითარებას, იმის დასასაბუთებლად, რომ ამ „გახელებას“ ს. ახმეტელი არ თვლიდა ერთადერთ და საბოლოო ფორმად, მაგრამ გადაჭრით უარყოფდა „უბრალო, ყოფით ლოგიკას“.

„ჩვენ როდის ვართ ერთი რიტმის თეატრი“, — წერდა ს. ახმეტელი თავის თეატრზე. „ჩვენ არ უნდა ვიყოთ ერთი რიტმის თეატრი“ — ასე იკითხება ფრაზა, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვდუმდეთ, როცა როზოვის დრამატურგიის შესაფერი რიტმი და „ყოფითი ლოგიკა“ რაღაც „მანქანებითა“ და გზებით შექსპირის დრამატურგიაზეც ვრცელდება.

დავუშვათ, ჩვენი წარმოდგენა მოძველდა და, მაგალითად; „მეფე ლირი“ დრამატურგიულად სუსტი პიესაც კია (ასეთი აზრიც გვსმენია), დავუშვათ ე. წ. პარენტისს უნდა ვავემიჯნოთ... დაშვება ყველაფრისა შეიძლება, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა გვახსოვდეს, თუკი სცენაზე ტრაგედიის განხორციელებისას უარყოფთ მეფე ლირის გამოფხიზლების, „გაადამიანების“ ტრაგედია ლირის „გაბავშვების“ დრამად დაქვეითდება.

ჩვენი მიზანი არ არის, რომელიმე სპექტაკლის განხილვას მივყოთ ხელი (შორს ჩვენგან, ცთუნებავ, საამისოდ თეატრალურ რეცენზენტთა მთელი „ორდენია“ დაარსებული), არც ის განვიზრახავს, რომ ზოგადკაცობრიულის დამადასტურებელი უცნაური არგუმენტები ვეძიოთ. თუმცა ნუ იტყვით, ყაბალახისებური თავსაბურავი იმის საბუთია, რომ ლირის ტრაგედია ყველგან შეიძლება მოხდეს, და, რაკი ყველგან შეიძლება მოხდეს, ზოგადკაცობრიულია. ასეთი იყო ერთ-ერთი რეცენზენტის საოცარი მიგნება. კეთილი... მაგალითად კორუპციის, სიძვისა და მრუ-

შობის შემთხვევებიც ყველგან შეიძლება მოხდეს, ამას სმოკინგში გამოწყობილი ჟოკეი-კლუბის წევრებიც სჩადიან და ბურნუსიანი, ჰაშიშით ზედვადობინდული შეიხებიც, მაგრამ ჭერჯვრობით არავის მოსვლია აზრად, ამ მოვლენათა ზოგადკაცობრიულობაზე ემსჯელა, მითუმეტეს, არავის უთქვამს. სმოკინგი, ბურნუსი ან ჩალმა ამის ურყევი დასაბუთებააო.

ყოფილხართ როდისმე თეატრის ცარიელ დარბაზში, მოვისმენიათ საზეიმო დუმბილი, ვიგრძენიათ მისი ტაძრისებური, იდუმალი სიმშვიდე, საცხე მოგონებებითა და დაპირებებით? ჩემზე უხალხო, უმსახიობო დარბაზმა გაცილებით მძაფრი „შექსპირული“ შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე იმავე დარბაზში ამეტყველებულმა შექსპირმა. და აი რატომ:

გაქრა შექსპირისებური „ტრაგიკული კოლიზიის გრძნობა, მისი გამოხატვის ტიტანური ძალა“, მიიჩქმალნენ კონტრასტის პრინციპით დღაგებულნი წყვილები, დაიკარგა „ძლეული ადამიანის სიდიადე“, ანტიკური ტრაგედიის გრანდიოზულობიდან წამოსული ტრაგიკული გენია დანაწევრდა, საღდაც ორკესტრის სიღრმეში ჩაფანტულ ბგერებად იქცა და ლირი, მსხვერპლი საკუთარი სიდიადის უსაზღვრო შეგნებისა, მსხვერპლი ქეშმარიტების იმ შეცნობისა, რაც ტრაგედიას ბედისწერასთან (წერა-მწერალთან) შეკიდების ტიტანურ მასშტაბებს ანიჭებდა, — მიტოვებული, გაცბუნებული, სიყმაწვილეში შთავარდნილი ბერეკაცის ვაი-ვიშად გადაიქცა.

და კიდევ...

აღარ არსებობდა სივრცე, მანძილი სცენასა და მყურებელს შორის, რის გამოც გაქრა ამაღლებულისა და ტრაგიკულის ძლიერი განცდა.

როცა სცენა უერთდება დარბაზს, როცა როზოვის გამრები აქვე, შენს წინ ეალერსებიან ერთმანეთს, ხოლო კოჰოუტის პერსონაჟები დარბაზში ჩაშლიან და შენს გვერდით, ცარიელ სავარ-

ძელში იკალათებენ, არაფერია უჩვეულო. რადგან არ არსებობს დიდი მანძილი მათი ცხოვრების ფორმებსა და შენი ცხოვრების ფორმებს შორის. როცა უცებ თვალახელილი ღირი, მთელი თავისი იმპულსური ბუნებით შეხლილი ჭეშმარიტებას, შერყეული იმის შეგნებით, რომ წილი საკუთარი არსებისა შეიძლება საბედისწერო წყევლად გაიხედეს და „წერა-მწერალი“ დაცვაღეწავს იმის გამო, რომ შენი პირადი სიმართლის უზენაეს არავითარ სხვა სამართალს არ სცნობდი, როცა ასეთი ღირი „ცივი მტყველებით“ ვიყვება თავისი დიდებულების დაქვევის ამბავს, უჩვეულოა მანძილის გრძობის დაკარგვა.

ბ. შოუ წერს — „თანამედროვე რეჟისორებსა და მსახიობებს მხოლოდ ამ ბოლო დროს გაუნათა გონება აზრმა — ფრიად ორიგინალურმა — თურმე შექსპირი შეიძლება ისე ითამაშო, როგორც თვითონ წერდა და არ გამოიყენო მისი პიესები იმისთვის, რისთვისაც გუგული ბედურას ბუდეს იყენებს“.

შემდეგ კი შოუს ირონია სარკაზმში გადადის, — ინგლისურ სცენაზე გარიჟიჟიდან მოყოლებული მხოლოდ იმას ცდილობდნენ, შექსპირი თეატრისათვის მოერგოთ, — „მათ, რასაკვირველია, ეჩვენებათ, რომ აღმჯობესებენ და სრულყოფენ პიესას, მაგრამ რას უნდა მიადლონ, თუ არ გაუხეშებდასა და დამახინჯებდას. მით უმეტეს, როცა რეჟისორი ყოველმხრივ ჩამორჩება ავტორს, ხომ მოგესხენებათ, ასეთი შემთხვევებიც ხშირია“.

ნუ გავიგებთ ისე, თითქოს „ტრაგიკული კოლიზიის გრძობა, მისი გამოხატვის ტიტანური ძალა“ საბაბს ვვაძლევს ლომისებრი ბრდღენვა და ეგზალტაცია მოვიტხოვოთ.

ასპაზია პაპატანასიუს სპექტაკლების ნახვის შემდეგ (ნ. გურაბანიძემ მას უაღრესად პოეტური და შთაგონებული სტატია მიუძღვნა) მაყურებელს ადვილი შესაძლებელია დაბადებოდა კითხვა — რაოდენ იყო ეგზალტირებული ასპაზიას თამაში?

ასპაზია მოთქვამდა, იბრძოდა, ნ. გურაბანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ — „ეს გოდება მე ყოველთვის მაგონებს ბლავილს ცხოველისას, რომელიც გაშმაგებული დასცქერის დანთხულ სისხლს“. ეს იყო აზვირთებული სულიერი ტყვილის ბუნებრივი გამოხატვა, იქნებ მხოლოდ ერთი მსახიობის თეატრი, მაგრამ ჭეშმარიტი თეატრი. ჩვენ გვესმოდა ასპაზიას გულისგამგმირავი მოთქმა-გოდება და არ გვსმენია ასპაზიას ყვირილი.

„რა შეადგენს ს. ახმეტელის შემოქმედების მთავარ ძალას, რა არის ის ტრადიცია, რომელიც ქართული თეატრის პრაქტიკაში შემოდის?“

უპირველესად მისწრაფება ეპოქის მთავარი ტენდენციების გამოხატვისკენ, ის, რაც შეადგენს ხალხის ინტერესების ძირითად სფეროს, უნდა იყოს თეატრის ასპარეზი, საზოგადოებამ არ უნდა გაუსწროს თეატრს იდეების სერიოზულობითა და მაღალი გემოვნებით. თეატრმა არ უნდა დაკარგოს ეს მასშტაბები და ვრცელი არეების დამორჩილების შესაძლებლობა. პრობლემა, თუკი მასში არის პროგრესის ტენდენცია, თეატრმა უნდა აღიქვას რაც შეიძლება უფრო ფართოდ, ზეაწეულად და დამოკიდებულება მისდამი (რეჟისორის, მსახიობის, მხატვრის) ასევე უნდა იყოს გაზრდილი“.

ეს ადგილი კომენტარს აღარ საჭიროებს.

გვირულ-რომანტიკული თეატრის პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ს. ახმეტელმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოანდომა, არ აღმოჩნდა ვარდასულ დღეთა პრობლემა. ის, რასაც ნ. გურაბანიძე „შ. რუსთაველის პლასტიკური გმირების შინაგან სულიერ ინტენსივობას“ უწოდებს, ჩვენს ეროვნულ ხასიათთანაა დაკავშირებული. უფრო სწორად, „შინაგანი სულიერი ინტენსივობა“, პოეტურობა და თანდაყოლილი არტისტიზმი ჩვენი ხასიათის განუშორებელი თვისებაა და ამის დავიწყება არ შეიძლება (თანდაყოლილი არტისტიზმი ზოგჯერ

აქტიორული დაოსტატების ხელისშემშლელი პირობაც კი აღმოჩნდა, რადგან ბუნებრივად მოცემულმა თვისებამ დაასუსტა შინაგანი დისციპლინა).

„სამწუხაროდ მან (ს. ახმეტელმა) ვერ მოასწრო ჰეროიკული ფორმებისათვის შესატყვისი ფსიქოლოგიური სიღრმის მინიჭება. დაუშვარებელი დარჩა გმირულისა და ფსიქოლოგიურის ერთიანობის მრავალმხრივი პრაქტიკული შემოწმებაც“ (ვ. კიკნაძე). ეს შეარწყმა მოითხოვდა დიდსა და სერაოზულ, ხანგრძლივ მუშაობას. ეს, ფაქტურად, იქნებოდა სრულიად ახალი თეატრი, ახლებური სახისა და სტილის. ახმეტელმა გაიარა მხოლოდ გზის ნახევარი.

ნ. გურაბანიძე არ არის რომელიმე სტილის ბრმა აპოლოგეტი. იგი ცდილობს წარმოიდგინოს ერთიანი ქართული თეატრი, მრავალმხრივი, თეატრალური, ამაღლებული, სადაც ჭეშმარიტი თეატრალური სინამდვილე, სიმართლე განხორციელებული „მართლა სცენიური მოქმედებით“, მკვეთრად გაემიჯნება ფსევდორეალურსაც და ფსევდოჰეროიკულსაც.

წერილში „ასპაზია პავატანასიუს ტრაგიკული მუზა“ ნ. გურაბანიძე წერს — „ესქილეს წინამორბედი ტრაგიკოსი პოეტი თვისზე გმირობას სჩადის, როცა ერთ მოქმედ პირს გამოჰყოფს ქოროდან და მას მცირე სამოქმედოს აძლევს.

...საუკუნეები დასჭირდა ანტიკურ გენიას, რათა გახვედრული სამყარო აემოძრაებინა პლასტიკურ ქმნილებებში, ქანდაკებასა, არქიტექტურასა და ტრაგედიაში“.

ჩვენ ეს ადგილი იმის ნათელსაყოფად მოვიტანეთ, თუ რაოდენ ძნელია (გმირობაა) ახლის მიგნება, ძველის, დაკანონებულის წილიდან ახლის გამოყოფა. ანტიკურ ტრაგედიას არ უარუყვია ქორო, მან ახალ სასიცოცხლო ფორმებს მიაგნო და დაპირისპირება არ გადაზრდილა უღმობელ წინააღმდეგობაში.

თეატრში მიმდინარე პროცესებსა და ლიტერატურულ პროცესებს შორის ბევრზე ბევრია საერთო (ბოლოსდაბო-

ლოს, ქართული დრამატურგიის მენტორი წილი ლიტერატურული ნაწარმოებების ინსცენირება და თვით ინსცენირებამაც კი თავისი დალი დაატყო თეატრს).

მაინც რითი გვიზიდავდა ყოფითობა, დაწეული ტონი, დამცხრალი გზნება? მოჩვენებითი სისადავით, განუცდელი და უჩვეულო შეკავებული ინტონაციით. სხვათა შორის, თუ შეიძლება ასე ითქვას, სოციალური მოტივების საკმაოდ უსუსური სპეკულაციით. ბოლოს ყოველივე ამან რალაციანირი პარტიკულარიზმის იერი მიიღო, ნაქუქში ჩაიკეტა და არ გვეყო უნარი მისთვის მაღალი, მოქალაქეობრივი ედერალობა მიგვენიჭებინა. ჭეშმარიტი თეატრალური ფორმები გამოგვენახა.

ეტრუსკულ ლარნაკებსა და ამფორებზე გამოსახულ სცენებს საუკუნეების მანძილზე მითიური თემების ამსახველად მიიჩნევდნენ. ეტრუსკები „ალაპარაკდნენ“, (წარწერები ამოიკითხეს), აღმოჩნდა, ნახატების მეტი წილი ყოფით სცენებზე ყოფილა შექმნილი.

მსჯელობის საგანს როდი დავცილდით, ჩვენ გვეპირდება ყოფის ამსახველი, ყოველდღიურობის გამომხატველი თეატრიც, ოღონდ მას ამაღლებულის, თუ გნებავთ, ლეგენდის იერი და ხასიათი უნდა ჰქონდეს და ამით დაემსგავსოს გაუშფრავ ეტრუსკულ მხატვრობას, სადაც მოულოდნელად აღმოჩენილმა ყოფითმა შინაარსმა მაღალი ხელოვნება ვერ დააქინა.

გვაქვს თუ არა ამის მოთხოვნის საბაბი? ხომ შექმნა თეატრმა სპექტაკლები „მე ვხედავ მზეს“, „როცა ასეთი სიყვარულია“, ხომ მიაგნო სწორ ინტონაციას, ძლიერ ვნებასა და რომანტიკულს (შემდეგ კი, კვლავ რატომღაც უარყო იგი).

აი რას წერს ნ. გურაბანიძე — „მე ვხედავ მზეს“... „არის ცხოვრება, მაგრამ რეჟისორის მიერ ისე დანახული და წარმოდგენილი, რომ ეს არის ამავე დროს თეატრი.

ჩვენ არ გეტოვებს შეგრძნება ამ ცხოვრებისა, არ გვეპარება ეჭვი მის ნამდვილობაში, ისევე, როგორც არ

გვეტოვებს შეგრძნება ამ ცხოვრების წარმოდგენისა და არ გვეპარება ეჭვი მის თეატრალობაში“.

ჩვენს მიხედვებაში მკვეთრ კვალს სტოვეებს თეატრალური გროტესკი, გაზვიადებული წარმოსახვა თვისებისა, რომელიც ქმნის ხასიათს, აქცენტირებული მოძრაობა ან უესტი. როგორი წარმოდგენაც არ უნდა შეგვიქმნან ეფექტურ ეესტზე ან პათეტიკაზე, ეს მაინც ასეა და ამ „ცრურწმენის“ აღმოფხვრა მხოლოდ ქეშმარიტი პათოსით; ძლიერი შინაგანი წვის ძუნწი, მაგრამ ენერგიული გამოხატვით შეიძლება.

ჩვენ მხოლოდ მაყურებლები ვართ, როცა ჩვეულ ფორმებს უარყოფენ და სანაცვლოდ ვერაფერს გვთავაზობენ, მაშინ უნებლიეთ ჩვენივე, პირობითად რომ ვთქვათ, ატავისტურ წარმოდგენებს ვუბრუნდებით.

ნ. გურაბანიძე განიხილავს სექტაკლებს, სადაც ეროვნული ხასიათის სტენურმა განსახიერებამ გაათავისუფლა თეატრი მრავალგვარი ცთუნებისაგან და შეიქმნა თეატრალური სანახაობა „იმგვარი შემოქმედებითი გატაცებით, რომლის გზნება უფრო ფარულია, ვიდრე წარმოჩინებული“.

შესაძლოა ნ. გურაბანიძის ყველა დებულება ერთნაირად დამაჯერებელი არ იყოს, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეიძლება დაგვეჭვოთ შემდეგმა დასკვნამ:

„რეჟისორი, რომელიც ვერ გრძნობს თავისი ხალხის გულის ფეთქვას, ვერ გრძნობს იმ სიასხლეს, რასაც მისი ერის ყოველდღიურობა წარმოქმნის და თეატრალურ ფორმებს ეძებს მის მიღმა, სხვა ნიადაგზე ან სხვა თანამედროვე თეატრალურ იდეებში, ასეთი რეჟისორი შეიძლება თანამედროვე იყოს საერთოდ, აპრიორულად, მაგრამ იგი არ იქნება თანამედროვე ქართველი რეჟისორი“.

კვლავ მივმართოთ ლიტერატურას...

ჩვენი კრიტიკა, გატაცებული თანამედროვე ლიტერატურული იდეების სხვა ნიადაგზე ძიებით, თავგამოდებით იცავდა „აპრიორულ, საერთოდ თანამედროვე“ მწერლობას, მაგრამ დროის გამოც-

დამ (და მცირე დროისამ) უკვე დაამტკიცა — მწერალი „თანამედროვე საერთოდ, აპრიორულად“, ნებისთუ უნებლიეთ, მაინც აცდებდა ეროვნული კულტურის განვითარების ძირითად გზას და აქტივში დარჩება მხოლოდ ის, რაც თანამედროვე „ქართველმა მწერლებმა“ შეძლებისდაგვარად შექმნეს.

თეატრისა და ლიტერატურის გამოცდილება აქ საერთოა.

„არის თუ არა ქართული თეატრი ქართული?“ — სვამდა კითხვას ს. ახმეტელი და ეს არ იყო მხოლოდ რიტორიკა, ეს იყო მიზანი...

რაკი ციტატებს ასე უხვად ვიშვებოთ, მოვიტანოთ ერთი ციტატაც — გარსია ლორკას სიტყვები:

„თუკი ხალხი არ ზრუნავს თეატრზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ხალხი კვდება ან უკვე მოკვდა. ხოლო თეატრს, რომელსაც შესრუტული არა აქვს საკუთარი ხალხის სული, მშობლიური ქვეყნის პეიზაჟის თავისებურება, მისი შვილების დრამატული ბედი, მათი სიხარული და ჭმუნვა, თეატრს, რომელშიც სოციალური ცხოვრების, ისტორიის მაჯისცემა არ ისმის, უფლება არა აქვს თეატრი ერქვას. ეს არის ბანქოს სათამაშო სახლი ან კიდევ უარესი — ადგილი, სადაც დროსა ჰკლავენ“.

ნ. გურაბანიძის წიგნი სწორედ იმის დასაბუთებაა, რომ ხალხი ზრუნავს თეატრზე, ეძებს თავის თეატრს. ეძებს მის ფესვებს ქართული კლასიკური მწერლობის სიღრმეებში, ქართველი კაცის საუკუნოვან წარმოდგენებში „სახიობაზე“, პეროიკულზე, ტრაგიკულზე...

განსაკუთრებით საყურადღებოა ნ. გურაბანიძის წერილი — „ვაჟა-ფშაველე და ქართული თეატრი“, — უაღრესად ღრმავაროვანი და მრავალმხრივი გამოკვლევა.

კვლავ წამოიჭრა გმირულ-რომანტიკული თეატრის პრობლემა, კვლავ ამოქმედდა ს. ახმეტელის ნაზრევი.

ტრაგიკულის მნიშვნელობა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში და ტრაგიკულის (ამილდებულის, კეთილშობილის, მებრ-

ძოლი აზრის მომკაცდინებელ კოლიზიებში გამოწრთობის) სცენურ ფორმათა ძიების სირთულე ქართული პოეზიის, ქართული ფილოსოფიური აზროვნების სათავეებს ორგანულად შეუერთდა.

არ შეიძლებოდა ვაყას პოეზიას ქართულ თეატრზე დიდი გავლენა არ მოეხდინა, „სწორედ პლასტიკურ ტრაგედიებში — სოფოკლეს, შექსპირის, შილერის, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში ჰპოვა ქართულმა თეატრმა თავისი მძალევი მოწოდების დადასტურება“.

სწორედ აქ ჰპოვა თეატრმა თავისი პერტიკული სტილის დადასტურებაც.

„რა შეითვისა თავის შემოქმედებაში ს. ახმეტელმა ვაჟა-ფშაველასაგან, საერთოდ ქართული შემოქმედების შედევრებისაგან? მათი გმირული სული, მისწრაფება მარადისობისკენ, დიადის გამოხატვის ფართო მასშტაბები, განცდის უშუალობა, მიდრეკილება სიცოცხლისა და სიყვარულის განდიდებისკენ, სამყაროს პლასტიკური ხილვა, რიტმის მძაფრი გრძნობა“.

ნ. გურაბანიძე აქვე მიუთითებს ს. ახმეტელის ნიჭის კიდევ ერთ თავისებურებას — სინთეტიზმს.

„ძალთა ხმევის“, ღმერთთან მიახლოების, ერის სულიერი ცხოვრების სიღრმედან დაძრულ ეთიკური წარმოდგენებისა და ზნეობრიობის პლასტიკურ განხორციელებას შესაფერი მონუმენტური ფორმები ქირდებოდა, ეს ფორმები თავისთავად გულისხმობდნენ სინთეტურობას, მრავალმხრივი შინაარსის მრავალფეროვანი ერთობილით გაღმოცემას, ყველა კომპონენტის სათანადო შერწყმას.

ავტორი განმარტავს ტრაგედიის (ძირითადად ანტიკური ტრაგედიის) ხასიათს, ყურადღებას ამახვილებს იმ დაპირისპირებულ ზნეობრივ პოზიციებზე, რომელთა თანაარსებობა და თანაბრუფლებიანობა განსაზღვრავს ტრაგედიის ბუნებას. ახალი აზრის დაპირისპირება წარმავალთან, ამ აზრის მატარებელი ინდივიდის ტრაგედიის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ქვეშაობების

ძიებისა და მიგნების ტრაგიზმი — ყურადღებულად ეს ქმნიდა მასშტაბებს, ხსნიდა სივრცეებს, რომელთა დამორჩილება, „პლასტიკური ხილვით“ შეესება, დიდ ენერჯიასა და დაუცხრომელ მოღვაწეობას მოითხოვდა.

ნ. გურაბანიძე ყველა ამ საკითხს ლოგიკურად აკავშირებს თეატრალური სტილისა და კონცეფციის წარმოშობასთან, შემდეგ ს. ახმეტელის შემოქმედებით მეთოდთან, ს. ახმეტელის თეატრთან.

ეს არ იყო მხოლოდ ტრიუმფით სვლა, იყო შეცდომებიც, რიტმის გაფეტიშების საშიშროებაცა და ზოგი მომენტის გაზვიადებული სცენური წარმოსახვაც. რეჟისორი ეძებდა თეატრს. „თეატრის საძებნად“ არ კმაროდა მხოლოდ ინტუიცია, აუცილებელი იყო ეროვნული თეატრის შექმნა, რომელიც ჩამოყალიბებულ ესთეტიკურ სისტემას დაეყრდნობოდა, საჭირო იყო ქართველი მსახიობის ტემპერამენტის, რიტმის თანდაყოლილი გრძნობის, ყოველი წვრილმანის გათვალისწინება.

ჩვენ არ გვინახავს ს. ახმეტელის სპექტაკლები, მაგრამ გვინახავს შექსპირი და ვაჟა-ფშაველა დადგმული გმირულ-რომანტიკული თეატრის საუკეთესო მონაპოვართა გამოყენებით, გვინახავს ფსევდოპეროიკული თეატრალური სანახაობაც და სპექტაკლებიც, შექმნილი სტილით, რომელზეც მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ გმირულ-რომანტიკულს უარყოფდა. არა გვეგონია გამოჩნდეს თეატრმოდნე, რომელიც გასაგებად აგვისინის, თუ რა ესთეტიკური თვალსაზრისი დაედო საფუძვლად ამ უარყოფას.

ნ. გურაბანიძე გვშეგლის იმის გარკვევაში, თუ რა უნდა დარჩენილიყო ს. ახმეტელის შემოქმედებითი მეგვიდრეობიდან, რა უნდა შერწყმოდა თეატრის ტრადიციას, რისი უარყოფა იყო საჭირო. რაც მთავარია, გვისაბუთებს, რომ ს. ახმეტელი ხედავდა თავისი მეთოდის სახიფათო ტენდენციებს, განჭვრეტდა მოსალოდნელ კონფლიქტსა და კრიზისს.

ორი დიდი რეჟისორი იღვა თანამედ-

როგე ქართული თეატრის სათავესთან. ორი განსხვავებული სტილის, შემოქმედებითი ხელწერის, გემოვნების რეჟისორი: კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი, მაგრამ მათ ჰქონდათ ერთი საერთო თვისება — თეატრალური სანახაობის ზემოდად გადაქცევის, ხალხის სულიერი ცხოვრების სცენაზე ამეტყველების უნარი.

ახლოვდება ს. ახმეტელის საიუბილეო

დღეები, შუა გზაზე შეწყდა დიდი ქართველი რეჟისორის შემოქმედებითი ცხოვრება, მაგრამ მის ნააზრევს ცხოველყოფილობა არ დაუკარგავს, სასიხარულოა, რომ ყოველივე ამას სერიოზულ წიგნებსა და სტატიებს უძღვნიან.

მაყურებელი ეძებს თეატრს. ისეთი წიგნი, როგორც ნ. გურაბანიძის წერილების კრებულია, მას ამ ძიებაში დიდად დაეხმარება.

ოტია კახკორია.

ვასლანდელი წლილი

გიორგი ციციშვილი — „ჰოლა ლომთათიძე“. გავიშ. „ლიტერატურა და ხელოვნება“.

იშვიათია მწერალი, რომელსაც მთელი სიმწვავით ეგრძნოს და თავისთავზე განეცადოს საბატიმროს საშინელებანი და ეს განცდა ისეთი სიძლიერით გადმოეცეს მხატვრულ შემოქმედებაში, როგორც ეს ჰოლა ლომთათიძემ შეძლო. მეფის რუსეთის საკატორლო ციხეებში დაიწყო უმთავრესად ჰოლა ლომთათიძის პოეტური შემოქმედება და იქვე დაიფერფლა მისი ხანმოკლე, წამებით აღსავსე სიცოცხლე.

ერუანტელის მომგვრელია ჰოლა ლომთათიძის აღსარების მსგავსი სიტყვები: „...ეს სტრიქონები დასწერა კაცმა, რომელმაც ველური ღამე გაატარა. გათენებამდე იმას არ დაუხუჭავს თვალი, ფანჯარას კი სცემდა და ეხეთქებოდა ავსულებით აღსავსე შემოდგომის ღამე; ქარი კენსოდა და ქვითინით დაძრწოდა, წვიმა ბოროტი სისინით სცემდა, ამათრახებდა ვილაცას, ხოლო ბებერი უკბილო კუდიანი ჩამომჭდარიყო ტელეგრაფის ბოძებზე და თავისი ძვალტყავა თითებით ამღერებდა ტელეგრაფის მავთულებს რაღაც საშინელ სიმღერას და მთელი ღამის განმავლობაში ესმოდა ეს სიმღერა იმ კაცს, რომელმაც დასწერა ეს სტრიქონები. ის ციხის ოთხ კედელში იყო გამომწყვდეული და სა-

შინელ სევდას გრძნობდა, საშინელ წუთებს განიცდიდა...“ მიუხედავად ამისა, გაციმბირებული და ნაკატორალი, უკუარნებული სენით დაღრღნილი, იგი ციხეების ჯურღმულებში ქმნიდა უნაზესი მოთხრობების ფანტასტიკას და მხოლოდ წინ და მომავლისაკენ იცქირებოდა, სწამდა მშრომელი ხალხის რევოლუციური აზვითების გამარჯვებით დავვირგვინება. „ყველა სანთლებს დავაქრობ ჩემს უჯან და მხოლოდ წინ, მხოლოდ მომავლისაკენ დავიწყებ ცქერას. მხოლოდ წინ! მხოლოდ წინ! წინ! იქ თავისუფლებაა...“ — აი მისი დევიზი.

ვერავითარმა წამებამ ვერ გატება პირველი რევოლუციის ეს უბადლო მომღერალი და რომანტიკოსი, ვერავითარმა კატორლამ ვერ ჩააქრო რწმენა და ის მგზნებარება, რომლითაც ჰოლა ლომთათიძე რევოლუციის ქარიშხლიან დღეებს შესტრფოდა. ერთი მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეს მებრძოლი, რომელიც ხშირად მისულა კნუტ ჰამსუნის ოსტატობის საზღვრებამდე და რომელიც უდაოდ უნდა ჩაითვალოს ქართული ლირიკული პროზის მამამთავრად“, გაუთავებელი წამებისა და მუდამყამ მიუღებელი სინამდვილის მიუხედავად, მომა-

ლის დიდ რწმენასა და სიყვარულს ქადაგებდა.

საოცარია ჭოლა ლომთათიძის ბედი. არც ერთი თბილი სიტყვა არ გაუგონია სიცოცხლეში, არავითარი სიტყობება არ უნახავს. დაუძღვრებულმა ახალგაზრდა მწერალმა-რევოლუციონერმა სარატოვის დავრდომილთა თავშესაფარში დახუტუა სამუდამოდ თვალები. სიკვდილის შემდეგ ათასგვარი იარაღი მიაკერეს მის სახელს და იგი თანდათან ვაგებია მივიწყების ბურუსში. მხოლოდ დროდადრო გაიხსენებდნენ ხოლმე და ისიც იმიტომ, ერთგვარად ქედმილუტრად მოეხსენებინათ მისი მოღვაწეობა და ლიტერატურული მემკვიდრეობა.

განვლო ჭოლა ლომთათიძის მივიწყების დრომ და მისი შემოქმედება ჯეროვან ადგილს იჭერს ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ხოლო მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა სულ უფრო მართებულ შეფასებას იმსახურებს. უკანასკნელ დროს საქმიანობა საინტერესო კრიტიკულ-ლიტერატურული წერილი, ნარკვევი და ორიც ვრცელი მონოგრაფია გამოქვეყნდა ამ შესანიშნავი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

გიორგი ციციშვილი კარგა ხანია საფუძვლიანად სწავლობს ჭოლა ლომთათიძის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობას. მისი ეს მრავალმხრივ საინტერესო გამოკვლევა, შეიძლება თამამად ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე სრული და მნიშვნელოვანი ნაშრომია, რაც საერთოდ ამ ბედვამწყრალი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დაწერილა (აქვე საჭიროდ მივგაჩნია აღვნიშნოთ: გ. ციციშვილი, პროფ. ი. მეგრელიძესა და ჭოლას ვაჟთან — ვიქტორთან ერთად, იყო მწერლის საფლავის პოვნის და გარდაცვალებიდან ოთხ ათეულზე მეტი წლის შემდეგ — 1957 წელს — მისი ნეშტის კუთხის სასაფლაოს განაპირა კუთხიდან დიდუბის პანთეონში გადასვენების თაოსანი).

გ. ციციშვილის ნაშრომი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველი

ნაწილი ჭოლა ლომთათიძის მოკლე, მაგრამ მძაფრი მოვლენებით აღსავსე, საოცრად მრავალფეროვანი და ბოზოქარი ცხოვრების გზის ჩვენებას ეძღვნება.

მწერლის (მით უმეტეს, ისეთი მწერლის, როგორც ჭოლა ლომთათიძე იყო, რომლის შემოქმედება მისივე ცხოვრების ანარეკლია) ბიოგრაფიის დადგენა პირველი და გადაუდებელი ამოცანაა. სამწუხაროდ, დღემდე ხშირად არევადა არა თუ წარსული საუკუნეების, არამედ თანამედროვე მწერლების ბიოგრაფიებშიც.

ჭოლა ლომთათიძის დაბადების თარიღად ზოგჯერ ერთი და იგივე ლიტერატურული ორგანოს ერთსა და იმავე ნომერში სხვადასხვა დროა მითითებული. ასეთი სხვადასხვაობა ჭოლას სიკვდილის დღიდან მეორდება და ზოგიერთი მკვლევარი საერთოდ გვერდსაც კი უვლის თარიღის დასახელებას. გ. ციციშვილი, უპირველეს ყოვლისა, თვით მწერლის ხელიდან უშუალოდ გამოსული დოკუმენტებისა და საარქივო წყაროების საშუალებით დამაჯერებლად აზუსტებს ამ თარიღს: საერთოდ, მონოგრაფიის ეს ნაწილი დაწერილია უამრავი დღემდე უცნობი საარქივო მასალის, მოგონების, სახელმწიფო სათათბიროს სტენოგრაფის და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტის შესწავლის, მეცნიერული კეთილსინდისიერებით და ობიექტურად გამოყენების საფუძველზე. უდაოდ მართალია ავტორი, როცა უფრო დაწვრილებით ჩერდება ჭოლა ლომთათიძის ცხოვრებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის იმ მომენტებზე, რომლებიც დღესდღეობით ნაკლებადაა ცნობილი ან არასწორადაა კვალიფიცირებული.

მონოგრაფიის ავტორს უშუალოდ უსაუბრნია ჭოლას მეუღლესთან ცნობილ რევოლუციონერ ელისაბედ ბენიამინის ასულ გიდე-რინსკაიასთან (გიდე-რინსკაია და არა ვიდემირსკაია, როგორც მოხსენებულია იგი ჭოლა ლომთათიძის ბიოგრაფიებში), კომუნისტური პარტიის უძველეს წევრებთან — ი. პეტ-

როცისთან, ე. სტასოვასთან, ვ. ანტონოვ-სარატოვსკისთან და მრავალ სხვასთან. ძველი რევოლუციონერ-კომუნისტების, ლენინთან პირადად მომუშავე ბოლშევიკების უაღრესად საინტერესო მოგონებანი, მათ მიერ ჭოლას პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასება ბევრ დღემდე ბუნდოვან საკითხს ხდის ფარდას, ახლებურად და ნათლად წარმოგვიდგენს მას. მართლაც, როგორც უკვე ითქვა, წლების მანძილზე მიჩქმალული იყო და არასწორად შექედებოდა ჭოლა ლომთათიძის რევოლუციური და პოლიტიკური საქმიანობა. განსაკუთრებით ზვიადდებოდა ის გარემოება, რომ 1906-1912 წლებში, როცა ბოლშევიკები და მენშევიკები ფორმალურად ჯერ კიდევ ერთ პარტიაში — რსდმ პარტიაში ერთიანდებოდნენ, ჭოლა ლომთათიძე „მეუმცირესეთა“ (მენშევიკთა) ფრაქციაში ითვლებოდა.

სწორედ ახლად მიკვლეული დოკუმენტები, რსდმ ყრილობათა ანგარიშები (ჭოლა იყო რსდმ IV და V ყრილობათა დელეგატი და აქტიური მონაწილე) იგივე ჭოლას „დღიურები“, სადაც ნათლადაა ასახული მენშევიკ ლიდერთან მისი დამოკიდებულება, აძლევენ წიგნის ავტორს საშუალებას დაასკვნას, რომ „მიუხედავად „მეუმცირესეთა“ ფრაქციაში ყოფნისა, ჭოლა ლომთათიძე, როგორც მისი ცხოვრების დაკვირვებული შესწავლა ცხადყოფს, არასოდეს ყოფილა ორთოდოქსი მენშევიკი. პირიქით, თავისი საქმით, ცხოვრებით, მოღვაწეობით, იგი უფრო ახლო იყო ლენინურ-ისკრულ, ბოლშევიკურ პოზიციებთან. უნდა ისიც აღინიშნოს, რომ ჭოლა ყოველთვის გაუტბოდა ფრაქციულ ბრძოლას და პარტიის მთავარ ამოცანას ხალხის რევოლუციურ დარაზმვაში, საბრძოლოდ მის ამხედრებაში, გამათავისუფლებელ მოძრაობაში რაც შეიძლება ფართო მასების ჩაბმვაში ხედავდა. აქეთ იყო წარმართული მთელი მისი პრაქტიკული საქმიანობაც“.

არსებული მასალების საფუძვლიანი

შესწავლით ცხადი ხდება, რომ ჭოლა უფრო ბოლშევიკებს ემხრობოდა, ვიდრე მენშევიკებს. მართალია, მან ვერ მოასწრო ლენინიზმის ჭეშმარიტ პოზიციებზე დადგომა, ფორმალურად ბოლშევიკურ პარტიაში გადასვლა, მაგრამ იგი რომ სიცოცხლის უკანასკნელ ხანს თითქმის მთლიანად გაემიჯნა ოპორტუნისზმის ჭაობში ჩაფლულ მენშევიკებს, ამის საილუსტრაციოდ გ. ციციშვილის მონოგრაფიაში საკმაოდ მდიდარი მასალაა მოტანილი.

მონოგრაფიაში ძალზე საინტერესო დოკუმენტებია წარმოდგენილი ჭოლა ლომთათიძის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებზე, მის გარდაცვალებაზე, გადმოცემებზე და დაკრძალვაზე; შრომის ავტორი აღწერს აგრეთვე იმ დიდ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გამოხმაურებას, რაც ჭოლას სიკვდილმა გამოიწვია რუსეთსა და საქართველოში.

გ. ციციშვილი გამოთქვამს ყურადსაღებ ვარაუდს: „სხვათა შორის, V ყრილობას სათათბირო ხმით ესწრებოდა მ. გორკი. ჩვენის აზრით, შეუძლებელია, რომ ჭოლა, რომელიც ესოდენ აფასებდა მ. გორკის და კარგად იცნობდა მის შემოქმედებას, პირადად არ გასცნობოდა მას, მით უფრო, რომ ყრილობა არც ისე ხალხმრავალი იყო“ (გვ. 76). მაქსიმ გორკი რომ ნამდვილად იცნობდა ჭოლა ლომთათიძეს, ამას ადასტურებს გამოუქვეყნებელი ჩანაწერი გალაკტიონ ტაბიძისა, რომელსაც ნაშრომის შესავალში, შენიშვნაში, თვით ავტორი იმორწმებს. მ. გორკის 1928 წელს ქართველ მწერლებთან საუბარში უთქვამს: „მე ხომ მის ნაწერებს ვებუქვავდი „ლექტორისში“, ჭოლა ძალიან ნიჭიერი მწერალი იყო“.

აქვე ჩვენ გვინდა ერთი ცნობა მივაწოდოთ ავტორს და საერთოდ ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობით დაინტერესებულთ. 1922 წლის 10 დეკემბერს გაზეთმა „ლომისმა“ (№ 5) ქრონიკაში მოათავსა შემდეგი ცნობა: „ბათუმის „პროლეტარულ ბრძოლაში“ დაიბეჭდა წერილი პარმენ საბაშვილის

და პასუხი სერგო ქორეოლიანის, რომ-
ლითაც ირკვევა, რომ ჭოლა ლომთათი-
ძის დარჩენილი დაბეჭდილზე გაცილებით
უფრო ძლიერი ნაწარმოებები, რომლე-
ბიც ჰქონია მარქსიმ გორკის. ჭოლა
ლომთათიძის ნაწერებთა საგამომცემლო
სარედაქციო კოლეგიას განზრახვა აქვს
მიმართოს ამჟამად ევროპაში მყოფ მაქ-
სიმ გორკის შეკითხვით: შესაძლებელია
თუ არა ამ ნაწარმოებთა მიღება და ან
რა ბედი ეწიათ მათ“. სამწუხაროდ, ჩვენ
არ ვიცით შედეგი ძიებისა, ვფიქრობთ,
საჭიროა როგორც ჩვენში არსებული
სათანადო მასალების გადასინჯვა, ასევე
ა. მ. გორკის მდიდარი არქივის შემოწ-
მება, შესაძლოა ძალზე საინტერესო მა-
სალებს და მნიშვნელოვან ცნობებს წა-
ვაწყდეთ (რამდენადაც ცნობილია, გორ-
კის არქივი მთლიანად ჯერ კიდევ არ
არის შესწავლილი). უნდა გავეცნოთ აგ-
რეთვე იმდროინდელ რუსულ პრესას.
როგორც ვიცით, ჭოლა ლომთათიძე
თვითონ თარგმნიდა თავის ნაწარმოებებს
რუსულად და უგზავნიდა ჟურნალ-გაზე-
თებს სხვადასხვა ფსევდონიმით (რო-
მელთა ნაწილი ჯერ კიდევ გაუხსნელია);
ამ ნაწარმოებთაგან ზოგი გამოქვეყნდა,
ზოგი საცენსურო პირობების გამო ჩარ-
ჩა რედაქციათა არქივებში, ამიტომ
„ლეტრაისის“, „რუსკია ვედომოსტის“,
„რუსკია ბოგატსტვოსა“ და სხვა ჟურ-
ნალ-გაზეთების არქივებში შეიძლება
ბეჭდი რამ იყოს.

გ. ციციშვილის წიგნის პირველი ნა-
წილი უდაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა
ჭოლა ლომთათიძის ცხოვრებისა და სა-
ზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეო-
ბის მარქსისტული მეთოდოლოგიის სა-
ფუძველზე გაშუქების საქმეში. აქვე
ვსარგებლობთ შემთხვევით და გვინდა
მავეუთითთ იმ შეცდომებსა და უზუს-
ტობებზე, რომლებიც, თუმცა იშვიათად,
მაგრამ მაინც გვხვდება. შრომის ავტო-
რი წერს: „1903 წელს ჭ. ლომთათიძე
ხდება გაზეთ „კვალის“ უახლოესი თა-
ნამშრომელი... სხვათა შორის, ამ ხანებ-
ში გაზეთს რედაქტორობდა დიდი ქართ-
ველი მწერალი გიორგი წერეთელი“

(გვ. 28-29). მართლაც, 1902 წლის დამ-
ლევს ჭოლა უკავშირდება „კვალს“ და
იწყებს თავისი მხატვრული ნაწარმოე-
ბების გამოქვეყნებას სპირიდონ მცირე-
შვილის ფსევდონიმით, როგორც ცნო-
ბილია, გაზეთი „კვალი“ 1897 წლიდან
შეისყიდა მესამე დასის უმრავლესობამ.
კერძოდ, 1903 წელს მას რედაქტორობ-
და ცნობილი მენშევიკი, მეორე სახელ-
მწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრა-
ტიული ფრაქციის ლიდერი ირაკლი
წერეთელი, ხოლო მწერალი გიორგი
წერეთელი სამიოდე წლის გარდაცვლი-
ლი იყო.

შეთსაბამობაა 68-ე გვერდზე, სადაც
ავტორი წერს: „1907 წლის თებერვალ-
ში ჭოლა ლომთათიძე გაემგზავრა ქ. პე-
ტერბურგში სახელმწიფო სათათბიროს
გახსნაზე“, ხოლო ერთი აბზაცის შემდეგ
აღნიშნავს: „მეორე სახელმწიფო სათათ-
ბიროს პირველი სხდომა შედგა 1906
წლის 20 თებერვალს კვირა დღით“... (!)

ძალზე საინტერესოა შრომის ავტორის
აზრი მოთხრობა „სახრჩობელას წინა-
შეს“ წყაროზე და ა. გ. ზურაბოვის მო-
გონება ამ საკითხზე (გვ. 103). მაგრამ,
ვფიქრობთ, ეს არ გამოირიცხავს, რომ
ამავე თემაზე ჭოლას რაიმე სტატია დაე-
წერა, მით უმეტეს, ამას მხარს უჭერს
გ. კოროლენკოს წერილი (იხ. გვ. 130).

უთუოდ კორექტურის ბრალია, რომ
ზოგჯერ ჭოლას „დღიურის“ გამოქვეყ-
ნებულ ნაწილებზე მითითებულია ჟურ-
ნალი „მნათობი“, 1939 წელი, № 9. აღ-
ნიშნული დღიური „მნათობში“ გამო-
ქვეყნდა 1934 წელს (№ № 7, 8, 10).

ყოველივე ზემოთქმული, რასაკვირვე-
ლია, წერილმანია და ძნელად შესამჩნე-
ვი იმ მდიდარი ფაქტური მასალის
ფონზე, რაც ასე უხვადაა წარმოდგენი-
ლი განსახილველი წიგნის ამ ნაწილში.

გ. ციციშვილის მონოგრაფიის მეორე
ნაწილში მოცემულია ჭოლა ლომთათი-
ძის მხატვრული პირობის დრმა იდეურ-
თემატური ანალიზი. ამ სფეროშიაც ახ-
ლა ლხევა ყინული. წლების მანძილზე
სალიტერატურო კრიტიკა სდუმდა ჭო-
ლას შემოქმედებაზე. თვით ჭოლა მწა-

რედ განიცდიდა თანამედროვე კრიტიკის დუმილს და ამბობდა: „გინდაც დედა შეეგინებინა ვისმეს, ოღონდ რაღაც ეთქვა ჩემზეო“.

საპატრონოს რკინით დახლართულ ვიწრო საკრძოლედან ჭოლა ლომთათიძე მთელ ქვეყანას გადაჰყურებდა და ეძებდა შხის სხივს, რომელიც გზას გაუნათებდა რევოლუციურ ბრძოლებში მიმავალ მშრომლებს. იგი სახელოვანი წარმომადგენელი იყო კრიტიკული რეალიზმის იმ ჯგუფისა, რომლის მეთაურად ამ საუკუნის დასაწყისში იროდიონ ევლოშვილი გამოდიოდა. ჭოლა ლომთათიძე დიდი სოციალური და პოლიტიკური ძვრების უშუალო მონაწილე იყო. მან საკუთარ თავზე გამოსცადა პროფესიონალი რევოლუციონერის მძიმე ხვედრი და ლირიული გზნებით დახატა საპურობილეში გამოკეტილი მებრძოლის ადამიანური განცდები და თავგადასავალი. შემოქმედების ადრეულ ხანაშივე ჩამოყალიბდა ჭოლა ლომთათიძის პროზისათვის დამახასიათებელი კრიტიკული რეალიზმის სტილური ნიშნების შეერთება რევოლუციურ რომანტიზმთან. საერთოდ, მის შემოქმედებაში ლირიკული და ეპიკური ხაზი ისე საოცრად ერწყმის ერთმანეთს, რომ განუყოფელი ზემოქმედების ძალას იძენს და თვალნათლივ აჩვენებს, ერთის მხრივ, მწერლის როგორც ლირიკული პროზის შემქმნელის, მეორის მხრივ, სინამდვილის დინჯი, ობიექტური ხედვის ოსტატის სახეს.

მონოგრაფიის ავტორი განუხილვე-

ლად არ ტოვებს თითქმის არც ერთ მხარეს, არც ერთ საკითხს ჭოლა ლომთათიძის მხატვრული პროზისა, მის ინდივიდუალურ თავისებურებასა და როლს. ავტორი მართებულად დასკვნის, რომ „ჭოლა ლომთათიძის მიზანდასახული და მებრძოლი იდეურობით აღსავსე მხატვრული პროზა დაუზოგავად ამხელდა უკუღმართ სოციალურ სინამდვილეს, კლასობრივ ჩაგვრას; ეროვნულ დისკრიმინაციას და დიდი ექსპრესიით გვისურათებდა მანკიერი პოლიტიკური რეჟიმის საშინელებას“.

გ. ციციშვილი მონოგრაფიაში საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ჭ. ლომთათიძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზთა ჩვენებასა და ახსნას.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მთლიანად გამოვლენილი და თავმოყრილი არ არის ჭოლა ლომთათიძის მხატვრული ნაწარმოებები (ლექსები, მოთხრობები, თარგმანები), საოცრად გაფანტული და თითქმის შეუსწავლელია მისი პუბლიცისტური წერილები, მისი ურთიერთობა და მიმოწერა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან და რუს მწერლებთან (მ. გორკი, თ. ანდრეევი, ვ. კოროლენკო და სხვ.). მაგარამ ის, რაც ამ უკანასკნელ წლებში გაკეთდა, ფასდაუდებელი წვლილია ჩვენი ლიტერატურის ისტორიის ამ უაღრესად თავისებური და მნიშვნელოვანი წარმომადგენლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის და მხატვრული აზროვნების შესწავლის საქმეში.

ნოდარ ალანია.

„იყო ერთი დელაბერი...“

„ხალხური შემოქმედების მარგალიტები“. გამოცემის მოზა „განათლება“.

შარშან წიგნის ბაზარზე გამოჩნდა გამოცემული პატარა ლამაზი წიგნი „ხალხური შემოქმედების მარგალიტები“, რო-

მელშიც შეტანილია „არსენას ლექსი“, „ეთერიანი“ და „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“. ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშების გამოცემა მისასალმე-



ბელი საქმეა (თუმცა გამოცემლობა „განათლებას“ არ ევალდება!), თუ ეს ნიმუშები კარგად არის შერჩეული და კარგადაც არის გამოცემული. ამ კრებულის სახით კი საოცარ ფაქტთან გვაქვს საქმე: ხალხური შემოქმედების მართლაც მარგალიტების გვერდით გამოცემილებს კრებულში შეუტანიათ ვალექსილი „ეთერიანი“.

ცნობილია, რომ ხალხური „ეთერიანი“ ლექსნართული პროზაული თხზულებებია. ასე იყო იგი ცნობილი ძველად (როცა ჩაიწერა და პირველად გამოიცა, 1875 წ.) და ასეა ცნობილი ახლაც. მაშ, რა დაუბეჭდავს გამოცემლობას? ხალხური შემოქმედების მარგალიტის სახელით გამოცემლობა „განათლებას“ გამოუქვეყნებია პეტრე მირიანაშვილის მიერ ვალექსილი ხალხური თქმულება.

„ეთერიანი“ რამდენჯერმე გამოიცა — წერენ გამოცემულები და დასძენენ: „ყველაზე უფრო ცნობილია პ. უმიკაშვილის (პირველი გამოცემული — გ. ს.) და თ. რაზიკაშვილის ვარიანტები; პეტრე მირიანაშვილის ვარიანტი, რომელსაც ჩვენ ვსცემთ, იმით განსხვავდება ზემოდასახელებულ ვარიანტებისაგან, რომ ის ადგილები, რომლებიც ხალხურ „ეთერიანში“ ჩვეულებრივ პროზით არის გადმოცემული, პეტრე მირიანაშვილმა ვალექსა. ამის გამო, შეიძლება, პოემამ (?) რამდენიმედ დაჰკარგა გულუბრყვილობა და უშუალობა, მაგრამ სამაგიეროდ შეიძინა მთლიანობა“ (?!).

ხედავთ, რა ურყევი საბუთიანობით უმჯობინებით ხალხური ვარიანტებისათვის პ. მირიანაშვილის ვალექსილი ვარიანტი. მაგრამ შეიძლება პ. მირიანაშვილის თხზულების ხალხური შემოქმედების მარგალიტად გამოცხადება?! ჩვენ მხოლოდ მაგალითებს დავასახელებთ და თვითონ მკითხველმა განსაჯოს.

პ. მირიანაშვილმა თავისი ვალექსილი თხზულება პირველად 1914 წელს დაბეჭდა (ორი საერო თქმულება, აბესალომ და ეთერის ლექსი, როსტომის ლექსი, შეკრებილ-დაწყობილი პეტრე

მირიანაშვილის მიერ, ტფილისი, 1914), შემდეგაც რამდენჯერმე გამოიცა. უკანასკნელად 1938 წელს დაბეჭდა (აბესალომ და ეთერი, ხალხური თქმულება პეტრე მირიანაშვილის ვალექსილი, ფედერაცია, 1938), თუმცა ახალ გამოცემილებს რატომღაც 1927 წლის გამოცემიდან გადმოუბეჭდავთ ტექსტი. რას წარმოადგენს პ. მირიანაშვილის თხზულება? იგი ასე იწყება.

იყო ერთი დედაბერი,
პყვანდა მეწისქვილე ქმარი;
უნდა ადგილიყენენ ისე,
არ ვაეშოთ ნატამალი.
ცოლი აუხიარდა ქმარსა:
— წაიღე, აკითხვინე მკითხავს,
გაიგე, გამოიწვილე,
გეტყვის რასმე კარგს ანუ ავს.

ასეთი ლექსით შემდეგ გადმოცემულია, როგორ ჩაისახა ეთერი კაცის კანჭში, როგორ მოიჭრა და გადააგდო კაცმა კანჭი. შემდეგ, თურმე, „ეთერი იშვა, ორბმა პნახა და ჩაიხუტა უბეში“. ხეზე გაზრდილი ეთერი შემდეგ უშვილებია ცალფეხა მეწისქვილეს, რომელიც რამდენიმე სტრიქონის ქვემოთ გარდაცვლილი ჩანს. დედინაცვალს ეთერი მესაფქვავედ დაუყენებია წისქვილში და —

იმ ქვეყნის ხემწიფის შვილსა
სახელად აბესალომსა
ეთერის სილამაზისა
ჰსმენოდა კარგ შესახედომსა.

ეთერმა, თურმე:

შემდეგ მორცხვად აბესალომს
შეხვედა და მიიმედ სდუმდა.

გიკვირთ, ეს „მიმედ სდუმდა“ საიდან გაჩნდა? აი, საიდან:

აბესალომ უალერსებს,
მისი ტრფობა გულთო უნდა.

დედინაცვალმა, თურმე, ეთერი რომ წამოწოლილი დაინახა, „თავს დაათბილსა მეწყერი“. აბესალომი ეთერის სახლში მისულა და აი როგორ:

აბესალომი მივიდა
ეთერის კარს ამალითა,
მოიკითხა საყვარელი,
დადგა მის წინ კალათითა.



შერე ეთერს მიმართა:

ქალო, აქეთ შემომხედე,
ხელში მიჭირავს კალათა.
შენმა ცქერამ და ყურებამ
მე გული გამიხალვია.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს „კალათა“ რისთვის სჭირდება აბესალომს, რა რაინდის დამახასიათებელი ატრიბუტია იგი? თურმე, ამ კალათით აბესალომს ის დანა ჰქონია მოტანილი, რომელიც მან ეთერს აჩუქა და რომელზეც ხალხურ თქმულებაშიც არის საუბარი. ხალხურ თქმულებაში კალათიცაა ნახსენები. ბაზალეთში ჩაწერილ ვარიანტში, მაგალითად, ნათქვამია:

ქალო, აქეთ მოიხედე,
ხელთ რო გიჭირამ კალათა,
შენმა თვალმა და წამწამმა
მე გული გამიხალვია.¹

გარდა იმისა, რომ ხალხურ ვარიანტში კალათი თავის ნამდვილ მფლობელს უჭირავს, ხალხური ლექსი ყოველმხრივ უკეთესია ბ. მირიანაშვილის თხზულებასთან შედარებით (შდრ., მაგალითად: „აქეთ შემომხედე — აქეთ მოიხედე“, „შენმა ცქერამ და ყურებამ — შენმა თვალმა და წამწამმა“). ბ. მირიანაშვილი იმდენად ყოფილა გატაცებული პოეტური მთხზველობით, რომ ხალხურ თქმულებაში ჩართულ ლექსებსაც ცვლის და პროზას ხომ ლექსავს და ლექსავს!

აბესალომისა და ეთერის შეუღლებაზე ხალხურ თქმულებაში მოკლედაა ნათქვამი, ბ. მირიანაშვილს კი გრანდიოზული ქორწილი აღუწერია ლექსად. სხვათა შორის, ქორწილის დროს აბესალომს და ეთერს ხვდება „პატარა ქალვათ კრებული“. ბავშვებს, თურმე:

ხელთ კელებტრები ეჭირათ,
ველარ დაქრო ნივისა,
პირსავსე კალათებიცა,
ფშვინვა გაჰქონდა იასა.

ქორწილში მღვრიან ჩაკრულოს, სუფარულს, კახურ მრავალყამიერს, ცეკვავენ

ქართულს, დავლურს, სამაიას, ხორუმს... არც ვასაყვირია: ქორწილს ესწრებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულნი, რაღა თქმა უნდა, აჭარლებიც აქ არიან და ხორუმს ცეკვავენ, გურულებიც „სართულთ მოწყობით ჩაქურსა“.

კიდევ ორიოდ მაგალითს მოვიტანთ იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად არ ჰგავს ბ. მირიანაშვილის ლექსი ხალხური შემოქმედების მარგალიტებს.

ბელიარ ეშმაკი ასე მსჯელობს:

შევსციდი, ვშეე ზნელმა ნათელი,
მას აქეთ თან დამდევს მარცხი,
იქ ვაცლა, სადაც არა სჯობს,
არ მჭერა, ხელთა მაქვს ფარცხი.

მკითხველს, ალბათ, უჭირს დაჯერება, რომ ასეთი რამ ჩვენს თვალწინ, 1965 წელს დაიბეჭდა (და ისიც ხალხური მარგალიტის რეკლამით). მაშინ ჩაიხედეთ ხსენებულ კრებულში (გვ. 69).

მურმანის დედა ციხე-დარბაზის კარებში რომ გამოჩნდა

მხარ მარჯვნივ უღდა ცხრა ქალო,
მხარ მარცხნივ იმდენი ვაჟი;
გულითა მიჰყვენ სიმღერას
სთქვან, თუნდ იხადონ კვლავ ბაჟი.

მურმანსა და დედამისს ასეთი დილოგი გაუმართავთ:

— დედაჩანი რახან ეგრა,
სულიც კი არ დავნანდება,
წამალში შენს სულსა მთხოვენ,
არ მივსცემ, დამიშავდება!
— შეილოჯანი ეხლავ დაუთმობ
ჩემს სულსა, ვინცა იქნება...

აბესალომსაც ასე მიმართავს დედა:

შვილოჯან, ვერ ველირსენით
მის ფერზე მოყვანებასა,
ვაუშოთ, უმჯობესია
ყოფნას უძლიეველ სნებასა.

მომაკვდავი აბესალომი დედას (რომელსაც ბ. მირიანაშვილის თხზულებაში აქამდე ნათია ჰქვია) ევედრება:

აღმე, უშტარო დედაო,
ეთერსა კარსა უარე
ჭერეთ ატირდი ბრალდა
მერმე თავ შეამაუარე.

ეს ადგილი ხალხურ თქმულებაშიც გა-

¹ „ხალხური სიტყვიერება, IV, მეორე სერია, II, ეთერიანი, მიხეილ ჩიჭოვანის რედაქციით, შესავალი წერილითა და შენიშვნებთან“, 1954 წ., აკადემიის გამოცემა.

ლექსილია, მაგრამ იქ სავსებით ნათელს
ლექსი გვაქვს:

თუ გითხოს ჩემი ამბავი,
დაჯექ და წვრილად უამბე.

ან

დაჯექ და მართლა უამბე.

ან

სულ დაწვრილებით უამბე.

ან

უთხარ და უთხარ, უამბე.

აკადემიის მიერ გამოცემულ „ეთე-
რიანში“ 48 ხალხური ვარიანტია. ეს უც-
ნაური „შეამპუარე“ მართო ფშაურ ვა-
რიანტშია ნახმარი და პ. მირიანაშვილს
სწორედ იგი უმჯობინებია. სხვათა შო-
რის, ამ „შეამპუარეს“ უაზრობის თაო-
ბაზე პოეტი, აკადემიკოსი ი. გრიშაშვი-
ლიც წერდა ამ რამდენიმე წლის წინათ
ზ. ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და
ეთერის“ ლიბრეტოსთან დაკავშირებით.

მაგალითების გამრავლება საჭიროდ
არ მიგვაჩნია. ასეთი ლექსით არის გა-
წყობილი პ. მირიანაშვილის „ეთერია-

ნი“. ჩვენ როდი გვინდა პ. მირიანაშვი-
ლის მოღვაწეობა დაიწუნოთ, მას ცუდ-
პოეტობა ვუკუთვინოთ. იმ დროს ერთგვა-
რი მოდა იყო ასეთი ვალექსვა-გაწყობა
და გადაკეთება, მაგრამ რატომ უნდა გა-
მოვაცხადოთ უხეიროდ ვალექსილი ამ-
ბავი ხალხური შემოქმედების მარგალი-
ტად? პ. მირიანაშვილმა „ვეფხისტყაო-
სანიც“ კი ვააკეთა პატარა წიგნაკად და
1915 წელს დაბეჭდა ასეთი სათაურით:
„ვეფხისტყაოსანი, ხუთ სურათად, შოთა
რუსთველ-ოქროპირ ბატონიშვილისე-
ბურად, გამოკრეფილ-დაწყობილი პეტ-
რე მირიანაშვილის მიერ“. ხომ არ დაე-
ბეჭდოთ ეს პიესა რუსთველის პოემის
მაგივრად?!

ახლახან გამოცემლობის სარეკლამო
ფურცელი „განათლება“ იუწყებოდა,
ზემოთ აღნიშნულმა კრებულმა, რო-
გორც კარგად გამოცემულმა წიგნმა,
დიდლომი დაიმსახურაო. კი ბატონო,
მართლაც ლამაზად არის გამოცემული,
მაგრამ წიგნი მართო დასათვლიერებ-
ლად ხომ არ გვინდა, შიგაც ხომ უნდა
ჩავიხედოთ, ხომ უნდა წავიკითხოთ
იგი?!

ბაბრიელ სიღამონიძე.

მომხე ხალხის ნარსული და ღვაწაღლობა

სტიფანი კურტიანი — „არარატის მთის ძირას“, გამომც. „ნააღლო“.

ავტორი მიმართავს თავის პატარა
მკითხველებს: მთხოვთ გავაცნოთ თქვენი
მშობლიური საქართველოს მეზობელი
ქვეყანა, მთაგორიანი სომხეთი, მისი დი-
დი ისტორიული წარსული, ბედნიერი
აწმყო. სიამოვნებით მივიღე თქვენი
თხოვნა, თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო,
რომ ამ პატარა წიგნში ძნელია საუკუნე-
თა სიღრმეში ფესვგადგმული სომეხი
ხალხის წარსულისა და მისი აწმყო
გადმოცემა.

თოვლით დაფარული არარატის მთის
ძირას გადაშლილი სომხეთის ბუნება
ერთსა და იმავე დროს მკაცრიც არის

და ნაზიც. მის რელიეფს ცალ აზიდულო
მწვერვალები, ციცაბო კლდეები და
თვალჩაუწვდენელი უფსკრულები ამ-
შვენებს.

...ძველად სომეხი გლეხკაცი ბევრ სის-
ხლსა და ოფლს ღვრიდა, რომ ქვიან მი-
წაზე პური მოეყვანა. ალბათ, სწორედ
ამიტომ შეარქვეს სომხეთს „ბედშავი
ქვიანი მხარე“. იმ უძველეს დროში, აბა
ვის მოუვიდოდა აზრად, რომ მეოცე
საუკუნეში გამრჩე სომხის მარჯვენა ქვი-
საგან არა მართო გრანდიოზულ ძეგლებ-
სა და ვარდისფერ ქალაქებს ააგებდა,
არამედ ქვას აბრეშუმის ძაფად აქცევდა

და ლამაზი სამოსით შემოსავდა ადამიანებს.

საბჭოთა სომხეთის ტერიტორია პატარაა — სულ 30 ათასი კვადრატული კილომეტრი. ამიტომ ამბობდნენ, მშობლიური ქვეყანა რაოდენ გულლიაც არ უნდა იყოს, თავისი კალთის ქვეშ ვერ შეიფარებს უცხოეთში გადახვეწილ შვილებს. მაგრამ ჩვენს ეპოქაში მიწა-წყლის სიმცირეს მნიშვნელობა არა აქვს. თუ რაღაც სამი ათეული წლის წინათ ამ საზღვრებში 750 ათასი კაცი ცხოვრობდა, ამჟამად ორი მილიონ ორასი ათასი მცხოვრებია. დღენიადაგ იზრდება საცხოვრებელი ადგილები, იზადება ახალი ქალაქები, სოფლები, ჩნდებიან ახალი ფაბრიკა-ქარხნები, მეცნიერების და კულტურის ახალი კერები...

ამ წინასიტყვაობის შემდეგ წიგნში დახასიათებულია რესპუბლიკის კლიმატი, ისტორია, ეკონომიკა, კულტურა, რელიეფი, ნიადაგი, მეცნარეთა და ცხოველთა სამყარო, გეოლოგიური აღნაგობა და ა. შ.

მკითხველი დაწვრილებით ეცნობა სომეხი ხალხის წარმოშობის და ჩამოყალიბების, ნაირის ქვეყნის, ურარტუს, ხოლო შემდეგ სომხური სახელმწიფოს შექმნის ისტორიას, აღმოსავლეთ სომხეთის რუსეთთან გაერთიანების, მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ამბავს.

სარეცენზიო წიგნში ფართოდ არის გაშუქებული საბჭოთა სომხეთში 46 წლის მანძილზე მიღწეული წარმატებები, როგორც ეკონომიკის, ისე კულტურის ფრონტზე.

ჩამოთვლილია ინდუსტრიის მნიშვნელოვანი დარგები, მათი განვითარების პერსპექტივები, მოცემულია საინტერესო ცნობები რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა მარაგისა და მისი გამოყენების შესახებ.

წიგნში მოთხრობილია, ამ მოკლე დროში რაოდენ გაიზარდა სახალხო განათლების კერები, რამდენი საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა,

რა ღირებულება აქვს მოწინავე სომეხი მეცნიერების ნაშრომებსა და სხვა.

მკითხველი ეცნობა აგრეთვე სომხური ლიტერატურის, ხელოვნების, არქიტექტურის, ხალხური შემოქმედების თვალსაჩინო მოღვაწეებს.

წიგნი მდიდრულადაა გაფორმებული, დართული აქვს ეროვნული ორნამენტებით შემკული რუკები და სქემები.

დაბეჭდილია გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ხუტა ბერულავას და სხვა ქართველი პოეტების ლექსები, მიძღვნილი გამარჯვებულ სომეხი ხალხისა და სომხეთის მშენებელი ბუნებისადმი.

წიგნში შეტანილია ერთი პატარა ამბავი — „სასწაულმოქმედი კაცი“, გვინდა მკითხველის ყურადღება ამ ამბავზე შევაჩეროთ:

ზღაბარია თუ სინამდვილე? თვალს არ ვუჯერებთ. ერთი შეხედვით მართლაც დაუჯერებელია, როგორ შეუძლია კაცის ხელს შექმნას ისეთი მცირე ქანდაკებები, მხოლოდ მიკროსკოპის ქვეშ რომ ჩანს. და მაინც ჩაიხიხილოთ მიკროსკოპში. ხედავთ? ქინძისთავისოდენა ძვალი მოჩანს. აბა კარგად დააკვირდით! ძვალზე გამოკვეთილია სომხეთის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის შენობა თავისი არქიტექტურული სამკაულებით...

თქვენ მეტად განცვიფრდებით, როცა იხილავთ გადაჭრილი ხორბლის მარცვალზე გამოსახულ ტრაქტორს, ან კიდევ მინიატურულ ვიოლინოს, რომელსაც სიგრძე 14 მილიმეტრი და სიმაღლე 0,5 გრამი აქვს.

ვთქვით ესეც არაფერია, ზხის ღეროსაგან დამზადებულ ირემზე რაღას იტყვით, რომლის რქებიც ნემსის წვერივით წვრილია?! განცვიფრება გაგორაკეცდებათ, როცა ნახავთ სომეხი ხალხის ეპოსის „დავით სასუნცის“ მინიატურულ ილუსტრაციას. თუ ყურადღებით დააკვირდებით ნემსის ყუნწში მოთავსებულ პაწაწინა ძვალს, მასზე დაინახავთ არარატის უზარმაზარი ველის ხედს, ერთ მხარეს ამაყი მთების თოვლიან მწვერვლებს, მეორე მხარეს ზვრებს, ყურძნის

კრეფით გართულ ქალიშვილებს, ხოლო წინა პლანზე გოგონას, რომელსაც ხელში ყურძნის მტევანი უჭირავს.

ვინ არის ამ საოცარი ქმნილების ავტორი? ეს გახლავთ უაღრესად თავმდაბალი ხელოვანი, სომეხი კომპოზიტორი ედვარდ ლაზარიანი.

ედვარდ ლაზარიანის მიკროსკოპულ ქანდაკებებს დიდი მოწონება ზედა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ზოგან თვალს არც კი დაუჭერეს. მაგალითად, გაზეთ „ბერლინერ ცაიტუნგის“ მკითხველებმა წერილები გამოუგზავნეს სომხური გაზეთის რედაქციას, სთხოვდნენ დაედასტურებინათ, მართალი იყო თუ არა ეს ამბავი. ლაზარიანმა გერმანული გაზეთის რედაქციას ფრიად ორიგინალურად უპასუხა: ადამიანის თმის ბეწვზე დაწერა წინადადება — „ძმური სალამი გერმანელ ხალხს სომეხი ერისაგან“.

„ბერლინერ ცაიტუნგმა“ საგანგებო სტატია გამოაქვეყნა — „ბეწვზე დაწერილი სალამი სომხეთიდან ანუ ზღაპარი-სინამდვილე“.

მალე ფოსტამ ე. ლაზარიანს სხვა წერილიც მოუტანა. ამჯერად ბულგარეთიდან, სოფიის გაზეთ „ვეჩერნი ნოვენის“

ურწმუნო მკითხველები მიმართავდნენ მიკროსკოპული ქანდაკების ოსტატს, დაგვიდასტურე გაზეთში გამოქვეყნებული ცნობაო. ე. ლაზარიანმა კვლავ ორიგინალური პასუხი გაუგზავნა... ბურღულის ერთ გვერდზე გამოკვეთა არარატის ველის დოვლათი, ხოლო მეორე გვერდზე მიაწერა: „ძმური სალამი სოციალიზმის მშენებელ ბულგარელ ხალხს“.

ე. ლაზარიანმა ბრინჯის ერთ მარცვალზე აღბეჭდა სომხეთის ფლორისა და ფაუნის ამსახველი სურათი, რომელიც ინახება რესპუბლიკის საბუნებისმეტყველო მუზეუმში.

ოსტატმა ადამიანის ერთი სანტიმეტრი სიგრძის ჩვეულებრივ თმის ბეწვზე დახატა სპილოების ქარავანი.

სომხეთის საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად მხატვარმა ყურძნის წიპწაზე დახატა დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილი — ლენინის მოედანი. ყოველივე ეს და ბევრი სხვა რამ მოთხრობილია ამ საინტერესო წიგნში, რომელიც სთარგმნა არჩილ დავითიანმა.

წიგნის რედაქტორია ზ. ალექსიძე. მხატვრული ვაფორმება ეკუთვნის მხატვარ თ. სამსონაძეს.

ივანე სურამელი.



უიწყაჟსი

ოქმომგბერი სავირო ღლეუნიწყენ გეჟეხის

ანა კალანღაჟე — ლენინის ჟუღი (ლექსი) 2 33-

ჰოუზი და პროზა

ნაჟი კილანონია — ახალი ლექსები 3 33-
 გიორგი კაჟახიჟე — სავიცი ჟილი (ლექსები) 7 33-
 კოტის იუგილე 8 33-
 აჟაჟი გეჟაჟე — ჟინულის სარბი (მოთხრობა, დასასრული) 9 33-
 ნიკოლოჟ ჩაჩაჟა — ოთხი ლექსი 40 33-
 ლამარა გეჟაჟა — სანაჟე — გაცნობა (მოთხრობა) 42 33-

ახალი თარგმანები

ღესნაჟა ჟაჟსიმოჟიჩი — ლექსები (თარგმნა მ. კახიძემ) 53 33-
 რინარე რაიბი — მოახლე (მოთხრობა, თარგმნა გ. ჩიქოჟანმა) 55 33-

„შისჟარი“ — გეჟეჟეს

ჰასილ ჟაჟოჟი — იჟანი ბატონიჟილი და რუხი მგელი (ჰოჟემა-ზღაჟარი, დასასრული, თარგმნა ხ. გერუღაჟემ) 76 33-
 არილე სულაჟაჟი — სალამურას თაგვადანსაჟალი (ზღაჟარი, გეგრჟელეჟა) 88 33-

ღიღი თარიღები

ღავით თეჟაჟე — ოქმომგბერი და კართული მფირობა 120 33-

ჩჟანი კალანღარი

ჰასილ კიჟაჟე — სანდრო ახმეტლის უცნობი სტრიქონები 128 33-

ახალგეზრდა მესნიეჟები „შისჟარი“

აჟაჟი ჰასაჟე — ტრადიციულობა და ნოჟატორობა 131 33-

ნიგნეგის სავიროჟი

ოთია ჰაჟოჟია — როცა ჟინი დაგვაჟიძრებს 141 33-
 ნოღარ ალაღია — ფანდელეღელი ჟილილი 149 33-
 გეგრილე სიღამონიჟე — „იჟო ერთი დეღაბი“-... 153 33-
 იჟანი სურაჟილი — მოჟი ხალხის ჟარსული და დღეჟანღელობა 156 33-

მთავარი რედაქტორი ხუბა ბერულავა

სარედაქციო კოლეგია: აბაგი ბაქრაძე, გურამ გვერდუთელი, მერაბ ელიო-
ზიშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როინ მებრეველი,
გიორგი ციციშვილი, ნოდარ წულეისკირი, ვახტანგ ვაღიძე, სერგი ვილანია,
თამაზ ვილანია, ლაშა ჯანაშია.

გარეკანი და ტიტული ელგუჯა ამაშუკელის, ქურნალი ვააფორბა თენგიზ სამსონაძემ.

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. გოდერძიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პარკი, № 91.

ბელაშვილები: რედაქტორის — 5-08-85, პ/მ ვედიანი — 5-08-86, განყოფილებების:
კოედიისა და პროზის, კრიტიკისა და პოეზიის — 5-08-85, კალატორისა და
ხელშეწყობის 5-08-75

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/111-67 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10, პერობით
ფორმათა რაოდენობა 13,7 შეკვ. № 667. უე 01971. ქაღალდის ზომა 70x108. ტირაჟი 20.000.

საქ. კვ ც-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

6110/65



ՅՅԵԾ ԵՕ ԶՅԶ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

« Ц И С К А Р И »

издательство

«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

И Н Д Е К С 76236